ბჰაგავან შრი სატია საი ბაბა

მაცოცხლებელი წვიმები

ბრინდავანში

1979

მაცოცხლებელი წვიმები ბრინდავანში 1979

ბჰაგავან შრი სატია საი ბაბა

ბრმაა ის, ვისაც ღმერთის
რწმენა აკლია, რადგან ადამიანი
ღვთაებრივს რწმენის თვალებით ხედავს.
ღმერთი იმისთვის შეიძლება
არ არსებობდეს, ვისშიაც რწმენა არ არის,
ჩვენში კი იგი არის.

Bhagavan Sri Sathya Sai Baba

SUMMER SHOWERS IN BRINDAVAN

1979

DISCOURSES of
Bhagavan Sri Sathya Sai Ba ba
on Indian Culture and Spirituality

ბჰაგავან შრი სატია საი ბაბა

მაცოცხლებელი წვიმები ბრინდავანში

1979

ბჰაგავან შრი სატია საი ბაბას
საუბრები ინდოეთის კულტურასა და
სულიერებაზე

მთარგმნელი და გამომცემელი
ვაჟა ნარიმანიძე

თბილისი
2013

ეს წიგნი დაუფასებელი საჩუქარია მკითხველებისთვის, რადგან ცოცხალ ღვთაებრივ სიტყვას წარმოაჩენს. 1972 წელს სატია საი ბაბამ აშრამა „ბრინდავანში“ ყოველწლიური საზაფხულო სკოლა წამოიწყო, რომლის დროსაც ბაბა საუბრების ციკლს ატარებს ინდოეთის კულტურისა და სულიერების შესახებ, და გამოცდილი მასწავლებლები, ფილოსოფოსები და ღვთისმეტყველები ლექციებს უკითხავენ სტუდენტებსა და მასწავლებლებს. ამ წიგნში შესულია საი ბაბას საუბრები 1979 წლის საზაფხულო სკოლაში. იგი იმ საკითხთა უდიდეს არეს მოიცავს, რომლებიც სულიერებასთან და ყოველდღიურ ცხოვრებაში მის ასახვასთანაა დაკავშირებული. მასში უბრალო და მშვენიერი ენითაა განმარტებული ბჰაგავად გიტას და ვედანტის ჭეშმარიტებები თანამედროვე მსოფლიოს აქტუალური პრობლემების შუქზე. მის სარჩულს კრიშნასი და არჯუნას უკვდავი დიალოგი შეადგენს, იგი სავსეა უნიკალური მაგალითებითა და პატარა ამბებით. „ის, რაც თქვენ იცით, ძალბან მცირეა, - ამბობს ბაბა. – ის კი, რაც არ იცით, უსაზღვროა. ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია. ამიტომ იმის ნაცვლად, რომ ცდილობდეთ ყველაფრის გაგებას ყველაფრის შესახებ, უმჯობესია გაიგოთ ის რაღაც, რომლის ცოდნაც ყოველივე დანარჩენის ცოდნასთან მიგიყვანთ“. „მაცოცხლებელი წვიმები“ სიბრძნის, სინათლის და სიყვარულის ნაკადია, რომელიც უხვად გადმოდინდება ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებზე, რომლებიც სულიერი გამოღვიძებისკენ ისწრაფიან.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი 1
სტუდენტობის ვალი 7
თავი 2
უანგარო მოღვაწეობა 10
თავი 3
ღმერთის დესპანი-ქალი 18
თავი4
„დჰარმაქშეტრას კურუქშეტრას...“ 22
თავი 5
სულიერება და საზოგადოება 29
თავი 6
სტიტჰაპრაჯნას (გონების წონასწორობის მფლობელის)
თვისებები 35
თავი 7
მე შენი ვარ 41
თავი 8
ღვთის სიტყვა 47
თავი 9
შინაგანი დიალოგი 51
თავი 10
რელიგია: სულიერი გაერთიანება 57
თავი 11
ჯნიანა-იაჯნა (ცოდნის მსხვრპლად შეწირვა) 63
თავი 12
„შრადჰავან ლაბჰატე ჯნიანამ“
(მხოლოდ შეუპოვრობით მოიპოვება სიბრძნე) 69
თავი 13
კარმა-იოგა (მოქმედების იოგა) 75
თავი 14
ბუდჰი-იოგა (გონიერი ნების იოგა) 79
თავი 15
დჰიანა-იოგა (მედიტაციის იოგა) 84
თავი 16
„ანორანეიიამ მაჰატო მაჰეიიან“ (მცირედზე უფრო
მცირე და უდიდესზე უფრო დიდი) 90
თავი 17
სატვური საკვები 95
თავი 18
ცნობიერების ოთხი მდგომარეობა 103

თავი 19
შარანაგატი-ტატვა (თვითგანდგომის არსი) 109
თავი 20
მედიტაციის პრაქტიკა 114
თავი 21
გონების კონტროლი 119
თავი 22
აკშარა ბრაჰმანი (ურყევი ღმერთი) 123
თავი 23
აუმ ღმერთის სახელია 128
თავი 24
არაწარმავალი ღირებულების ფილოსოფია 131
თავი 25
სიკვდილის მოგზაურობა 137
თავი 26
მეფური ცოდნა 142
თავი 27
პრაკრიტის ბუნება 148
თავი 28
ანანია-ბჰაქთი (მტკიცე ერთგულება) 152
თავი 29
მუშაობა, თაყვანისცემა და სიბრძნე 158
თავი 30
ვიბჰუტი-იოგა და პრაქტიკული ცხოვრება 164
თავი 31
„სატიამ ვადა, დჰარმამ ჩარა“ (სიმართლე ილაპარაკე, სამართლიანად მოიქეცი) 172

გლოსარიუმი 179

თავი 1

სტუდენტობის ვალი

დასავლეთის განათლების გავლენამ ჩვენს ქვეყანაში სანსკრიტული ენის შესწავლის მიმართ ინტერესის დაცემა გამოიწვია; დასავლეთის განათლება ჩვენს მოქალაქეებს ოჯახურ ბედნიერებას უკარგავს და ჩვენს კულტურაში ოდითგან ჩადებულ *არიია-დჰარმის*[1] კეთილშობილ პრინციპებს გამოხრავს. ჩვენი თანამემამულენი აღფრთოვანებულნი არიან უცხო ქვეყნების მოდითა და ქცევის მანერით; მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც კი სამარცხვინოდ თვლიან. საყოველთაოდ მიღებული ქცევის ნორმების დაცვა სამარცხვინოდ მიაჩნიათ, მასწავლებლების და უფროსების პატივისცემა კი უმძიმეს ტვირთად ეჩვენებათ. თავის თავში დაურწმუნებლობა ყველგან გავრცელდა და ნამდვილ ეპიდემიად იქცა.
თუ ყველა ქალი ოფისებს მიაშურებს და მუშაობას დაიწყებს, სახლს ვინ მიხედავს და საოჯახო ვალდებულებებს ვინ შეასრულებს? და თუ ერთდროულად ცოლიც და ქმარიც შვებულებით სადმე წავლენ, სახლის საქმეებს ვინ მიხედავს? თუ დედა სკოლაში წავა, რომ სხვის ბავშვებს ასწავლოს, მის საკუთარ ბავშვებს ვინ ასწავლის? თუ ქალი წიგნების კითხვით გაერთობა და მამაკაცივით მოიქცევა, სამზარეულოს ვინ მიხედავს? თუ ქალი სამუშაოდ გავა, ოჯახის ფინანსური პრობლემები შემცირდება, მაგრამ მრავალი სხვა სიძნელე გაჩნდება, რომელიც მის ბედნიერებაზე აისახება[2].

სიყვარულის განხორციელებანო – სტუდენტებო, მასწავლებლებო და განათლების სისტემის ხელმძღვანელებო!

ჩვენი ქვეყანა, ბჰარატა, რომელიც სულიერების სამშობლოდაა აღიარებული, დღეს ზნეობის დაცემის მოწმედ იქცა და ნელ-ნელა ხდება სავანე დემონური ტენდენციებისა, რომლებიც უზნეობას, უსამართლობას და უწესრიგობას ასაზრდოებს. კალის ამ საშინელ ეპოქაში, ამ ავადმყოფ საზოგადოებაში მისთვის დამახასიათებელი მანკიერების თარეშით, სტუდენტების ვალია ადამიანთა შორის სიყვარულისა და მართლქმედების აღორძინებას, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას შეუწყონ ხელი.

მსგავსად დედისა, გამწარებულს იმით, რომ მის შვილებს სწავლაში ან ცხოვრების სხვა სფეროებში წარმატების მიღწევა არ

---

[1] *არიია-დჰარმა* - „არიელის ვალი“: კეთილშობილი მაძიებლის ვალი.

[2] საუბრის დასაწყისში საი ბაბა ჩვეულებისამებრ მღერის ან გალობით წარმოთქვამს სიმღერას, ლექსს ან გამონათქვამს ტელუგურ ან სანსკრიტულ ენაზე. მათი თარგმანი ყოველ თავს წინ უსწრებს.

შეუძლიათ, დედა-ინდოეთიც თავისი შვილების სულიერ და ზნეობრივ სიღატაკეს გლოვობს. ამიტომ სტუდენტებს აუცილებლად მართებთ თავისი ვალი შეასრულონ, რომ დედა-ინდოეთი ამ სატანჯველიდან გამოიყვანონ. ამასთან კარგი იქნება, თუკი არ დაივიწყებენ, რომ რიგითი მოქალაქეებიც, უხუცესებიც, თანამედროვე ხელმძღვანელებიც ოდესღაც სტუდენტები იყვნენ. დღევანდელი სტუდენტები კი ხვალ თვითონ გახდებიან სრულუფლებიანი მოქალაქეები და ხელმძღვანელები.

მთავრობას არ გააჩნია ის ძალა, რომელიც საშუალებას მისცემდა ხალხი ზნეობისა და სულიერების გზით ეტარებინა. თავის მხრივ, ჩვენს მოქალაქეებს ძალაუფლება არ გააჩნიათ, რომ მთავრობაზე გავლენა მოახდინონ, როდესაც ეს აუცილებელია. და თუ ამას სულიერების თვალსაზრისით შევხედავთ, გაირკვევა, რომ მთავრობამაც და ხალხმაც უფლება დაკარგეს ერთმანეთზე ზეგავლენა მოახდინონ და ერთმანეთი გამოასწორონ. ამის მიზეზი იმაშია, რომ ადამიანებმა, რომლებიც ამჟამად ხელისუფლების სათავეში არიან, ბავშვობიდანვე ვერ მოახერხეს თავისი ცხოვრება სულიერ გზისკენ მიემართათ.

პიროვნების დიდება მის მიერ მიღწეული კულტურული დონით განისაზღვრება. მაგრამ კულტურა მხოლოდ გულმოდგინება და მუყაითობა არ არის. იგი განისაზღვრება მანკიერი აზრებისა და მიდრეკილებების ამოძირკვით, კარგი აზრებისა და თვისებების განმტკიცებით. ხვალინდელ მოქალაქეთა ცხოვრების ფორმირება დღეს ხდება და ცხოვრების იმ წესზეა დამოკიდებული, რომლითაც ისინი დღეს, სტუდენტობის დროს, ცხოვრობენ. რადგან ის ცხოვრება, რომელსაც ადამიანი როგორც მოსწავლე ეწევა, მისი, როგორც მოქალაქის, ცხოვრების საფუძველში იდება. თუ ადამიანი სტუდენტობის წლებში თავის თავში დამშვიდებისა და თვითკონტროლის გრძნობას ავითარებს, მაშინ მისი, როგორც მოქალაქის, მომავალი ცხოვრებაც მშვიდობისმოყვარეობით იქნება სავსე და იგი ცხოვრებით კმაყოფილი იქნება.

აი რა ზნეობრივ საფუძვლებს უნდა ეყრდნობოდნენ დღევანდელი სტუდენტები. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ დასავლური კულტურა და დასავლური განათლება ახალგაზრდა თაობაში დაფარულ ზნეობრივ ძალას ძირს უთხრის. დასავლური კულტურა ხომ დიდი ქალაქების კულტურაა, სადაც ადამიანთა სურვილები უსაზღვროდ მრავლდება, რასაც ტანჯვები და უბედურებები მოაქვს. ინდოეთის ოდინდელი კულტურა კი დღეს სოფელში ჭარბობს, სადაც ხალხს სურვილები ცოტა აქვს, ცხოვრებით კმაყოფილება კი - უდიდესი. ამიტომ ის

განათლება უნდა ვეძებოთ, რომელიც სიხარულსა და ცხოვრებით კმაყოფილებას მოგვცემს. და დღევანდელ სტუდენტთა ვალი იმაში მდგომარეობს, რომ ამ წმინდა და მიბაძვის ღირს ცხოვრებას ეწეოდნენ.

განათლების სფეროში, ისევე, როგორც ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სხვა სფეროში, გადაუჭრელ პრობლემებს ვაწყდებით. თანამედროვე განათლების მეთოდები ძალიან ნაკლებად უწყობს ხელს ადამიანის განწმენდას, შინაგან გამდიდრებას და სულიერ გახსნას. ამ მეთოდებმა ჩვენი საზოგადოება დაღუპვის ზღვრამდე მიიყვანა. გარდა ამისა, გვესმის განუწყვეტელი ბუტბუტი და უაზრო ტიტინი ჩვენი ინტელექტუალების და მეცნიერებისა, რომლებიც ცდილობენ ქვეყნის მართვაზე გავლენა მოახდინონ და „ბოცვერთა სამეფოს“ დონემდე დაიყვანონ იგი. თანამედროვე განათლების პროგრესმა ჩვენს საზოგადოებაში სულიერი რეგრესი შეიტანა, ეგოისტური ტენდენციებით გააჯერა იგი. სწორედ ამიტომ გვესაჭიროება დღეს სტუდენტი-პატრიოტები, რომლებსაც ნამდვილი აზრის სიფართოვე გააჩნიათ, ჩვენ გვესაჭიროება ის ადამიანები, რომლებსაც უანგარო მსახურების და თავგანწირვის უნარი აქვთ. „უბრალო ცხოვრება, ამაღლებული აზროვნება“ - აი რა უნდა გახდეს ჩვენთვის იდეალი, და არა „ცხოვრების მაღალი დონე და მიწიერი აზროვნება“, რაც, როგორც ჩანს, თანამედროვე განათლების ძირითადი მიზანი გახდა.

სწორედ ამიტომ აწყობს შრი სატია საის განათლების ცენტრი ყოველწლიურად ამ საზაფხულო კურსებს, რომ ასეთ კეთილისმყოფელ იდეებს ეზიაროთ და თქვენი ღირებულებების სისტემა გამდიდრდეს. ეს კურსები შესაძლებლობას მოგცემთ ზაფხულის თვე უფრო სასარგებლოდ გაატაროთ, დაგეხმარებათ მაღალი ცხოვრებისეული იდეალებით განიმსჭვალოთ, რომლებიც თქვენზე ცხოველმყოფელ სულიერ ზეგავლენას მოახდენს.

ადამიანის ცხოვრება შეიძლება შევადაროთ ხის ტანს, მისი ახლობლები კი – ტოტებს. ცხოვრების ხის ტოტებზე ყვავილებივით იფურჩქნება ადამიანის აზრები და გრძნობები. დროთა განმავლობაში ყვავილები იქცევა ნაყოფად – სასარგებლო თვისებებად და ზნეობრიობებად. ნაყოფში მყოფი ტკბილი წვენი ადამიანის ხასიათია. ფესვებისა და ნაყოფის გარეშე ხე მხოლოდ შეშად გამოდგება. საკუთარ თავში რწმენა თქვენი ცხოვრების ხის ფესვია, ხასიათი კი – ნაყოფი.

მე გლოცავთ და იმედი მაქვს, რომ თქვენ ყველა სანიმუშო სტუდენტები გახდებით, ლექციების ამ კურსიდან მაქსიმალურ

სარგებლობას ნახავთ, გულებს გაწმენდთ და შემდეგში შეგეძლებათ მთელი ჩვენი საზოგადოება გარდაქმნათ.

თავი 2

უანგარო მოღვაწეობა

ნუთუ შეიძლება სუფთა გული ჰქონდეს ადამიანს, რომელიც ძალაუფლებისკენ იღწვის? მხოლოდ იმ ხელმძღვანელს შეუძლია ქვეყანას უანგაროდ ემსახუროს, რომელიც თავიდანვეა თავისი ხალხის მსახური.

ღვთაებრივი *ატმანის* განხორციელებანო!

ბჰარატა ის ქვეყანაა, რომელიც *კარმის* საიდუმლოს ჩასწვდა, და ამიტომ უწოდებენ მას *კარმა-ქშეტრას* – მოქმედების მიწას. სამუშაო, რომელიც *ატმანის* გაცნობიერებით სრულდება, თვით ჩვენს ცხოვრებას იცავს. ასეთი *კარმა* გულს აფართოებს, ინდივიდუუმს გონებას უნათებს, ეგოს სპობს და ჭეშმარიტი **„მე“**-ს ნეტარებას იძლევა. *კარმის* სიწმინდე რომ გავაცნობიეროთ, გულები უნდა გავწმინდოთ. *კარმის* დინება უწყვეტია, როგორც მდინარისა. ყოველივე შექნილი, სულიერი და არასულიერი, მასშია ჩაძირული.

სიტყვა *კარმა* ძალიან პატარად მოჩანს, მაგრამ მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია. შეუძლებელია *კარმას* განსაზღვრა მიეცეს. მას არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული. მსგავსად ცხოვრებისა, *კარმასაც* არა აქვს დასაწყისი. *კარმის* ბუნება საიდუმლოებითაა მოცული, და მის აზრში ჩასაწვდომად ინდივიდუუმმა უკიდურესი გულწრფელობა და შეუპოვრობა უნდა გამოავლინოს.

ყოველდღიურ ლაპარაკში სიტყვა *კარმა* ესმით როგორც რაიმე მოქმედებების შესრულება. მაგრამ ეს არ არის სწორი. მაგალითად, კითხვაზე, რომელიმე ადამიანი რას აკეთებს, შეიძლება მივიღოთ პასუხი, რომ იგი „წერს“. ამ შემთხვევაში წერის პროცესი განიხილება როგორც *კარმა*. თუ იგივე კითხვას კიდევ სხვა ვინმეს მიმართ დავსვამთ, პასუხად შეიძლება გავიგოთ, რომ ეს ვინმე „არაფერს აკეთებს, უბრალოდ უყურებს“. მაგრამ „ყურება“ ნიშნავს იგივე მოქმედების შესრულებას, როგორც წერის დროს. ძილის პროცესიც და აზროვნების პროცესიც *კარმას* მიეკუთვნება. და მანამადე, სანამ ადამიანში ცხოვრების სუნთქვა არსებობს, მას არ შეუძლია *კარმას* განუდგეს. პრაქტიკულად თვით ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის პროცესი *კარმას* წარმოადგენს. ამ *კარმის* შესასრულებლად რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევა არ არის საჭირო. ასევეა სხვა

ყოველდღიური საქმეების მიმართაც: ამ საქმეებს ჩვენ დილიდან საღამომდე ვაკეთებთ და ამისათვის დიდ ძალებს არ ვხარჯავთ.

ეს საქმეები ერთობლიობაში ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს, და არ შეიძლება ისინი სულიერ პრაქტიკას მივაწეროთ. ამის ნაცვლად იმით უნდა დავკავდეთ, რაც ცნობილია როგორც *ნიშკამა-კარმა* – საკუთარი ვალის უანგაროდ შესრულება. დაბეჩავებულთა, შრომისუუნაროთა და ავადმყოფთა დახმარებაც ჩვენს ყოველდღიურ ვალდებულებებში შედის, და ეს დახმარებაც არ უნდა მივაწეროთ *ნიშკამა-კარმას,* ანუ იმ მოღვაწეობას, რომელიც ჯილდოს მოლოდინთან არ არის დაკავშირებული. და ამის მიზეზი იმაშია, რომ წუთისოფლის მიმართ ადამიანის სიყვარული ეგოიზმისგან თავისუფალი არ არის. თუ რაიმე საქმე მოსწონს, მაშინ იგი ამ საქმეს საკუთარი კეთილდღეობისთვის და დაკმაყოფილებისთვის ასრულებს. ზუსტად ასევე, თუ ადამიანი რაიმე ნივთს განმარტოებულ ადგილას ინახავს, ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ დამალული ნივთი უყვარს, არამედ იმიტომ, რომ თავისი თავი უყვარს. ამგვარად, წუთისოფელში სიყვარულის ყველა სახე საკუთარი თავის სიყვარულიდანაა შობილი, და არა სხვების მიმართ სიყვარულიდან. ამიტომ მოძრაობა „*სევა-დალ*“-ის (უანგარო მსახურების) მონაწილეთა უპირველესი ვალია უარი თქვან ფიქრზე მსახურების საქმის საკუთარი კეთიდღეობისთვის გამოყენების შესახებ. ჭეშმარიტ და თავდადებულ მსახურებად შეიძლება მხოლოდ ის მსახურება ჩაითვალოს, რომელიც სხვათა საკეთილდღეოდ სრულდება.

ადამიანური არსება შეიძლება დავახასიათოთ როგორც აზრებისა და იდეების ერთობლიობა. ყოველი აზრი, ყველაზე უმნიშვნელოც კი, მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. მისი გრძნობების ხარისხი მის მომავალს განსაზღვრავს. ამიტომ ადამიანმა გულში წმინდა იდეები უნდა დაამყაროს. თუ მხოლოდ სუფთა აზრებს ვატარებთ, მაშინ გულში უანგარო მსახურების სულისკვეთება განმტკიცდება. *ნიშკამა-კარმა* ადამიანში ცხოველურ საწყისს სპობს და მას ღვთაებრიობას ჩუქნის. უანგარო მსახურება უფრო ამაღლებული საშუალებაა სულიერი ზრდისათვის, ვიდრე ყველა სხვა მეთოდი, ისეთები, როგორიცაა მედიტაცია, სულიერი გალობები (*ბჰაჯანები*) ან *იოგა.* და ეს იმიტომ ხდება, რომ, როდესაც მედიტაციით, სახელის გამეორების პროცესით (*ჯაპათი*) ან *იოგათი* ვართ დაკავებულნი, ამას ჩვენდა სასიკეთოდ ვაკეთებთ, და არა სხვათა სასიკეთოდ. ასეთი მოქმედებები ჩვენი სურვილების მოთვინიერებისა და პირადი ბედნიერებისკენაა

მიმართული. რაიმე საკუთარი გამორჩენის სურვილზე უარი უნდა ვთქვათ და სხვების კეთილდღეობის თანამონაწილენი გავხდეთ.

ნიშკამა-კარმა, ანუ თავდადებული მსახურება, უანგარო სიყვარულის სურნელოვანი ყვავილია. *ნიშკამა-კარმა* იმისათვის არ უნდა სრულდებოდეს, რომ საკუთარ თავს სიამოვნება მივანიჭოთ ან იმ პიროვნების გული მოვიგოთ, ვისი მითითებითაც სრულდება იგი. *ნიშკამა-კარმა* უნდა განვიხილოთ როგორც მიზანი, რომლის გულისთვისაც ადამიანს სიცოცხლე მიეცა. დაე ამ გრძნობამ თქვენს ყოველ ნერვში, სისხლში შეაღწიოს და თქვენი სხეულის ყოველი უჯრედი შეავსოს. რა საქმითაც არ უნდა ვიყოთ დაკავებულნი, იგი უნდა ვასრულოთ როგორც ძღვენი ღმერთისთვის და მისი დაკმაყოფილებისთვის. სატია საის „*სევა-დალ*“-ის მოძრაობის მონაწილეები თავს ვალდებულად არ უნდა თვლიდნენ მსახურება მხოლოდ იმიტომ ასრულონ, რომ წესები და მითითებები ამას მოითხოვენ. მსახურების საქმე უნდა ვაწარმოოთ ჩვენი გულების გაწმენდის მიზნით, და არა იმიტომ, რომ მითითებებით ვართ შებოჭილნი.

მოძრაობა „*სევა-დალ*“-ის ემბლემაზე გამოსახულია წარწერა: „ვალი ღმერთია“. ადამიანი სიტყვა „ვალს“ ძალიან ხშირად და სხვადასხვა სიტუაციაში ხმარობს, მაგრამ ამასთან მის ღრმა მნიშვნელობას არ აცნობიერებს. სიტყვა „ვალს“ საერთოდ მნიშვნელობა არ ექნებოდა, ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ინდივიდუმი რომ არსებულიყო. სიტყვა „ვალი“ აზრს მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც სოციუმი, ანუ საზოგადოება არსებობს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ორი ადამიანი მაინც. აქ უნდა გავაცნობიეროთ ორი ფაქტორი, რომლებიც „ვალის“ გაგებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული: ისინი შეიძლება განისაზღვროს როგორც „პიროვნების თავისუფლება“ და „ძირითადი უფლება“. პიროვნების თავისუფლება ნიშნავს თავისუფლებას, რომელსაც ცალკეული პიროვნება ფლობს, მაშინ, როცა ძირითადი უფლება ეხება პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოებასთან. და ადამიანმა ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს იმისათვის, რომ ეს ორი ფაქტორი – პიროვნების თავისუფლება და ძირითადი უფლება – სათანადო წონასწორობაში იყოს.

მთელი თქვენი ცხოვრება საზოგადოებაში, სხვა ადამიანთა გარემოცვაში გადის. თავისთავად თქვენ დამოუკიდებლები არ ხართ. არ შეიძლება სრულ მარტოობაში ცხოვრება რაიმე კავშირის გარეშე საზოგადოებასთან, ნათესავებთან და სხვა ადამიანებთან. აბსოლუტურ

იზოლაციაში ცხოვრება შეუძლებელია, ამიტომ ჩვენი ცხოვრება სხვა ადამიანებთან ურთიერთკავშირისაგან შედგება. სწორედ ამ მიზეზის გამო მოძრაობა „*სევა-დალის*“ მოხალისეებს, აცნობიერებენ რა თავის ვალს საზოგადოების წინაშე, რომელსაც თავისი არსებობისთვის უნდა უმადლოდნენ, უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანს ცხოვრება საკუთარი აყვავებისთვის კი არ მიეცა, არამედ მთელი საზოგადოების კეთილდღეობისთვის.

სიტყვა „ვალს“ მნიშვნელობათა სხვა სპექტრიც აქვს. ჩვენ მხოლოდ იმ თავისუფლებისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ, რომელიც სხვების თავისუფლებას არ ბღალავს. მაგრამ თუ მოგინდებათ თქვენი თავისუფლება ეგოისტურად განამტკიცოთ და თუ სხვა ადამიანთა თავისუფლებას ფეხქვეშ გათელავთ, დარწმუნებულნი იყავით: საზოგადოება გაგკიცხავთ. თქვენს ახლობელს თავისუფლების იგივე საზომი გააჩნია, რის უფლებასაც თქვენს თავს აძლევთ.

აი პატარა მაგალითი, რომელიც ამის ილუსტრაციას ახდენს. როდესაც ცდილობთ საკუთარი თავისუფლებით სრულად დატკბეთ, შეგიძლიათ გზაზე მხიარულად ისეირნოთ და ამასთან დიდი ხელჯოხი აქეთ-იქით აქნიოთ. მაგრამ შემხვედრ ადამიანს ნება აქვს თქვენს ხელჯოხს ისევე მოარიდოს თავი, როგორც თქვენ გაქვთ ხელჯოხის ხმარების ნება. თუ გრძნობთ, რომ სხვების თავისუფლებას ბღალავთ, მზად იყავით საზოგადოების ან ხელისუფლების მხრიდან გაკიცხვისათვის. მაშ ასე, სიტყვა „ვალში“ შემდეგი უნდა გვესმოდეს: პრივილეგიებს და უფლებებს, რომლებსაც საკუთარი თავისუფლებისათვის ვიყენებთ, ისინიც მოითხოვენ, ვინც ჩვენს გარშემო იმყოფებიან. თავისუფალი გადაადგილების უფლება ნებას არ დაგრთავთ დასახლებულ პუნქტშიც ისევე იხეტიალოთ, როგორც ტყეში. ასპროცენტიანი თავისუფლება არ შეიძლება პრეროგატივა იყოს ადამიანისა, რომელიც საზოგადოებასთანაა დაკავშირებული, იქნება ეს პრემიერ-მინისტრი თუ თვით პრეზიდენტი.

ძლიერი სახელმწიფოს მონარქსაც კი არ შეუძლია თავის ყველა ახირებას გზა გაუხსნას. ის, რომ იგი მეფეა, უფლებას არ აძლევს მას როგორც სურს, ისე მოიქცეს. მეფეებსაც კი აქვთ გარკვეული ქცევის წესები და დისციპლინა, რომლებიც მათ უნდა დაიცვან. მცირე სამთავროს მმართველის მსგავსად, რომელიც ვალის შესრულების დროს გარკვეული წესებით ხელმძღვანელობს, თვით სამყაროს უზენაესი მმართველიც, ყოვლისშემძლე, სამყაროს მართვის საქმეში გარკვეულ წესებს იცავს. და გულუბრყვილობა იქნებოდა იმის

მტკიცება, რომ ღმერთი ყველაფერს თვითონ გააკეთებს უბრალოდ იმიტომ, რომ იგი ყოვლისშემძლეა.

აი ამის ილუსტრაცია. ორი ადამიანი ერთნაირად ერთგულია ღმერთისა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი წვიმას სთხოვს, რომ მოსავალი გვალვისგან იხსნას, ამავე დროს მეორე ერთგული ღმერთს შესთხოვს, რომ რამდენიმე დღე წვიმა არ იყოს, რადგან გრანდიოზული საქორწინო ცერემონია აქვს დაგეგმილი. ამრიგად, ისინი ღმერთს დილემის წინაშე აყენებენ, ორ ლოცვას შორის რომელს უპასუხოს. ახლა კი კითხვა დავსვათ: მიაღწია თუ არა ამ ორმა ლოცვამ ღმერთამდე? ამქვეყნიური სახელმწიფოს მართვის დროსაც ხომ მმართველი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში საქმის წარმოებისთვის რიგ მინისტრებს აკისრებს პასუხისმგებლობას, რომლებსაც შესაბამისი უფლებამოსილება აქვთ. ამქვეყნიური საქმეები უშუალოდ მმართველთან არ ხვდება, მანამადე ამ საქმეებს მისი მინისტრები განიხილავენ. ამავე სახით ყოვლისშემძლე ღმერთიც სამყაროს მართვის საქმეში კონკრეტულ ვალდებულებებს კონკრეტულ ღმერთებს აკისრებს, ისეთებს, როგორიცაა ინდრა, ვარუნა და რუდრა. ადამიანის ყველა ლოცვა არ აღწევს ყოვლისშემძლე ღმერთამდე, მრავალი მათგანი მის „მინიტრებთან“ ხვდება – ინდრასთან, ვარუნასთან და სხვებთან. თვით ღმერთამდე კი მხოლოდ ის ლოცვები აღწევს, რომელთა წყაროსაც წარმოადგენს უანგარო მოღვაწეობის (*ნიშკამა-კარმის*) სულისკვეთება, უსაზღვრო და წმინდა სიყვარულის სულისკვეთება და უმწიკვლო გული. სხვა სახის ლოცვები კი ღმერთამდე ვერ აღწევს. ამიტომ მხოლოდ სამი შუამავლის – უანგარო მოღვაწეობის (*ნიშკამა-კარმის*), უსაზღვრო სიყვარულის და უმწიკვლო გულის საშუალებით - შეგვიძლია იმედი გვქონდეს ღმერთთან უშუალო კავშირი დავამყაროთ და ჩვენს თხოვნებზე მისი ღვთაებრივი პასუხი მივიღოთ.

მაგრამ ამ სამს შორის *ნიშკამა-კარმა* განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, და ამიტომ მოძრაობა „*სევა-დალის*“ მოხალისეებმა მსახურებაში ისე უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომ ანგარებითი ინტერესებით არ ხელმძღვანელობდნენ. იწოდებოდეთ სატია საის მოხალისეებად და ეგოისტური მიზნები გქონდეთ – იგივეა რაც ღმერთის მოტყუებას ცდილობდეთ. მთელი თქვენი მოღვაწეობა უნდა სრულდებოდეს იმ სახელწოდების შესაბამისად, რომელსაც ჩვენი მოძრაობა ატარებს.

რამდენიმე წუთის წინ თქვენ მოისმინეთ, ბატონმა გოკაკმა როგორ ახსენა *მანიში* - „ადამიანი“. ეს სიტყვა, თუ მას ცოტა სხვაგვარად

წარმოვთქვამთ, შეიძლება გავიგოთ როგორც *მაჰიში*, ანუ ის რაღაც, რაც სიტყვა *მაჰეშვარადანაა* წარმოქმნილი, რაც „ყოვლისშემძლეს“ ნიშნავს. ხმის ასოციაციის მიხედვით სიტყვა *მანიში* გაგვახსენებს სიტყვა *მაჰარიშს* - „დიად ბრძენს“. როდესაც *მანიში*, ანუ ჩვეულებრივი ადამიანი, უანგარო მოღვაწეობის (*ნიშკამა-კარმის*) მონაწილე ხდება, იგი *მაჰარიშად*, ანუ წმინდანად იქცევა. გულღიად რომ ვთქვათ, სიკეთე, რომელიც მსახურების გზით შეიძინება, მკაცრი ასკეზებითაც კი არ შეიძლება შეძენილ იქნეს. მსახურებაში ადამიანები უფრო მეტად ახლოვდებიან, მასში მეგობრობა და სიყვარული იბადება. თავის ამხანაგებთან მეგობრობისა და სიყვარულის გარეშე ადამიანი ვერ შეძლებს უფალთან მეგობრულ სიახლოვეს – *სნეჰამს*, მასზე მაღლა კი ღმერთის ერთგულების ცხრა ფორმას შორის დგას მხოლოდ *ატმანივედანამ* – უზენაესს თავის სრული მიბარება.

ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ძმებივით ცხოვრობთ და „ადამიანთა ძმობისა და ღმერთის მამობის“ საქებ იდეალს ქადაგებთ. თუმცა არსებობს უფრო მაღალი იდეალი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეთ. ხშირად ერთმანეთთან მოჩხუბარ ძმებს ვხედავთ, რომელთა შორისაც ცივი ურთიერთობები დამყარდა.

ეკამ სატ ვიპრაჰ ბაჰუდა ვადანტი
(ერთი და იგივე ჭეშმარიტების შესახებ ბრძენები
სხვადასხვაგვარად ლაპარაკობენ).
ეკოჰამ ბაჰუსიამ (მე ერთი ვარ, დაე მრავალი გავხდე).
ეკამ ევა ადვიტიამ ბრაჰმა
(*ბრაჰმანი* მხოლოდ ერთია, მეორის გარეშე).
იშვარა სარვა ბჰუტანამ
(ღმერთი ყველა არსებაშია).
იშავასიამ იდამ სარვამ
(უფალი თავისი თავით მთელ სამყაროს მოიცავს).

ამ გამოთქმების ღრმა აზრი, რომლებიც წმინდა უპანიშადებიდანაა ამოღებული, შემდეგია: ცოცხალ არსებათა მოჩვენებითი ფიზიკური მრავალფეროვნების უკან დაფარულია ერთიანი და ფუძემდებლური ჭეშმარიტება – *ატმანი*, რომელიც ყველა არსებაში იმყოფება. ამრიგად, ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ამ ღრმა ჭეშმარიტებას მუდამ ვაცნობიერებდეთ. სიხარულს ნუ განიცდით, როდესაც სხვებს აწყენინებთ ან შეურაცხყოფას აყენებთ, რადგან ამ დროს სხვებს კი არა, თქვენს თავს ავნებთ. ამავე სახით ნებისმიერი სიკეთე, რომელიც

თქვენი კარგი საქმეებიდან მოდის, ბოლო ჯამში თქვენ გრჩებათ, და არა სხვებს.

ადამიანის ნამოქმედარი რომ მასვე უბრუნდება, ამის ილუსტრირება შემდეგი მაგალითით შეიძლება. ერთ სახლში სამი ფინჯანი ყავა მოამზადეს. ერთი ფინჯანი ყავა ქმარმა დალია, მეორე – ცოლმა. და სანამ ისინი კამათობდნენ, მესამე ფინჯანი ყავისთვის რა ექნათ – თანაბრად გაეყოთ თუ რომელიმე ერთს დაელია, მათთან სახლში მეგობარი შევიდა, და ყავა სასწრაფოდ მისთვის იქნა შეთავაზებული. ქმარი მოხარული იყო მარტო იმიტომ კი არა, რომ ცოლთან ჩხუბი აიცილა, არამედ იმიტომაც, რომ მეგობარს ყავა შესთავაზა და სიხარული მოჰგვარა. სამი თვის შემდეგ იგი მეგობარს ეწვია. და მეგობარმაც ასევე ღირსეულად მიიღო იგი და ყავაც შესთავაზა. ასე უპასუხა მისთვის წინათ გამოჩენილ სტუმართმოყვრობას. სამი თვის უკან მისთვის ყავა რომ არ შეეთავაზებინათ, ახლა იგი ასე გულთბილად არ უპასუხებდა. მაშ ასე, ჩვენ ვხედავთ, რომ სახლის პატრონმა სამი თვის შემდეგ თავისი ფინჯანი ყავა მიიღო. ამავე სახით, ვიცით ჩვენ ეს თუ არა, ყოველთვის ამა თუ იმ ფორმით ჩვენი მოქმედებებისთვის საფასურს ვიღებთ, და გვიხდიან იმავე მონეტით.

ბჰაგავად გიტამ „სრულყოფილებისკენ მიმავალ მეფურ გზად“ იმ მოქმედების გზა გამოაცხადა, რომელიც ჯილდოს მიღების სურვილის გარეშე სრულდება. გიტა ადამიანს მოუწოდებს, რომ მოქმედებების შედეგებზე კი არ ზრუნავდეს, არამედ უბრალოდ თავისი ვალდებულებები განდგომის სულისკვეთებით ასრულოს და შედეგები ღმერთს მიანდოს. უფალი ადამიანს რაიმე კონკრეტულ მოღვაწეობას არ აიძულებს. იგი მხოლოდ ადამიანთა მიერ შესრულებული მოქმედებების შედეგებს ანაწილებს. იგი ადამიანის შრომის ნაყოფს იმ ძალისხმევის ზუსტი შესაბამისობით გადასცემს, რომელიც მან გამოიჩინა. თუ კარგი არაფერი შეგისრულებიათ და ღმერთს პირადი სარგებლობის შესახებ ევედრებით, თქვენს პრეტენზიებს იგი მხოლოდ მოისმენს, მაგრამ კურთხევით არ დაგაჯილდოებთ. ამისი ნათელი ილუსტრაციაა ამბავი მაჰაბჰარატადან.

ერთხელ სანკრანტის დღესასწაულის დროს მწყემსმა ქალებმა (*გოპიებმა*) ადათის სესაბამისად უფალ კრიშნას ახლადმოწეული შაქრის ლერწამი სესთავაზეს. იმის გამო, რომ იმ დროს სპეციალური მოწყობილობები არ არსებობდა, კრიშნამ, ლერწმიდან რომ წვენი გამოეწურა, დანით მისი დაჭრა დაიწყო და შემთხვევით ნეკი გაიჭრა. სისხლის დანახვაზე მისმა ცოლმა სატიაბჰამამ მისთვის

დამახასიათებელი ქედმაღლობით მწყემს ქალებს უბრძანა სახლიდან რაიმე ქსოვილი მოეტანათ, რომ კრიშნასთვის თითი შეეხვიათ. იქ მყოფმა დრაუპადიმ კრიშნას მიმართ თანაგრძნობითა და სიყვარულით თავის სარის უმალ მოახია ნაჭერი და უფალს თითი შეუხვია.

გავიდა წლები, და ერთხელ დუშასანამ, ასი ძმა-კაურავებიდან ერთ-ერთმა, დრაუპადი ტყვედ აიყვანა და კაურავების კარზე მიიყვანა, რომ სახალხოდ დაემცირებინა[3]. დრაუპადიმ კი უფალ კრიშნას ლოცვით მიმართა, რომ თავისი ღვთაებრივი ძალით დახმარებოდა და მისი პატივი დაეცვა. კრიშნამ რამდენიმე წამი იფიქრა, ამ ქალმა წარსულში შეასრულა თუ არა ისეთი მოქმედებები, რომლის გამოც ახლა ასეთ დახმარებას იმსახურებდა. ადამიანს ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ღმერთის დახმარების იმედი ჰქონდეს, თუ წინათ ვინმეს შესთავაზა დახმარება. გარდა ამისა, ადამიანის მიერ წარსულში შესრულებული ნებისმიერი კარგი მოქმედება სულაც არ იქცევა ღმერთის დახმარებად რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში. ღვთაებრივის მხრიდან მოსალოდნელ დახმარებას და იმ მოქმედებას შორის, რომელიც ადამიანმა წარსულში შეასრულა, ახლო შეასაბამისობა უნდა იყოს. თვალის მალამო თავის ტკივილის დროს ადამიანს ვერ უშველის! კრიშნამ გაიხსენა, რომ სარის ის ნაჭერი, მაშინ გაჭრილი თითი რომ შეუხვია, დრაუპადის უფლებას აძლევს კრიშნასგან მსგავსი ჯილდო მიიღოს. და მან დრაუპადის უსასრულოდ გრძელი სარი გაუგზავნა, და ეს იმავე ნეკით გააკეთა, რომელიც ოდესღაც დრაუპადიმ შეუხვია. ჩვენ მხოლოდ ის მოქმედებები უნდა გვაღელვებდეს, რომლებსაც ვასრულებთ (*კარმანევა ადჰიკარაშტე*). უფალი კი მათს შედეგებს გამოგვიგზავნის, როცა ამის საჭიროება იქნება.

ცოტა ხნის წინ ბატონმა გოკაკმა შენიშნა, რომ სვამი მოძრაობა „*სევა-დალის*“ უდიდეს მოხალისეს და უდიდეს ხელმძღვანელს წარმოადგენს. და სვამის, თქვენს ხელმძღვანელს უნდა გაჰყვეთ. ის ხომ დილიდან საღამომდე პირადად ასრულებს ყველაფერს, ყველაზე წვრილმან საქმეებსაც კი, და მთელი მისი მუშაობა მსოფლიოს კეთილდღეობისკენაა მიმართული. ამასთან დაკავშირებით ხშირად ვიმეორებ: „ჩემი ცხოვრება ჩემი გზავნილია“. ღმერთი და ღმერთის ხმა ერთი და იგივეა. მაშ აკეთეთ ის, რასაც სვამი აკეთებს, აკეთეთ ის, რასაც ის გიბრძანებთ, და ეს იქნება ის სამუშაო, რომელიც სვამის კმაყოფილებას მოუტანს. ყველაზე მეტად სვამის ის სამუშაო ახარებს,

[3] ვერაგი დუშასანა ცდილობდა დრაუპადისთვის სარი შემოეგლიჯა.

რომელსაც საკუთარ თავზე ფიქრის გარეშე ასრულებთ, როდესაც დიდების ან ძალაუფლების სურვილი არ გიპყრობთ.

(სიტყვა წარმოთქმულ იქნა ცენტრალური სასწავლო ბანაკის საზეიმო გახსნის დროს. ეს ბანაკი ორგანიზებულ იქნა სრულიად ინდოეთის შრი სატია საის მოძრაობა „*სევა-დალის*“ საოლქო ხელმძღვანელებისთვის. სიტყვა წარმოთქმულ იქნა ყრილობის დელეგატებისა და შრი სატია საის ყოველწლიური საზაფხულო კურსების მონაწილეებისთვის; ეს კურსები ინდოეთის კულტურას და სულიერებას მიეძღვნა.)

თავი 3

ღმერთის დესპანი

გიტა უფლის დესპანია,
გიტა სამყაროს დედაა,
გიტა საშუალებაა, რომლის დახმარებითაც ადამიანს
უნარი აქვს ცხოვრების ოკეანე გადალახოს,
გიტა იმათი თანადგომაა, ვინც სულიერებას ეძებს.

სიყვარულის განხორციელაბანო!

ბჰაგავად გიტა ეხება როგორც უხეშ მატერიალურ სამყაროს, ასევე უმაღლესი სულის ფაქიზ სამყაროს; როგორც ადამიანთა საზოგადოებას, ასევე ადამიანის გონებას. გიტა ერთიანი, სრულყოფილი და უნივერსალური ადამიანის გონების სარკეა. ადამიანი იგი გონებრივი სიყვარულიდან სულიერ სიყვარულამდე აჰყავს და უმაღლესი სულისკენ, *პარამატმანისკენ* გზას უნათებს მას. გიტა ადამიანის ღმერთისთვის თავის სრული მიბარების საიდუმლოს ხსნის. იგი ადამიანის ყოველმხრივი და უნივერსალური გარდაქმნის საქმეს ეხმარება. მასში სულიერი ჭეშმარიტებების ის არსია ასახული, რომელიც კრიშნამ გამოაცხადა.

სკულპტურა რომ ღირსეულად შეაფასოს, ადამიანს ესთეტიკური გრძნობა უნდა გააჩნდეს, გარდა ამისა, გამოქანდაკების ტექნიკის საფუძვლებზე წარმოდგენაც უნდა ჰქონდეს. თქვენს განკარგულებაში შეიძლება აღმოჩნდეს ქვაც, საჭრისიც, და ჩაქუჩიც, მაგრამ, თუ მხატვრული ალღო და აუცილებელი ტექნიკური გამოცდილება არა გაქვთ, სკულპტურას ვერ გამოკვეთთ. ამის მსგავსად, იმისათვის, რომ სამყაროებრივ რეალობას ჩასწვდეთ, აუცილებელია ყოველმხრივი და სრული კოსმოსური ცნობიერება გქონდეთ.

ბჰაგავად გიტა ქმნილების საიდუმლოს და ღვთაებრიობის არსს მოგვითხრობს. იგი სულიერი ცოდნის ყოველგვარ თეორიას და პრაქტიკას ხსნის, ეს ცოდნა კი ადამიანის საკუთარ გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავიგოთ გიტას ჭეშმარიტი აზრი და ადამიანთა ბედზე გიტას გავლენა.

მზე სინათლის წყაროა დედამიწაზე, მის გარეშე მსოფლიო წყვდიადით იქნებოდა მოცული. ასევე უფალი კრიშნაც ჩვენთვის ინტელექტუალური სინათლისა და სულიერი ნათების წყაროს წარმოადგენს. ეჭვგარეშეა, რომ ღვთაებრივი წყალობის გარეშე *სატ-ჩიტ-ანანდას* (ჭეშმარიტი ყოფიერების, ცნობიერების, ნეტარების) სუფთა ნათებას ვერ აღვიქვამთ. სულიერი ნეტარების მისაღწევად მხოლოდ ადამიანის ძალისხმევა საკმარისი არ არის. გიტას ღვთაებრივი ხარება ადამიანს უნარს აძლევს მატერიალური სამყაროს ყველა დაბრკოლება გადალახოს და ღვთაებრივ ძალას და სულიერ ენერგიას დაეუფლოს. ყველა ქმნილებაზე თანაბარი ძალით ვრცელდება *სატ-ჩიტ-ანანდას* ზეციური ნათება. მაგრამ *სატ-ჩიტ-ანანდას* აღქმისკენ ადამიანები სხვადასხვა გზით მიდიან. *სატ-ჩიტ-ანანდას* გარე სამყაროში ვერ იპოვით. ადამიანი კი გარე სამყაროს გრძნობითი შთაბეჭდილებებით იმდენადაა შევსილი, რომ თავის ღვთაებრიობას და ღვთაებასთან თავდაპირველ ერთიანობას ვეღარ აცნობიერებს.

ადამიანები კოსმოსური ჭეშმარიტება-ცნობიერება-ნეტარების ზღვაში იმყოფებიან, მაგრამ ამას ვერ აცნობიერებენ. *სატ-ჩიტ-ანანდა* ყველგანაა: ჩვენ შიგნითაც, გარეთაც, მაგრამ იგი ყოველთვის ხელიდან გვისხლტება და გვაჯავრებს. ჩვენ იმ ადამიანებს ვგავართ, რომლებიც ფონს გადიან, მაგრამ ამასთან წყურვილის მოკვლის უნარი არა აქვთ. ღვთაებრიობა გარე სამყაროში არ უნდა ეძებოთ. უნდა გავაცნობიეროთ, რომ იგი ჩვენ შიგნით იმყოფება. *სატ-ჩიტ-ანანდას* ღვთაებრივ ნათებას ადამიანის გონების დამახინჯებული ბუნება ფარავს.

მზე, აი რა არის ჭეშმარიტად მიუკერძოებელი. მის სხივებში მთელი სამყარო ბანაობს. მზე თანაბრად აფენს სინათლეს საგნებზე, ადამიანებზე, ცხოველებზე, ფრინველებზე და მცენარეებზე. მაგრამ, როდესაც მთებსა და ველებს ვუყურებთ, მათზე მზის არეკვლას ვერ ვხედავთ. მხოლოდ სუფთა სარკეს შეუძლია მზის სხივები აირეკლოს. მზის გამოსახულების დანახვა მაშინ შეიძლება, როცა სუფთა წყლის წყნარ ზედაპირზე მისი სხივები ისახება. ასეთივე სახით უმაღლესი სულის, *პარამატმანის* წმინდა ხედვა ეხსნება მხოლოდ აუღელვებელ, მშვიდ გონებას, სადაც ფიქრთა ყველა მღელვარება მიწყნარდა.

პარამატმანის თვალისმომჭრელ სადიადეს მხოლოდ სუფთა და წმინდა გული ასახავს.

ადამიანი, რომლის გონებაც მერყევია, ბუნების ღვთაებრიობას ვერასოდეს გააცნობიერებს. სამყაროში ყველა ქმნილება ღვთაებრიობის გამჟღავნებას წარმოადგენს. გიტას მე-10 თავში, „ვიბჰუტი იოგაში“ (ძალის გამოვლინების *იოგა*), კრიშნამ არჯუნას ქმნილების ღვთაებრიობა თვალსაჩინოდ წარუდგინა.

„პანდავებს შორის დჰანანჯაია[4] ვარ; მთებს შორის ჰიმალაები ვარ; მდინარეთა შორის განგა ვარ; ცხოველთა შორის ლომი ვარ, ძროხებს შორის – კამადენუ, გველებს შორის – კობრა“. ქმნილების იერარქიაში *პარამატმანი* ყველა თვისების და ყველა სრულყოფილების არსი და წყაროა. *პარამატმანი* ერთდროულად იმანენტურიცაა და ტრანსცენდენტურიც.

ღმერთი თავის თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში ამჟღავნებს, თუ ადამიანში აზრთა სისუფთავე და ღმერთის მტკიცე ერთგულება თანაარსებობენ. იმ შორეულ დროში მრავალი ღირსეული სული ცხოვრობდა. ცხოვრობდა დჰარმარაჯა[5] – მართლქმედების (*დჰარმის*) და ყველა სხვა ზნეობრიობის განსახიერება. ცხოვრობდა ბჰიშმა – სახელოვანი მეომარი, რომელიც ცნობილი იყო აგრეთვე როგორც ყოვლისმცოდნე სწავლული. ცხოვრობდა ბჰიმა – ფიზიკური ძალის თვით განსახიერება, მძლავრი კომბლის მფლობელი. მაშ რატომ არ აღმოჩნდნენ ღირსნი ბჰიშმა, დჰარმარაჯა და ბჰიმა კრიშნას უშუალო მოსწავლეები გამხდარიყვნენ? რა განსაკუთრებული ღირსებები გააჩნდა არჯუნას, დანარჩენებს რომ არ ჰქონდათ? თანამედროვე ახალგაზრდებმა უნდა იფიქრონ კრიშნას ასეთ არჩევანზე, რამაც სხვებში ერთგვარი შურიც კი გამოიწვია. თქვენ უნდა გააცნობიეროთ სიდიადე და სიწმინდე ღვთაებრივი ძალისა, რომელიც სამყაროს მართავს. ნუთუ უფლის განსაკუთრებული წყალობა არ დაიმსახურა დჰარმარაჯამ, რომელიც *დჰარმის* გზიდან არასოდეს გადასულა ყველაზე რთულ გარემოებებშიც კი? არჯუნამ იცოდა, რომ ზნეობრიობის მხრივ თავის ძმას, დჰარმარაჯას, ჩამორჩება და ისურვა გაეგო, რით აღემატება იგი სხვებს. ამის შესახებ მან ჰკითხა კრიშნას, თავის წინამძღვარს, დამრიგებელს, *გურუს* და მეგობარს.

ამაზე კრიშნამ არჯუნას ამომწურავი პასუხი გასცა: „ბჰიშმამ იცის, რომ სიმართლე პანდავების მხარეზეა, და სახალხოდაც კი გამოთქვა ამის შესახებ. და ამასთან იგი კაურავების ჯარს მეთაურობს. ეს

[4] დჰანანჯაია - „სიმდიდრის მომპოვებელი“; არჯუნას ეპითეტი.
[5] დჰარმარაჯა - „მართლქმედითი *რაჯა*“, „მართლქმედების მეფე“; იუდჰიშთჰირას ეპითეტი.

ნიშნავს, რომ მისი ქცევები მის აზრებს და სიტყვებს არ შეესაბამება. აზრის, სიტყვის და საქმის თანხმობა კი უდიდესი ზნეობრიობაა, მაშინ როდესაც მისი არქონა პირმოთნეობას და უზნეობას წარმოადგენს.

დჰარმარაჯას ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე ახასიათებს: იგი უფრო ხშირად უკვე ჩადენილ მორიგ მცდარ მოქმედებას ინანიებს, ვიდრე მისი შესრულების წინ ფიქრდება. და მიუხედავად იმისა, რომ მას კეთილშობილი სული აქვს, მაინც აკლია წინდახედულობა და წინა შეცდომების გამო სინდისის ქენჯნა სტანჯავს. ბჰიმას კი, რომელიც დიდი ფიზიკური ძალითაა აღჭურვილი და მძლავრ კომბალს დიდებულად ხმარობს, საუბედუროდ, საკმაო ინტელექტუალური ძალა არ გააჩნია, ეს კი სხვა ძალებს შორის უდიდესი ძალაა. ადამიანს, რომელსაც გარჩევის უნარი არა აქვს განვითარებული, არ შეუძლია ეს დიადი სწავლება აღიქვას“.

აქ ჩვენ ისეთ გაგებებზე უნდა შევჩერდეთ, როგორიცაა *პურვატაპა* და *პასჩატაპა*. *პასჩატაპა* ცარიელი სინანულია წარსულზე, *პურვატაპა* კი ბრძნული ზრუნვაა მომავალზე. *პურვატაპა* სრულიად აუცილებელია იმისთვის, ვინც სულიერებას ეძებს, მაშინ, როცა *პასჩატაპა* აბსოლუტურად უსარგებლოა. გარჩევის უნარს, რა თქმა უნდა, უფრო მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე ადამიანის მიერ დაგროვილ წიგნურ ცოდნას, დაგროვილ სიმდიდრეს ან ფიზიკურ ძალას. აზრების, სიტყვების და ქცევების ურთიერთშეთანხმებულობა პირველი ნაბიჯია სულიერი ზრდისაკენ. აზრებს, სიტყვებს და საქმეებს შორის ჰარმონიის უკმარისობას კი ადამიანი თვითმოტყუებამდე მიჰყავს, თვალთმაქცობას ავითარებს მასში და სულიერ გაკოტრებამდე მიჰყავს. კაცობრიობას მართებს უფრო ღრმად შეისწავლოს თვითონ ადამიანი. ადამიანში ჰუმანურობის ჩასახვა, განვითარება და გაყვავება დამოკიდებულია აზრის, სიტყვის და საქმის სწორ შესაბამისობაზე. სხვა სიტყვებით, გონებრივ და ფიზიკურ მოღვაწეობებს შორის კავშირი სულიერი განვითარების უმნიშვნელოვანესი მდგენელია. არჯუნა სწორედ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს აზრების, სიტყვების და ქცევების ასეთი ჰარმონიული შეთავსებისა. მის პაპას, ბჰიშმას, ასეთი შეთავსება არ გააჩნდა.

ბრძოლის გრიალსა და ღრიალში, იარაღის ჟღარუნსა და დაცემულ მეომართა ყვირილში არჯუნა გარეგნულ სიმშვიდეს და წონასწორობას ინარჩუნებს. იგი ერთი წამითაც არ კარგავს აღქმის და სიფხიზლის სიმახვილეს.

კრიშნა არჯუნას მოუწოდებს მიზანდასახულობა უფლის და საკუთარი თავის უპირობო რწმენას შეუთავსოს. არჯუნა ყურადღებით

ისმენს ღვთაების დიადი განსხეულების სიტყვებს. იგი მთლიანად აბარებს თავს კრიშნას – *სარანაგატა* ხდება – და მის წინ განერთხება.

არჯუნა თავისი თვისებებით უფროს ძმას, დჰარმარაჯას აღემატება, რომლის გონებაც განუწყვეტლივ წარსულის სინანულითაა დაკავებული. დჰარმარაჯასაგან განსხვავებით არჯუნას მომავალი აღელვებს. მეორე ძმისგან, მძლავრი ბჰიმასგან, განსხვავებით კი არჯუნას მახვილი ინტელექტი აქვს, რასაც სულიერების სიღრმეებში ჩაწვდომის უნარი აქვს. აი რატომ იყო არჩეული სწორედ არჯუნა ბჰაგავად გიტას ნათლიად.

ამ სახელს, არჯუნას, დიდი სულიერი მნიშვნელობა აქვს[6]. არჯუნა ის არის, ვისაც სუფთა გული აქვს. კრიშნა მას პართჰას სახელითაც მიმართავდა, რაც პრითჰის (მიწის) შვილს ნიშნავს. არვითარი სარგებელი არ არის იმაში, თუ ბჰაგავად გიტას შვიდას სტროფს (შლოკას) შევისწავლით. ჩვენ უნდა ვეცადოთ თვითონ გავხდეთ არჯუნები და პართჰები.

კრიშნა არსებებს შორის უდიდესია – *პურუშოტამაა*. შეგვიძლია კრიშნას ტერფებთან მთელი ჩვენი ნაკლი და სისუსტე, ცოდვა და მწუხარება მივიტანოთ და სუფთა, წმინდა მადლის უმაღლესი განძით დავტკბეთ. ჩვენ უნდა გულებში კრიშნას სწავლება ჩავიბეჭდოთ და ყოველდღიურ ცხოვრებაში მის მითითებებს მივყვეთ. და მაშინ ბჰაგავად გიტას შლოკები ჩვენს გულებში *შოკას* (მწუხარებას) მოსპობს და მარადიულ სიმშვიდეს და სიხარულს მოგვიტანს.

თავი 4

„დჰარმაქშეტრაზე კურუქშეტრაზე...“[7]

ადამიანს, რომელსაც სუფთა გონება არა აქვს, უნარი არ გააჩნია თავის ჭეშმარიტ „მე“-ს ჩასწვდეს. მხოლოდ სუფთა გულის პატრონს შეუძლია თავისი „მე“-ს ნამდვილი ბუნება გააცნობიეროს.
მე ამ ჭეშმარიტებას, როგორიც არის, ისეთად ვაცხადებ.

კურუს ველზე, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს *დჰარმის* ველსაც – წმინდა ადგილს, სადაც წმინდა მსხვერპლშეწირვები ტარდებოდა, ორი ლაშქარი საომრად შეხვდა ერთმანეთს. კაურავების უფროსმა ვაჟმა, დურიოთჰანამ, რომელმაც ღვთაებრივი პრინციპის სიმთავრე დაივიწყა და თავის ეგოს სრული თავისუფლება მისცა, ომის

[6] „არჯუნა“ სანსკრიტული სიტყვაა და ნიშნავს „სუფთას“, „თეთრს“.
[7] ამ სიტყვებით („*დჰარმის* ველზე, კურუს ველზე...“ იწყება ბჰაგავად გიტა.

დროშები გაშალა. დურიოდჰანას საამებლად ბჰიშმამ საბრძოლო ნიჟარას ჩაჰბერა. მიიღო რა ეს როგორც ორთაბრძოლის დაწყების სიგნალი, ორივე არმიამ ბუკი დაჰკრა.

ველის მოპირდაპირე მხარეს კი კრიშნამ და არჯუნამაც ჩაჰბერეს ნიჟარებს. პანდავების ლაშქარმა გამაყრუებელი საომარი ძახილი გამოსცა, რომელიც ზეცას აზანზარებდა. არჯუნას თხოვნით კრიშნამ, რომელმაც ამ ორთაბრძოლაში მისი მეეტლის როლი იკისრა, ეტლი ორ ლაშქარს შორის გააჩერა. ამ ეტლის გარეგნობამ კაურავებს ისეთი შიში მოჰგვარა, რომ მათ მოეჩვენათ, თითქოს მისი საომარი ცხენები მათს გულებზე მიაჭენებდნენ. როდესაც მტრის რიგებში თვალი შეავლო ბჰიშმას, თავის პაპას, მასწავლებელს დრონაჩარიას, აგრეთვე ნათესავებს და მეგობრებს და მათთან დამაკავშირებელი სიყვარული გაახსენდა, არჯუნა ღრმა ნაღველმა მოიცვა. თავი გაუბრუვდა, ხელები და ფეხები აუკანკალდა, მშვილდი განდივა კი ხელიდან გაუვარდა. „ო, კრიშნა! – წამოიძახა მან. – იძულებული ვარ ნათესავებისა და მეგობრების წინააღმდეგ საშინელ ბრძოლაში ჩავება, რომლებთანაც თანხმობასა და ბედნიერებაში შემეძლო მეცხოვრა. ჩემი გონება ამის წინააღმდეგ ილაშქრებს. და ამის მიზეზი არ არის სიკვდილის შიში და ის, რომ იძულებული ვარ ჩემი ნათესავები და მეგობრები ვხოცო. შრუტიში ნათქვამია, რომ ნგრევას, რომელიც ომს თან ახლავს, შეუძლია საზოგადოებაში არეულობა გამოიწვიოს და ქალები ზნეობის გზიდან გადაიყვანოს. ჯობია მათხოვრობით ვიცხოვრო, ვიდრე ტახტისთვის ვიბრძოლო, ამ მძიმე ცოდვაზე პასუხისმგებლობა ვიკისრო, შემდეგ კი მოვინანიო“.

მაშ ასე, დიადი გმირი არჯუნა სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მას უნდოდა *დჰარმის* პრინციპების ერთგული დარჩენილიყო და ამავე დროს ცდილობდა რაც შეიძლება ზუსტად შეესრულებინა ღმერთის ბრძანებები. მაგრამ *დჰარმამ,* რომელიც ყველას კეთილდღეობაზე ზრუნავს, მხედველობაში არ უნდა მიიღოს *მამაკარას* (მიბმულობის, რომელიც მეგობრებისა და ახლობლების ინტერესებითაა შემოსაზღვრული) დიქტატები. *დჰარმა,* რომელიც საყოველთაო კეთილდღეობისთვის ზრუნავს, უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ, ვიდრე ადამიანის ვალი რამდენიმეს მიმართ, ამიტომაც არ შეიძლება *დჰარმა* ამ რამდენიმე ადამიანს შეეწიროს. მიბმულობის გრძნობა, რომელსაც ადამიანი ახლობლების მიმართ განიცდის, შეიძლება შევადაროთ ღრუბლებს, რომლებიც ცაზე ხან მოულოდნელად იკრიბება, ხან უცებ ქრება. *დჰარმა* არის ის, რაზედაც დედამიწაა დამყარებული. და არჯუნა, როდესაც *დჰარმის* დაცვაზე

ზრუნავდა და ამავე დროს ღმერთის მითითებებს მიყოლას ცდილობდა, როგორც ეს შრუტიშია (ღვთაებრივ გამოცხადებებში) მითითებული, ნამდვილ სასოწარკვეთილებას განიცდიდა. არჯუნას რომ მხოლოდ მეგობრების და ახლობლების გამო ჰქონოდა წუხილი, მაშინ ამ გრძნობისთვის შეიძლება გვეწოდა *ვიშადა*, ანუ „ნაღველი“, მაგრამ იგი იმის გამო წუხდა, რომ სურდა ერთდროულად *დჰარმა* დაეცვა და ღვთის სიტყვასაც დამორჩილებოდა. ასეთი მდგომარეობა შეიძლება განისაზღვროს როგორც *ვიშადა-იოგა*, ანუ „სამართლიანი სასოწარკვეთის *იოგა*“.

ეგო ადამიანში, როგორც წესი, მიბმულობის და სურვილის ზემოქმედებით ვითარდება. მიბმულობა (*მოჰა*) წარმოადგენს *აბჰიმანას*, *მამაკარას* და *აჰამკარას* (ფიზიკურ სხეულზე მიბმულობის, გრძნობა „ჩემი“-ს და „მე“-ს) ურთიერთქმედების შედეგს. სწორედ ამ მავნე ტენდენციებიდან იღებს სათავეს ამქვეყნიური ურთიერთობები. კრიშნა ურჩევს არჯუნას ამქვეყნიურ კავშირებს განუდგეს და ამატებს, რომ ისინი, ვინც ხოცავს, და ისინი, ვისაც ხოცავენ, მხოლოდ მის (კრიშნას) ინსტრუმენტებს წარმოადგენენ. არჯუნა კი შუამდგომლის როლში გამოდის, რომელიც კრიშნამ ამოირჩია, რომ მთელ კაცობრიობას ჭკუა ასწავლოს.

„მე ჩემს ინსტრუმენტად აგირჩიე, - გამოუცხადა კრიშნამ. – შენ მთელი კაცობრიობის წარმომადგენელი ხარ. მთელი არსებულის საფუძველში ღვთაებრივი სარეწი დევს, ღმერთის მოღვაწეობა კი *დჰარმის* გავრცელებისა და დაცვისკენაა მიმართული. არჯუნა, შენ არ შეგეძლო ჩემი ბუნება გაგეგო. *დჰარმის* დასაცავად გასულ ეპოქაში, ტრეტა-იუგაში, მე ვალი მოვკალი და მაიმუნთა სამეფო მის ძმას სუგრივას გადავეცი. მე დემონი რავანა მოვსპე და ლანკას სახელმწიფო ვიბჰიშანას მივეცი, და ამისთვის არავითარი სამაგიერო არ მომითხოვია. და ზუსტად ასევე, თუმცა მეფის ძალაუფლებას ვფლობდი და შემეძლო აიოდჰის მმართველობა მეკისრა, მაგრამ მამაჩემის სურვილს დავმორჩილდი, ტყეში წავედი, რომ მის მიერ მიცემული ფიცი შემესრულებინა და დამემტკიცებინა, რომ იქშვაკუს დინასტიის მმართველები თავის სიტყვას არასოდეს ღალატობენ.

რასაც მე ვასრულებ, მთელი სამყაროს სასიკეთოდ არის. არავითარი მოქმედება რომ არ შემესრულებინა, სამყარო უბრალოდ ჩაკვდებოდა. მე ჩემი ბიძა კამსა მოვსპე, რომელიც ქედმაღალი, მანკიერი და უსამართლო მმართველი აღმოჩნდა, და სამეფო მამამისს, უგრასენას დავუბრუნე. ზუსტად ასევე დავსაჯე უზნეო მმართველები ჯარასანდჰუ და დანტავაკრა და მათი სამეფოები მათს უახლოეს

ნათესავებს მივეცი; ჩემთვის არაფერი დამიტოვია. და ეს ყველაფერი *დჰარმის* დასაცავად გაკეთდა. უკუნითი უკუნისამდე ვშრომობ, არც ერთ წუთს არ ვისვენებ, რომ *დჰარმა* შევინარჩუნო. ყოველგვარი კერძო დაინტერესების გარეშე მხოლოდ გულგრილ მოწმედ ვრჩები. უკუნითი უკუნისამდე დედამიწაზე ვხორციელდები – ყოველთვის, როდესაც მართლქმედება დაცემას განიცდის, ბიწიერება კი შხამიან თავებს მაღლა სწევს. მე იმიტომ მოვდივარ, რომ სუფთანი დავიცვა და ცოდვილები მოვსპო, ასევე იმისათვის, რომ *დჰარმა* აღვადგინო“.

კრიშნასგან ასეთი სიტყვები რომ მოისმინა, არჯუნამ მთელი თვინიერებით წარმოთქვა: „ყველაფერს გავაკეთებ, რასაც შენ მიბრძანებ“. და მაშინ კრიშნამ დამამშვიდებლად და სიყვარულით თქვა: „ხელისგულები ერთმანეთს მიაწყე და მე მომყევი. ჩვენ პაპაშენის, ბჰიშმას კურთხევის მისაღებად მივდივართ“. ძმები პანდავები მიჩვეულნი იყვნენ კრიშნას მითითებებს დამორჩილებოდნენ და ზედმეტი შეკითხვები არ მიეცათ. არჯუნამ მეფის მუზარადი და ფეხსაცმელი გვერდზე გადადო, ხელისგულები ერთმანეთს მიაწყო და კრიშნას გაჰყვა. მისი ძმები დჰარმარაჯა, ბჰიმა, ნაკულა და საჰადევა ამ სცენას უთვალთვალებდნენ და მიხვდნენ, რომ არჯუნა და კრიშნა იქ რაღაც მიზნით მიდიან. მათაც მოიძრეს მუზარადები და ფეხსაცმელი და კრიშნას უკან გაჰყვნენ. ეს რომ დაინახეს, კაურავებმა სიხარულისგან წამოიყვირეს, რადგან იფიქრეს, რომ ძმებ პანდავებს კაურავების ლაშქარში მყოფი მძლავრი მხედართმთავრების შეეშინდათ და დასანებებლად მოდიან.

მიუკვლეველნია ღვთის გზები, მხოლოდ მისთვისაა ცნობილი. ღმერთი რასაც არ უნდა ლაპარაკობდეს, აკეთებდეს, რაზედაც არ უნდა ფიქრობდეს, ჩვენ ყველაფერი უცნაურად გვეჩვენება. მაგრამ ღმერთის მოქმედებები *დჰარმის* პრინციპებს არასოდეს ეწინააღმდეგება. და უსასრულოდ ბედნიერია ის, ვინც ღმერთს უპირობოდ დამორჩილების უნარს ფლობს. იმ დღეს ძმები პანდავები სავსებით დატკბნენ თავისი მორჩილების ნაყოფით. აი ისინი კრიშნას მეთაურობით ბჰიშმას მიუახლოვდნენ, მის წინ დადგნენ და მიმართეს: „პაპა[8]! მამა ბავშვობისას დავკარგეთ და სწორედ იმ დღიდან სინაზით და მზრუნველობით გვზრდიდი. მართალია, ჩვენი პაპა ხარ, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენთვის გაცილებით მეტი ხარ, ვიდრე მამა. ეს საშინელი მდგომარეობა გვაიძულებს შენ წინააღმდეგ ვიბრძოლოთ, იმის წინააღმდეგ, ვისაც ჩვენ თაყვანს ვცემთ როგორც მამას. შენი

[8] ბჰიშმა – მეფე შანტანუს და ქალღმერთ განგას ვაჟი; დჰრიტარაშტრას (კაურავების მამის) პაპა და პანდავების პაპის მამა.

ნებართვის გარეშე უფლება არ გვაქვს ბრძოლა დავიწყოთ. ამიტომ, თუ შეიძლება, შენი კურთხევა მოგვეცი“.

ბჰიშმამ შეხედა პანდავებს, რომლებმაც უკიდურესი გარემოებების დროსაც კი *დჰარმის* გზა აირჩიეს, და ღრმა სიხარულის გამო თვალებზე ცრემლი მოადგა. მან ალერსით გადაუსვა თავზე ხელი და წარმოთქვა: „გამარჯვებას გისურვებთ“.

ამის შემდეგ ძმები თავიანთ მასწავლებელს, დრონაჩარიას მიუახლოვდნენ და მასაც კერთხევა სთხოვეს. დრონაჩარიამ მათი ქცევა დიდად შეაფასა და მანაც გამარჯვებისთვის აკურთხა. მაშ ასე, ჩვენ ვხედავთ, რომ კრიშნამ პანდავებს იდეალური ქცევის გზისკენ მიუთითა, რამაც მათ გამარჯვება მოუტანა მანამდე, სანამ ბრძოლა დაიწყებოდა.

წინასწარმეტყველმა სანჯაიამ, რომელიც უსინათლო მეფე დჰრიტარაშტრას ბრძოლის ყველა წვრილმანს მოუთხრობდა, ბევრი რამ აცნობა მას. სიტყვა „*სან*“ ნიშნავს „კარგს“, „*ჯაია*“ ნიშნავს „გამარჯვების მოპოვებას“. ამიტომ სახელი სანჯაია ნიშნავს: „ის, ვინც ღირსეული გამარჯვება მოიპოვა“. სანჯაიამ, რომელსაც სუფთა გული და მაღალი ზნეობა ჰქონდა, წმინდა და უანგარო ქცევებით ქვეყნიერების სასიკეთოდ ძალიან ბევრი რამ შეასრულა. და როდესაც უსინათლო დჰრიტარაშტრამ ჰკითხა: „ო, სანჯაია, ხომ არ მეტყოდი, როგორ მიდის ჩემი შვილების საქმე ბრძოლის ველზე და გამარჯვებულები დაბრუნდებიან თუ არა ისინი სახლში?“, ბრძენმა სანჯაიამ დაუყოვნებლივ უპასუხა: „გამარჯვება, აყვავება, დიდება და ბედნიერება იქნება იქ, სადაც კრიშნა (იოგეშვარა) მოქმედებს პართჰასთან თანამეგობრობაში, რომელიც მშვილდ განდივას ფლობს“.

იოგეშვარა არის ის, ვისი მოქმედებებიც უანგაროა, ვინც მთელი მსოფლიოს სასიკეთოდ შრომობს და ვინც მსხვერპლის შეწირვის სულისკვეთებას ფლობს. ღვთაებრიობა სისუფთავით, სიმტკიცით და მადლით ხასიათდება. ამიტომ ღმერთი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „ის, ვისაც რვა ნიშანი აქვს“. ღმერთი წუნდაუდებელი, აბსოლუტური, თავდაპირველი და მარადიულია; იგი თავისუფალია, უმწიკვლოა, მანკიერებებისგან თავისუფალია, ბრძენია. ერთგულ თაყვანისმცემელს, რომელიც თავშესაფარს ასეთი ღვთაების ტერფებთან პოულობს, გამარჯვება მუდამ თან სდევს.

ადამიანის დაბადების წყაროს წუთისოფელში მისი მშობლები წარმოადგენენ. ბჰაგავად გიტაში კი მშობლებს *კურუქშეტრა* და *დჰარმაქშეტრაა* მიმსგავსებული. ველი კურუ იმიტომ იწოდება *კურუქშეტრად*, რომ იგი კურუს შთამომავლებს ეკუთვნის, ხოლო

დჰარმაქშეტრა კი – იმიტომ, რომ იმათ ეკუთვნის, ვინც *დჰარმის* გზას მისდევს. ამის შესახებ შეიძლება ზოგიერთ წიგნში წავიკითხოთ, რომლებიც გიტას შესახებაა დაწერილი. იგივეს ამბობენ ისინიც, ვინც გიტას სწავლებას ხსნის. *კურუქშეტრა* და *დჰარმაქშეტრა* მსგავსია ცოლ-ქმრისა, რომელიც ქვეყანას უდიდეს სიკეთეს აძლევს.

მაგრამ სხვა ინტერპრეტაციაც არსებობს. ფიზიკური სხეული *ქშეტრაა*, ანუ ველი. ადამიანის ბავშვობა კი, როდესაც იგი ჯერ კიდევ სუფთა და არაეგოისტურია, *დჰარმაქშეტრაა*. ადამიანის ზრდასთან ერთად მის სხეულში სურვილები და სხვა ცუდი მიდრეკილებები შედიან. მის სხეულს დამღუპველი აზრები ავსებს, და იგი *კურუქშეტრა* ხდება. ამ მეტაფორის ღრმა აზრი იმაში მდგომარეობს, რომ *დჰარმაქშეტრაც* და *კურუქშეტრაც* ჩვენს გულში, *ჰრიდაიაქშეტრაში* იმყოფება. როდესაც მართლქმედით ქცევებს ვასრულებთ და ჩვენს თავში კარგ აზრებს ვამყარებთ, შეგვიძლია მთელი ცხოვრების განმავლობაში ბავშვობის მდგომარეობაში ვიყოთ და, ამგვარად, *დჰარმაქშეტრაში* ვიცხოვროთ.

სიტყვა „*ქშეტრა*“ ნიშნავს „ველს“, „*დჰარმაქშეტრა*“ ნიშნავს „მართლქმედების ველს“. „*კურუ*“ ნიშნავს „მოქმედებას“, „*კურუქშეტრა*“ კი - „მოქმედების ველს“. მაშ რის კეთება გვმართებს? ჩვენ უნდა კარგ ქცევებს ვასრულებდეთ, ზნეობრივ ცხოვრებას ვეწეოდეთ და მართლქმედების გზას, *დჰარმას* მივყვებოდეთ. *დჰარმა* ჩვენი ცხოვრების საფუძვლად უნდა ვაქციოთ, უნდა ვეცადოთ ჩვენს თავში განვავითაროთ *ჰრიდაიადჰარმა*, გულის მართლქმედება, რაც ყოველი ცოცხალი არსების კეთილდღეობაზე ზრუნავს.

უმეცრების წყვდიადში ჩაძირული დჰრიტარაშტრა ბრძებ სანჯაიას ეკითხებოდა, რა ორთაბრძოლა ატყდა მის ვაჟებს და პანდავებს შორის *დჰარმაქშეტრას*, ანუ *კურუქშეტრას* არენაზე. სიტყვა „*მამაკაჰ*“ (ჩემი ვაჟები), რომელიც დჰრიტარაშტრამ იხმარა, ნიშნავს: „ჩემი საკუთარი“, ანუ მიბმულობას. დჰრიტარაშტრაში მიბმულობის გრძნობა მისთვის დამახასიათებელი თვისებიდან – *რაჯასიდან* - მოდიოდა. დჰრიტარაშტრა არის ის, ვინც „თავისად“ აცხადებს იმას, რაც სინამდვილეში მას არ ეკუთვნის. დჰრიტარაშტრა „თავისად“ აცხადებს სხეულს, თუმცა სინამდვილეში იგი მას არ ეკუთვნის. სხეული, გონება და ინტელექტი განსხვავებულია ჩვენი ჭეშმარიტი არსისგან. და ჩვენ ყველა დჰრიტარაშტრებს წარმოვადგენთ, თუკი სხეულს რეალობად ვთვლით. ჩვენ ყველა ვამბობთ: „ეს ჩემი სხეულია, ჩემი გონებაა, ჩემი გრძნობებია და ა.შ.“, მაგრამ იბადება კითხვა: ვინ არის ეს „მე“? და თუ ამას ვკითხავთ, მივიღებთ პასუხს, რომ ჩვენ არ

ვართ სხეული, არც გონება, შეგრძნებები, შინაგანი მიდრეკილებები და არც გრძნობა ეგო.

ჩვენ პართჰები ვართ, დედამიწის (პრითჰის) შვილები, ოღონდ მაშინ, როდესაც ჩვენი გონება შეუბღალავია, როდესაც უსაზღვრო სიყვარულს ვავლენთ და მთლიანად უფალს ვაბარებთ თავს. ჩვენში დაფარული მარადიული უმაღლესი სულის, *ატმანის* მიმართ უნდა განვავითაროთ მიბმულობა, *აბჰიმანი*, და არა ჩვენი სხეულების მიმართ. პართჰა ის არის, ვინც *ატმანის* მიმართ მიბმულობას განიცდის. ხოლო დჰრიტარაშტრა ის არის, ვინც მიბმულობას თავისი სხეულის მიმართ განიცდის. უფლის უნივერსალური ფორმის (*ვიშვა-ვირატ-სვარუპას*)[9] გამოცხადება გვიჩვენებს არა იმდენად იმას, რომ ღმერთი ყოველ ობიექტში იმყოფება, რამდენადაც იმას, რომ ყოველი არსებული ღმერთში იმყოფება. ამიტომ გარე სამყაროს მოღვაწეობაში კი არ უნდა ჩავეფლოთ, არამედ მხედველობა ჩვენი თავის სიღრმეში მივმართოდ, რომ იქ ღვთაებრიობის ის ნაპერწკალი დავინახოთ, რომელსაც ჩვენვე წარმოვადგენთ. წმინდა ვედებში ღვთაებრიობა გაელვებასთანაა მიმსგავსებული შავ ღრუბლებში. მსგავსად ელვისა, რომელიც ღრუბლისთვისაა დამახასიათებელი, ღვთაებრიობა დაფარულია ჩვენს ხერხემალში მეცხრე და მეთორმეტე მალებს შორის. ღვთაებრიობა „ძაფის“ სახით *სუშუმნას*[10] არხში იმყოფება.

ბჰაგავად გიტა ღმერთის ფორმაა, და იგი შეიძლება გაელვებას შევადაროთ (ტელუგურ ენაზე სიტყვა „გიტა“ ნიშნავს აგრეთვე ხაზს). არავითარი სარგებელი არ არის იმაში, თუ გიტას ყველა შვიდას ლექსს წავიკითხავთ, და მათს ღრმა აზრს არ გავაცნობიერებთ. გიტას ნამდვილი აზრის გაგებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როდესაც ფიქრში ჩავეფლობით, როდესაც ღვთაებრიობის მთელ სიდიადეს ჩავწვდებით და მის დიდებაზე დავიწყებთ მედიტაციას.

ორთაბრძოლის დაწყების წინ უფალმა კრიშნამ არჯუნას რამდენიმე ზეპირი გაკვეთილი ჩაუტარა. ბრძენმა ვიასამ სათუთად დაამუშავა ღმერთის ეს სიტყვები, რის შედეგადაც მათ შვიდასი ლექსის სახე მიიღეს. ხვალიდან კრიშნას ბოლო ნამდვილი სიტყვების სწავლას დავიწყებთ, ვეცდებით გავიგოთ ისინი. ეს სიტყვები მან არჯუნას იმიტომ უთხრა, რომ ეს უკანასკნელი გარდაექმნა. კრიშნას ბაგეებიდან მოწყვეტილ სიტყვებს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა

---

[9] არჯუნასთვის კრიშნას მიერ თავისი სამყაროებრივი ფორმის გამოვლინება აღწერილია ბჰაგავად გიტას მე-11 თავში.

[10] *სუშუმნა* (*-ნადი*) – ზურგის ტვინის ცენტრალური ნერვი; ხერხემლის გასწვრივ გამავალი ენერგეტიკული არხი.

აქვს. მეცნიერები კი, რომლებიც მის კომენტარებს წერენ, ცდილობენ ღვთაებრიობა საკუთარ დონემდე დაიყვანონ. ეს - ღმერთის საკუთარ დონემდე დაყვანა - საფუძველშივე არასწორია. ამის ნაცვლად უნდა ვეცადოთ ჩვენი თავი ღმერთის დონემდე ავიყვანოთ, ვიდრე გამოვაცხადოთ, რომ ღმერთი მაგიდაა, ჯოხია, ქვა ან მტვერია: ბევრად უფრო ამაღლებულია მაგიდას, ქვას და მტვერს ვეპყრობოდეთ როგორც თვით ღმერთს. შეიძლება სურათს თაყვანი ვცეთ როგორც ღმერთს, მაგრამ ღმერთს როგორც სურათს არ უნდა ვცეთ თაყვანი.

იმედი მაქვს, რომ სწავლების ამ თვის განმავლობაში სტუდენტები იმ სიტყვებს შეისმენენ, რომლებსაც უფალი კრიშნა წარმოთქვამდა, და გულწრფელად მწამს, რომ თავის მისწრაფებაში - ჩასწვდნენ მის შთამაგონებელ სიტყვებს, ისინი უფრო მაღალ სულიერ დონეზე ასვლას შეძლებენ.

თავი 5

სულიერება და საზოგადოება

საზოგადოება პატივისცემას თავისი ზნეობრივი ღირებულებების წყალობით იმსახურებს. ზნეობის მსხვრევას საზოგადოებრივი დაცემა მოაქვს. საზოგადოება კი, რომელშიც კარგი ზნეობა მეფობს, მარად იქნება. მოვუწოდებ ბჰარატის მამაც შვილებს ზნეობის ძალა და ღირებულებები არასოდეს დაივიწყონ.

პრემას - ღვთაებრივი სიყვარულის - განხორციელებანო!

გავრცელებულია მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში სულიერ ღირებულებებს ადგილი არა აქვს. შეცდომა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ სულიერება ამქვეყნიურ საზოგადოებასთან შეუთავსებელია. ამ აზრის მცდარობას კრიშნა თავის გზავნილში, „სანქჰია იოგაში“[11] ამტკიცებს. მრავალი ადამიანი მცდარად თვლის, რომ სულიერება მხოლოდ სულის გადარჩენაზე ზრუნავს. სინამდვილეში სულიერება საზოგადოების საფუძველს შეადგენს და აბსოლუტურად აუცილებელია ადამიანთა სოციალური პროგრესისა და ერთსულოვნების ზრდისათვის. შეუძლებელია იმ როლის გადამეტფასება, რომელსაც სულიერება საზოგადოების ცხოვრებაში თამაშობს.

[11] „სანქჰია-იოგა“ - გიტას მე-2 თავის დასახელება.

ყოვლისშემძლე ღმერთი, იშვარა, ინდივიდუუმთა მეშვეობით ამჟღავნებს თავს, რომლებიც, ერთად შეკრებილნი, საზოგადოებას ქმნიან. ყოველი ადამიანური პიროვნება ყოვლისშემძლის, იშვარას რაღაცა ასპექტია; ადამიანთა საზოგადოებაც ასევე იშვარასგან წარმოიქმნა. მხოლოდ ინდივიდუუმს აქვს რაღაცა ფორმა, საზოგადოებას კი გარკვეული ფორმა არ გააჩნია. ასეთივე სახით მატერიალური სამყარო ხილვადია, იშვარა კი უხილავია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყოვლისშემძლე უხილავია, მისი არსებობა მაინც უდავოა, რადგან შეუძლებელია ქმნილება შემქმნელის გარეშე იყოს. ისევე, როგორც შეუძლებელია ქსოვილი ბოჭკოვანი ძაფების გარეშე არსებობდეს, დოქი კი - თიხის გარეშე, ასევე სამყაროს არ შეეძლებოდა არსებობა, თავდაპირველი სუბსტანცია – *ბრაჰმანი* – რომ არ ყოფილიყო.

ბრაჰმანი ყველაფრის საფუძველი, სუბსტანცია და ძირითადი ძრავაა, მაგრამ იგი აგრეთვე ისიცაა, ვინც თავისი ქმნილებით „ტკბება“. კრიშნა არჯუნას მოუწოდებს *ბრაჰმანის*, უმაღლესი ღმერთის, ყველგან მსუფევ ბუნებას და იდუმალ არსს ჩასწვდეს.

ამტკიცებენ, რომ არ ღირს *სვადჰარმას*, ანუ საკუთარ *დჰარმას* გვერდი აუარო. მაგრამ რა არის *სვადჰარმა*? ბჰაგავად გიტა *სვადჰარმის* დეტალურად დამუშავებულ და ლამაზად აღწერილ გაგებას შეიცავს. უფალი კრიშნა არჯუნას ძირფესვიანად უხსნის მის აზრს და მნიშვნელობას. ძირითადად *სვადჰარმა* პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებთანაა დაკავშირებული. ამიტომ *ვიშვადჰარმა* (სამყაროს *დჰარმა*) *სვადჰარმაზე* მაღლა იმყოფება, რადგან *ვიშვადჰარმა* მთელი სამყაროს *დჰარმაა*. *ვიშვადჰარმა* სხვა არა არის რა, თუ არა *ბრაჰმანის* კოსმოსური ფორმა. *ვიშვადჰარმიდან* *იშვარადჰარმა* წარმოიშვება. *იშვარადჰარმიდან* სათავეს იღებს *სამაჯიკადჰარმა* – საზოგადოების *დჰარმა*. *სამაჯიკადჰარმიდან* მოედინება *ვიაკთიდჰარმა* – ინდივიდუალური *დჰარმა*. *ვიაკთიდჰარმა* კი *სვადჰარმის* (საკუთარი *დჰარმის*) სინონიმურია.

არსებობს გამოთქმა „*სამტვამ იოგა მუჩიატე*“ (გონების სიმშვიდეს *იოგა* ჰქვია). ეს ფრაზა აზრის სიღრმით და შინაარსის სიმდიდრით ვიბრირებს. სიტყვა „*სამატვა*“ შეიძლება უხეშად გადავთარგმნოთ როგორც „გაწონასწორებულობა“. სიტყვა „*სვადჰარმა*“ ჩვეულებრივად გაიგება როგორც ქცევის წესები ან ღირებულებების სკალა, რომლებსაც ყოველი ადამიანი უნდა იცავდეს, მიუხედავად კასტის ან საზოგადოებისა, მათი რწმენის ან რჯულისა. მაგრამ ეს *სვადჰარმის* გაგების არასწორი გააზრებაა: *სვადჰარმა* არ შეიძლება უკლებლივ

ადამიანთა ყველა ჯგუფს მივაკუთვნოთ. არ არსებობს ზნეობის რაიმე უნივერსალური ან აბსოლუტური ნორმა. ეთიკური ნორმების ფარდობითობა გარდაუვალი საზოგადოებრივი მოვლენაა. ზნეობა დამოკიდებულია დროზე, ადგილზე და ეპოქის სულისკვეთებაზე.

ამქვეყნად განსხვავებები სახეზეა. მაგალითად, მსოფლიოში ადამიანური არსების მრავალგვარი სახე არსებობს. არიან მამაკაცები, ქალები და ბავშვები; არსებობენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები: მცირეწლოვნები, მოზარდები, ახალგაზრდა ქალები და მამაკაცები და ხნიერები. ბუნებრივია, რომ ქალის *დჰარმა* არ შეიძლება ისეთივე იყოს, როგორიც მამაკაცის *დჰარმაა*. თვით ბუნების მიერაა ჩადებული თანდაყოლილი უთანასწორობა. ამიტომ უაზრო იქნებოდა მცდელობა მთელი კაცობრიობისთვის ქცევის ერთიანი წესების დადგენა. ყოველ ადამიანს საკუთარი *დჰარმა* გააჩნია, მაგრამ ეს უკანასკნელი სხვა ადამიანთა *დჰარმის* საწინააღმდეგოდ არ უნდა იყოს მიმართული.

ბჰაგავად გიტა ამბობს, რომ არჯუნა სულიერი არჩევნის მახვილზე აღმოჩნდა. საკუთარი *დჰარმის*, *სვადჰარმის* შესრულებით შეწუხებული არჯუნა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას ვერ გადაუწყვეტია ნათესავების დახოცვა, რადგან არ უნდა ძმათა სისხლისღვრაში დამნაშავე იყოს. მას უკვე სძულს სამხედრო დიდება, რომელიც ბრძოლის ველზე ხოცვა-ჟლეტასთანაა დაკავშირებული. მაშინ უფალი კრიშნა *სვადჰარმის* არსის ახსნას იწყებს. *სვადჰარმა* ადამიანის საკუთარი *დჰარმაა*, ქცევის კოდექსია, რომელიც საზოგადოებაში მისი მდგომარეობის შესაბამისია. *სვადჰარმა* აგრეთვე ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებებითაც განისაზღვრება. *იშვარადჰარმა* კი უნივერსალური ღვთაებრივი *დჰარმაა*, რომელიც სიყვარულზე და თანაგრძნობაზეა დამყარებული. თავისი არსით *იშვარადჰარმა* ყოვლისმომცველი და მრავალმხრივია და ყველა კასტისთვის, საზოგადოებისთვის, კულტისთვის და რჯულისთვის თანაბრად გამოყენებადია.

როდესაც ადამიანი იშვარას ყველგანმსუფეობის ბუნებას აცნობიერებს და სწვდება, იგი *სვადჰარმის*, საკუთარი *დჰარმის* საზღვრების გადალახვას იწყებს. „*იშვარა სარვა ბჰუტანამ*“ (ღმერთი ყველა არსებაშია). და იმ მომენტში, როდესაც ამ ფუძემდებლური მტკიცების ჭეშმარიტებას აცნობიერებთ, თქვენ ასევე აცნობიერებთ *იშვარადჰარმასაც* – ბუნებაში არსებულ თეოცენტრულ[12] წესრიგს. ამგვარად, *სვადჰარმა*, ინდივიდუალური *დჰარმა*, რანგით უფრო დაბლა დგას, ვიდრე *ვიშვადჰარმა*, სამყაროს *დჰარმა*, და *იშვარადჰარმა*,

[12] თეოცენტრული წესრიგი – კანონი, რომელიც მთელი სამყაროს ცენტრში ღმერთს აყენებს [ბერძნ. *თეოს* (ღმერთი) + *სენტრუმ* (ცენტრი)].

ღმერთის *დჰარმა*. როდესაც ყოველი ადამიანური არსების ღვთაებრიობას გააცნობიერებთ, სწორედ მაშინ ჩასწვდებით *იშვარადჰარმას*. მანამადე კი, სანამ საკუთარ თავს წარმავალ და ცვალებად ფიზიკურ სხეულთან აიგივებთ, თქვენ დამორჩილებული ხართ ორობითობის მოქმედებას: სიამოვნებას და ტკივილს, სიხარულს და მწუხარებას, კარგს და ცუდს.

არჯუნა გონების ეჭვების და გულის სისუსტის მიერ იყო შეპყრობილი. კრიშნამ მძაფრად უსაყვედურა მას ზნეობრივი და სულიერი გაუბედაობის გამო. „სანამ სუსტი და გაუბედავი იქნები, მანამადე ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ. ეცადე სენტიმენტალობა და სხეულებრივი ცნობიერება გადალახო. მანამადე, სანამ სამყაროს წარმავალი სხეულის პოზიციებიდან აღიქვამ, სულიერი სისუსტის გადალახვას ვერ შეძლებ. ხოლო თუ სამყაროს უკვდავი *ატმანის* სიმაღლიდან შეხედავ, მაშინ სისუსტის და შიშისთვის ადგილი აღარ დარჩება“, - ასეთი შეგონებებით აღძრავდა კრიშნა არჯუნას ბრძოლის ველზე მოქმედებისთვის.

სამყარო სცენაა, ჩვენ ყველა კი პიესაში დაკავებული მსახიობები ვართ; ეს პიესა სამყაროში თამაშდება. მაგრამ ჩვენი მოქმედებები ღმერთის ნების მიერ იმართება. ღმერთი ჩვენს უკვდავ სულებსაც მართავს და წარმავალ სხეულებსაც. და ჩვენი ვალია ამ თამაშში ვმონაწილეობდეთ და არც შიშს ვავლენდეთ, არც სისუსტეს.

ამ სამყაროს წინააღმდეგობები და შედარებითობა, აგრეთვე ადამიანთა ვალდებულებები უკვდავ *ატმანს* არ შეეხება. უნდა ვაღიაროთ სიკეთისა და ბოროტების თანაარსებობა და უშუალო მეზობლობა ამ სამყაროში. *ატმანის* თვალთახედვით სიკეთე და ბოროტება შემთხვევაზეა დამოკიდებული და აბსოლუტურ სიდიდეებს არ წარმოადგენს.

ფიზიკური სხეული (*დეჰა*) შედგება ხუთი თავდაპირველი ელემენტისაგან – მიწის, ჰაერის, წყლის, ცეცხლის და ეთერისაგან. ადრე თუ გვიან სხეული, *დეჰა*, დაიშლება. აი *დეჰი*, ანუ სხეულში დაფარული *ატმანი* კი, არასოდეს იბადება და არ კვდება. იგი მოუშლელი, უჭკნობი და უკვდავია. *დეჰი ბრაჰმანთან* ერთიანია. თავისი არსით *ატმანი* და *ბრაჰმანი* ერთი და იგივეა. *ატმანის* და *ბრაჰმანის* იდენტურობა სულიერების თვით ლაზათს შეადგენს. სულიერება და მშვიდობისმოყვარეობა ყოველთვის გვერდიგვერდ დგანან. სულიერება და სოციალური სამართლიანობაც ასევე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სულიერების გავრცელება სოციალური სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ზრდას იწვევს.

უკვდავი *ატმანის* გაცნობიერებაში ადამიანებს ხელს უშლის შური, ბოროტება და ეჭვი, რომლებიც წარმავალ ფიზიკურ სხეულებზე მიბმულობითაა წარმოქმნილი. ყველას ერთნაირად არ შეუძლია წმინდა გიტადან სიკეთის ამოღება. ეს უნდივიდუუმის დამსახურებებსა და ზნეობრივ სიწმინდეზეა მთლიანად დამოკიდებული. ბოლო ჯამში ადამიანი პასუხისმგებელია ყველაფერ იმაზე, რასაც ის ასრულებს. სანამ ადამიანურ არსებებს სიზარმაცის ჭაობში ურჩევნიათ ყოფნა, მანამდე სულიერების ამაღლებულ ნეტარებას ვერც კი წარმოიდგენენ.

ბჰაგავად გიტამ ამჟამინდელი ფორმა და სილამაზე ვიასას პოეტური გენიით შეიძინა. სულის სიმშვიდის მიღებისათვის აუცილებელი არ არის მისი ყველა სტროფის დამახსოვრება. გიტადან ერთი შლოკაც კი საკმარისია, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება გარდავქმნათ. სულიერი ცოდნის დასაუფლებლად აუცილებელია მყარი ცოდნა, ანუ *შრადჰა.* ბჰაგავად გიტა გვაიძულებს ღმერთის მორჩილ იარაღად ვიქცეთ. ინტელექტუალური განათლებისა და სულიერი განათებისათვის გიტა კვლავ და კვლავ უნდა გადავიკითხოთ.

ყველა მორწმუნის მიზანს გათავისუფლება წარმოადგენს. ადამიანის სხეულში ღვთაებრივი *ატმანი* ამჟღავნებს თავს. თავისი ღვთაებრიობა მან ღმერთის ერთგული ადამიანის სხეულში უნდა გამოავლინოს, და საბოლოო ჯამში იმ პირველწყაროს შეერწყას, საიდანაც ის გამოვიდა. მაგრამ ადამიანურ არსებას ძალიან ხშირად ავიწყდება თავისი ღვთაებრივი ბუნების შესახებ და ძალაუფლებისა და სიმდიდრის ცდუნებას დაჰყვება.

ადამიანის რეაქცია ყველა იმ სიკეთესა და ბოროტებაზე, რაც მსოფლიოში ხდება, დამოკიდებულია მის *კარმაზე,* რომელიც მისი თვისებების, *გუნების* ზუსტ საზომს წარმოადგენს. *კარმა* გათავისუფლების გასაღებია, მაგრამ ფიზიკურ სხეულთან მიბმულობის გამო ადამიანი თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას ივიწყებს.

დაწყევლის გამო ერთხელ ღმერთი ინდრა დედამიწაზე ტახის სახით განსხეულდა. მას თავისი წარსული დიდების შესახებ დაავიწყდა, ღორი შეირთო ცოლად და გოჭების მთელი ბუდობა მოამრავლა. იგი უაღრესად ბედნიერად გრძნობდა თავს და აბსოლუტურად დაავიწყდა საკუთარი ღვთაებრიობის შესახებ. წმინდა ნარადას შეეცოდა იგი და ისე გააკეთა, რომ ინდრას თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება გაეცნობიერებინა. ზუსტად ასევე ადამიანურმა არსებებმაც დაივიწყეს თავისი ღვთაებრიობის შესახებ და გრძნობით სიამოვნებებს ებმებიან. იმან, რომ კრიშნამ ბჰაგავად გიტა აუწყა, სიკეთე მოუტანა არჯუნასაც, წინასწარმჭვრეტ სანჯაიასაც,

ბრძენ ვიასასაც, ღვთაებრივ მაიმუნ ჰანუმანსაც, რამაიანას გმირს. მაგრამ იმავე გიტას მიმართ მეფე დჰრიტარაშტრა ყრუ დარჩა. სასტიკ შვილებზე მიბმულობამ მასში პანდავების მიმართ სამართლიანობის გრძნობა ჩაახშო.

გიტას ყოველი შლოკა მნიშვნელოვანია. გიტა შვიდას შლოკას შეიცავს. ასანთის კოლოფში შეიძლება ორმოცდაათი ღერი იყოს, მაგრამ ერთი ღერიც საკმარისია, რომ ლამპადა ავანთოთ და შენობაში სიბნელე გავფანტოთ. ასევე გიტას ერთი შლოკაც კი საკმარისია, რომ სიბრძნის შუქი ავანთოთ და უმეცრების წყვდიადი მოვსპოთ. მაგრამ დაჟინებულობისა და რწმენის, *შრადჰის* გარეშე ბჰაგავად გიტა დალუქულ წიგნად დარჩება. ზარმაცი ვერც გათავისუფლებას მიაღწევს და ვერც სულიერ განათებას.

ღმერთი რაიმე გარკვეული ადგილის ჩარჩოებით არ არის შემოფარგლული. იგი არა მხოლო ტრანსცენდენტურია, არამედ იმანენტური და ყველგან მსუფევიცაა. კრიშნა არჯუნას უხსნიდა: „სინამდვილეში მკვლელი არ ხარ. შენ ფიქრობ, რომ მტრების დახოცვას აპირებ. მაგრამ მკვლელობა მხოლოდ გარეგნობაა. სინამდვილეში შენ იარაღს წარმოადგენ ნგრევის და გაწმენდის პროცესში, *დჰარმის* მკვდრეთით აღდგომის პროცესში. და არ იქნებოდი შეწუხებული, თუ გეხსომებოდა, რომ ხრწნადი სხეული დროებითია, უსხეულო *ატმანი* კი უკვდავია“. ჭეშმარიტი *იოგა* ადამიანის მიერ სიმშვიდისა და გრძნობათა ორგანოებზე კონტროლის მიღწევაშია. ეს ორგანოები მისგან ფუძემდებლურ რეალობას ფარავენ. სისუსტე სიკვდილია, მაშინ როცა ძალა უკვდავებაა.

კრიშნას მიერ გადმოცემული ბჰაგავად გიტა აუცილებლობის გამო შემოკლებული იყო, მაგრამ ბრძენმა ვიასამ მომავალ თაობათა სასიკეთოდ ზეციური გალობა ბრწყინვალე კომენტარებით გააჯერა და ოსტატურად შეავსო.

მაგალითად, ფრაზა „*სამატვამ იოგა მუჩიატე*“ (გონების სიმშვიდეს *იოგა* ჰქვია) ვიასამ გააფართოვა და თორმეტ ლექსად გარდაქმნა, ხოლო ფრაზა „*ქშუდრამ ჰრიდაია დურბალიამ*‘ (სულიერი სისუსტე საზიზღარია) მისი კალმის მეშვეობით ოცდაორ ლექსად იქცა. სტრიქონი *„ანიტიამ აშუკჰამ ლოკამ იმამ პრაპიია ბჰაჯასვა მამ“* (ამ წარმავალ და უბედურ სამყაროში მე მეცი თაყვანი) ვიასამ შვიდ ლექსად გარდაქმნა, ხოლო მტკიცება „*ნაიიამატმა ბალაჰინენა ლაბჰიია*“ (შეუძლებელია სუსტი *ატმანს* დაეუფლოს) მან ცხრა ცალკე ლექსში განმარტა.

მაიმუნთა მეთაურმა ჰანუმანმაც, რომელიც არჯუნას ეტლის დროშაზე გამოსახულების სახით იმყოფებოდა, მოისმინა გიტა და პაისაჩურ ენაზე ოცდაერთ ლექსად გადმოსცა.

ჭეშმარიტება ერთია, მისი გამოვლენა კი მრავალია. სულიერი მაძიებლის ყველაზე უფრო არსებითი და აუცილებელი თვისებები უსაზღვრო მოთმინება და დაჟინებულობაა. ბჰაგავად გიტა ყველა წმინდა წერილის კვინტესენციაა, და ყოველი მაძიებლისთვის მისი დაუღალავად შესწავლა აუცილებელია. იგი ასევე ისეთ წიგნად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. გიტამ ბევრ ადამიანს ნუგეში მისცა. მას შეუძლია სულიერ წინსვლაში თქვენც დაგეხმაროს.

თავი 6

სტითჰაპრაჯნიას

(გონების წონასწორობის მფლობის)

თვისებები

სწავლულიც თუ ხარ და შასტრები, პურანები და ვედანტა მშვენივრად იცი, მდიდრულ დარბაზებში მცხოვრები მეფეც თუ ხარ, ან საყოველთაოდ ცნობილი გმირიც თუ ხარ და ბრძოლის ველზე მტერი დაამარცხე, ანდა ის, ვინც სიღარიბის ქალღმერთისაგან საკმარისად დიდი მწუხარება იგემა, - ყველაფერ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ შენში ღმერთის ერთგულება არ არის. მსახური, რომელიც ღმერთის ერთგულია, მეტი ქების ღირსია, ვიდრე მსოფლიოს მმართველი, რომელსაც ღმერთის სიყვარული არ გააჩნია. ო, ღირსეულო და კეთილშობილო ადამიანებო, აქ შეკრებილნო, სხვა კიდევ რა ჭეშმარიტება შემიძლია გაგაცნოთ?

უპანიშადები ვედების თვით არსს შეადგენს, რომლებიც უპიროვნო (*აპურუშეია*), უხრწნადი და უსასრულოა. უპანიშადები ქადაგებენ მარადიულ ჭეშმარიტებებს, რომლებიც გონებას აკეთილშობილებს და ამაღლებს. „მაჰაბჰარატა“ უპანიშადების სულისკვეთებას თქმულებების ფორმით გადმოსცემს, ბჰაგავად გიტა კი მაჰაბჰარატას კვინტესენციას წარმოადგენს. უპანიშადები სხვადასხვა გზით ასწავლიან ადამიანებს სიმართლე ილაპარაკონ და მართლქმედების გზას მიჰყვნენ. ვინც გიტას თავისი ცხოვრების საფუძვლად და მიზნად თვლის, იგი ღვთაებრივ სიწმინდეს აღწევს. გიტა აცხადებს, რომ კრიშნას უმაღლესი სული

ყველაფერს მოიცავს და ყოვლივე იმაში იმყოფება, რასაც ჩვენ სამყაროში ვხედავთ. და სწორედ ამაშია უფლის სამყაროებრივი ფორმის (*ვიშვა-ვირაგ-სვარუპას*) გამოცხადების აზრი. ამ სამყაროებრივი გამოვლენისთვის რომ ემზირათ, ღვთაებრივი ხედვით აღჭურვილი და რწმენას მიმყოლი ადამიანები შეგნებულად ცდილობდნენ ოთხ გზას მიჰყოლოდნენ: ერთგულების, მოქმედების, სიბრძნის და *იოგას* გზებს.

სიტყვა „ერთგულება“ სიტყვა „სულიერების“ სინონიმს წარმოადგენს. სულიერი ცხოვრება არ უნდა განვიხილოთ როგორც სადღაც განმარტოებულ ადგილას ყოფნა. სულიერი ცხოვრება ადამიანს მიუთითებს მიბმულობისგან და სიძულვილისგან თავისუფალი იყოს და ასწავლის, რომ მთელ კაცობრიობას ერთიანობის თვალსაწიერიდან უყუროს. მოქმედება, ანუ მუშაობა, ჩვენს გარემომცველ სამყაროსთანაა დაკავშირებული. სამყარო კი თავის მხრივ ღმერთთანაა დაკავშირებული. ამიტომაც გამოაცხადა კრიშნამ, რომ ყველა მოქმედება უნდა სრულდებოდეს ისე, რომ ღმერთს ვასიამოვნოთ. მოქმედების ასეთი ხასიათი *სტიტჰაპრაჯნიასთვისაა* დამახასიათებელი, ანუ იმისთვის, ვინც გონების წონასწორობას ფლობს. *სტიტჰაპრაჯნია* უმაღლეს სულში, *ატმანში* მყარდება და ისე ასრულებს მოქმედებებს.

კრიშნამ არჯუნას აუხსნა, რომ *სტიტჰაპრაჯნია* აუღელვებელ გონებას ფლობს, რომელიც ბედნიერების გამო არ ზეიმობს და ტანჯვისგან არ იჩაგრება. *სტიტჰაპრაჯნია* არ ემორჩილება არც მწუხარებას, არც ჟინს, არც შიშს, არც ცდომილებას და მუდამ უმაღლეს სულში იმყოფება. უმაღლეს სულს იგი ყველგან ხედავს. კრიშნამ ხაზი გაუსვა იმას, რომ არჯუნას მხოლოდ მაშინ ექნება კრიშნას ჭეშმარიტი ბუნების გაცნობიერების უნარი, როდესაც თვითონ გახდება *სტიტჰაპრაჯნია.*

სტიტჰაპრაჯნიას განსაკუთრებული თვისება გრძნობითი ორგანოების კონტროლია. ადვილი არ არის გრძნობები დაიმორჩილო და მათი ბატონი გახდე. სწორედ ამიტომ ამბობს არჯუნა: „ო, კრიშნა, თითქმის შეუძლებელია გრძნობების კონტროლზე აყვანა. გონება კი იმდენად ცვალებადი, სახიფათო და ცბიერია, რომ მისი გაკონტროლებაც ძნელია“. ამაზე კრიშნა ეპასუხება: „გრძნობების კონტროლზე იოლი არაფერია. იმათთვის კი, ვინც ამ ფაქიზ პროცესს არ იცნობს, გონების კონტროლიც რთულია“.

ვინც ბავშვობიდანვე წუთისოფლის სურვილების მიერაა დამონებული, და ვინც თავის თავში მხოლოდ გარე სამყაროს ხედვას

ავითარებს, უნარი არა აქვს გონება და სურვილები აკონტროლოს. გრძნობების მიერ შექმნილი სამყარო თავის გარეგნობას განუწყვეტლივ იცვლის. ადამიანის უდიდესი სისუსტე ამ ეფემერულ და დროებით სამყაროზე დამოკიდებულებიდან მოედინება, და ეს სამყარო მცურავი ღრუბლებივით ცვალებადია. და თუმცა ადამიანი ამ სამყაროს წარმავალი ხასიათის შესახებ გათვითცნობიერებულია, მას კვლავ სჯერა მისი. მაგრამ თუ ერთხელ ცვალებად სამყაროს ჩაუკვირდებით და მთელ მის წარმავლობას გააცნობიერებთ, მაშინ გრძნობების კონტროლზე აყვანა თქვენთვის ადვილი გახდება. მიუხედავად იმისა, რომ უცვლელი და რეალური სულიერი პრინციპი ადამიანისთვის ძალიან ახლობელია, მას უნარი არა აქვს გააცნობიეროს იგი. ადამიანებს ჭეშმარიტება არ სიამოვნებთ, მაშინ როცა სიცრუე მომხიბლავად ეჩვენებათ. ადამიანებს იტაცებს ბარი, თუმცა იგი შეიძლება მათი სახლებიდან შორს იყოს. მათ ალკოჰოლური სასმელები ურჩევნიათ, რომლებიც სხეულსაც ავნებს და გონებასაც. მათ არ აინტერესებთ რძე, ხაჭო ან არაჟანი, რომლებიც ძალიან გემრიელი და ნოყიერია, მაშინაც კი, სახლის კარამდეც თუ მოაქვთ და სთავაზობენ. ბავშვობიდანვე ადამიანი თავის თავში მიბმულობებს და სურვილებს ავითარებს, რომელთა გამოც მრავალ პრობლემას და ტანჯვას იძენს.

აი პატარა ამბავი. ბრძენი დაქშინამურტი დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ გაემართა. ერთხელ ზღვის პირას ყურადღებით უსმენდა ზვირთცემის ხმაურს, რომელიც პირველქმნილ ხმას (*პრანავას*) „ომ“-ს ჰგავდა. უცებ ზღვაში ნამჯის ორი ღერი ჩავარდა, რომლებიც სიომ მოიტანა. ტალღებმა ეს ღერები ნაპირზე გამორიყა. ცოტა ხნის შემდეგ ზღვაში რამდენიმე ხმელი ფოთოლი ჩავარდა, და ტალღებმა ისინიც ნაპირზე გამორიყა. დაქშინამურტის არა მარტო გარე სამყაროს ხედვა გააჩნდა; მას ასევე მომხდარის შინაგანი აზრის დაჭერაც შეეძლო. როდესაც ნახა, ზღვაში მოხვედრილი ნებისმიერი საგანი ტალღებს როგორ გამოაქვთ, მან თავის თავს უთხრა: „დიახ, ზღვის ტალღებმა დღეს კარგი გაკვეთილი მომცეს“. და მან თავისი ოცდაოთხი მასწავლებლის სიას ზღვაც მიუმატა და მისდამი იგივე პატივისცემით განეწყო, როგორც დანარჩენი მასწავლებლების მიმართ.

რაში გამოიხატება ამ გაკვეთილის აზრი? ზღვა არცერთ ღერს უფლებას არ აძლევს, რომ მასში შეაღწიოს, რადგან თუ ყოველ უცხო ნაწილაკს ზღვაში დაგროვების საშუალება ექნა, ბოლოს შეიძლება მათ ზღვა წაბილწონ. მიუხედავად იმისა, რომ ოკეანე მძლავრი და ვრცელია, იგი მაინც უფლებას არ აძევს უსუფთაობის ერთ წვეთსაც

კი მისი ბუნება გააჭუჭყიანოს. ადამიანი კი, თუმცა სუსტი და პატარაა, უსუფთაობას უფლებას აძლევს მისი გულის ტბა გასვაროს. ადამიანის გონების ტბა აუღელვებლად მოთამაშე გედების – *სოჰამ ტატვის*[13] – სავანედ უნდა იქცეს. და თუ ადამიანს გრძნობების თავისუფლება არასოდეს შეუზღუდავს, იგი უმეცრების, ბნელეთის და ჟინის მსხვერპლი ხდება. ამიტომ აუხსნა კრიშნამ დასაწყისშივე არჯუნას, რომ *სტიტჰაპრაჯნიასთვის* გრძნობების კონტროლი უაღრესად მნიშვნელოვანია.

ღმერთის თავდადებული ერთგული პრახლადა მამასთან კამათში იმავე ჭეშმარიტებას დაუღალავად ამტკიცებდა. იგი მამას ეუბნებოდა: „მამა, შენ თვალის დახამხამებაში შეგეძლო ყველა სამყაროზე გამარჯვება მოგეპოვებინა, მაგრამ უნარი არ გაქვს საკუთარი გრძნობების და გონების სამყარო დაიმორჩილო. და თუმც მამაცი და მძლავრი მეფე ხარ, მაგრამ არ შეგიძლია კონტროლზე აიყვანო ის ძალები, რომლებიც შენში ადამიანურობას ახრჩობენ, ცხოველურ საწყისს აძლიერებენ და ღვთაებრიობასთან გაშორებენ. ხოლო შენში დაფარულ მტრებზე გამარჯვების გარეშე ყველა ამქვეყნიური იმპერიის დაუფლებას არავითარი აზრი არ გააჩნია. ცუდი თვისებები, რომლებიც შენს ჭეშმარიტ ბუნებას ჩრდილავს და სიწმინდეს გართმევს, თვით შენ შიგნითვეა დაფარული. როდესაც მათ იქ ინახავ, უსარგებლოა ლოცვას აღავლენდე და დიდ ძალებს იხვეჭდე“.

სტიტჰაპრაჯნიას მეფური გზა გამოიხატება მცდელობაში საკუთარ გრძნობებზე მაღლა ავიდეს და ადამიანში დაფარული *ატმანის* ჭეშმარიტი ბუნება გააცნობიეროს. დღეს გიტას ზოგიერთი კომენტატორი არასწორად განმარტავს *სტიტჰაპრაჯნიას* თვისებებს და ამით მას ერისკაცები შეცდომაში შეჰყავს. უაზროდ და სასაცილოდ ხსნიან *სტიტჰაპრაჯნიას* თვისებებს ისინი, რომლებსაც საკუთარი სულიერი გამოცდილება აკლიათ. *სტიტჰაპრაჯნია* ფხიზლობს იმ დროს, როცა ყველა დანარჩენს სძინავს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი დაუღალავად ფხიზლობს სულიერ სფეროში, სადაც ერისკაცები მთვლემარე მდგომარეობაში არიან და სულიერ რეალიებს ვერ ხედავენ. ხოლო როდესაც ჩვეულებრივი ადამიანები წუთისოფლის საქმეებით არიან დაკავებულნი და ფხიზლობენ, *სტიტჰაპრაჯნია* ასეთ

[13] *სოჰამ-ტატვა* (სანსკრ. *სო-ჰამ* - „**მე** ვარ **ის**“ ან „**ის** არის **მე**“) – *სოჰამ*ის პრინციპი, რომელიც ნიშნავს ადამიანის და ღმერთის იგივეობას. *სოჰამ მანტრის* განუწყვეტელი გამეორებისას, რაც ჩასუნთქვებს და ამოსუნთქვებს შეესაბამება, სიტყვა „ჰამსას“ (გედი) გაგონებაც შეიძლება; ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია ზეციური გედის სახე, რომელსაც უნარი აქვს წყლისგან რძე გამოყოს (სიბრძნის, ანუ გამრჩევი გონების სიმბოლო).

მოღვაწეობაში მონაწილეობას არ იღებს, და ამიტომ ამქვეყნიურის მიმართ იგი მძინარე ადამიანის მსგავსია.

გრძნობებზე კონტროლი ყოველი ადამიანისთვისაა აუცილებელი. შეხედეთ ქაღალდის ამ ფურცელს. ამჟამად მას ნორმალური ფორმა აქვს, მაგრამ თუ მას დავგრაგნავთ და ცოტა ხნით ასე გავაჩერებთ, იგი ვეღარ შეძლებს თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდეს. თუ გვინდა, რომ ქაღალდი მის პირველსაწყის და ბუნებრივ ფორმას დავუბრუნოთ, საპირისპირო მიმართულებით უნდა დავგრაგნოთ. ასეთივე სახით, შეგნებულათ თუ შეუგნებლად, ბავშვობიდანვე ჩვენს გონებას გრძნობითი და ამქვეყნიური სურვილებით დეფორმირებას ვუკეთებთ. თუ მას საპირისპირო მიმართულებით, *ატმანისკენ*, „დავგრაგნით“, გონება თავის პირვანდელ ფორმას მიიღებს. სხვა სიტყვებით, გრძნობებზე კონტროლს მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც ხედვას შიგნით მივმართავთ, ვინაიდან იგი ძალიან დიდხანს იყო გარე მოვლენებზე ფოკუსირებული. დაე წარსული წარსულს ჩაბარდეს, ჩვენ კი ახლავე გვმართებს ყველა აუცილებელი ძალისხმევა, რომ შიდა ხედვა განვავითაროთ და ჩვენი გონების წმინდა ბუნება აღვადგინოთ. და უკვე დღეიდან ყოველნაირად უნდა ვისწრაფოთ იმისკენ, რომ ღმერთისკენ მივმართოთ ნებისმიერი საქმე, რომელსაც კი ხელს მოვკიდებთ, ნებისმიერი აზრი, ნებისმიერი სახე, რომელსაც კი წარმოვიდგენთ.

ბჰაგავად გიტას თვრამეტი თავიდან *სანქჰია-იოგა* განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაჰატმა განდი ჩვეულებრივად ორ-სამჯერ გადაიკითხავდა ხოლმე *სანქჰია-იოგას*, როცა მისი გონება მღელვარე და აღგზნებული იყო. ეს მას გონების სიმშვიდეს უბრუნებდა. *სანქჰია-იოგა* გიტას თვით სუნთქვაა. ამ თავმა ასეთი დასახელება მასში არსებული ფილოსოფიური კვლევის – *სანქჰიას* – წყალობით მიიღო. *სანქჰია-იოგამ* არჯუნას *სტიტჰაპრაჯნიას* დამახასიათებელი ნიშნები გაუხსნა და მისი ყველა ცდომილება საბოლოოდ გაფანტა.

არჯუნას ძალიან შემთვისებელი გონება ჰქონდა. თუ იგი რაიმე მტკიცებას ეთანხმებოდა, მაშინვე მოქმედებად აქცევდა მას. იგი იყო ის, ვისაც უნარი ჰქონდა სულიერი მითითებები პრაქტიკაში გამოეყენებინა. და რამდენადაც უფალმა კრიშნამ მისი სახით წმინდანი მოსწავლე შეიძინა, კრიშნამ, გამოდიოდა რა მასწავლებლის, *გურუს* როლში, შეძლო მსოფლიოსთვის გიტას წმინდა არსი გადმოეცა.

და ჩვენი ცხოვრებებიც კურთხევას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუკი ჩვენში განვავითარებთ ღმერთის რწმენას, მისი სიტყვებისადმი პატივისცემას და გადაწყვეტილებას მისი წმინდა

დარიგებანი ცხოვრებაში დავნერგოთ. მოსწავლეებმა თავიანთი გონებებიდან აუცილებლად უნდა გამოდევნონ ის იდეები და იდეოლოგიები, რომლებსაც მათ მანამდე მისცეს თავშესაფარი. მოხვდნენ რა ამ წმინდა ადგილას, მოსწავლეები აუცილებლად უნდა განუდგნენ წინათ დაგროვილ ყველა იდეას.

ტვინში, თუკი იგი არაფრითაა დაკავებული, შეიძლება რაღაცა ჩაიდოს. და თუ თავი უკვე მრავალი რამითაა შევსილი, როგორღა უნდა დავუმატოთ კიდევ რამე? თუ გონება გაწმენდილი არ არის, მაშინ შეუძლებელია მასში რაიმე წმინდა გაგებების დანერგვა. „ო, გონებავ, ო, თაღლითო, მანკიერ ფიქრებში ჩაძირულო, მუდამ რაღაც თამაშებით დაკავებულო, მაცდუნებელ ნიღაბს რომ იკეთებ ამ სწრაფად მავალ არსებობაში! ამ წარმავალ ცხოვრებაში რას მიაღწიე?“ აი რა უნდა ჰკითხონ დღევანდელმა სტუდენტებმა თავის თავს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ მსოფლიო აღვსილია უსამართლობით, არეულობით, არამართლქმედებით, სიცრუით და ცუდი ქმედებებით, მაგრამ რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს სამყარო გამოვასწოროთ? ადამიანები ტირიან, როდესაც იბადებიან, ტირიან მაშინაც, როცა კვდებიან. ამ ორი მოვლენის შუალედშიც ტირიან ხან ერთი მიზეზის, ხან მეორის გამო. მაგრამ ტირიან ისინი, როდესაც მართლქმედების დაცემას ხედავენ? ტირიან იმ სურვილის გამო, რომ აღადგინონ და დაიცვან იგი? მაშ რაღაზე ტირიან? იქნებ ტირიან უბრალოდ იმისთვის, რომ იტირონ? მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენმა ადამიანურმა დაბადებამ გაამართლა და მიზანს მიაღწია, როდესაც ვალდებულებას ავიღებთ შერყეული *დჰარმა* აღვადგინოთ, როდესაც ღმერთის ბრძანებებს უდრეკად მივყვებით და როდესაც შევეცდებით სამყაროებრივი სიყვარული საქმეში დავნერგოთ. მოსწავლეებმა ეს ჭეშმარიტება აუცილებლად უნდა გააცნობიერონ და თავიანთი ცხოვრება ამის შესაბამისად მოაწყონ.

წმინდა მოსწავლეებო, სუფთა გონების პატრონებო! ბედმა ძალიან გაგიღიმათ, თქვენ ასეთი შესაშური შესაძლებლობა მიიღეთ – ამ კურსების მსმენელები გამხდარიყავით. იმედი მაქვს, რომ გააცნობიერებთ ამ წმინდა გზავნილის, ამ გზის და ამ ღვთაებრიობის აზრს, და ამიტომ თქვენს ცხოვრებას კურთხეულს გახდით და თქვენი სახით მსოფლიოს ბრწყინვალე მაგალითს უჩვენებთ.

თავი 7

მე შენი ვარ

ჭეშმარიტი მსხვერპლის შეწირვა და *იოგა* იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი თავის ცოდვიან აზრებს უარს უცხადებს. თუ იგი ცოლს ტოვებს, მატერიალურ საკუთრებაზე უარს ამბობს და ტყეში მიდის, ამას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. მე ამ ჭეშმარიტებას ისეთად გაცნობებთ, როგორსაც იგი წარმოადგენს.

სიყვარულის განხორციელებანო!

მსხვერპლი (*ტიაგა*) მართლქმედების, ქველმოქმედების და მსხვერპლის შეწირვის (*იაჯნასი და იაგას*) ქვაკუთხედია. სიხარბე (*ლობჰა*) კი ცოდვილი ქცევების ძირითადი მიზეზია, რომელთა შედეგსაც ადამიანური სისუსტე, უპატიოსნება, სიცრუე, უსამართლობა და ცუდი ქცევა წარმოადგენს. ადამიანმა იმით უნდა დაიწყოს, რომ თავისი პასუხისმგებლობა გააცნობიეროს, ისწავლოს სიკეთე ბოროტებისგან განასხვაოს, ცოდვა კი – ზნეობრიობისგან, და მაშინ იგი სწორად მოქმედებას დაიწყებს. თვლიდეთ, რომ გრძნობების კონტროლი მხოლოდ იოგების და ასკეტებისთვისაა (*სანიასინებისთვის*) აუცილებელი, აშკარა შეცდომაა. გრძნობების კონტროლი ყველასთვისაა აუცილებელი. მაშინ ყოველი ადამიანი ისწავლის გრძნობების გაკონტროლებას, სწორედ მაშინ დამყარდება მსოფლიოში კეთილდღეობა. ერთგულებას ჰუმანურობის გარეშე და პატრიოტიზმს ზნეობის გარეშე არავითარი აზრი არა აქვს და მხოლოდ ვნება მოაქვს. აი ღმერთის სასიხარულოდ შესრულებული მოქმედება კი წმინდა მსხვერპლის ხასიათს იძენს და ყველას კეთილდღეობისკენაა მიმართული.

ადამიანის თავის სხეულთან გაიგივებიდან იბადება ექვსი მანკი – ვნებიანობა, ჟინი, მრისხანება, სიამაყე, სიხარბე და შური. თანაგრძნობა, სიყვარული და მსხვერპლის შეწირვის სულისკვეთება კი ჩვენში დაფარული *ატმანიდან* იღებს საწყისს. ყოველი ადამიანი ზნეობრიობებს უნდა ავითარებდეს და მიჰყვებოდეს, რომლებიც *ატმანიდან* იბადებიან. ჩვენ კი მაღალ ადამიანურ ზნეობრიობებს ზურგი ვაქციეთ და ამის ნაცვლად სწრაფმდინარ სიამოვნებებს ვართ გამოკიდებულნი, რომ გრძნობები დავიტკბოთ.

კრიშნა ამბობდა: „ო, არჯუნა! უფალი მთელი ქმნილების მამაა, რომელიც მოიცავს როგორც სულიერ არსებებს, ასევე უსულო ობიექტებსაც. არსებობს მხოლოდ ერთი უფალი, რომელიც მთელ

სამყაროს მართავს. იგი სამყაროს მბრძანებელია – *ჯაგანათჰა, ვიშვანათჰაა*; იგი აგრეთვე მთელი ცხოვრების ბატონს – *პრანანათჰას* – წარმოადგენს. სამყაროს მართვა სამყაროს უფლის ხელში იმყოფება. იგი თავის სამუშაოს ყოველი ადამიანური არსების საშუალებით აწარმოებს. უფლის დახმარების გარეშე ვერავითარი ადამიანური მისწრაფება ვერ განხორციელდება. ღვთაებრიობა ყველა ქმნილებაში ვლინდება და ჭეშმარიტების-ცნობიერების-ნეტარების ფორმით მჟღავნდება“.

იგი განაგრძობდა: „არჯუნა! იმოქმედე იმისათვის, რომ ღმერთს გული მოულბო, და არა იმისათვის, რომ შენს გრძნობებს ასიამოვნო. სწორედ შენი ქცევები წარმოადგენს უმაღლეს მწვერვალებამდე ასვლის, თუ უდაბლეს პლანებამდე დაცემის მიზეზს. სიხარულიც და მწუხარებაც შენს საკუთარ მოქმედებებში ჩაისახება, სწორედ ისინია პასუხისმგებლები შენს ცოდვებზე და ზნეობრიობებზე. ამიტომ გონება შენში დაფარულ *ატმანისკენ* მიმართე და სამუშაო ღმერთის გასახარად შეასრულე, და მაშინ შენი ქცევები საკუთარი დაინტერესებებისგან თავისუფალი იქნება. უანგარო მოქმედებები ადამიანში დემონურ თვისებებს სპობს და ღვთაებრივ მისწრაფებებს აღვიძებს. უანგარო ქცევები სუფთა და *სატვიურ* – წმინდა - თვისებებს აძლიერებს. ამიტომაცაა ნათქვამი, რომ ადამიანს მხოლოდ ერთი უფლება აქვს – მოქმედების უფლება, მოქმედებების ნაყოფის ადამიანისთვის გადაცემის უფლება კი ღმერთს ეკუთვნის. ჯილდოს მიღების იმედით არავითარი მოღვაწეობა არ უნდა ასრულო. როდესაც გრძნობებზე კონტროლს მიაღწევ და უანგარო მოქმედებებს დაიწყებ, მაშინ მთელი მსოფლიოსთვის მაგალითი გახდები. არჯუნა, როგორც მთელი კაცობრიობის წარმომადგენელმა, უნდა დაიფიცო შენი მოღვაწეობა მღვდელმსახურებად აქციო“.

ადამიანური ასპექტი (*ჯივატვა*) და ღვთაებრივი ასპექტი (*დაივატვა*) მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს რომ ნათელვყოთ, აუცილებელია გავარკვიოთ, ქმნილების ციკლი როგორ არის მოწყობილი. ეს ციკლი იწყება *აკშარადან* (მოუშლელიდან); *აკშარადან* წარმოიშვება *ბრაჰმანი* (კოსმოსური რეალობა), *ბრაჰმანიდან* საწყისს იღებს *იაჯნა* (მსხვერპლი), *იაჯნადან* მოედინება *კარმა* (მოქმედება), *კარმა* წარმოშობს *პარჯანიას* (წვიმის ღრუბელს), *პარჯანიადან* წარმოიქმნება *ანა* (საკვები), საკვებიდან კი ისახება *პრანა* (სიცოცხლე). აი ასეა მოწყობილი ქმნილების ციკლი.

თუ ამ ჯაჭვის რგოლების თანამიმდევრობას ყურადღებით განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ *აკშარა* (მოუშლელი) რიგში პირველი

დგას, *პრანა* (სიცოცხლე) კი – უკანასკნელი. ყველა ცოცხალი არსება საკვებიდანაა შობილი, საკვებს მოიხმარენ და საკვებით ცოცხლობენ. ტყუილად არ არსებობს გამოთქმა, რომ საკვები ღმერთია (*ბრაჰმანია*). როდესაც ქმნილების ციკლს ვიხილავთ, რომელიც *აკშარათი* იწყება და *პრანათი* სრულდება, ჩვენ უნდა გამოვიცნოთ, *აკშარასთან* ყველაზე უფრო ახლოს რა არსი დგას. პირველი მოდის *აკშარა*, შემდეგ – *ბრაჰმანი*, შემდეგ – *იაჯნა*, მას მიჰყვება *კარმა, პარჯანია, ანა* და *პრანა*. ამ წრიულ ციკლში *პრანა* (სიცოცხლე) ყველაზე უფრო ახლოს მოდის *აკშარასთან* (უცვლელ რეალობასთან). და ეს ამტკიცებს, რომ თავისი არსით სიცოცხლე სწორედ *აკშარასთანაა* (მოუშლელთან) ყველაზე ახლოს. *კარმა-ტატვა* (მოქმედება) კი ამ ორ არსს შორის სწორ ურთიერთქმედებას ეხმარება. ერთი მხრივ ჩვენ ვხედავთ *აკშარას*, *ბრაჰმანს* და *იაჯნას*, მეორე მხრივ კი – *პარჯანიას*, *ანას* და *პრანას*. *კარმა* სიმეტრიულად განლაგებულ ამ არსებს შორის იმყოფება. *კარმა* გვთავაზობს სამი ასპექტის სინთეზს: *აკშარასი* (მოუშლელის), *ბრაჰმანის* (კოსმოსური რეალობის) და *იაჯნასი* (მსხვერპლის), ერთი მხრივ, და *პარჯანიას* (ღრუბლების), *ანას* (საკვების) და *პრანასი* (სიცოცხლის) – მეორე მხრივ.

თავისთავად სიცოცხლე ცვალებადია. იგი სხეულშია, რომელიც მუდამ იცვლება, შედგენილია გრძნობათა ხუთი ორგანოსგან, ხუთი გარსისგან, ხუთი თავდაპირველი ელემენტისგან და დაკავშირებულია *კშარა-პურუშასთან* – იმასთან, ვისაც მოშლა და დაცემა ახასიათებს. მაგრამ სიცოცხლე, რომელსაც ღვთაებრიობა აქვს მინიჭებული, უკვე *აკშარას* განეკუთვნება, იმას, რისი მოშლაც შეუძლებელია. ეს ორი ასპექტი – ხრწნადი (*კშარა*) და მოუშლელი (*აკშარა*) შეიძლება კიდევ დავახასიათოთ როგორც არამდგრადი (*ჩარა*) და მდგრადი (*სთჰირამ*).

სთჰირამ, მდგრადი, არის აგრეთვე *აკშარა*, მოუშლელი, რადგან *სთჰირამ* ყველა ცვლილების ზღვრებს მიღმა და დროისა და სივრცის ყველა ცვლილების ზემოთ იმყოფება. *ჩარა*, მერყევი, კი ის არის, რაც ადამიანის გრძნობათა ხუთ ორგანოსთანაა დაკავშირებული, პრველსაწყისი ხუთი ელემენტისგან შედგება და მუდმივ ცვლილებას ემორჩილება. და ჩვენს ცხოვრებას, იმის გამო, რომ იგი ამ ორ ასპექტს – *სთჰირამს*, მდგრადს, და *ჩარას*, არამდგრადს, შორის მიედინება, მრავალი გამოცდის გავლა უწევს.

აი ამის პატარა ილუსტრაცია. სოფლებში ადამიანები სანაყს იყენებენ, რომელიც ორი მრგვალი ქვისაგან შედგება. ქვედა ქვა უძრავია, ზედა კი მასზე ბრუნავს. თუ ქვებს შორის ცოტაოდენ მარცვლეულს მოვათავსებთ, იგი ფხვნილად იქცევა. ქვების ქვეშ

მარცვლები იფანტება და იფქვება, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ცენტრთან ახლოს აღმოჩნდება, და მთელი რჩება. ეს უსაფრთხო ადგილი შეიძლება ღმერთის სავანეს მივამსგავსოთ. ღმერთის მახლობლად მყოფი ცოცხალი არსებები ყველა ხიფათისაგან დაცული არიან. ამიტომაც ყველა ჩვენს მოქმედებაში ღვთაებრივი თვისებები უნდა გამოვავლინოთ და ამის მეშვეობით ყოველ ჩვენგანში დაფარული ღვთაებრიობის სიხარული განვამტკიცოთ.

უნდა ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ, რომ სიხარული და მწუხარება არ გვაღელვებდეს, რომლებიც სხეულის დაბადებასთან ან სიკვდილთანაა დაკავშირებული. ხომ არავინ ტირის, როდესაც იგებს, რომ ყინული ცივია, ანდა როცა ეუბნებიან, რომ ცეცხლი ცხელია. ყინულისთვის სიცივე ბუნებრივია, ცეცხლისთვის კი – სიცხე. ამის მსგავსად სიკვდილიც ბუნებრივია სხეულისთვის, რომელიც დაბადებულ იქნა. რატომ უნდა ვტიროდეთ ამის გამო? მწუხარების მსხვერპლნი იმ შემთხვევაში ვხდებით, თუ ბუნებრივ მოვლენას არაბუნებრივად ვთვლით, და ამის მიზეზი ჩვენს მიბმულობაშია. ბრმა სიყვარული ფლობის ინსტიქტიდან იზრდება. როდესაც გარე სამყაროსკენ ლტოლვას ვავითარებთ, ჩვენთვის დამახასიათებელი ღვთაებრიობა გვავიწყდება.

კრიშნა ურჩევს არჯუნა-დჰანანჯაიას: „ო, არჯუნა! შენ მიბმულობების – *აბჰიმანიას* და *მამაკარას* – მსხვერპლი ხდები და ამიტომ სევდასთან ახლოს ხარ. ნებას ნუ მისცემ სისუსტეს შენს ადამიანურ ბუნებაზე გაბატონდეს. ვისაც ამ სამყაროში ცხოვრება სურს, მამაცი უნდა იყოს. როდესაც მოქმედებებს ღვთის ერთგულების სულისკვეთებით ასრულებ, როდესაც შენი სხეული მუშაობას ასრულებს, შენ კი ამ დროს ამისათვის ჯილდოზე არ ფიქრობ, აი მაშინ ღმერთისკენ მეფური გზით მიდიხარ“.

აი რატომ ამბობენ, რომ მეფე ჯანაკამ შეძლო მაღალი მდგომარეობისთვის მიეღწია, როცა ყოველდღიურ სამუშაოს ღვთის ერთგულების სულისკვეთებით ასრულებდა. ჩვენ უნდა ღვთის ერთგულების სულისკვეთება ვავითაროთ და ვიმეოროთ: „მე შენი ვარ“.

აი ამისი შესაფერი ილუსტრაცია. ბჰაგავატა-პურანაში ნათქვამია, რომ მწყემსი ქალები, *გოპები*, თავიდანვე უმეორებდნენ უფალ კრიშნას: „ჩვენ შენ გეკუთვნით“. ამაში ვლინდება ჭეშმარიტი ერთგულების და თვითაღკვეთის დამახასიათებელი ნიშანი. ამიტომაც იცავდა კრიშნა მწყემს ქალებს – მუდამ და ყველგან. მეორე მხრივ, დვარაკას დანარჩენი მცხოვრებლები კრიშნას როგორც თავის საკუთრებას ეპყრობოდნენ: „კრიშნა ჩვენი ძმაა, იგი ჩვენი დეიდაშვილია, ჩვენი

ბიძაშვილია, ჩვენი ძმისწულია“, - აი როგორ ამბობდნენ ისინი. ასეთი დამოკიდებულება მათ ხელს უშლიდა კრიშნა ჭეშმარიტი სახით დაენახათ. გრძნობა, რომ კრიშნა მათ ეკუთვნით, აიძულებდა ეფიქრათ, რომ პანდავებმა ტრიუმფალურ გამარჯვებას იმ კრიშნას წყალობით მიაღწიეს, რომელიც იადავების კლანს მიეკუთვნებოდა, ამიტომ ისინი თვლიდნენ, რომ გამარჯვება სამართლიანად იადავებს ეკუთვნით. ასეთივე გზით გამოზარდეს მათ თავის თავში *აჰამკარაც* (ეგოს გრძნობა), რის გამოც იადავების დაცემა აღინიშნა, ამან კი მალე კატასტროფის (*პრალაიას*) ფორმა მიიღო, რომელმაც მთელი რასა აღჰგავა პირისაგან მიწისა. მწყემსი ქალები კი, პირიქით, მუდამ უვნებლები და ბედნიერები რჩებოდნენ, რადგან მათ ეგო და მასთან დაკავშირებული საკუთრების და სიამაყის გრძნობა არ გააჩნდათ.

მაგრამ არჯუნას შემთხვევაში უფალმა თვითონ განაცხადა, რომ არჯუნა მას ეკუთვნის. როგორ გაუმართლა არჯუნას! არჯუნას და კრიშნას უწოდებენ ნარას და ნარაიანას[14]. კრიშნამ არჯუნაზე მიუთითა როგორც იდეალურ ადამიანზე, როგორც მთელი კაცობრიობის სანიმუშო წარმომადგენელზე და მისი, როგორც თავისი შუამავლის, მეშვეობით კაცობრიობას თავისი წმინდა გზავნილი გადასცა.

მიუხედავად იმისა, რომ ღვთაებრიობით ვართ გარემოცული, მაინც მწუხარების მსხვერპლნი ვხდებით, რადგან წუთისოფლის საგნებზე მიბმულობას განვიცდით. ასე იფარავს თავს ნაცრით ცეცხლი, რისგანაც იგი წარმოიქმნა. ასე ფარავს ხავსი წყალს, რისგანაც იგი იბადება, კატარაქტა კი, რომელიც თვალზე წარმოიქმნება, ბრმად აქცევს მას. სარკეზე დაგროვილი მტვერიც ასევე მკრთალს ხდის გამოსახულებას. ასეთივე სახით უმეცრებაც, რომელიც ასევე ღვთაებრიობაში იღებს საწყისს, ბოლოს და ბოლოს ბინდავს ჩვენს წმინდა ცოდნას. და ამაზე პასუხისმგებლები ჩვენში მობინადრე მავნე მიდრეკილებებია. როდესაც ჩვენში მავნე მიდრეკილებებს და ცუდ აზრებს მოვსპობთ, მაშინ მოგვეცემა შესაძლებლობა ვუმზიროთ კრიშნას, ჩვენს უფალს.

მხოლოდ მაშინ შევძლებთ ღმერთის *დჰარმის, იშვარა-დჰარმის* შესაბამისად ვიცხოვროთ, როდესაც გონებიდან ცუდ მიდრეკილებებს განვდევნით და ღვთაებრიობას ვიხილავთ. ვინც ამ კანონის შესაბამისად ცხოვრებას ცდილობს, გონება უნდა გაწმინდოს. თუ თავი სახიფათო ზრახვებითაა სავსე, თუ ყურები ცუდ სიტყვებს უსმენენ, თუ თვალები მანკიერ სცენებს საიდუმლოდ უმზერენ, თუ გონება სიცრუით

[14] ნარა და ნარაიანა – ძველინდური ეპოსის გმირი, სადაც ღვთაებრივი ბრძენი ნარა მუდამ წყვილში გამოდის ნარაიანასთან – ღმერთ ვიშნუს განხორციელებასთან; *ნარა* – „ადამიანი“.

და მღელვარებითაა სავსე, მაშინ მართლქმედება, *დჰარმა*, ახლოსაც არ მოვა თქვენთან.

სტუდენტებო და მასწავლებლებო! ბევრად უკეთესი იქნება, თუ შეიგრძნობთ, რომ სვამის ეკუთვნით, ვიდრე თვლიდეთ, რომ სვამი თქვენ გეკუთვნით. და თუ ერთგულების ასეთ სულისკვეთებას შეინარჩუნებთ და ასე იცხოვრებთ, უდიდეს კურთხევას მიიღებთ. თქვენი ასეთი დამოკიდებულებით ჩვენი ქვეყნის წმინდა ბუნებას განამტკიცებთ. როდესაც აზრებში ერთადერთ ჭეშმარიტებას - „იგი სამყაროს მამა და უფალია“ - ევლებით თავს, თქვენ შეძლებთ გიტას სულისკვეთება და აზრი გაავრცელოთ ყველგან. თქვენში უნდა უფლის რწმენა განამტკიცოთ, უფალი სამყაროს მართავს და ყველა თქვენს ქცევას მიმართავს. ასეთმა რწმენამ ღრმა კვალი დატოვა არჯუნას გულში, და მან შეძლო ღვთაებრივი კურთხევის შესაბამისად ემოქმედა.

არჯუნამ ასე უპასუხა კრიშნას: „ამიერიდან შენი ნების თანახმად მოვიქცევი. მაპატიე იმისთვის, რომ ნებით თუ უნებლიეთ ძალიან ბევრი შეკითხვა დაგისვი. ტყუილად დავკარგე ძვირფასი დრო, როდესაც ჩემი გონებით, ეგოთი და ფიზიკური სილაღით ვამაყობდი“. სხეულის ძალა, გონების ძალა და შეცნების ძალა თავისთავად, ღვთაებრივი ძალის გარეშე არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ღმერთის მიერ ბოძებული ძალის გარეშე ისინი უმნიშვნელოა.

ახალგაზრდებო, თქვენი ენერგიით და ახალგაზრდული სილამაზით ნუ ყოყოჩობთ. მთელი თქვენი სიქორფე და სიხასხასე ყვავილივით დჭკნება, დილით რომ გაყვავდა და საღამოს გახმა. ხმა თქვენი უმნიშვნელო მიღწევების შესახებ ერთი წამით გამოკრთება, შემდეგ კი ჩაქრება და მხოლოდ უკუნი სიბნელე დარჩება. ნუ გავიწყდებათ თქვენი ღვთაებრივი დანიშნულების შესახებ და დროებით სიამოვნებებს ნუ დაჰყვებით. ყოველმა სტუდენტმა გულწრფელი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს იმისათვის, რომ გიტას სულისკვეთება შეიგნოს და ცხოვრებაში დანერგოს. მოსწავლეებს მართებთ გულებში შეინახონ წმინდა და მადლიერი *ატმური* პრინციპი (*ატმა-ტატვა*), რომელსაც ბჰაგავად გიტამ ხოტბა შეასხა.

თავი 8

ღმერთის სიტყვა

ბრმაა ის, ვისაც ღმერთის რწმენა აკლია, რადგან ადამიანი ღვთაებრივს რწმენის თვალებით ხედავს. ღმერთი იმისთვის შეიძლება არ არსებობდეს, ვისშიაც რწმენა არ არის, ჩვენში კი იგი არის.

ღვთაებრივი *ატმანის* განხორციელებანო!

ღმერთი და მისი სიტყვა ერთმანეთთან განუყრელად არიან დაკავშირებულნი. ღმერთის ერთგულებამ ადამიანში შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს, თუ მას ღმერთი უყვარს, მაგრამ მის სიტყვას სათანადო ყურადღებას არ უთმობს. თუ ადამიანი ღმერთისკენ ისწრაფის, მაგრამ მის მითითებებს უგულებელყოფს, მაშინ ასეთ ერთგულებაზე ვერ იტყვი, რომ იგი ჭეშმარიტია. ყოვლისშემძლის რწმენის გარეშე შეუძლებელია ამქვეყნად რაიმეს მიაღწიო. კეთილდღეობა, რომელსაც რწმენაში ვპოვებთ, მისი ძალის პროპორციულია.

ღმერთი ყველა ინდივიდუალური სულის (*ჯივას*) ერთობლიობას წარმოადგენს; კოსმოსური ფორმა (*ვირატ-სვარუპა*) ყველა ინდივიდუალური სხეულისაგანაა შედგენილი; კოსმოსური გონი (*ჰირანიაგარბჰა*) კი – ყველა ინდივიდუალური გონებისაგან. ამგვარად, ღმერთი და ადამიანი თავისი არსით ერთი და იგივეა. ამიტომ იმათთვის, ვინც ამ დიად ჭეშმარიტებებს ჩასწვდა და ადამიანის ღვთაებრიობა გააცნობიერა, მტკიცება იმის შესახებ, რომ ღმერთი არ არსებობს, სასაცილოდ ეჩვენება. ღმერთი არ სწამთ მხოლოდ სულელებს, რომლებისთვისაც ეს ღრმა ჭეშმარიტებები მიუწვდომელია.

ჩვენს დროში ადამიანები ცდილობენ დაივიწყონ სუფთა ღვთაებრივი ცნობიერების სხივმოსილი ფორმა. ეს ცნობიერება მთელ ქმნილებას გამსჭვალავს და მის საფუძველს აყალიბებს. როდესაც ადამიანი ცდილობს უარყოს ღმერთი, რომელიც სამყაროს საფუძველს წარმოადგენს, იგი საკუთარ არსებობასაც უარყოფს. და თუ ათეიზმის ბუნებას და სიტყვა *ნასტიკას* (ათეისტს) უფრო ღრმად ჩავწვდებით, დავინახავთ, რომ სიტყვა „*ნასტი*“ შედგება ორი ნაწილისგან - „*ნა*“ და „*ასტი*“, „*ნა*“ უარყოფაა, „*ასტი*“ კი ნიშნავს „არსებობას“. ამრიგად, სიტყვაში „*ნასტი*“ ძირი „*ასტი*“ ღმერთის არსებობას ამტკიცებს, მაშინ როცა ნაწილაკი „*ნა*“ უარყოფს მას. გამოდის, რომ სიტყვა „*ნასტი*“ რაღაც უკვე არსებულს უარყოფს. ასეთივე სახით ათეისტები იმეორებენ: „ღმერთი არსად არის“. მაგრამ თუ ამ ფრაზას ყურადღებით განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ მასშიცაა მითითებული იმაზე, ვინც

უკვე არსებობს[15]. ამრიგად, სახეზეა ტყუილის სუსტი მცდელობა - უარყოს ჭეშმარიტება, რომელიც არსებობს.

ღმერთსა და ინდივიდუალურ სულს, *ჯივას*, შორის ახლო ურთიერთობა აღწერას არ ექვემდებარება. თუმცა ადამიანი, ხდება რა საკუთარი ეგოს მსხვერპლი, თავდაჯერებულად მიაწერს საკუთარ თავს საქმეთა აღსრულების უფლებას. რეალურად კი მხოლოდ ღმერთი წყვეტს, რა მოქმედება და ვინ უნდა აწარმოოს, რა დროს, რა ადგილას, რა გარემოებებში და რა წარმატებით.

ადამიანი ვერ აცნობიერებს იმას, რომ ღმერთი ყოვლისმცოდნეა, და ცოდვის ჩადენისაც კი არ რცხვენია. მაგრამ, წარმოადგენს რა ღვთაებრივ ნაწილაკს, მას არ შეუძლია რაიმე მოიმოქმედოს ისე, რომ ღმერთის ყურადღებას გაექცეს, სად და როდესაც არ უნდა მოქმედებდეს. იმის მსგავსად, ადამიანი როგორ მყისიერად შენიშნავს მისი ფეხის თითზე მბობღავ ჭიანჭველას, ღმერთი, ვისი სხეულიც მთელი სამყაროა, მყისიერად იგებს ყოველი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ქცევის შესახებ, რომელსაც ადამიანი ასრულებს.

ყოველ ადამიანურ არსებაში იმყოფება შინაგანი ღვთაებრივი ძალა, რომელიც მას კეთილი საქმეებისკენ უბიძგებს. მაგრამ მასში აგრეთვე საწინააღმდეგო ძალაც არსებობს, რომელიც ცოდვილი საქმეებისთვის აცდუნებს. ცოდვისგან თავის შეკავების გადაწყვეტილება ხშირად ხანმოკლე ხდება, და უფრო ხშირად ისე ხდება, რომ ადამიანი, რომელმაც დაიფიცა, რომ მხოლოდ სიმართლე ილაპარაკოს, გარემოებების ზეწოლის გამო იძულებულია იცრუოს. იგივე ხდება წყენინების მიმართაც. რა მტკიცე გადაწყვეტილებითაც არ უნდა იყოს ადამიანი განწყობილი იმაზე, რომ ამისგან თავი შეიკავოს, მას მაინც შეუძლია შეუგნებლად და დროდადრო აწყენინოს სხვებს. ეს ყველგან შეგვიძლია შევნიშნოთ. მართალია, ადამიანში რამდენიმე სახის მართლქმედითი ძალა იმყოფება, მაგრამ

მასში სხვა, მძლავრი და არაკეთილი ძალაც იმყოფება, რომელიც არამართლქმედითი ქცევებისკენ უბიძგებს მას. ამის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა უფალ ვენქათეშვარას მსახურების ნიშნად შაბათობით იმარხულოს, მაგრამ შუადღისას ცდუნებას აჰყვა, ფინჯანი ყავა დალია და რამდენიმე კვერი შეჭამა.

კრიშნა არჯუნას ასე არიგებდა: „სურვილები და მრისხანება, რომლებიც ჟინიანობის, *რაჯასის*, მიერაა წარმოშობილი, ადამიანის

[15] წიგნში – თამაშია ინგლისური სიტყვებისა “nowhere” და “now here” („ახლა აქ“). სიტყვა “nowhere”-ს ორ ნაწილად გაყოფისას ფრაზა “God” is nowhere” (ღმერთი არსად არის“) საწინააღმდეგო მნიშვნელობას იძენს: “God is now here” („ღმერთი ახლა აქ არის”).

უდიდესი მტრებია. ისინი თანდაყოლილ სიკეთისაკენ მიდრეკილებას ახრჩობენ. ადამიანის ხასიათის სამი ძირითადი თვისებიდან ჟინიანობა (*რაჯასი*) და სიზარმაცე (*ტამასი*) მის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

გრძნობითი სურვილი (*კამა*) *რაჯასისაგან* წარმოიშვება, მან არ იცის გაძღომა იმის მსგავსად, როგორც ეს არ იცის მძვინვარე ცეცხლმა. ჟინი ადამიანის შინაგან წონასწორობას არღვევს და ჭეშმარიტი გზიდან გადაჰყავს იგი. ადამიანის გულში იგი რღვეულს ქმნის და შიგნით იჭრება. მის შემდეგ კი გულში შედიან მრისხანება და სხვა მისი თანმხლები მანკიერებები. ეს შეჭრა იმით მთავრდება, რომ ისინი იპარავენ *ჯნიანა-რატნას* – სიბრძნის ძვირფას ქვას, რომელიც გულში ინახება“.

„სურვილი ადამიანს აიძულებს თავისი ჭეშმარიტი ბუნება დაივიწყოს და ცხოველის მდგომარეობამდე დაყავს იგი. სურვილი ადამიანს ზნეობრიობებს უსპობს და მის ღირსებას და სახელს საფრთხეს უქმნის“.

„არჯუნა! ეს ორთაბრძოლა შემთხვევითი მოვლენა არ არის. შენ თვითონაც ხომ რამდენიმე თვე ემზადებოდი ამისთვის. იმ ერთი წლის განმავლობაშიც კი, როდესაც სხვისი სახელებით ცხოვრობდით, შენ აცნობიერებდი, რომ მისაღები შეთანხმების მიღწევა კაურავებთან შეუძლებელია, და, ვერ ხედავდი რა მშვიდობის მისაღწევ ვერავითარ გზას, მეგობრებს და ნათესავებს დაუკავშირდი, რომ მომავალ ომში დაგხმარებოდნენ. ჩემთვისაც კი ცდილობდი ხელი შეგეშალა, რომ მეფე დჰრიტარაშტრასთან არ წავსულიყავი მშვიდობაზე მოლაპარაკებისთვის, და შენ თვითონ გამოაცხადე, რომ ომი გარდაუვალია.

შენი უცაბედი უარი ბრძოლაზე ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ რაღაც დიდი ძალა ასუსტებს შენს სიმტკიცეს და გაიძულებს თავდაპირველ გადაწყვეტილებაზე უარი თქვა. და ეს ძალა, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, შენი სურვილია. მიმართე სურვილი ღმერთისკენ და ყველა მოქმედება ღმერთისთვის მსხვერპლის შეწირვად აქციე. უსარგებლოა დროის კარგვა ამ პრობლემის განხილვაზე. მაშ აეწყე ღმერთზე, რომელიც ყველაფერში იმყოფება, და შენი ვალის შესრულებას შეუდექი“.

სურვილების კონტროლი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სისულელეა მათთვის სრული თავისუფლების მიცემა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თქვენია. ცხენით მგზავრობის დროსაც ხომ სადავეები მაგრად უნდა გეჭიროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად უბედურება მოხდება. ანდა სხვა მაგალითი. თქვენ ავტომობილი

შეიძინეთ და ყველას გასაგონად აცხადებთ: „მე ფული გადავიხადე და ეს მანქანა ვიყიდე, იგი ჩემს სახელზეა დარეგისტრირებული, და ეს მანქანა ჩემია“. მაგრამ თუ ამის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში მუხრუჭით არ ისარგებლებთ, მანქანა კატასტროფამდე მიგიყვანთ. ამიტომაც გრძნობების კონტროლი ყოველი ადამიანისთვისაა აუცილებელი, და არა მხოლოდ *იოგების* და ასკეტებისთვის, *სანიასინებისთვის.* ხოლო თუ ადამიანი გრძნობებს სრულ ნებას აძლევს და ემონება, მაშინ იგი დეგრადაციას განიცდის. მეფური გზა სრულყოფისაკენ გრძნობების კონტროლზე, ღმერთის ლოცვაზე და მასთან საბოლოო შეერთებაზე გადის.

კრიშნა არჯუნას მიმართავს: „მე ვშრომობ, თუმცა სურვილები არ გამაჩნია და *კარმით* არ ვარ შებოჭილი. ამ ორთაბრძოლაში იმიტომ კი არ ჩავები და შენი მეეტლე გავხდი, რომ ცხენები არ მყავს, არამედ იმიტომ, რომ დავიფიცე სამართლიანობა, *დჰარმა* აღვადგინო. მაშ ადექი, არჯუნა! მთელი კაცობრიობის მშვიდობისთვის და აყვავებისთვის ახლა იარაღის ჩხარაჩხური და ისრების წვიმაა გარდაუვალი“.

ჩვენს დროში ბევრნი დაუფიქრებლად აცხადებენ, რომ მაჰაბჰარატას ომმა, რომელშიც თვით კრიშნა იღებდა მონაწილეობას, დიდი ნგრევა გამოიწვია და ოთხი მილიონი კაცი მოსპო. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ მიზეზი, რის გამოც უფალმა კრიშნამ ბოროტი კაურავების მოსპობა გადაწყვიტა, იმის მსგავსია, რაც ექიმს აიძულებს ქირურგიული ოპერაცია განახორციელოს, რომ პაციენტის სხეულიდან ავთვისებიანი სიმსივნე ამოკვეთოს. უფალმა კრიშნამ უზენაესი ექიმის როლი შეასრულა და მისი ძვირფასი ერთგული არჯუნა სკალპელად გამოიყენა. კრიშნამ მაჰაბჰარატას ომის მსვლელობაში დედამიწას კაურავების ფორმით სიმსივნე ამოკვეთა. და მან ეს ოპერაცია მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ შეასრულა.

მსოფლიოში გარდაუვალია, რომ მრავლის საკეთილდღეოდ ცოტანის ინტერესები შეილახოს. მოღვაწეობაში, რომელიც უანგარო და სხვების კეთილდღეობისკენაა მიმართული, ცოდვა არ არის. და თუ გვინდა ღმერთის ქცევების მნიშვნელობა და აზრი შევაფასოთ, მისი ღრმა აზრი უნდა გავიგოთ, საამისოდ კი შინაგანი ხედვაა აუცილებელი. ისევე, როგორც გარედან უჩინარი ხის ფესვები მთელი ხის საყრდენია, ასევე შინაგანი ხედვაც აყალიბებს საფუძველს (*ადჰარას*) გარეშე ხედვისთვის, *ადჰეიისთვის.*

მიუკვლეველნი და აუხსნელია ღვთის გზები. ვინც ღმერთის დონემდე ავიდა, მხოლოდ მას შეუძლია მისი განზრახვები

გააცნობიეროს. ღმერთის ბუნება უსასრულოა, იგი ცალკეული პიროვნების, საზოგადოების, ერის ზღვრებს სცილდება. ღმერთის ბუნება რომ გაიგოს, ადამიანმა თავის თავში საგნებზე უნივერსალური ხედვა უნდა განავითაროს და უსასრულო სიყვარულის შესახებ ყოვლისმომცველი გაგება დანერგოს. ყველა მოქმედება ადამიანმა ღმერთისთვის შეწირვის სახით უნდა ასრულოს, რომ გული მოულბოს მას. მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ყოველი მოსწავლე ღმერთის სიტყვას მიჰყვება და იდეალურ ცხოვრებას გაატარებს.

თავი 9

შინაგანი დიალოგი

ის, რასაც ჩვენ არსებულად ვთვლით, სინამდვილეში არ არსებობს. ის კი, რასაც არარსებულად ვაცხადებთ, არის. ყველასთვის ერთი, მხოლოდ ერთი ღვთაებრიობა არსებობს. ეს სამყარო კი არ არის. თქვენ ყველამ უნდა გააცნობიეროთ ეს ჭეშმარიტება.

სიყვარულის განხორციელებანო!
ჩვენ ბჰაგავად გიტა არ უნდა განვიხილოთ როგორც უბრალოდ კრიშნას და არჯუნას შორის დიალოგი. სინამდვილეში გიტა ადამიანურს და ღვთაებრივს შორის დაუსრულებელი დიალოგია, რომელიც ყოველი ადამიანის გულში ხდება. მსგავსად იმისა, არჯუნა კრიშნას ხმას როგორი ყურადღებით ისმენდა, ყოველი ადამიანი სრული გულწრფელობით უნდა ისმენდეს გულის სიღრმიდან მომავალ სიტყვებს. თუ ასეთ ყურადღებას განავითარებს, მაშინ შესაძლებელი გახდება, რომ მან ღვთაებას მიაღწიოს. ასეთი პრაქტიკის საშუალებით, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დემონი (*დანავა*), შეიძლება გახდეს ადამიანი (*მანავა*), ადამიანი კი შეიძლება ღმერთი გახდეს. სწორედ ამაში მდგომარეობს გიტას შეუდარებელი დიდებულება. გიტას ზემოქმედების ძალაში, მის სიწმინდეში ჩაწვდომა ჩვეულებრივი ადამიანური ცნობიერებით შეუძლებელია. ამის მიღწევა მხოლოდ ადამიანური არსების ღვთაებრივი დონის სიმაღლიდან შეიძლება.
გიტა ნატვრის ხეა (*კალპავრიქშა*), რომელიც უფალმა კრიშნამ დარგო და ბრძენმა ვიასამ გაზარდა, წმინდა უპანიშადები ამ ხის თესლებია, უნივერსალური აბსოლუტის (*ბრაჰმანის*) შეცნობა მისი ნაზარდებია, წმინდა შასტრები მისი ტოტებია, ყოვლისშემძლის, იშვარას, მიმართ სიყვარული და ერთგულება კი მისი სურნელოვანი ყვავილებია. ამ ხის

ნაყოფს კი უმაღლესი სულის, *ატმანის* ნეტარება წარმოადგენს. ყოველმა ადამიანურმა არსებამ უნდა ამ ხის ქვეშ პოვოს თავშესაფარი და ეცადოს თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზანს – უსასრულო ნეტარებას - მიაღწიოს.

ავატარის მოსვლა და მისი მოქმედებები შთამაგონებელი იდეალია ღვთაებრივ ადამიანთა გაჩენისთვის. ჩვენ უნდა ვეცადოთ გულებში შევიტანოთ *ავატარანა* – ღვთაებრივი პრინციპის დაშვება. ეს არის ყველაზე უფრო წმინდა *იოგა*, რომელსაც *ჯნიანა-იოგა* - „ცოდნის *იოგა*“ - ჰქვია. ცოდნის *იოგა* მეფური გზაა, რომელსაც ადამიანი უმაღლესი მიზნისკენ მიჰყავს.

„რადგან ჩემი ერთგული თაყვანისმცემელი და მეგობარი ხარ, - მიმართა კრიშნამ არჯუნას, - შენ იმსახურებ იმას, რომ მიიღო სიბრძნე, რომლის გადმოცემასაც კაცობრიობისადმი ჩემი სიყვარულის გამო ვაპირებ“. ამ ფრაზაში კრიშნას ორ სიტყვაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება - „ერთგულზე“ და „მეგობარზე“. არ არსებობს ერთგული თაყვანისმცემლის მდგომარეობაზე უფრო მაღალი მდგომარეობა. მაშ რატომ ხმარობს კრიშნა სიტყვას „მეგობარი“? და თუ მეგობრის მდგომარეობას უმაღლესად ჩავთვლით, მაშ რატომ ხმარობს კრიშნა სიტყვას „ერთგული“?

თვინიერება და მორჩილება – აი ერთგული თაყვანისმცემლის თვისებები. მაგრამ ზომაზე მეტი თვინიერება, რომელიც ხშირად ერთგულებას მხარდამხარ მიჰყვება, შეიძლება დაბრკოლება გახდეს ღმერთთან სიახლოვის იმ სულისკვეთების დაუფლებისთვის, რომელიც უაღრესად აუცილებელია უმაღლესი სიბრძნის – *ატმა-ჯნიანის* – მისაღწევად. მეორე მხრივ, ურთიერთობაში ახლო მეგობრობამ და ზომაზე მეტმა შინაურულობამ შეიძლება ადამიანს უკადრისი მოურიდებლობისაკენ უბიძგოს. სწორედ ამ მიზეზის გამო მიმართავს კრიშნა არჯუნას ერთდროულად როგორც „ერთგულ თაყვანისმცემელს“ და როგორც „მეგობარს“ - იმას, ვისი მეგობრობაც თვინიერების ძვირფას დანამატს შეიცავს, ერთგულება კი ღმერთთან აუცილებელი ახლობლობითაა შერბილებული. იმის გამო, რომ არჯუნა უფლის მეგობარიც იყო და ერთგულიც, იგი ბჰაგავად გიტას ყველაზე უფრო ღირსეული ნათლია აღმოჩნდა.

„შენ იმის ღირსი ხარ, რომ ამ *იოგაში* იყო განდობილი, არჯუნა“, - თქვა კრიშნამ. – „დასაწყისში ეს ცოდნა მზეს გადავეცი, რომელმაც იგი კაცობრიობის პირველმშობელს – მანუს – გადასცა, იმან კი, თავის მხრივ, საკუთარ ვაჟს, იქშვაკას, მზის დინასტიის მამამთავარს გაანდო. აი რა სახით გახდა ბრძენთა მეშვეობით ეს სიბრძნე ყველა

მეფისთვის ცნობილი. არჯუნა! დღეს ეს სიბრძნე დავიწყებულია, ამიტომ მინდა ეს *იოგა* სამყაროს კვლავ გადავცე, ამჯერად შენი მეშვეობით“.

კრიშნას ასეთმა სიტყვებმა არჯუნა შეაცბუნა: „კრიშნა, შენ ხომ ჩემი თანამედროვე ხარ, სად და როგორ უნდა გესწავლებინა ეს *იოგა* მზისთვის, რომელმაც იგი უხსოვარ დროს ჩვენს პირველმშობელს, მანუს, გადასცა? ამის დაჯერება არ შემიძლია, ამიტომ, თუ შეგიძლია, ჩემი ეჭვები გაფანტე“.

მაჰაბჰარატას ომის დროს არჯუნა ოთხმოცდაოთხი წლის იყო, კრიშნა კი – ოთხმოცდაექვსის. განსხვავება ასაკში მხოლოდ ორი წელი იყო, ამიტომაც ჰკითხა არჯუნამ, ამ ორი წლის განმავლობაში კრიშნამ როგორ შეძლო მზისთვის გიტა ესწავლებინა. კრიშნამ გაიღიმა და უპასუხა: „ო, არჯუნა! მე არ ვარ დაბადებული, მე უსასრულო ვარ, მე ყოვლისმცოდნე და ყველგან მსუფევი ვარ. მე არც დასაწყისი მაქვს, არც დასასრული. ასევე შენც დაბადებაზე და სიკვდილზე მაღლა ხარ, და უკვე მრავალი სხეული გაქვს გამოცვლილი. მხოლოდ სხეული იბადება და კვდება, თვთონ შენ კი დაბადებაზე და სიკვდილზე მაღლა ხარ. გარე ხედვაზე შენი მიბმულობის გამო ამ ჭეშმარიტებას ყურადღებას არ აქცევ. მაგრამ თუ ყურადღებას შენში დაფარული *ატმანის* რეალობისკენ მიმართავ, მაშინ შეძლებ შენი უკვდავი ბუნება გააცნობიერო“.

როდესაც მსოფლიოში უსამართლობა და არამართლქმედება გველის თავებს წამოყოფენ, უფალი *ავატარის* სახით ეშვება დედამიწაზე. სიტყვა „*ავატარა*“ ნიშნავს „დაშვებას“. აქ არ უნდა გვესმოდეს მთის მწვერვალიდან ან შენობის ზემო სართულიდან დაშვება. *ავატარი* უმაღლესი სულის, *ატმანის* დონიდან სხეულის დონემდე დაშვებაა. ამ მომენტის გაშუქებაში პატარა ილუსტრაცია დაგეხმარებათ.

სახელმწიფო მოსამსახურე ცოდნის მრავალ სფეროში შეიძლება იყოს გათვითცნობიერებული. მაგრამ როდესაც თავის მცირეწლოვან შვილს წერა-კითხვას ასწავლის, იგი გრიფელის დაფაზე იწყებს ასოების წერას – ა, ბ, გ, დ, ... , და ბავშვი სწავლობს. რისთვის ეშვება განათლებული ადამიანი ალფავიტის სწავლებამდე? იმიტომ რომ დაეხმაროს თავის უგუნურ შვილს, რომელმაც ეს ალფავიტი ჯერ არ იცის. მოზრდილი ადამიანი იძულებულია ბავშვის დონეზე დაეშვას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მან ალფავიტის გარდა არაფერი იცის.

ანდა, მაგალითად, როცა ბავშვი ტირის, დედა იხრება და ხელში იყვანს მას. დედის ფეხებთან მტირალ ბავშვს არ შეუძლია მის ხელებს

მისწვდეს. თუ დედა ჩათვლიდა, რომ ბავშვისკენ დახრა მისთვის დამამცირებელია, არ ეცდებოდა მის აყვანას. და იგი სულაც არ კარგავს ავტორიტეტს, როდესაც თავის პირმშოსკენ დაბლა იხრება.
ასეთივე სახით უფალიც, განიცდის რა კაცობრიობის მიმართ სინაზეს და სიყვარულს, ადამიანების დონემდე ეშვება, რომ ისინი ღმერთის დონემდე ასწიოს. და ასეთი დაშვება არც ჩირქს ცხებს და არც ამცირებს მას.
იმის გამო, რომ უფალი ადამიანის სახეს იძენს, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ღვთაებრივ ცნობიერებასთან ერთად იგი ადამიანურ ცნობიერებასაც ავლენს. ჩვეულებრივ ადამიანებს არ შეუძლიათ *ავატარის* ღვთაებრივი მხარეები შენიშნონ. საერო ადამიანებს, მათი შეზღუდული გონებით, ღმერთი ჩვეულებრივ ადამიანად სწორედ იმიტომ წარმოუდგება, რომ *ავატარის* ცნობიერებაში ერთდროულად წარმოდგენილია ღვთაებრივი და ადამიანური თვისებები. ჩვეულებრივი ადამიანის აღქმა ადამიანური ცნობიერების დონითაა შეზღუდული, ამიტომაცაა მისი გონიერება იმავე ზღვრებით შემოფარგლული. წმინდა ბრძენებს, რომლებიც ღვთაებრივ ადამიანებს წარმოადგენდნენ, ძალუძდათ ღვთაებრიობას ჩასწვდენოდნენ და გაეცნობიერებინათ, რომ სამყაროს ყველა ობიექტი ამ ღვთაებრიობას ამჟღავნებს. ბრძენებმა ხილულ ფორმაში უფორმო ღმერთი ამოიცნეს, რადგან ღვთაებრივი ცნობიერებით იყვნენ აღვსილნი. მაშ ასე, თავისი ცნობიერების დონის შესაბამისად სხვადასხვა ადამიანები *ავატარს* ეპყრობიან ან როგორც უბრალო ადამიანს, ან როგორც კოსმოსურ რეალობას.
„ო, არჯუნა! როდესაც ადამიანური ცნობიერებით ხელმძღვანელობ, შეიძლება შეცდომით ჩვეულებრივ ადამიანად მთვლიდე. მე კი ამ სიბრძნეს იმისათვის გასწავლი, რომ შენი ადამიანური ცნობიერებით შექმნილი ილუზია მოვსპო და შენში ღვთაებრივი ცნობიერება განვამტკიცო“.

იმისთვის, ვისაც სურს უზენაესი არსების ღვთაებრივ სიმაღლეებს მიაღწიოს, მოღვაწეობა, *კარმა*, და სიბრძნე, *ჯნიანა*, ფრინველის ორ ფრთას წააგავს. მაგრამ მრავალი ბრძენი (*ჯნიანი*), რომელიც თვლიდა, რომ მან უკვე უმაღლეს სულიერ სტადიას მიაღწია, ყოველგვარ მოღვაწეობას წყვეტდა. *ნირვიკალპა-სამადჰის* მდგომარეობაში რაიმეს კეთება შეუძლებელია. ეს მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოთ როგორც განდგომილობის (*ვაირაგიის*) ბუნებრივი მდგომარეობა. ზოგიერთები თავისი სიბრძნით ამაყობენ და ყოველგვარ მოღვაწეობას უარყოფენ. მაგრამ განდგომილობის (*ვაირაგიის*) ასეთი სახე სიზარმაცის, *ტამასის* გამო ხდება, და პატივმოყვარეობის შედეგს

წარმოადგენს. სიზარმაცით წარმოქმნილი ასეთი ფსევდოგანდგომილობა სიბრძნეში ვერასოდეს გადაიზრდება.

„სინამდვილეში ბრძენები მოქმედების შესრულებას თავს არასოდეს არიდებენ, რადგან მათ სურთ სხვებს მაგალითი უჩვენონ. თუ ბრძენები არ იმოქმედებენ, უმეცარი ადამიანები ვიღამ უნდა მართოს?“ - შენიშნა კრიშნამ.

მაგრამ სამუშაოს მეტისმეტად დიდი მნიშვნელობაც არ უნდა მიეცეს. მოღვაწეობის წყალობით გონება ყვავის, და შედეგად საუკეთესო ჯილდო ჩვენ მიერ დაუფლებული სიბრძნე ხდება. მაგრამ თუ სამყაროს ორობითობის განუწყვეტლივ მტკიცებას დავიწყებთ, მაშინ როდისდა უნდა მივაღწიოთ დამშვიდებულობას? ორობითობის გაცნობიერებიდან „სახეშეცვლილი“ არადუალიზმის გაგებამდე და საბოლოო ჯამში – სრულ მონიზმამდე, ანუ არაორობითობამდე უნდა ავიდეთ. ხოლო თუ უბრალოდ უამრავ წიგნს წაიკითხავ, სიბრძნეს ვერ მიაღწევ. სიბრძნის დაუფლება შეუძლებელია საღვთო წიგნების, შასტრების, ანდა ფილოსოფიის მეშვეობით. ნამდვილი სიბრძნე არაორობითობის ხედვაშია, იგი არის *ადვაიტა-დარშანა-ჯნიანა.* უხუცესები ამბობენ, რომ ჭეშმარიტი სიბრძნე იმაში გამოიხატება, რომ ყველაფერში ღვთაებრივს ხედავდე.

წიგნობრივი ცოდნით თავის შევსება გონებას ვერ გაწმენდს. სიბრძნე არ ნიშნავს დალაგებულად „აუწყებდე“, იგი ცხოვრებაში უნდა დანერგო და საკუთარი ქცევებით დაადასტურო. ნამდვილი სიბრძნე იმ სიხარულში უნდა ისახებოდეს, რომლითაც ჩვენ გვმართებს მუშაობა. ხომ არ შეუძლია მწვანე ფერის ყველა ფრინველს თუთიყუშივით ილაპარაკოს? ყვავილებში მოფუთფუთე ყველა მწერს ხომ არ შეუძლია ფუტკარივით იბზუოს? ნუთუ შეუძლია ვეფხვის ტყავში გადაცმულ ვირს როდისმე ვეფხვად იქცეს? იქცევა როდისმე ღორი სპილოდ, მის ზომამდეც თუ გაიზარდა? მართალია, კამეჩს ორი რქა აქვს, მაგრამ დაეხმარება ეს ორი რქა იმ საქმეების შესრულებაში, რომლებსაც სპილო ახორციელებს? ამიტომ არასოდეს ჩათვალოთ ჭეშმარიტ ბრძენებად ისინი, რომლებმაც ზეპირად იციან შასტრები, უპანიშადები, ვედები და პურანები, ვინც მხოლოდ ქადაგებენ მათზე, მაგრამ მათში არსებულ ჭეშმარიტებებს ცხოვრებაში არ ნერგავენ.

კრიშნამ არჯუნას უთხრა: „მე ყველა მოვლენის უკან ვარ. მე უმაღლესი სული ვარ, რომელიც იმყოფება როგორც შენში, ასევე აქ შეკრებილ ყველა მეომარშიც. თუ ფიქრობ, რომ ჩემგან ცალკე და განსხვავებული ხარ, მაშინ ერთიანობის ბუნებას ჯეროვნად ვერ გაიგებ“.

და ამ მიმართებით გავრცელებული მტკიცება „მე და შენ ერთნი ვართ“ მთლად სწორი არ არის. მე მე ვარ, შენ კი შენ ხარ, ამასთან ყოველთვის! მე და შენ ფაქტიურად ვხდებით „ჩვენ“. „ჩვენ და ჩვენ ერთნი ვართ“ - აი უფრო სწორი მტკიცება, იმიტომ რომ შენც, და მეც „ჩვენ“-ში ვიმყოფებით.

სიბრძნე ყოველ ადამიანურ გულში იმყოფება სინათლის მოელვარე სხივის მსგავსად. ჩვენს დროში მას ახასიათებენ როგორც „ზეცნობიერებას“. ჩვენი ცნობიერება მღვიძარობის მდგომარეობაა, ძილის მდგომარეობას „ქვეცნობიერება“ ჰქვია, ღრმა ძილის მდგომარეობას კი - „გაუცნობიერებული მდგომარეობა“. ცნობიერების მეოთხე მდგომარეობა (*ტურიია*) ყველა დანარჩენზე მაღლა იმყოფება და ზეცნობიერებას შეესაბამება. თუ ჩვენში მყოფ ზეცნობიერების ხმას მივყვებით, ჩვენ კრიშნას დარიგებებს დავემორჩილებით, რომლებიც არჯუნასკენ იყო მიმართული. შემდეგი მაგალითი ადამიანში ზეცნობიერების არსებობის ილუსტრაციაა.

ერთ სახლში ღამით ქურდმა შეაღწია და ბევრი რამ მოიპარა. დილით პოლიციამ იგი დააპატიმრა. დღისით მღვიძარობის მდგომარეობაში ქურდი თავის დანაშაულს უარყოფდა იმისათვის, რომ სასჯელისგან თავი დაეცვა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მღვიძარობისას ქურდი თავდაცვის მიზნით ცრუობდა, შიგნიდან ზეცნობიერება მას უმტკიცებდა, რომ წინა ღამით მან მაინც შეაღწია იმ სახლში, მოიპარა ნივთები და საიდუმლო ადგილას დამალა. როგორც ვხედავთ, სიმართლე მოსვენებას არ აძლევდა მას.

დასკვნა ნათელია. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ადამიანი შეიძლება სიცრუეში და ცოდვილ ქცევათა დაფარვაში იყოს დამნაშავე, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლია ბევრი იცრუოს, რომ სასჯელს გაექცეს, გულის სიღრმეში იგი ჩადენილ ცოდვებსაც, სიცრუესაც, და სხვებისთვის მიყენებულ ვნებასაც მშვენივრად აცნობიერებს. ის ადგილი, საიდანაც სიმართლის შესახებ ეს შინაგანი შეხსენებები მოდის, უფალ კრიშნას სავანეს წარმოადგენს. მაშ ასე, ყოველი ადამიანის გულში ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის განუწყვეტელი დიალოგი, მუდმივი კამათი გრძელდება.

მე ხშირად ვიმეორებ, რომ არ უნდა რჩებოდეთ მუდამ ღვთაების გამოსახულების თაყვანისცემის სტადიაზე. თქვენ შეიძლება თაყვანს სცემდეთ სურათს როგორც ღმერთს, მაგრამ ღმერთს როგორც სურათს არ უნდა სცეთ თაყვანი. განუწყვეტელ ძიებაში უნდა ცდილობდეთ თქვენში დაფარული ღვთაებრიობა გამოავლინოთ და გააცნობიეროთ, რომ თქვენი ნამდვილი მასწავლებელი შიგნით მყოფი ზეცნობიერებაა.

და ამ მასწავლებელს უნდა მიჰყვეთ, პირისპირ უნდა შეხვდეთ თქვენი ცოდვილი მიდრეკილებების დემონებს, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებათ საბოლოო გამარჯვებამდე და საკუთარი ცხოვრების თამაში თავის დროზე წარმატებით დაასრულოთ.

განათლება, რომელსაც ჩვენს დროში სტუდენტები იღებენ, ნამდვილ განათლებას არ წარმოადგენს, ეს მხოლოდ პურის ფულის შოვნის საშუალებაა და მეტი არაფერი. უფალმა კრიშნამ თქვა: „სწორედ სულიერი განათლებაა უმაღლესი განათლება“. როგორც ყველა მდინარე ოკეანეში, მის საბოლოო დანიშნულებაში ჩაედინება, ასევე განათლების – სამეცნიერო, სამედიცინო, კულტურული, რელიგიური - ყველა შტოც ერთიან სულიერ განათლებაში ჩაედინება, რომელიც მათს უმაღლეს მიზანს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით პოეტმა ტიაგარაჯამ თქვა: „ო, გონებავ, რატომ ღელავ, როდესაც ხედავ, მრავალი მდინარე როგორ ჩაედინება ოკეანე დჰანუშკოტში? თუ ოკეანეში ვიბანავებთ, ჩვენ ხომ უცებ ყველა მდინარეში მივიღებთ განბანის სიკეთეს“.

გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ მოსწავლეები სულიერი განათლების გზით ივლიან და სუფთა გულებით უანგაროდ იშრომებენ მთელი მსოფლიოს კეთილდღეობისათვის.

თავი 10

რელიგია: სულიერი გაერთიანება

უანგარო სიყვარული ბედნიერების, ჭეშმარიტების, მშვიდობის, თავგანწირვის, შემწყნარებლობის და ცხოვრების სხვა უმაღლესი ღირებულებების წყაროა. *პრემას*, სიყვარულის ამ აბსოლუტური და სუფთა ფორმის, გარეშე შეუძლებელია იყოს დარწმუნებულობა და უსაფრთხოება. ო, ბჰარატას სახელოვანო შვილებო, გახსოვდეთ, რომ სიყვარული უფრო ფუნდამენტურია, ვიდრე ყველა სხვა ზნეობრივი ღირებულება!

მსოფლიოში სიცოცხლის და ცოცხალი ორგანიზმების სახეობათა უსასრულო მრავალფეროვნება არსებობს. რეალობას კი მხოლოდ სამი ძირითადი ასპექტი გააჩნია, რომლებსაც ჰქვიათ „ემპირიული (გრძნობითი ორგანოების დახმარებით გამოცდილებით შეცნობადი) რეალობა“, „ილუზორული რეალობა“ და „აბსოლუტური რეალობა“.

ადამიანის ყოფიერების ეს სამი კატეგორია მისი ცნობიერების სამ დონეს შეესაბამება, სახელდობრ: მღვიძარობის მდგომარეობას (*ჯაგრატს*), ძილის ქვეცნობიერ მდგომარეობას (*სვაპნას*) და ღრმა ძილის არაცნობიერ მდგომარეობას (*სუშუპტის*). გაშლილ ზღვაში ტალღები უფრო რეალურია, ვიდრე ქაფი ზღვის ნაპირზე. ფუძემდებელი სუბსტანცია, წყალი კი, თავის მხრივ, უფრო რეალურია, ვიდრე ტალღები. ამის მსგავსად, სულიერი ცხოვრებაც უფრო რეალურია, ვიდრე წუთისოფელში ცხოვრება, ეს უკანასკნელი კი უფრო ფუნდამენტური და უფრო რეალურია, ვიდრე ქვეცნობიერების სიზმრები. წყალს ბუნებრივი თვისებების გარკვეული ნაკრები გააჩნია, ისეთების, როგორიცაა გამჭვირვალობა, სიმლაშე და დენადობა. ასეთივე თვისებები რამდენადმე ტალღებსაც ახასიათებს, რომლებიც წყლისა და ქაფისგან შედგება.

რა არის *სატ-ჩიტ-ანანდა*? *სატ-ჩიტ-ანანდა* არის *კუტასთჰა* (ყველაფრის მწვერვალი): *სატ-ჩიტ-ანანდა* წარმოადგენს ჭეშმარიტების, ცნობიერების და ნეტარების ერთიან შენადნობს. *სატ-ჩიტ-ანანდა* ყველგან გამსჭვალავი რეალობაა, რომელიც ძილის ქვეცნობიერ მდგომარეობაში, ამქვყნიური ცხოვრების შეგნებულ მოღვაწეობაში და სულიერების ზეცნობიერ გამოცდილებაშია ასახული. ქაფი ტალღებისგან იქმნება, ტალღები კი წყლისაგან ჩნდება. ამის მსგავსად ცნობიერება ქვეცნობიერებას მოჰყვება, ქვეცნობიერება კი – ზეცნობიერებას. ამ კონტექსტში *კუტასთჰა* შეესაბამება სულიერების ურყევ, უცვლელ და მარადიულ პრინციპს. ვინ არის ეს ურყევი, უცვლელი და მარადიული არსება? იგი წარმოადგენს იშვარას არსებით პრინციპს – პერსონიფიცირებულ და კონკრეტიზირებულ აბსტრაქციას, რომლის შეცნობაც მხოლოდ *ატმანის* რეალობის შეგნების გზით შეიძლება.

„*ნაჰი ჯნიანენა სადრუშამ პავიტრა მიჰა ვიდიატე*“ (არ არსებობს *ჯნიანაზე* უფრო წმინდა რამ), - თქვა უფალმა კრიშნამ. *ჯნიანა*, ანუ სულიერი სიბრძნე, *ჯივატმას* (ინდივიდუალურ სულს) შესაძლებლობას აძლევს *პარამატმანთან* (კოსმოსურ სულთან) შეერთდეს. ყოველმა ადამიანმა უნდა ეცადოს *ატმანის* და *პარამატმანის* ერთიანობა გააცნობიეროს. სწორედ ამაში გამოიხატება სულიერების მთელი არსი, რომელიც კრიშნამ აღწერა. ნებისმიერი უნარის და ნიჭის განვითარება შეგიძლიათ, მაგრამ თუ *ატმანის* და *პარამატმანის* ერთიანობას ვერ ჩასწვდებით, მაშინ თქვენ უიმედო ნიჰილისტი გახდებით.

ვემანამ[16], პოეტმა, რომელიც ტელუგურ ენაზე წერდა, რამდენიმე კუპლეტი და ოთხტაეპიანი ლექსი შეთხზა, რომლებშიც მთელი ფილოსოფიური სისტემა და ზნეობრიობის კანონთა სრული კრებული მოკლედ შეაჯამა.

„რა სარგებელია ცოდნის დაუსრულებელ დევნაში?

ნუთუ ვინმეს შეუძლია ბედ-იღბლის ხაზი შეცვალოს, რომელიც თქვენს შუბლზეა აღბეჭდილი?“

„თუ თავს სულელური აზრებით შეივსებთ, თქვენი გონება და განსხვავების უნარი მოტაცებული იქნება“.

„რისთვის ტვირთავ მთელი ამ გონებრივი ნაყარნუყრით შენს სულელურ თავს? ღირს კი ასეთი ბევრი სწავლით თავის წამება? შეეცადე უკეთესად გაიგო ის მარადიული ჭეშმარიტება, რომელიც უკვდავად გაქცევს“.

„შეიძლება ყველა ხელოვნება და მეცნიერება აითვისო. შეიძლება თავს „მრავალმხრივი გენიოსი“ და „მრავალმხრივი ენციკლოპედისტი“ უწოდო. მაგრამ მაინც, თუ შენს ჭეშმარიტ „მე“-ს არ შეიგნებ, კვლავ „განათლებულ უგუნურად“ დარჩები“.

„დაბალი გონების მქონე და ყოველგვარი მორალური საფუძვლების გარეშე ადამიანსაც შეუძლია ბევრი იკითხოს, მაგრამ იგი თავის სიმდაბლეს ვერასოდეს მოიცილებს“.

„შეიძლება მსოფლიოს ყველა წიგნი წაიკითხო, მაგრამ ამით მხოლოდ წიგნური სიბრძნის პედანტურ და წვრილმან მცოდნედ, *პანდიტად* იქცევი. წიგნების კითხვით ვერასოდეს მიიღებ სულიერ სიბრძნეს და მთლიან ცოდნას. წიგნობრივ ცოდნას შეუძლია პურის ფული გაშოვნინოს, მაგრამ შენი ღვთაებრივი *ატმანის* ხედვას იგი ვერასოდეს გახსნის[17]“.

ბრძენ ნარადას ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც იგი, სიღარიბით დაჩაგრული, რაღაცა სიძნელეებს წააწყდა და ღრმა სევდამ მოიცვა. და მიუხედავად იმისა, რომ ყველა სამოცდაოთხ ძველ ხელოვნებას დაეუფლა, მის გონებაში სიმშვიდე არ იყო. ბოლოს და ბოლოს მან ღვთაებრივ ბრძენ სანატკუმარას მიმართა, რომელმაც გაიგო, რაში მდგომარეობდა ნარადას ავადმყოფობა და რეკომენდაცია მისცა თვითრეალიზაციის გზას დასდგომოდა. კრიშნა თავის

16 ვემანა (სავარაუდოდ ჩვ. წელთაღრიცხვის მე-16-მე-17 საუკ.) – ინდოეთის სახალხო პოეტი, რომელიც ტელუგურ ენაზე წერდა.

17 ამ ხელოვნებებში (ანუ მეცნიერებებში – მაშინ ეს გაგებები ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა) შედიოდა გალობა, მუსიკა, ცეკვები, კალიგრაფია, ხატვა, კერვა, კითხვა, დეკლამაცია, პოეზია, სკულპტურა, ტანვარჯიში, თამაშები, სამზარეულო ხელოვნება, მებოსტნეობა, მაგია, ქიმია, მინერალოგია, ენების და დიალექტების ცოდნა, არქიტექტურა, საბრძოლო ხელოვნება და მრავალი სხვა ცოდნა, რომლებიც ძველი ინდოეთის კულტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო.

გზავნილში, ბჰაგავად გიტაში, არჯუნას თვითრეალიზაციის ეზოტერიკულ[18], მაგრამ ერთობ უბრალო გზას უხსნის, რომელზედაც მიღწევადი ხდება უცვლელი სიმშვიდე და მარადიული ნეტარება.

ბრძენმა სანატკუმარამ ნარადა ინდივიდუალური სულის, *ატმანის* და უნივერსალური უმაღლესი სულის, *პარამატმანის* იგივეობის სულიერ განცდაში შეიყვანა. სწორედ ეს არის ყველაზე უფრო ამაღლებული *მანტრა* სულიერი გათავისუფლების მიღწევისათვის. მყისიერი, უშუალო და ინტუიციური ჩაწვდომა ყველგან გამსჭვალავ სხივმოსილ ღვთაებრიობაში, რომელიც მიკროკოსმოსსაც (ჩვენ შიგნით არსებულ სამყაროს) და მაკროკოსმოსსაც (ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროს) გამსჭვალავს, გათავისუფლების უმაღლეს განცდას წარმოადგენს.

„მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი ერთი და იგივე შემოქმედებითი ენერგიით – *პარამატმანით* – არის მოცული. ბრძენებისთვის ეს მისტიკური ენერგია ცნობილია. ჩაკეტე გარე აღქმის კარი და შენ შიგნით ჩაიხედე. გადალახე აზრის დაბრკოლება. ცხოვრების მთის ბილიკით დაიწყე მოგზაურობა, მთის მწვერვალს მიაღწიე და პირველქმნილ ბგერას, *პრანავას* უსმინე. სინათლეზე გამოდი ბნელეთიდან, რომელმაც სული მოიცვა, და შენს თავზე ღვთაებრივი წყალობა დაეშვება“.

როგორი უსაზღვროა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის თაღი! შეუიარაღებელი თვალითაც კი შეიძლება მასზე უთვალავი ვარსკვლავი დავინახოთ, და ეს ადასტურებს იმას, რომ სამყაროს რუკაზე აღუნიშნავი და ჩვენთვის დაუნახავი არეები მილიონობით გალაქტიკას მოიცავს. ყველაზე უფრო ძლიერი ხელსაწყოების დახმარებითაც კი ადამიანმა მაინც ვერ შეძლო სამყაროს მთლიანად გამოკვლევა. ადამიანის შეზღუდული გონება ვერასოდეს გახდება ყოვლისმცოდნე. ერთადერთ ყოვლისმცოდნე არსებას წარმოადგენს ყოვლისშემძლე, იშვარა. ყველაფერიც რომ გაიგოთ ამ სამყაროში, და იშვარას არსში ჩაწვდომას არ შეეცადოთ, კვლავ უმეცრები დარჩებით.

ის, რაც თქვენ იცით, სულ მცირეა, უმნიშვნელოა. ის კი, რაც არ იცით, უსაზღვროა. ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია. ამიტომ, იმის ნაცვლად, რომ ყველაფერი და ყველაფერზე გაიგოთ, უკეთესია რაღაც ისეთის გაგება, რისი ცოდნაც ყოველივე დანარჩენის შეცნობამდე მიგიყვანთ. კრიშნა ღვთაებრივი წარმომადგენელია არაწარმავალი

[18] ეზოტერიკული (ბერძ. *ეზოტერიკოს* – შინაგანი) – საიდუმლო, დაფარული, განკუთვნილი მხოლოდ და მხოლოდ განდობილებისთვის (რელიგიური წეს-ჩვეულებების, მისტიკური სწავლებების, მაგიური ფორმულების შესახებ); საწინააღმდ. ეკზოტერიკული.

ცხოვრების ფილოსოფიისა და თვითშეცნობის მეცნიერებისა, რომლებიც მის გზავნილში, ბჰაგავად გიტაშია წარმოდგენილი. *იოგა* და თვითშეცნობის მეცნიერება ინდური კულტურის საფუძველს შეადგენს. განსხეულებულ სულს, *ჯივატმანს* და უნივერსალურ უმაღლეს სულს, *პარამატმანს* შორის განსხვავებები, რომლებიც *კარმული* მიზეზებითაა წარმოქმნილი, ინდური კულტურის არსს შეადგენს. ინდოეთის კულტურა და ფილოსოფია თავისი არსით რელიგიურია.

სიტყვაში „რელიგია“ არის თავსართი „რე“, რომელიც „განმეორებით მოქმედებას“ ნიშნავს. სიტყვის დარჩენილი ნაწილი კი ნიშნავს „ერთიანობას“. ამგვარად, რელიგია შეიძლება განმარტებულ იქნას როგორც „გაერთიანება“ - გაერთიანება ორი არსისა, რომლებიც დრომ გააცალკევა, ანუ მათი თავდაპირველი ორგანული ერთიანობის აღდგენა. განსხეულებულმა სულმა, *ჯივატმანმა*, და უნივერსალურმა უმაღლესმა სულმა, *პარამატმანმა*, თავისი ფუძემდებლური ერთიანობა დაკარგეს. *კარმულმა* მიზეზებმა *ატმანის* და *ბრაჰმანის* ორობითობა წარმოქმნა. ადამიანის თვითრეალიზაციის საშუალებით *ატმანის* და *პარამატმანის* თავდაპირველი ერთიანობის აღდგენაა რელიგიის უმთავრესი ფუნქცია.

ატმანის და *პარამატმანის* გაერთიანების პროცესი, სულიერი *სადჰანა*, ადვილი საქმე არ არის. ეს რომ გავაცნობიეროთ, ანალოგიით უნდა ვისარგებლოთ. მზის სითბოს მოქმედებით ზღვის ზედაპირზე წყალი ორთქლდება და ღრუბლებად იქცევა. ღრუბლები ცაზე მანამადე მიცურავს, სანამ ცივი ქარი მათ წყლის წვეთებად არ აქცევს. ოკეანეში განუზომავი რაოდენობის წყალია. წყლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ხდება ღრუბლად, შემდეგ კი წვიმის სახით მოდის მიწაზე. წვიმის წყალი ნაკადად იქცევა. რამდენიმე ნაკადი ერთიანდება და დიდ მდინარეს ქმნის; მდინარეს წყალი მთებიდან ველზე გადააქვს. ბოლოს და ბოლოს მდინარე ოკეანეს უერთდება. ასევე ჩამოშორებული ვართ ჩვენც ყოვლისშემძლეს, იშვარას, რომელიც უსაზღვრო წყალობის სათავსს წარმოადგენს. ჩვენ მრავალჯერ ვართ განსხეულებულნი, დაბადებისა და სიკვდილის განმეორებითი ციკლები გვაქვს გავლილი. განსხეულებული სულის მოგზაურობა ერთი და იგივე სცენარით გრძელდება იმ დრომდე, სანამ იგი უნივერსალურ სულს არ შეუერთდება.

ადამიანები ამაყობენ ცოდნით, კულტურით და მემკვიდრეობით და მაინც შეუფერებლად იქცევიან. ცხოველებსაც კი ახასიათებთ ზრდილობის გრძნობა.

ამქვეყნად სხვადსხვა *ვარნა* არსებობს. ისინი ადამიანების ინდივიდუალურ თვისებებზე და საზოგადოებაში მათ ადგილზეა დაფუძნებული. ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარი თვისებების ჩარჩოებიდან გამოსვლა. მხოლოდ ყოვლისშემძლე, იშვარა აღემატება ადამიანის ყველა თვისებას. *ვარნები* ადამიანთა თვისებრივ განსხვავებებზეა დამყარებული. ყოველ ასეთ ჯგუფს თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს, რომლებსაც ერთობლიობაში შეიძლება *სვადჰარმა* ვუწოდოთ. *სვადჰარმა* სურვილებისგან თავისუფალი არ არის, მას თავისი განსაკუთრებული მიზნები და ამოცანები აქვს, რომლებიც მიმართულია მშვიდობისა და აყვავებისკენ ამქვეყნად, ასევე ნეტარების მოპოვებისკენ ზეცაში. ამრიგად, სხვადასხვა *ვარნისთვის* დაწესებული ყველა რიტუალი ამქვეყნიური და ზეციური იმედების განხორციელებისთვის სრულდება. ცალკეული *ვარნებისთვის* დაწესებული კანონები (*ვარნადჰარმა*) ეგოიზმის ელემენტსაც შეიცავს. ეს არ არის *იშვარადჰარმა* (ღვთაებრივი კანონი), რომელიც ეგოისტური სურვილებისგან აბსოლუტურად თავისუფალია. უკვდავ უმაღლეს სულს, *ატმანს*, მხოლოდ იმ შემთხვევაში გააცნობიერებთ, თუ *დჰარმის* ყველა ეგოისტურ ნაირსახეობას მოიცილებთ და *იშვარადჰარმის* გზას დაადგებით.

ეგოიზმი ცხოველური თვისებაა. მაგრამ ადამიანური ბუნებაც კი უნდა გავხადოთ ღვთაებრივი. ეგოიზმით დასნეულებული სიყვარული სიკვდილია. *იშვარადჰარმის* არსი უანგარო სიყვარულია. განავითარეთ უსაზღვრო და უანგარო სიყვარული. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაეუფლებით ჭეშმარიტ სულიერ სიბრძნეს. უანგარო სიყვარულის გამოზრდა ადვილი არ არის. დასაწყისში ხომ ეგოიზმიც კია აუცილებელი, რადგან ის, შესაძლოა, სწორედ საკუთარი თავის მიმართ სიყვარულის გადაგვარებული და დამახინჯებული ფორმაა. *სვართჰის*, ანუ საკუთარ თავზე მოკრებილი სიყვარულის, გარეშე ვერ შეძლებთ განიცადოთ *პარართჰა* – ყოვლისმომცველი სიყვარული. უანგარო სიყვარული ეგოიზმის გაფართოებულ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ თუ საკუთარი „მე“-ს ჩარჩოებით შემოიფარგლებით, მაშინ თქვენი სულიერი ზრდა შეუძლებელია. ჰუმანურობა საკუთარი თავის მიმართ სიყვარულის გაფართოებული და ამაღლებული ფორმაა. თქვენ შეიძლება ეგოიზმში ხართ დაბადებული, მაგრამ ეგოიზმში არ უნდა მოკვდეთ.

როდესაც ადამიანი იბადება, არ არის შემკული ყვავილწნულებით და ყელსაბმით, მარგალიტებით და ბრილიანტებით, და არც ოქროს სამკაულებით. და მაინც მას კისერზე უხილავი გირლანდა ჰკიდია –

მისი წარსული *კარმის* და დაგროვილი თვისებების, *სამსკარების* ტვირთი. ხოლო როდესაც ადამიანი კვდება, თან არაფერი მიაქვს, გარდა კეთილი და ბოროტი მოქმედებების შედეგებისა. ამრიგად, მუდამ თქვენი ულმობელი *კარმის* უხილავი გირლანდით ხართ შემკული, რომელიც მუდამ თან დაგყვებათ და გამძიმებთ. *კარმის* ტვირთის შემსუბუქება შეიძლება როგორც ღმერთის წყალობით, ასევე თქვენი სულის და უნივერსალური სულის ერთიანობის საკუთარი გაცნობიერებით. *კარმის* დამსხვრევა მხოლოდ *კარმით* შეიძლება.

ბჰაგავად გიტა ამაღლებული დარიგებების გამოულეველი განძია, რომლებსაც არაწარმავალი სულიერი ღირებულებები აქვს. ახალგაზრდა მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ ამ დარიგებებზე, უმზირონ და პრაქტიკაში დანერგონ ისინი. სულიერი აღორძინება უნდა შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში, ბჰარატაში. მიზანსწრაფვის და ზნეობრიობის უკმარისობა თანამედროვე მსოფლიოსთვის დამღუპველია. და მართლაც, „მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი“. მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ ფული მოდის და მიდის, ზნეობრიობა კი ჩნდება და იმატებს.

იმედი მაქვს, რომ გიტას ზოგიერთ კეთილშობილ სწავლებას მაინც მიჰყვებით და ზნეობრიობის და სრულყოფის გზას დაადგებით. ჩემი საუბრის დასასრულს გლოცავთ თქვენ.

თავი 11

ჯნიანა-იაჯნა

(მსხვერპლის შეწირვა ცოდნით)

სიყვარული *ბრაჰმანის* ფორმაა;
***ბრაჰმანი* ღვთაებრივი სიყვარულია.**
ადამიანური სიყვარულის
ღვთაებრივ სიყვარულთან შერწყმა
კოსმოსურ წესრიგს ქმნის.
ვინც სიყვარულითაა აღვსილი,
იგი ერთიანობას – *ადვაიტას* – აღწევს.

სიყვარულის განხორციელებანო!

ღვთაებრიობის გაცნობიერებისკენ სწრაფვისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გულის სიწმინდე – *ჩიტა-შუდჰი.* სუფთა და კარგად განათებულ ოთახში შხამიანი გველები და მორიელები

შესვლას ვერ გაბედავენ. ამის მსგავსად სისუფთავით და სიბრძნით აღჭურვილ გონებაში ვერ შევლენ სურვილი, მრისხანება, შური და სიძულვილი.

უმეცრებისგან გათავისუფლება სულაც არ არის ძნელი ამოცანა, როგორც, მაგალითად, შავი ნახშირის რეცხვით გათეთრების მცდელობა. ვინც უმეცრების წყვდიადის გაფანტვას ცდილობს, მან აუცილებლად სიბრძნეს, *ჯნიანას* უნდა მიაღწიოს. რამდენადაც წყვდიადის გაფანტვისათვის ლამპაა აუცილებელი, იმდენადვე აუცილებელ შხამსაწინააღმდეგოს სულიერი სიბრძნე, *ჯნიანა* წარმოადგენს. უმეცრება სპილენძის ჭურჭელზე ნაფიფქის მსგავსია, და მისი მოცილება შესაძლებელია. იგი ბრინჯის ჩენჩოს ჰგავს, რომლის მოცილებაც გალეწვით შეიძლება.

ეჭვებით და მერყეობით შეპყრობილ არჯუნას თავისი ჭეშმარიტი ბუნების გაცნობიერების თავი არ ჰქონდა. სულით დაცემულს კრიშნას ბრძანებების შესაბამისად მოქმედებაც კი არ შეეძლო. ამიტომ კრიშნა ცდილობდა მისთვის რწმენა და სიმამაცე ჩაენერგა. მან სულიერი სიბრძნის – *ჯნიანას* – წმინდა *იოგა* გაანდო არჯუნას. კრიშნა ეუბნებოდა: „არჯუნა, ყველა მოქმედებამ დასრულება *ჯნიანაში* უნდა იპოვოს, და ამიტომაც ყოველივე ის, რასაც ვაკეთებთ, პედანტური გულმოდგინებით უნდა სრულდებოდეს“.

სულიერი სიბრძნის დაუფლების მიზნით მრავალი ადამიანი მსხვერპლის შეწირვებს (*იაჯნებს* და *იაგებს*) ასრულებს, მაგრამ ამ რიტუალებიდან ზოგიერთი, *აშვამედჰა-იაგას*[19] და *რაჯასურია-იაგას*[20] მაგვარი, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის მეტისმეტად ძვირადღირებული და რთულია. ადამიანები ადათ-წესებს დროებითი შედეგებისთვისაც ასრულებენ. ეს ყველაფერი ნაკარნახევია *გუნადჰარმით* (*დჰარმით*, რომელიც მათს პირად საჭიროებებთან არის დაკავშირებული), და არა *სამაჯიკადჰარმით* (ღვთაებრივი კანონით).

ბევრი რამ შეიძლება მივაკუთვნოთ *ჯნიანას*. იგი განიხილება როგორც მსხვერპლი ან როგორც ასკეტიზმიც კი, რომელთა დახმარებითაც ადამიანები ღვთაებრივის მიღწევას ცდილობენ. *ჯნიანა-იაჯნას*, ცოდნით მსხვერპლის შეწირვის, შესრულება ყველას შეუძლია, სქესის, კასტის, რწმენის ან რელიგიური მრწამსის მიუხედავად. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მოქმედებას ღმერთისთვის ძღვნის

---

[19] *აშვამედჰა-იაგა* – ცხენის მსხვერპლად შეწირვის წეს-ჩვეულება, რომელსაც დიადი *რაჯა*-დამპყრობლები ატარებდნენ.

[20] *რაჯასურია-იაგა* – დიადი მსხვერპლის შეწირვა, რომელიც, როგორც წესი, მმართველი-*რაჯას* მეფედ კურთხევის დროს ტარდებოდა.

მიტანის ფორმით ასრულებს, რომ მისი გული მოიგოს, და ამასთან სულ ოდნავი სურვილიც კი არა აქვს ამის გამო რაიმე სარგებელი მიიღოს, *ჯნიანა-იაჯნას* ასრულებს. კრიშნა ამბობს: „ის, ვინც თავის ყველა მოქმედებაში *ბრაჰმანს* აცნობიერებს, ჭეშმარიტად *ჯნიანა-იაჯნას* ასრულებს“.

კრიშნამ არჯუნაში სიბრძნის, *ჯნიანას* ცეცხლი დაანთო. ლამპის დასანთებად აუცილებელია ჭურჭელი, ზეთი, პატრუქი და ცეცხლი. მაგრამ უმთავრესად უნდა იყოს ვინმე, ვისაც ლამპის დანთება შეეძლება. ამის მსგავსად იმისათვის, რომ ადამიანში სულიერი სიბრძნის, *ჯნიანას* ცეცხლი დაინთოს, მას თავის თავში უნდა ჰქონდეს *ვაირაგიას* (განდგომის) ჭურჭელი, *ბჰაქთის* (ერთგულების) ზეთი, *ინდრიია-ნიგრაჰის* (გრძნობების კონტროლის) პატრუქი და *ატმა-ვიჩარას* (თვითშემეცნების) ცეცხლი. „შენში ეს უმნიშვნელოვანესი თვისებები იმყოფება და ამიტომაც მე *ჯნიანას* ცეცხლს დავანთებ შენში“, - განუცხადა კრიშნამ არჯუნას.

კრიშნამ აუხსნა, რატომ არსებობს კასტური განსხვავებები და თქვა: „მე ოთხი *ვარნა* იმისათვის შევქმენი, რომ ხელი შემეწყო ინდივიდუალური *დჰარმისთვის* (*სვადჰარმისთვის*), საზოგადოებრივი *დჰარმისთვის* (*სამაჯიკადჰარმისთვის*), სამყაროებრივი *დჰარმისთვის* (*ვიშვადჰარმისთვის*) და ღვთაებრივი *დჰარმისთვის* (*იშვარადჰარმისთვის*), რომ ისინი ამქვეყნად მუდამ ყოფილიყო და რომ სიბრძნის, *ჯნიანას* ცეცხლი მუდამ იყოს დანთებული“.

ოთხი *ვარნა* ეს არის *ბრაჰმანები, ქშატრიები, ვაიშიები* და *შუდრები.* „პურუშა-სუკთის“, ვედური ჰიმნის (კოსმოსური პიროვნების სადიდებლის) ნაწყვეტებში სხვადასხვა კასტები აღწერილია როგორც უფლის სხეულის სხვადასხვა ნაწილები. *ბრაჰმანები* – ქურუმები, რომლებიც ვედებს და შასტრებს თაყვანს სცემენ როგორც მარად ცოცხალ და უჭკნობ ჭეშმარიტებებს და როგორც გზებს, რომლებზეც კაცობრიობა უნდა ვითარდებოდეს, ბრაჰმას სახეს არიან მიმსგავსებულნი. *ქშატრიები* – მმართველები, მეომრები, რომლებიც ქვეყნის საკეთილდღეოდ თავის სხეულებს სწირავენ და ფიზიკურ სიმამაცეს სახელმწიფოს კულტურული და ტერიტორიალური ერთიანობის შენარჩუნებისთვის იყენებენ, ბრაჰმას მხრებს არიან მიმსგავსებულნი. შეძლებული ვაჭრები, *ვაიშიები,* რომლებიც ქველმოქმედებას ეწევიან და თავის სიმდიდრეს არიგებენ, ბრაჰმას ბარძაყებს არიან მიმსგავსებულნი. ბრაჰმას ტერფები კი მსახურები, *შუდრები* არიან, რომლებიც მარცვლეულის მოყვანით არიან დაკავებულნი, რაც საკვების მომზადებისთვისაა აუცილებელი.

სხეულის ყოველი ორგანო სხეულის სხვა ნაწილებთან უნისონში მუშაობს და მასზე დაკისრებულ ფუნქციებს უნაკლოდ ასრულებს. თუ სხეულის რომელიღაც ორგანოს უცებ რაღაცა დაემართა, ამ უბედურებას დანარჩენი ორგანოები გაიზიარებენ, წინ წამოიწევენ, რომ დაზარალებული უბნის ტკივილი შეამცირონ.

ამის ილუსტრირება პატარა მაგალითით შეიძლება. ადამიანი ბილიკზე მიდის, და მისი თვალები ეკალს ამჩნევს. შინაგანი კავშირის სისტემის წყალობით, რომელიც სახეზე მდებარე თვალსა და დაბლა მდებარე ტერფს შორის არსებობს, ტეფმა შეძლო ეკლისთვის თავი აერიდებინა. ეკალი რომ ტერფს შესობოდა, მაშინ მის ტკივილს თვალი გაიზიარებდა და თანაგრძნობის ცრემლებს დაღვრიდა.

სეთივე სახით ადამიანთა სხვადასხვა კასტებსაც მართებთ სრულ თანხმობაში იმუშაონ და ერთმანეთის სიხარული და მწუხარება გაიზიარონ. ადამიანთა საზოგადოებაში *ჰარმის* განმტკიცების და დაცვისთვის ურთიერთსიყვარულის და ერთიანობის სულისკვეთებაა აუცილებელი. ადამიანის სხეულში ერთი და იგივე გული ყველა ორგანოს აძლევს სიცოცხლეს: თავს, ხელებს, ბარძაყებს და ტერფებს, მათში ერთი და იგივე სისხლი ჩქეფს. ამ თვალსაზრისით ადამიანის სხეულის ოთხი ნაწილი ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება. ასეთივე სახით ოთხი *ვარნის* წარმომადგენლებს – *ბრაჰმანებს, ქშატრიებს, ვაიშიებს* და *შუდრებს* იმის შესახებ უნდა ახსოვდეთ, რომ ყოველ მათგანს ერთი და იგივე ღვთაებრივი ძალა მიმართავს, და რომ კასტური უთანხმოების საბაბს არ უნდა იძლეოდნენ. მაგრამ გასულ საუკუნეებში ვარნების შექმნის იდუმალი აზრი დავიწყებას მიეცა, თვითონ კასტური სისტემა კი სექტანტურ უთანხმოებათა წყარო გახდა და საზოგადოებაში დისჰარმონიის მიზეზი გახდა.

სიბრძნე შეიძლება შევადაროთ ნავს, რომელსაც შეუძლია ადამიანი ამქვეყნიური არსებობის – *სამსარის* - მღელვარე წყლებზე გადაიყვანოს. სიბრძნე შეიძლება ცეცხლსაც შევადაროთ, რომელიც ადამიანური ბუნებისთვის დამახასიათებელ ყველა ილუზიას, უსუფთაობას და სისუსტეს წვავს.

მოდით განვიხილოთ ურთიერთკავშირი, რომელიც ცეცხლსა და ჩვენს საკვებს შორის არსებობს. ბოლი ცეცხლით არის გამოწვეული, ღრუბლები ბოლთანაა დაკავშირებული, წვიმა ღრუბლებიდან ჩნდება, წვიმაზე მოსავალია დამოკიდებული, საკვები კი მოსავალზეა დამოკიდებული. ამის შემდეგ კი ჩვენი გონების თვისებები და მისი სამყაროსთან დამოკიდებულება განისაზღვრება ჩვენ მიერ მიღებული საკვებით.

სიბრძნე მახვილსაც შეიძლება შევადაროთ. ჩვენს გულებში ისეთი გრძნობები იდგამს ფესვებს, როგორიცაა სურვილი, ვნება, მრისხანება, სიამაყე და შური. ცუდი თვისებები მძლავრი ხეების ზომებს იღებს და ფესვებით ჩვენში დაფარულ ადამიანობას შლის. სიბრძნე კი მახვილია, რომლის დახმარებითაც ეს გარეული ტევრნარი უნდა ავჩეხოთ და მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება დავიწყოთ.

ბჰაგავად გიტას მეოთხე თავში კრიშნა ოთხი *ვარნის* დამყარებას განმარტავს და სულიერი სიბრძნის *იოგას*, *ჯნიანა-იოგას* აღწერს. კრიშნა ხაზს უსვამს იმას, რომ თუ ადამიანი *ჯნიანა-იაჯნას* (ცოდნით მსხვერპლის შეწირვას) ასრულებს, მაშინ სხვა არავითარი მსხვერპლის საჭიროება აღარ არსებობს. კრიშნა არჯუნას არწმუნებს თავისი ყველა მოქმედება უფალს მიუძღვნას და ასეთი გზით მთელი კაცობრიობის ერთიანობა გააცნობიეროს. *იაჯნა* არის ადამიანის მფლობელობაში მყოფი ყველა ძალის უფლისთვის მიძღვნა. *იაჯნა* გამოუკლებლივ ყველას მიერ შეიძლება განხორციელდეს: მამაკაცების და ქალების, ბავშვების და ასაკოვნების, მდიდრების და ღარიბების მიერ. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მოქმედებებს უფლისთვის მიძღვნის სულისკვეთებით ასრულებს, *ჯნიანა-იაჯნას* ასრულებს. მისი შესრულებისთვის საჭირო არ არის ფული და განსაკუთრებული ატრიბუტები. უპირველესი და აუცილებელი პირობაა სათნოება, და მაშინ ჩვენი გული გახდება საკურთხეველი, ჩვენი აზრები – ძღვენი უფლისთვის, სიხარული კი საბოლოო ჯილდო იქნება. ამ სულისკვეთებით მოქმედებების შესრულება იმისთვისაა აუცილებელი, რომ უმაღლესი სიხარული მივიღოთ: ცხოვრების სიხარული, სულის სიხარული, ღვთაებრივი სიხარული. *ჯნიანა-იაჯნა* წარმოადგენს მოქმედებების შესრულებას მიბმულობისა და ეგოს გარეშე. საკუთარი „მე“-ს გაცნობიერების შემდეგ ცხოვრების მისწრაფება სწორედ *ჯნიანა-იაჯნას* არსს შეადგენს.

ვინ ხარ შენ? საიდან მოხვედი? და სად მიდიხარ? ჩვენ არაშესაშურ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რადგან ამ კითხვებზე პასუხები არ გვაქვს, მხოლოდ დაუსრულებლად ვამტკიცებთ „ჩემი“ და „შენი“. დაბადებამდე სად იყავი და სიკვდილის შემდეგ სად წახვალ? ვინ არიან შენი შვილები და შენი მეგობრები? სინამდვილეში ადამიანს ისეთი არაფერი აქვს, თავისად წოდება რომ შეეძლოს. მსგავსი ურთიერთდამოკიდებულებები ეგოისტური მიბმულობებიდან ჩნდება და მუდმივ კავშირებს არ ასახავს. „გააცნობიერე ეს ჭეშმარიტება, - არწმუნებდა კრიშნა არჯუნას, - ნუ ემორჩილები სისუსტეს და ილუზიას, რომლებსაც უმეცრება ბადავს. სულიერ სისუსტეში ნუ

ვარდები, როდესაც ამ ადამიანებს „მამებს“, „ბიძებს“, „მასწავლებლებს“ და „მეგობრებს“ უწოდებ“. მოგვიანებით კრიშნამ კიდევ ერთხელ გაუსვა ამას ხაზი როცა თქვა: „არჯუნა! შენ არ ხარ მკვლელი, და ეს ადამიანები მოკლულნი არ იქნებიან. მათი სხეულები უბრალო სამოსლის როლს თამაშობენ. ხომ არავის გული არ სწყდება, როცა ძველ და ჭუჭყიან ტანსაცმელს ყრის. ყველა ეს სხეული გაცვეთილ და უვარგის ტანსაცმელს ჰგავს“.

მაგრამ არჯუნას ჯერ კიდევ ეჭვები აწუხებდა: „შესაძლოა სწორეც იყოს გაცვეთილ ტანსაცმელს იმ ადამიანთა სხეულების შედარება, რომელთა ასაკიც ოთხმოცი ან ასი წელია, მაგრამ როგორ შეიძლება გაცვეთილ ტანსაცმელს შევადაროთ იმათი სხეულები, რომლებსაც სულ რაღაც ხუთი ან ათი წელი შეუსრულდათ?“ ამაზე კრიშნამ უპასუხა: „შენ არ გაქვს უფლებამოსილება გადაწყვიტო, ვინ მოხუცია, ვინ ახალგაზრდა. გარჩევის ასეთი უნარი შენში ჯერ არ განვითარებულა“.

ეს საკითხი პატარა მაგალითით განვმარტოთ. ათი წლის წინ თქვენ ქსოვილის ნაჭერი იყიდეთ, შეინახეთ და დაივიწყეთ. და აი ახლა სკივრს ხსნით, და ქსოვილი უცებ თქვენს ყურადღებას იპყრობს. დაუყოვნებლივ მიგაქვთ იგი მკერავთან და პალტოს იკერავთ. ახალ პალტოს იცვამთ და სიხარულს განიცდით. მაგრამ როდესაც წინ იხრებით, პალტო მოულოდნელად იხევა. თქვენთვის, რა თქმა უნდა, დასანანია, რომ ახალი პალტო დაიხა. მართალია, პალტო ახალია, მაგრამ ქსოვილი ძველია. ამის მსგავსად ახალგაზრდა ადამიანთა სხეულებიც შეიძლება ახლად და ქორფად მოჩანდეს, თუმცა ისინი შეიძლება ძველი მასალისგან იყოს შედგენილი, რომელიც გასული ცხოვრებების განმავლობაში გაცვდა. და როგორც ტანსაცმელი წარმოადგენს სხეულის საფარს, ასევე სხეულიც წარმოადგენს სულის სამოსელს. ამიტომაც ამსგავსებს კრიშნა ერთმანეთს სხეულს და ტანსაცმელს, რომელიც ჭუჭყიანდება, ცვდება, იხევა, და, ბოლოს, ფერფლად იქცევა. „სიკვდილი ახალი ცხოვრებისთვის ტანისამოსის გამოცვლის დრო“, - გამოაცხადა უფალმა კრიშნამ. სიკვდილის დროს ერთ ტანსაცმელს ვაგდებთ და მეორეს ვიცვამთ. ხომ არავინ წუხს, როცა მას უხსნიან, რომ ცეცხლი ცხელია, ყინული კი ცივია; ეს სრულიად ბუნებრივია. ასეთივე სახით სხეულისთვის, რომელიც დაბადებულია, სიკვდილი ბუნებრივია, და ამის გამო გლოვის გამოხატვა აშკარა უმეცრების გამოვლენაა. ასეთი უმეცრების თავიდან მოცილებისთვის თვითშემეცნებაა აუცილებელი. და ყოველი ადამიანის ვალია ცოდნა შეიძინოს თავის თავზე, ცხოვრებაში თავისი ჭეშმარიტი

დანიშნულება გააცნობიეროს და ცდილობდეს ღვთაებრიობის სიწმინდეს შეერწყას. აი როგორ უქადაგებდა კრიშნა არჯუნას *ჯნიანა-იაჯნას*, ცოდნით მსხვერპლის შეწირვის ამაღლებულ სიბრძნეს და სიწმინდეს. კრიშნა არჯუნას არიგებდა, რომ დაერწმუნებინა ბოლოს და ბოლოს ემოქმედა და ბრძოლა დაეწყო.

„არჯუნა! ნუ ფიქრობ, რომ შენს ნათესავებს და მეგობრებს ებრძვი. ჩათვალე, რომ შენს მანკიერ მიდრეკილებებს ებრძვი. ისინი საკუთარი მეგობრების სახით შენში აღწევენ, შემდეგ კი მტრებივით გაწვალებენ. და ამიტომ კარგ თვისებებზე დაყრდნობით შენს ცუდ თვისებებს უნდა ებრძოლო. იბრძოლე და მუდამ ჩემზე იფიქრე“, - რჩევას აძლევდა კრიშნა არჯუნას.

თავი 12
„შრადჰავან ლაბჰატე ჯნიანამ“
(მხოლოდ შეუპოვრობით
შეიძინება სიბრძნე)

შეიძლება უამრავი წიგნი წაიკითხო, ძირფესვიანად შეისწავლო შასტრები, სრულყოფილად დაეუფლო ყველაზე ძნელ საგანს და, ბუნებრივია, ღრმა ყოველმხრივი ცოდნით იამაყებ.
მაგრამ მთელი შენი მაღალი ერუდიცია უსარგებლო აღმოჩნდება, თუ პატივისცემით ხელისგულებს ერთმანეთს არ მიაწყობ და თაყვანს არ სცემ უმაღლეს სულს, *პარამატმანს*. მთელი შენი ცოდნა უსარგებლოა, თუკი შენში ერთგულება არ არის. ო, ადამიანო, მთელი შენი საერო განათლება აბსოლუტურად ამაოა.

სიყვარულის განხორციელებანო!

სულიერების *დჰარმა* (*ადჰიატმიკა-დჰარმა*) უძრაობასა და ინერტულობაში გაიყინა. ამიტომ საჭიროა მისი გამოცოცხლება, დამუხტვა და მისთვის ახალი დინამიზმის მიცემა. სულიერების დაუჭკნობელი ფილოსოფიის აღდგენაში ძირითადი როლი ჩვენმა ახალგაზრდა სტუდენტებმა უნდა ითამაშონ.

ინდური სულიერების თვალსაზრისით ჩვენ არ ვმოძრაობთ სიცრუიდან ჭეშმარიტებისკენ ან არარეალობიდან რეალობისკენ. შეუძლებელია ჭეშმარიტების გამოყვანა სიცრუიდან. სულიერება რეალობის იერარქიული კიბეა. რეალობის დაბალი საფეხურიდან

უმაღლეს საფეხურზე უნდა ავიდეთ. სულიერი რეალობის უმაღლეს საფეხურს აბსოლუტური ჭეშმარიტება წარმოადგენს.

ინდოელებმა სულიერების *დჰარმა* უხსოვარი დროიდან მიიღეს მემკვიდრეობით. მაგრამ სულიერი *დჰარმა* მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საზღვრებით არ შემოიფარგლება. იგი მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი და უნივერსალურია. ყოველ ადამიანურ არსებას აქვს უფლება ამ სულიერი წყაროდან სვას. და ეს ჩვენი უბედურებაა, რომ ვერ ვაცნობიერებთ ჩვენს სულიერ მემკვიდრეობას. სულიერება ცალკეული ქვეყნის პროგრამატივას არ წარმოადგენს, იგი ქარის მსგავსია, რომლის შეკავებაც რაიმე გარკვეულ ადგილას შეუძლებელია. დაე სულიერების ქარმა მთელ მსოფლიოში იქროლოს.

ჩვეულებრივი ადამიანი სრულიად დამონებულია თავისი ბუნებრივი თვისებების, *გუნების* მიერ. მას კი მართებს თავისი *გუნების* ზღვრებიდან გამოვიდეს და საკუთარი თავი ღვთაებრივ არსებად აქციოს. მან როგორც ასეთი „სულიერი გარდაქმნა“ უნდა განიცადოს. ადამიანის გასულიერება ან გაღმერთება გიტას უმაღლესი მიზანია. შეგვიძლია მარადიული ჭეშმარიტებები აღვადგინოთ და ახლად ჩავუდგათ სული ჩვენი უძველესი კულტურის ტრადიციულ ღირებულებებს. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საზოგადოებას წმინდა საფუძველზე ავაშენებთ.

ადამიანთა საზოგადოება ყოველთვის სხვადასხვა კლასების ერთობლიობას წარმოადგენდა. სიტყვა „საზოგადოება“ დღეს არასწორი აზრით იხმარება, ნამდვილი საზოგადოება უანგარო ადამიანთა ერთობლიობაა. იდეალურ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ღირებულებათა სკალა და მორალური წესების კრებული, რომლებიც მის ყოველ წევრზე ვრცელდება. მართლქმედება, *დჰარმა*, ვერ აყვავდება იმ საზოგადოებაში, სადაც ანგარებიანი ინტერესები და მტაცებლური კონკურენციაა გაბატონებული. უზნეობით, *ადჰარმით* დასნეულებული საზოგადოება მთელ ქვეყანას გარყვნის.

ადამიანი იზოლირებული კუნძული არ არის. წარმოადგენს რა საზოგადოებრივ არსებას, იგი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. მაგრამ ადამიანს ასევე არ შეუძლია არსებობა ყოვლისშემძლის, იშვარას გარეშე. იმისათვის, რომ შეძლოს ღვთაებრივ არსებად იქცეს, ადამიანმა უნდა სამყარო გაასულიეროს, საზოგადოება კი გააღმერთოს.

კრიშნა არჯუნას არწმუნებდა ებრძოლა იმ სამყაროს მშენებლობისთვის, სადაც ღმერთი ცენტრალურ ადგილს დაიჭერდა. „ადამიანთა მიზნები და მისწრაფებები განსხვავებულია. ჩემი წყალობა

რომ მოიპოვონ, ისინი სხვადსხვა გზას ადგებიან. მე ადამიანებს მათ მიერ არჩეულ გზაზე მივმართავ, მათ სურვილებს ვასრულებ და სხვადასხვა სასიცოცხლო მიზნებისკენ მიმყავს ისინი“, - ამბობდა კრიშნა და არჯუნას წინაშე თავის ღვთაებრიობას ხსნიდა.

სხვადასხვა ხარისხის პატივისცემის აღსანიშნავად, რომელიც თაყვანისცემებშია გამოხატული, არსებობს სამი სიტყვა, კერძოდ: „*პატა*“, „*ნიპატა*“ და „*პრანიპატა*“. „*პატა*“ ნიშნავს „უბრალო თავის დაკვრას“, „*ნიპატა*“ შეესაბამება ოდნავ მუხლის მოყრას, „*პრანიპატა*“ კი ნიშნავს „სრულ თაყვანისცემას“. სხვა სიტყვებით, *პატა* არის პატივისცემის გამოხატვა თავის დაკვრის საშუალებით, *ნიპატა* ნიშნავს უფლის ლოტოსის ტერფებს თავით შეხებას, *პრანიპატა* კი შეესაბამება პოზას, როდესაც ადამიანი უფლის წინ არის გართხმული, ანუ როდესაც ის *საშტანგა-ნამასკარს* ასრულებს. ასეთი სიმბოლური რიტუალი სრული თვითგანდგომის (*შარანაგატი-ტატვას*) თვით არსს გამოხატავს, იგი საკუთარ თავში ეგოს სრულ მოსპობას გამოსახავს. სრული თაყვანისცემის, *პრანიპატის* მიზანს ეგოიზმის კვალის მოსპობა წარმოადგენს.

იმისთვის, ვინც სულიერებისკენ ისწრაფის, მასში დაფარული *ატმანის* ხედვა მანამადე არ იქნება გახსნილი, სანამ მასში ეგო აგრძელებს არსებობას. მხოლოდ ეგოიზმზე უარის თქმის შემთხვევაში შეძლებს იგი *დჰარმის* შინაგან აზრში სრულად ჩაწვდომას.

შრადჰა არის გულწრფელობა, შეუპოვრობა, გამბედაობა და სიმტკიცე. მაგრამ მხოლოდ *შრადჰა* საკმარისი არ არის. საჭიროა მისი *ნისამშაიით*, ანუ ეჭვებისა და სკეპტიციზმის არარსებობით გამაგრება. *შრადჰა* და *ნისამშაიია* ცხოვრების მდინარის ორ ნაპირს ჰგავს. სხვა სიტყვებით, დაჟინებულობისა და რწმენის გარეშე სულიერი პროგრესის მიღწევა შეუძლებელია.

განგა, იამუნა და სარასვატი ჩვენი ქვეყნის სამი წმინდა მდინარეა. ისინი სათავეს ჰიმალაებში იღებენ და უსაზღვრო ოკეანისკენ მიაქვთ წყლები. ამ სწრაფი მდინარეების ნაპირები ჯებირებითაა გამაგრებული, მათ გარეშე ეს მდინარეები მთელ ქვეყანას წალეკავდა. მდინარეს მაგარი ნაპირები უნდა ჰქონდეს იმისათვის, რომ წყლის ნაკადი შეაკავოს. ასევე ადამიანის ცხოვრებაც მდინარის დინებას ჰგავს, რომლის ნაპირებსაც *შრადჰა*, დაჟინებულობა, და *ნისამშაია*, რწმენა წარმოადგენს. მოძრაობს რა ამ ნაპირთა (*შრადჰას* და *ნისამშაიას*) გასწვრივ, ადამიანის ცხოვრების ნაკადი ღვთაებრივი წყალობის (*ანუგრაჰას*) ვრცელ ოკეანეს ერთვის. დაჟინებულობა და რწმენა ჩვენი ცხოვრების თვით სუნთქვაა. მათ გარეშე კაცობრიობა ერთ წუთსაც კი

ვერ იარსებებდა. დაჟინებულობა და რწმენა ორი თვალია ადამიანის ცხოვრების ეტლისა, რომელიც ღვთის უსაზღვრო წყალობის უძირო ოკეანისაკენ უნდა ისწრაფოდეს.

თაყვანისმცემელთა ოთხი ტიპი სცემს ღმერთს თაყვანს: *ართჰა, ართართჰი, ჯიჯნიასუ* და *ჯნიანი.* ღმერთს უყვარს ისინი და მათი აზრების და თვისებების შესაბამისად აძლევს სიკეთეს.

ართჰა ტანჯვების დროს მიმართავს ღმერთს, იგი ევედრება, რომ უსიამოვნებებისგან, სიძნელეებისგან გამოცდებისა და უბედურებებისგან იხსნას იგი, რასაც გარემომცველი სამყაროდან იღებს. ღმერთი ასეთ ადამიანს ავადმყოფობებისგან და მწუხარებისგან იცავს და ამქვეყნიურ ბედნიერებას აძლევს. მაგრამ როგორც კი *ართჰას* ტანჯვები წყდება, იგი ღმერთთან ურთიერთობას წყვეტს.

ართჰართჰას უწოდებენ იმ თაყვანისმცემელს, რომელიც ღმერთს ძალას, სიმდიდრეს და აყვავებას სთხოვს. მაგრამ *ართჰართჰაც* ხდება ეგოისტი, როგორც კი მისი სურვილები სრულდება. და თუ მისი პრეტენზიები არ კმაყოფილდება, იგი ღმერთს კაცობრიობის კეთილდღეობის მიმართ გულგრილობაში დებს ბრალს. თუ *ართჰართჰას* ლოცვები უპასუხოდ რჩება, იგი განაწყენებული აგნოსტიკი[21] ხდება.

თაყვანისმცემელ-*ჯიჯნიასუს* სურს ღმერთის საიდუმლოს ჩასწვდეს და სამყაროს გამოცანა გახსნას. იგი კითხულობს, სწავლობს და იკვლევს. არსებობის საიდუმლოს ამოხსნის მიზნის მიღწევას *ჯიჯნიასუ* თავისი შეზღუდული გონებით ცდილობს. მაგრამ მისი დაუძლურებული ინტელექტუალური ძალისხმევა დამარცხებისთვის არის განწირული. როდესაც *ჯიჯნიასუს* ყველა მცდელობა კრახს განიცდის, იგი სრულიად გულგრილი, უხალისო და აპათიური ადამიანი ხდება. მაგრამ თუ *ჯიჯნიასუ* წარუმატებლობებს არ უშინდება, ძიებებში უდრეკია, და გონებას ერთ სანუკვარ მიზანზე კრებავს, მაშინ ღვთის უსაზღვრო წყალობას იძენს.

ღმერთის ერთადერთ თაყვანისმცემელს, რომელიც სულიერების მწვერვალს აღწევს, *ჯნიანი* წარმოადგენს, იგი სიბრძნის უმაღლეს პიკს აღწევს. მხოლოდ *ჯნიანის* აქვს უნარი ღმერთს მიაღწიოს და ჩასწვდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა თაყვანისმცემლებს ამის უნარი არ აქვთ. მათაც შეუძლიათ ღმერთს ჩასწვდნენ, თუკი მთელ თავის მოქმედებებს მას მიუძღვნიან თვითგანდგომის სრული სულისკვეთებით.

---

[21] აგნოსტიკი – აგნოსტიციზმის მომხრე (ბერძ. *აგნოსტოს* – შეუცნობადი) – ფილოსოფიური სწავლებისა, რომელიც გონებით იმის შეცნობის შესაძლებლობას უარყოფს, რისი გრძნობით და მეცნიერულ გამოცდილებაში წარმოდგენაც შეუძლებელია.

საკუთარ თავში დაბალ „მე“-ზე გამარჯვება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა საღმრთო წერილების ზეპირად შესწავლა.

ეს ღმერთის გაცნობიერების ყველაზე იოლი გზაა. ყოველი ქცევა უნდა განიხილებოდეს როგორც წმინდა მსხვერპლი. *ჯნიანისთვის* მედიტაცია, *იოგა*, წეს-ჩვეულებები და რიტუალები უკვე არავითარ ღირებულებებს არ წარმოადგენს. მიანდობს რა ღმერთს სრულად თავს, *ჯნიანი* მთელ თავის მოქმედებებს და მთელ თავის ცხოვრებას მას უძღვნის და მათს შედეგებზე მიუბმელი რჩება.

გურუ სულიერი დამრიგებელია, რომელიც თავის მოწაფეს სიბრძნეს გადასცემს. ამით *გურუს* ვალდებულებები იწურება. მასწავლებლისგან სულიერი სიბრძნის აღქმა და მასზე რეაგირება კი მოწაფის ვალდებულებაა. მოწაფემ ცხოვებაში უნდა დანერგოს ის, რაც *გურუსაგან* ისწავლა. *გურუ* მაჩვენებელს ჰგავს გზატკეცილზე, იგი მოწაფეს მიმართულებას უჩვენებს. მაჩვენებელიც ხომ მხოლოდ გზის არჩევაში ეხმარება, რომელსაც უნდა მიჰყვეს, და არაფერს ეუბნება არც დაღმართის, არც აღმართის, არც ჩავარდნილი ადგილების შესახებ, რომლებიც გზაზე შეიძლება შეხვდეს. ეს უკვე მოგზაურის ვალდებულებაა – ჩავარდნილ ადგილებს და სხვა დაბრკოლებებს მოერიდოს. ამგვარადვე *გურუც* იმას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ მიმართოს, მოწაფე კი სიბრძნის მწვერვალისკენ მიმავალ მთის ბილიკზე თვითონ უნდა გაუმკლავდეს ყველა დაბრკოლებას. სულიერი გზის ყველა ცვალებადობა მან თავის თავზე უნდა გამოსცადოს.

საკუთარი შინაგანი არსის გაცნობიერების უუნარობა – აი მთავარი მიზეზი იმისა, რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს ჩასწვდნენ გიტას ჭეშმარიტ აზრს და მის მნიშვნელობას ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ადამიანები, რომლებმაც უტყუარი სულიერი გამოცდილება შეიძინეს, უკიდურესად ცოტანი არიან. როგორც ღმერთის წმინდა გამჟღავნება უნდა განვიხილოთ სამყაროს ხუთი პირველელემენტი (*პანჩაბჰუტა*), ადამიანის სხეულის ხუთი გარსი (*პანჩაკოშა*) და მისი ხუთი სასიცოცხლო სუნთქვა (*პანჩაპრანა*).

„*ნიმიტა მატრამბჰავა სავიაშაჩი*“ (არჯუნა, შენ მხოლოდ ინსტრუმენტი ხარ ჩემი გზავნილის გავრცელების საქმეში, მხოლოდ იარაღი ხარ ჩემს ხელში), - განუცხადა კრიშნამ არჯუნას.

სვადჰარმასაც (ინდივიდუალურ *დჰარმას*) კი შეეხო ადამიანის ბუნებრივი თვისებები, *გუნები*. ადამიანის ცხოვრება იმართება ინსტიქტური სურვილებით - დაკმაყოფილება მოჰგვაროს თავის თავს.

მაგრამ თვითდაკმაყოფილებას სულიერი დაუკმაყოფილებლობა სდევს თან. ადამიანი, რასაც არ უნდა აკეთებდეს, თავის ეგოისტურ ინტერესებს არასოდეს ივიწყებს. თვითდაკმაყოფილების მისწრაფებიდან იქმნება განხორციელებული სულიც, და ეგოს გრძნობაც. აი რატომაა აუცილებელი საკუთარი დაბალი „მე“-ს შეზღუდვა ანდა მოსპობა.

ოთხი ადამიანური *ვარნა* დაფუძნებულია *გუნებზე*, ანუ ბუნების, *პრაკრიტის* თავდაპირველ თვისებებზე. ადამიანის სხეულში თავი, მხრები, თეძოები და ტერფები ერთმანეთზეა დამოკიდებული. თავი სიმბოლიზირებს ქურუმებს (*ბრაჰმანებს*), მხრები – მეომრებს და მმართველებს (*ქშატრიებს*), თეძოები – ვაჭრებს (*ვაიშიებს*), ტერფები კი – მსახურებს (*შუდრებს*).

ერთ ვედურ *პანდიტს*[22] სამი ვაჟი ჰყავდა. პირველი ვაჟი იყო ფერმერი, მეორე – მეომარი, მესამე კი – ვაჭარი. ასე განისაზღვრებოდა ერთსა და იმავე ოჯახში მამის და მისი სამი ვაჟის მიერ არჩეული პროფესიები მათი ბუნებრივი თვისებებით და ქცევებით. ისინი ვედური სწავლულის ოჯახს განეკუთვნებოდნენ, ერთად ცხოვრობდნენ და ერთმანეთზე იყვნენ დამოკიდებულნი. ასევე ერთად უნდა იცხოვრონ ყველა კასტის ადამიანებმაც, შეთანხმებულად ასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. ისინი ერთად უნდა შრომობდნენ თავისი ქვეყნის სასიკეთოდ და აყვავებისთვის. გიტას გზავნილის არსი ყველა კასტის თანაარსებობაა ჰარმონიის და საერთო კეთილდღეობის სულისკვეთებით.

ახალგაზრდებო, როდესაც უხუცესებს ესალმებით, რატომ ეხებით მათს ტერფებს? თქვენ არ ეხებით მათს სახეებს ან ხელებს. უეჭველია, რომ ტერფები უაღრესად წმინდაა. როდესაც წმინდანი ადამიანების ტერფებს ეხებით, უნარი გაქვთ უმაღლეს სულს, *პარამატმანს* მიაღწიოთ. თავის განდიდება და ტერფების უარყოფა კი შეცდომა იქნებოდა.

ადამიანის გონება დინამიურ წონასწორობას ინარჩუნებს მისი სამი ბუნებრივი თვისების (*გუნას*) - *სატვას, რაჯასის* და *ტამასის* (სიდინჯის, ენერგიის და ინერტულობის) – წყალობით. ეს *გუნები* მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენს, რომელთა წყაროც იშვარაა, ის, ვინც არა მხოლოდ ტრანსცენდენტურია, არამედ ასევე იმანენტურიც და ყველგან მსუფევია.

[22] ვედური *პანდიტი* – სწავლული-ღვთისმეტყველი, ვედების მცოდნე.

თავი 13

კარმა-იოგა

(მოქმედების იოგა)

ადამიანი აღჭურვილია უმნიშვნელოვანესი უფლებით – მოქმედების უფლებით, მაგრამ მას ჯილდოს თხოვნის უფლება არ აქვს. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ადამიანს მისცეს მისი ძალისხმევის შედეგები.

ღვთაებრივი *ატმანის* განხორციელებანო!

ყოველდღიურად დილიდან საღამომდე საკუთარ ცხოვრებას მხოლოდ იმაზე ხარჯავთ, რომ არსებობის საშუალება იშოვოთ. მაგრამ დიდი ბედნიერება შეიძინეთ, როცა თქვენი განათლება და უნარი მხოლოდ იმისთვის გამოიყენეთ, რომ მუცელი ამოივსოთ, ამასთან ლოტოსისთვალება უფალი დაივიწყეთ? ადამიანებო! გამოფხიზლდით! ღრმად დაფიქრდით ამაზე.

სიყვარულის განხორციელებანო!

უხსოვარი დროიდან ბჰარატა თავისი სულიერი ძალის საშუალებით უცვლელ სიმშვიდეს და ბედნიერებას ჩუქნის მთელ კაცობრიობას. იდეა „დაე ბედნიერი იყოს ყველა არსება ყველა სამყაროში!“ (*ლოკა სამასთჰა სუქჰინო ბჰავანტუ*) – აი რას წარმოადგენდა ბჰარატას წმინდა *დჰარმის* მიზანს. იმისათვის, რომ ეს იდეალი შეენარჩუნებინათ და დაეცვათ, ძველ დროში მეფეები, წმინდანები, ბრძენები და სწავლულები, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, ყველაფერს სწირავდნენ და მისაბაძ ცხოვრებას ეწეოდნენ.

მსხვერპლის შეწირვა (*ტიაგა*) სულიერი ცხოვრების თვით არსს წარმოადგენს. მსხვერპლის გაღების უნარი ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს. და თუ ადამიანს არ სურს კიდეც მსხვერპლი გაიღოს, თვითონ ბუნება აიძულებს ამას. ამიტომ მართებს მას მსხვერპლი გაიღოს მანამადე, სანამ ამას გარემოებები არ აიძულებს.

თავის გზავნილში, ბჰაგავად გიტაში, უფალი კრიშნა ხაზს უსვამს იმას, რომ ვინც მსხვერპლის გაღების გზას მიჰყვება, მისთვის აუცილებელ პირობას გულის სიწმინდე წარმოადგენს. რა არის მსხვერპლი? რაზე უნდა თქვას ადამიანმა უარი? იქნებ თავის დროებით სიმდიდრეზე? იქნებ მსხვერპლი ნიშნავს მამაკაცის ცოლთან და შვილებთან დაშორებას? არა, ეს ყველაფერი მხოლოდ ადამიანის გარემოცვას ეხება, იმას, რაც მის გარე ცხოვრებას განაპირობებს. მსხვერპლის შეწირვა ნიშნავს განუდგე გრძნობით სურვილებს (*კამას*),

მრისხანებას (*კროდჰას*) და სიხარბეს (*ლობჰას*). ჩვეულებრივად ადამიანი, ვერ აცნობიერებს რა თავის ჭეშმარიტ ბუნებას, თავის თავს იმასთან კი არ აიგივებს, რაც მის უკვდავ არსს წარმოადგენს, ანუ *ატმანთან*, არამედ *ანატმანთან*. მაგრამ წყლიან დოქში ცის ანარეკლი იმავე წამს გაქრება, როგორც კი წყალს გადაღვრით. ასეთივე სახით როგორც კი იმ ყველაფრის წარმავალ ბუნებას გააცნობიერებთ, რაც *ატმანს* არ წარმოადგენს, და გაიგებთ, რომ ეფემერული არსებობა ამქვეყნიური სურვილებით (წყლით) განისაზღვრება, და ამ სურვილებზე უარს იტყვით, მაშინვე ძალიან ახლოს მიხვალთ *ატმანთან*. ღვთაებრიობას მანამადე ვერ მიაღწევთ, სანამ სურვილებს, მრისხანებას, კრიჟანგობას და სიხარბეს არ გასწირავთ.

გრძნობითი სურვილი გიბიძგებთ საზოგადოების მიერ დადგენილი ქცევის წესების წინააღმდეგ იაროთ საკუთარი ღირსების და რეპუტაციის დაკარგვის ფასადაც კი. იგი გაიძულებთ ეგოიზმის სადავეს გაჰყვეთ და უარი თქვათ თქვენს ვალდებულებებზე საზოგადოების და ღმერთის მიმართ. სურვილი გველის თავს მაღლა წევს, თქვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში აღწევს და დემონად გაქცევთ.

მრისხანება კი თქვენს გონებას შლის და მსჯელობას ამახინჯებს. ბოროტი ადამიანი ყველა თავის წამოწყებაში წარუმატებლობას განიცდის და საზოგადოების მხრიდან გაკიცხვას იმსახურებს. იგი თავის თავზე და მეგობრებზე უპატივცემულობას იწვევს, და ნათესავები ტოვებენ მას. იგი ცოდვაში ცხოვრობს და ამით თავის ცხოვრებას შლის.

უკიდურესი კრიჟანგობაც (*ლობჰა*) არავის გააბედნიერებს. კრიჟანგი თვითონაც ვერასოდეს ტკბება სიმდიდრით, და სხვებსაც არაფერს აძლევს. იგი მუდამ ფაციფუცობს, ეშინია თავისი ავლადიდებიდან რაიმე არ დაკარგოს და მხოლოდ იმაზე ღელავს, სიმდიდრე არ მოაკლდეს.

აი პატარა ამბავი ამ თემაზე. ორი ძმა ცხოვრობდა, რომლებსაც ერქვათ ძუნწი და უდიდესი ძუნწი. ისინი თავის სახელებთან სრულ შესაბამისობაში იყვნენ და თვითონაც არ ჭამდნენ მაძღრისობამდე. როდესაც ლოცულობდნენ და ღმერთს სთხოვდნენ მათ ამქვეყნიურ ინტერესებში დახმარებოდა, მას წმინდა ძღვენსაც (*ნაივედიას*) კი არ სთავაზობდნენ. ძმები ძღვენს სამსხვერპლოზე დიდხანს არ აჩერებდნენ, ღმერთს მხოლოდ ერთი წამით ანახებდნენ და უმალ სანსლავდნენ. ასეთი დიდი სიჩქარის მიზეზი იყო შიში იმისა, რომ თუ ტკბილეული სამსხვერპლოზე ცოტა უფრო მეტ ხანს იქნებოდა, მაშინ მას

ჭიანჭველები მოსინჯავდნენ და ამით ძმებს შაქრის ნამცეცს მოაკლებდნენ!

და აი ერთხელ აცნობეს, რომ მათი უახლოესი ნათესავი მოკვდა. უფროსმა ძმამ, უდიდესმა ძუნწმა, გადაწყვიტა დაობლებული ოჯახისათვის თანაგრძნობა პირადად გამოეხატა. მეორე დღეს, დილით ადრე გზას გაუდგა, რა თქმა უნდა, ფეხით. მან ავტობუსით ან მატარებლით მგზავრობაზე უარი თქვა, ასეთი ტრანსპორტით მგზავრობა ხომ გაუმართლებელ ხარჯებთან არის დაკავშირებული!

როცა უფროსი ძმა გზას გაუდგა, უმცროსმა ძმამ ლამპა ჩააქრო, და ლამპას ფანჯრის რაფაზე რომ დებდა, მორიელმა უკბინა. სანამ ძუნწი ტკივილისაგან იტანჯებოდა, უდიდესმა ძუნწმა უკვე ორიოდე მილი გაიარა. უცებ რაღაც გაახსენდა, აღელდა და უკან დაბრუნდა. როდესაც ძუნწმა უდიდეს ძუნწს დაბრუნების მიზეზი ჰკითხა, ამან უპასუხა: „მომისმინე, ძმაო! მე ვღელავდი, ჩემი წასვლის შემდეგ ჩააქრე თუ არა ლამპა, და აი დავბრუნდი, რომ შენთვის შემეხსენებინა“. ტკივილით დატანჯულმა უმცროსმა ძმამ ამოიხვნეშა და წარმოთქვა: „ეჰ, ძმაო! ზეთის დაზოგვის შენი სურვილი, რა თქმა უნდა, საქებარია, მაგრამ თუ იფიქრე იმაზე, შენი სანდლები ამ უაზრო დაბრუნების დროს როგორ გაცვდა?“ დიდმა ძუნწმა ამაყად უპასუხა: „ძვირფასო ძმაო, ნუ ღელავ, მე ფეხშიშველი მოვდიოდი და სანდლები ხელით მომქონდა“. აი რა ძლიერია სიძუნწესთან (*ლობჰასთან*) შერეული საწამლავი.

ასე ხრავს ადამიანში სურვილი, მრისხანება და სიძუნწე სიბრძნეს და ერთგულებას და მის ქცევებს ბილწავს. ამიტომ უბრძანებდა კრიშნა არჯუნას ასეთი მანკიერებისაგან გათავისუფლებულიყო, დაეძლია ილუზია, შინაგანი ხედვა და სულიერი სიბრძნე განევითარებინა და *კარმა-სანიასა-იოგას* – მოქმედებების შედეგებზე უარის თქმის - გზას მიჰყოლოდა.

გამოთქმა *კარმა-სანიასა-იოგა* სამი სიტყვისგან შედგება – *კარმა*, *სანიასა* და *იოგა*. *კარმა* ნიშნავს „მოქმედებას“, *სანიასა* - „ამქვეყნიური აზრების (*ვასანების*) და სურვილებისგან განდგომას, მიბმულობის და სიძულვილის დაძლევას“, *იოგა* კი ნიშნავს „ღვთაებრივთან კავშირს“.

„არჯუნა, - ეუბნებოდა კრიშნა, - ასეთი განდგომა (*სანიასა*) გაკლია შენ. ჯერ კიდევ მიბმულობისა და გრძნობა ეგოს გავლენის ქვეშ ხარ. არავის შეუძლია მოქმედებას თავი აარიდოს. ადამიანი მოქმედებას განუწყვეტლივ ასრულებს, ამიტომ მოღვაწეობაზე უარის თქმა, ანუ *კარმა-სანიასას* თავის მიცემა, არარეალური და არაპრაქტიკულია“.

„ამის ნაცვლად შენი მოქმედებები ღმერთის თაყვანისცემად აქციე, შენი ყველა ქცევა მას მიუძღვენი და ასრულე ეს იმისათვის, რომ მისი წყალობა დაიმსახურო. ასე დაადგები ერთგულების გზას, *ბჰაქთის*“.

აი როგორ აცნობა კრიშნამ არჯუნას *კარმა-იოგას* – მოქმედების *იოგას* – საიდუმლო. *კარმა-იოგა* ადამიანისთვის ბუნებრივი უნდა გახდეს. როგორიც არ უნდა იყოს მოქმედება, იგი უნდა ამაღლებდეს და აკეთილშობილებდეს იმას, ვინც მას ასრულებს. საკმარისი არ არის უბრალოდ ისმენდე რაღაც ამაღლებულს. იგი უნდა გულში შეიტანო და ამის შესახებ სერიოზულად იფიქრო.

ერთხელ ბრძენმა მეფის სასახლეში სამი თოჯინა მიიტანა და ხალხს სთხოვა გაერკვია, მათ შორის რომელია უკეთესი. ჭკვიანმა მეფის მინისტრმა წვრილი მავთული ხელში აიღო და რიგრიგობით ყოველი თოჯინის ყურში გაყრა დაიწყო. პირველ თოჯინას მავთული მეორე ყურში გამოუვიდა, მეორე თოჯინას იგი პირში გამოუვიდა, მესამე თოჯინაში კი მავთულმა შიგნით ღრმად შეაღწია. მინისტრმა გამოაცხადა, რომ საუკეთესო თოჯინა მესამეა. მან ახსნა, რომ მესამე თოჯინა იმ ადამიანის სიმბოლოა, რომელიც იგებს და მეხსიერებაში აჩერებს იმ ყველაფრის ჭეშმარიტ მნიშვნელობას, რასაც ისმენს, და შესმენილს ცხოვრებაში ნერგავს. მეორე თოჯინა გამოსახავს ჩვეულებრივ ყბედს, რომელიც სიტყვის იქით აღარ მიდის. პირველი თოჯინა კი ადამიანთა შორის უარესს ასახიერებს, ანუ იმას, ვინც სიტყვებს ერთ ყურში შეუშვებს, მეორეში კი გამოუშვებს.

სტუდენტებო! გიტას წმინდა გზავნილები უნდა ყურადღებით შეისმინოთ და ეცადოთ მთელი გულით მიიღოთ. უნდა გააცნობიეროთ ის ჭეშმარიტება, რომ *კარმა-იოგა* – ანგარებითი მოტივებისგან თავისუფალი და ღმერთის სასიხარულოდ შესრულებული მოქმედება, უფრო მაღლაა, ვიდრე ყოველი მოღვაწეობისაგან თავის შეკავება. თქვენ უნდა საზოგადოებას უანგაროდ ემსახუროთ და ამისთვის არავითარ ჯილდოს არ ელოდოთ. ეცადეთ ყველას მიმართ სიყვარული განავითაროთ, რომ სიხარბემ უღმერთობის დონემდე არ დაგიყვანოთ. ამას გარდა, სურვილები და მრისხანება მაქსიმალური შესაძლებლობით უნდა აკონტროლოთ.

თავი 14

ბუდჰი-იოგა

(გონიერი ნების იოგა)

ბუნების, *პრაკრიტის*, ხე წაიქცევა და სურვილთა ტოტები გახმება იმ შემთხვევაში, თუ მისი ფესვი – გონება – მოისპობა.

ღვთაებრივი *ატმანის* განხორციელებანო!

ადამიანური არსება შეიძლება შევადაროთ მანქანას, რომლის შემადგენელ ნაწილებსაც წარმოადგენს სხეული, გრძნობათა ორგანოები, გონება და გონიერება. და იმის მსგავსად, სხეულის ნაწილები ერთმანეთთან სრულ თანხმობაში როგორ მუშაობენ, რომ მისი ფიზიკური მექანიზმი სრულ წესრიგში იყოს, ასევე ადამიანში ჩადებული სხვადასხვა უნარიც ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა მოქმედებდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აისახება *ატმანის* ნათება მათ მუშაობაში, ადამიანის ცხოვრება კი ღვთაებრივი სინათლით და სიხარულით შეივსება.

ფაბრიკის საამქროებში მუშები თავის ვალდებულებებს საჭირო სახით მხოლოდ მაშინ ასრულებენ, როდესაც თავიანთი უშუალო უფროსების განკარგულებებს ასრულებენ. საქმის ასეთი ორგანიზაცია მუშაობის ნორმალურ სვლას განაპირობებს.

გიტას მასწავლებელი დაწვრილებით შეჩერდა მოღვაწეობის - *კარმა-იოგის* და *კარმა-სანიასის* - თემაზე. მან არჯუნას შემდეგი სიტყვებით მიმართა; „გრძნობებს კონტროლის ქვეშ სხეული ჰყავს, გონება კი გრძნობებს აკონტროლებს. მაგრამ გონება, თავის მხრივ, სულიერი გონიერების კონტროლის ქვეშ იმყოფება. სულიერი გონიერება, *ბუდჰი, ატმანთან* ყველაზე უფრო ახლოს იმყოფება, და ამიტომ ყველაზე უკეთესად ასახავს *ატმანის* თვისებებს. *ატმანის* ზემოქმედება უშუალოდ *ბუდჰიზე* ხდება, და ამიტომ *ბუდჰი* მოქმედებს როგორც ადამიანის ხელმძღვანელი ორგანო“.

გონება ბადებს აზრს (*სანკალპას*), სულიერი გონიერება იკვლევს და არსებობის უფლებას ანიჭებს მას. ნებისმიერ ადამიანში მხოლოდ სულიერ გონიერებას აქვს გადაწყვეტილებების მიღების და ბოროტებასა და სიკეთეს შორის განსხვავების უნარი. ადამიანები ხშირად იტანჯებიან და მღელვარებას განიცდიან იმ სურვილების გამო, რომლებიც გონებამ წარმოშვა. მაგრამ თუ სულიერი გონიერების

კარნახს მიჰყვებიან, მაშინ მათი გონება მორჩილი გახდება, მათი ქცევები კი ბედნიერებას მოიტანს. აი ამის თვალსაჩინო მაგალითი.

ჩვენს შეხვედრაზეც კი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც დაახლოებით ასე ფიქრობს: „როგორც ჩანს, სვამის ლექცია კიდევ ნახევარ საათს გაგრძელდება. და თუ ლექციის შემდეგ ავტობუსზე მოვასწრებ კიდეც, მაინც გამოვტოვებ ფილმის მორიგ სერიას. ამიტომ უკეთესი იქნება ახლავე ავდგე და წავიდე“. ასე უჩურჩულებს გონება ადამიანს, მაგრამ ამის შემდეგ სცენაზე სულიერი გონიერება გამოდის და სულ სხვა რამეს ურჩევს: „არა, არა, არ წახვიდე! შეიძლება აღარასოდეს გქონდეს შესაძლებლობა მოუსმინო სვამის ლექციას ისეთი ღრმა ჭეშმარიტებების შესახებ, როგორიცაა უკვდავი *ატმანი* ან სულიერი ცხოვრება. ეს იშვიათი კურთხევაა და არ უნდა უკუაგდო. მაშ დარჩი და სვამის მოუსმინე“. შედეგად გონება სულიერი გონიერების გადაწყვეტილებას მორჩილდება. ასეც უნდა ხდებოდეს, თუკი აპირებთ თქვენი ცხოვრების ძირითადი მიზანი განახორციელოთ.

სულიერ გონიერებაზე უშუალო გავლენას *ატმანი* ახდენს. თუ გონება სულიერ გონიერებას ემორჩილება, მაშინ იგი უნარს იძენს გრძნობები საჭირო კალაპოტში მიმართოს. ამიტომ ურჩევს კრიშნა არჯუნას არ უსმინოს გონების ჩურჩულს; როდესაც გონება თავის თავს ეკუთვნის, მას მიდრეკილება აქვს გრძნობით სურვილებს დამორჩილდეს. ამის ნაცვლად გონება უნდა სულიერ გონიერებას დავუმორჩილოთ.

ეტლით მგზავრობის დროს მთავარი როლი მეეტლეს ეკუთვნის. არც ეტლში შებმულ ცხენებს, არც მასში მჯდომ პატრონს არ შეუძლიათ მგზავრობის დროს უსაფრთხოება უზრუნველყონ. უსაფრთხოების გარანტიას მხოლოდ მეეტლე იძლევა, მაგრამ თუ იგი ამისათვის აუცილებელ ჩვევებს არ ფლობს, მაშინ ცხენები თავს წაართმევენ და ეტლს აქეთ-იქით გააქანებენ. ამიტომ, სამუშაოს თავი რომ გაართვას, მეეტლეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება უნდა ჰქონდეს. კრიშნა ამბობდა: „არჯუნა! შენი სხეული ეტლია, გრძნობები – ცხენები, გონება – სადავეები, სულიერი გონიერება კი მეეტლის მსგავსად მოქმედებს. ნება მიეცი სულიერ გონიერებას მთელი შენი ცხოვრების მოგზაურობა მიმართოს – და დანიშნულების ადგილს უვნებლად მიაღწევ“.

არჯუნამ ბრძოლაში სწორედ იმიტომ გაიმარჯვა, რომ მისი მეეტლე იყო კრიშნა – ყოველივე გონიერების წყარო. კრიშნა მეეტლედ აირჩიო ნიშნავს სიწმინდეს ეზიარო და შენი დანიშნულების მისაღწევად ყოვლად აუცილებელ საშუალებას დაეუფლო. ხოლო თუ

ისე მოხდა, რომ თქვენს ეტლს მართავს უხელთური ადამიანი (როგორიც, მაგალითად, აღმოჩნდა სალია, კაურავების მომხრე კარნას მეეტლე), მაშინ ყოველ წუთს უნდა ელოდოთ, რომ მეეტლე ცუდ მდგომარეობაში ჩაგაყენებთ, და ბოლო ჯამში წააგებთ იმ ბრძოლას, რომელსაც თქვენი შიდა მტრების წინააღმდეგ აწარმოებთ.

ადამიანში შინაგანი მხედველობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითარდება, თუკი მისი გონება სულიერ გონიერებას, *ბუდჰის* მიჰყვება. შინაგანი ხედვა ადამიანს უმაღლესი სულის, *ატმანის* ნეტარებას აძლევს. გარე ხედვა კი ენით უთქმელ ტანჯვებს უქადის.

კრიშნა არჯუნას უხსნიდა, რომ ობიექტების ამ სამყაროში, რომელსაც გარე ხედვის საშუალებით ვუთვალთვალებთ, ორ თვისებას ვიგნებთ, სახელდობრ: ყველაფრის წარმავლობას (*ქშაიიაშილას*) და ტანჯვების გარდაუვალობას (*დუჰქჰამიშრას*).

ეს შეიძლება შემდეგი მაგალითით ავხსნათ. ჩვენ ვხედავთ ბიჭუნას, რომელიც თანდათან მამაკაცი ხდება, და გვიხარია, რომ ფიზიკურად იგი ნორმალურად ვითარდება. თუმცა ვერ ვაცნობიერებთ, რომ ამასთან მისი სიცოცხლის დრო მოკლდება. ადამიანში სიცოცხლის თანდათანობითი კლება *ქშაიიაშილას* თვისების გამოვლინებაა. ამგვარადვე იმის ცქერით ვტკებებით, კოკორი როგორ იშლება და ყვავილი ხდება, მისი არომატით ვტკებებით და არ ვფიქრობთ იმაზე, რომ სულ რამდენიმე საათის შემდეგ ყვავილი დაჭკნება. დღეს მომზადებული საკვები კი გემრიელი და სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დღესვე შევჭამთ. როგორც კი საჭმელს ხვალამდე შევინახავთ, იგი დამჟავდება და მთელ თავის სიქორფეს დაკარგავს. დღეს ქორფა, ტკბილ და გემრიელ ხილს მივირთმევთ, მაგრამ უკვე მეორე დღეს ის დამპალი განავალი ხდება და ჩვენში ზიზღის გრძნობას იწვევს.

ამგვარად, წარმავლობა, ანუ ცვალებადობა, მატერიალური სამყაროს განუყოფელ მახასიათებელს წარმოადგენს. ამას გარდა, ამქვეყნიურ ობიექტებს და დამოკიდებულებებს ადამიანებისთვის სიხარულთან ერთად მწუხარებაც მოაქვს. ერთი და იგივე საგანი შეიძლება სიხარულის წყაროც იყოს და ტანჯვების მიზეზიც. სიტკბოებას მიცებული ადამიანის თავზე ტანჯვების ჩრდილი ჩამოწვება აუცილებლად. აი ადამიანი ბედნიერია, როდესაც ვაჟის შეძენის ცნობას ღებულობს, მაგრამ თავს უბედურად გრძნობს მაშინ, როცა იმავე ვაჟის გარდაცვალების ამბავს გებულობს.

კრიშნა არჯუნას უხსნიდა: „სიხარული, რომელსაც დაეძებ, ისევე როგორც თვითრეალიზაცია, რომლისკენაც ისწრაფი, თვით შენ

შიგნითაა. მათ გარე სამყაროში ვერ ნახავ. შენ კი ახლა იმ უგუნურის მსგავსი ხარ, რომელიც ქუჩაში მათხოვრობს, იმ დროს როცა მის საკუთარ სახლში უამრავი ტკბილეული და სხვა გემრიელი საჭმელია. ფიქრობ, რომ ამ სამყაროს და იმას, რაც მასში იმყოფება, შეუძლია ბედნიერება მოგიტანოს. მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა, რომელიც შენმა გონებამ წარმოშვა. *ატმანის* ნეტარებით (*ატმანანდით*) შეგიძლია დატკბე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენს სულიერ გონიერებას მიჰყვები".

ნამდვილი ბედნიერება თქვენ შიგნით იმყოფება. და აი ამის მაგალითი. ბავშვი ბერა თითს პირში იდებს, წოვს და წარმოიდგენს, რომ თითქოს თითიდან პირში რაღაც ტკბილი ჩაედინება, თუმცა სინამდვილეში ტკბილის შეგრძნება საკუთარი ნერწყვის მიერ ჩნდება. ან სხვა მაგალითი. მოხეტიალე ძაღლი ძველ გამომშრალ ძვალს იღებს პირში. მისთვის ძალიან ძნელია მისი გამოხრა, მაგრამ აღგზნებული და მშიერი მთელი ძალით კბენს ძვალს და ეს უკანასკნელი უცებ ტყდება. ძვლის ნატეხი ძაღლს ღრძილს უჭრის და სისხლი დენას იწყებს. უგუნური ცხოველი ძვლის ხრას განაგრძობს და ფიქრობს, რომ შიმშილს ძვლიდან გამოსული სისხლით იკლავს, მაშინ როცა სინამდვილეში საკუთარი ღრძილიდან გამოსულ სისხლს ყლაპავს.

ჩვენ მრავალ სხვადასხვა ტკბილეულს ვჭამთ, რომლებიც ფქვილისგანაა დამზადებული, ამასთან მათი სიტკბო, რა თქმა უნდა, გამოედინება არა ფქვილიდან, არამედ შაქრიდან, და მაინც ვამბობთ, რომ ტკბილია სახელდობრ ლადუ[23] ან მაისორ-პაკი[24].

ასეთივე სახით, მიუხედავად იმისა, რომ *ატმანის* ტკბილი ნეტარება ჩვენ შიგნით იმყოფება, შეცდომით მის სიტკბოს გარემომცველი სამყაროს წარმავალ ობიექტებს მივაწერთ. ადამიანმა (*ნარამ*) ის გზა უნდა იპოვოს, რომელიც მას ღმერთთან (ნარაიანასთან) მიიყვანს. ჩვენ უნდა ვისწრაფოთ გავხდეთ პაშუპატი (უფალი შივა), და არა ცხოველის (*პაშუს*) ცხოვრებას დავუბრუნდეთ. ვინც თავის სულიერ გონიერებას მოუსმენს, შეუძლია პაშუპატი (ცხოველთა მბრძანებელი) გახდეს, ის კი, ვინც თავის გონებას ემორჩილება, *პაშუ* (ცხოველი) ხდება. კარნახი და წაქეზება გონების ბუნებრივი თვისებაა, მაგრამ ნაჩქარევად და უცებ არ უნდა დავნერგოთ ცხოვრებაში ის, რასაც იგი გვეტყვის. ეს ყველაფერი სულიერი გონიერების დახმარებით უნდა შევაფასოთ და ვაკეთოთ ის, რასაც გონიერება გვიკარნახებს.

---

[23] *ლადუ* - ინდური ტკბილეული, რომელიც შაქრის და ცერცვის ფქვილისაგან არის მომზადებული.
[24] *მაისორ-პაკი* – ინდური ტკბილეული, რომელიც შაქრის, კარაქის და ფქვილისაგან არის მომზადებული.

სულიერ გონიერებაზე ლაპარაკობენ როგორც ღმერთის განსხეულებაზე. თავის „ვიბჰუტი-იოგას“ გზავნილში კრიშნა ხაზს უსვამს იმას, რომ იგი (კრიშნა) არის სულიერი გონიერება, რომელიც ყოველ ადამიანს აქვს ბოძებული. ჩვეულებრივ ცხოვრებაში, როცა რომელიმე ადამიანი შეცდომას უშვებს, მას „უგუნურს“ ვუწოდებთ, ხოლო როცა ღირსეულ ადამიანს ვხვდებით, მაშინ ვამბობთ: „ო, იგი გონიერებით არის დაჯილდოებული“. სულიერი გონიერება ჩვენში დაფარულ ღვთაებრივ ბუნებას ავითარებს. ამიტომ ადამიანი სულიერ გონიერებას უნდა მიჰყვებოდეს, რომელიც მას უცვლელ და უმაღლეს სიხარულს სთავაზობს, დაბადებიდან დაბადებამდე თან სდევს და ღვთაებრივ თვისებებს ავლენს. გონებას მოშლისკენ აქვს მიდრეკილება, სულიერი გონიერების მოშლა კი შეუძლებელია. სულიერი გონიერება ადამიანს ხელმძღვანელობს და *ატმანისკენ* მიმართავს. ჩვენ უნდა სულიერ გონიერებას მივყვეთ, რადგან იგი *ატმანის* მარადიულ ნეტარებისკენ ისწრაფის და სულაც არ აქვს მიდრეკილება მიჰყვეს გონებას, რასაც მხოლოდ გრძნობითი სიამოვნებები სწყურია.

ჩვენს დროში ადამიანები, როგორც წესი, გონების ბრძანებებს ემორჩილებიან, და მხოლოდ ერთეულები მიჰყვებიან სულიერი გონიერების ხმას. სწორედ ამიტომ კრიშნამ, განჭვრიტა რა ასეთი მოვლენა, რომელიც კალი-იუგასთვისაა დამახასიათებელი, მოისურვა არჯუნას მეშვეობით მთელი კაცობრიობისთვის ესწავლებინა *ბუდჰი-იოგა*, სულიერი გონიერების *იოგა*.

იმედი მაქვს, რომ ყოველი თქვენგანი მიჰყვება კრიშნას წმინდა და შთამაგონებელ სიტყვებს, რომლებიც არჯუნასკენ იყო მიმართული.

თავი 15

დჰიანა-იოგა

(მედიტაციის იოგა)

როგორ უნდა დაამარცხოს
გარეშე მტრები იმან, ვინც
შინაგან მტრებს დამორჩილდა?
კურთხეულია ის, ვინც ეს
ჭეშმარიტება შეიგნო.

სანსკრიტულ ენაზე გონებას ჰქვია *მანასი*, რადგან იგი მუდამ მოფიქრებაშია (*მანანაშია*) ჩართული. ყველა გულისწადილი გონებაში იბადება. მაგრამ ძალიან ხშირად გონება სწორ გზას სცილდება ურთიერთსაწინააღმდეგო სწრაფვების მიზეზით, რომლებიც მასში იბადება. გონების ცვალებადი ბუნება არსებით წინააღმდეგობას წარმოადგენს სულიერი ზრდის გზაზე. ამიტომ ყოველმა სულიერმა მაძიებელმა, რომელსაც თავისი სულის ნეტარებაში სურს ჩაეფლოს, გონებაზე კონტროლი უნდა დააწესოს.

გონება ქარზე უფრო სწრაფად მიქრის. იმის მსგავსად, მუხრუჭებს როგორ ვაწვებით, რომ სწრაფად მიმავალი ავტომობილი გავაჩეროთ, საკუარ აზრთა ნაკადიც უნდა ავლაგმოთ.

არჯუნა კრიშნას ემუდარებოდა გონების კონტროლის ხელოვნება ესწავლებინა მისთვის, და კრიშნამ ეს საკითხი ყველა დეტალში აუხსნა. გონება ძლიერია, რადგან მასში ის მიდრეკილებება ჩაბეჭდილი, რომლებიც ადამიანმა უთვალავ დაბადებებში დააგროვა. შედეგად გონება ცდილობს სულზე უპირატესობა მოიპოვოს. მაგრამ შმაგი სურვილებით შეპყრობილი ასეთი გონების დახმარებით ღვთაებრიობის მიღწევა შეუძლებელი.

გონება ფუტკარივითაა, რომელსაც თავისი პატარა ზომის მიუხედავად შეუძლია მსხვილი ხეების ანდა ადამიანის სხეულის გამჭოლადაც კი გაიკაფოს გზა, როგორც ეს მძლავრ კარნას გადახდა თავს. მაგრამ როდესაც ფუტკარი ლოტოსის ყვავილზე ჯდება, რომ ტკბილი ნექტრით დატკბეს, მისი ნაზი ფურცლების ტყვეობაში რჩება. ლოტოსის ფურცლები იხურება და ფუტკარი შიგნით რჩება. ასევე ყველა ჩვენი მცდელობა გონება ავლაგმოთ უშედეგო რჩება მანამდე, სანამ გონება მიმართული არ იქნება უფლის ლოტოსის მსგავს ფორმაზე, რომელიც მას (გონებას) თავის მუდმივ ტყვეობაში აიყვანს.

ბჰაგავად გიტას მეექვსე თავს „ატმასამიამა-იოგა“, ანუ „*ატმანზე* კონტროლის *იოგა*“ ჰქვია. ეს, რა თქმა უნდა, არასწორი დასახელებაა, რადგან ჭეშმარიტების უმწიკვლო და მარადიული განსახიერების – *ატმანის* – კონტროლი არა მარტო შეუძლებელია, არამედ ამაში არავითარი აუცილებლობა არ არის. გიტას თავში დასახელებული სიტყვა *ატმანი* იმისათვის იხმარება, რომ გონებაზე მოხდეს მითითება, და მას შეიძლება „გონების ალაგმვის იოგა“, ანუ „თვითალაგმვის იოგა“ დაერქვას. „ატმასამიამა-იოგას“ თავში ძალიან სათუთად და დეტალურად განიხილება გონებაზე კონტროლის ხელოვნება. ასეთი კონტროლის მიღწევის ძირითად საშუალებად მითითებულია მედიტაცია, ანუ *დჰიანა*.

თავის „ატმასამიამა-იოგას“ გზავნილში უფალი კრიშნა ლაპარაკობს იმ ადგილის აბსოლუტურ სისუფთავეში დაცვის აუცილებლობაზე, სადაც მედიტაცია სრულდება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის მთელი სახლი ან მთელი ტყე უნდა დასუფთავდეს, ლაპარაკია მხოლოდ იმ ადგილის უშუალო გარემოცვაზე, სადაც მედიტაციას ასრულებთ. სული, *ჯივა*, თქვენს სხეულში ცხოვრობს, უფალი კი თქვენს გულში ბინადრობს. იმის გამო, რომ მედიტაცია სრულდება არა იმდენად გარე სამყაროში, რამდენადაც გულის შიგნით (ეს ხომ შინაგანი პროცესია), ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ყოველგვარი ჭუჭყისგან სწორედ გული გამოსუფთავდეს, რომ ღმერთის ღირსეულ სავანედ იქცეს იგი. ყოველდღიურ ცხოვრებაში, როდესაც გვინდა სადმე დავჯდეთ, სუფთა ადგილს ვირჩევთ და მიწაზე ცხვირსახოცს ან გაზეთს ვიფენთ ქვეშ. აი როგორ ვზრუნავთ სისუფთავეზე ჩვენთვის. მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია გული გვქონდეს სუფთა, რომ შეგვეძლოს მასში უფალი შევიპატიჟოთ და ამგვარად მედიტაციის მიზანს მივაღწიოთ. გულის გაწმენდის აუცილებლობა იმის გამო ჩნდება, რომ იგი დალაქავებულია *ტამასით*, სიზარმაცით, და *რაჯასით*, მღელვარებით, რომლებთანაც მას მრავალი ცხოვრების განმავლობაში ჰქონდა შეხება.

არსებობს სამი მდგომარეობა, რომლებშიც გონება შეიძლება იმყოფებოდეს: *შუნიათჰვა* (სიცარიელე), *ანეკაგრატა* (მრავალი აზრის ერთდროული მოწოლა) და *ეკაგრატა* (ერთ ობიექტზე ყურადღების მოკრება). გონების ეს სამი მდგომარეობა განეკუთვნება შესაბამისად სამ *გუნას* (ადამიანის ხასიათის თვისებებს) და გონებაში მათი გავლენით წარმოიშვება. იმ დროს როცა *ტამაგუნას* (მოშვებულობას და ინერტულობას) გონებაში სიცარიელე შეაქვს, *რაჯაგუნას* (ენერგიული მოქმედებების აღმძვრელ თვისებას) გონება განუწყვეტელ

შფოთვაში მოჰყავს. *საცვაგუნა* (თვისება, რომელიც ადამიანის ცხოვრების წმინდა მხარეებს ხსნის) კი გონებას ამშვიდებს და საშუალებას აძლევს მიზანდასახულ მზერას მიეცეს. ამგვარად, მხოლოდ იმას შეუძლია მედიტაცია სულ ადვილად აწარმოოს, ვინც საკუთარ თავში *საცვაგუნას* ავითარებს.

აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, რომ მედიტაციის პროცესში სამი რამეა ჩართული: ჯერ ერთი, მედიტაციის მწარმოებელი პიროვნება (*დჰიაცა*), მეორე, მედიტაციის ობიექტი (*დჰეია*) და, მესამე, თვით მედიტაციის პროცესი (*დჰიანა*). ჭეშმარიტ მედიტაციაში სამივე კომპონენტი ერთმანეთს უნდა შეერწყას. მედიტაციის მწარმოებელმა პიროვნებამ თავისი თავი მთლიანად მედიტაციის ობიექტთან უნდა გააიგივოს, ამასთან ის ფაქტიც კი არ უნდა გააცნობიეროს, რომ მედიტაციას აწარმოებს. მედიტაციის დროს ყურადღება მედიტაციის ობიექტს (*დჰეიას*) იმდენად უნდა მიეპყროს, რომ ადამიანმა დაივიწყოს თავისი თავიც, და ისიც, რომ იგი მედიტაციის (*დჰიანას*) პროცესშია ჩაძირული.

მედიტაციას ხშირად შეცდომით კონცენტრაციას უწოდებენ. მაგრამ კონცენტრაცია ჩვეულებრივი გრძნობითი აღქმისათვისაა აუცილებელი, ეს არის ის, რასაც ჩვენ ვხმარობთ როდესაც ჩვეულებრივ ყოველდღიურ საქმეებს ვასრულებთ. მაგალითად, კონცენტრირებას ვახდენთ, როცა წიგნს ვკითხულობთ, წერილს ვწერთ, ავტომობილს ვმართავთ ან მივემგზავრებით. კონცენტრაციას ბუნებრივი სახით ვაღწევთ, გარემომცველ სამყაროს ჩვენი ხუთი გრძნობითი ორგანოთი აღვიქვამთ. კონცენტრაციისთვის საჭირო არ არის არც განსაკუთრებული ძალისხმევა, არც სპეციალური ვარჯიშები. ამიტომ კონცენტრაციის მედიტაციასთან გათანაბრება არასწორია. ამ უკანასკნელის წარმოების უნარი მხოლოდ იმას აქვს, ვინც დიდი სულიერი გამოცდილება დააგროვა.

მედიტაცია პროცესია, რომელიც ხდება გაცილებით უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე გრძნობითი აღქმა. კონცენტრაცია კი მენტალური პროცესია, რომელიც სამყაროს აღქმასთან გრძნობითი ორგანოებითაა დაკავშირებული. კონცენტრაცია შეიძლება ითვლებოდეს გრძნობების არეზე დაბლა ან მის შიგნით მყოფი, იმ დროს როცა მედიტაცია იმყოფება გრძნობების სამყაროს ზღვრებს მიღმა ან მის ზემოთ. მედიტაცია რომ ისეთივე იოლი ყოფილიყო, როგორიც კონცენტრაციაა, მაშინ დიდ ბრძენებს არ მოუხდებოდათ მკაცრი ასკეზას გადალახვა და დაბურულ ტყეებში უთვალავი გამოცდებისთვის თავის მიცემა.

სამწუხაროდ, დღეს, კალი-იუგას ზეგავლენით, მედიტაცია, იმის ნაცვლად რომ ღმერთთან კავშირის დამყარების წმინდა საშუალება იყოს, მრავალთა მიერ აღიქმება როგორც ასპირინის შემცველი თავის ტკივილთან ბრძოლაში. როგორი უპატივცემულობაა ინდური კულტურის მიმართ!

ვისაც მედიტაციის (*დჰიანას*) წარმოება სურს, მან მედიტაციის ობიექტის (*დჰეიის*) სახით სასურველია აირჩიოს შუქი (*ჯიოტი*), და არა ღვთაებრიობის რომელიმე ფორმა რამას, კრიშნას ან იშვარას მსგავსი, რადგან ეს ფორმებიც კი ცვლილებას ექვემდებარებიან და ბოლო ჯამში ნადგურდებიან. შუქი, *ჯიოტი*, კი მოუშლელი და უცვლელია. უფრო მეტიც, *ჯიოტის* ერთი ალისგან მილიონი სხვა სანთელი შეიძლება დაინთოს მისი ჩაქრობის რისკის გარეშე, და *ჯიოტი*, ამგვარად, დაუშრეტელია.

შუქზე მედიტაციის პროცესში გადასვლა უნდა ხდებოდეს მღელვარებიდან სიმშვიდეში, სიმშვიდიდან კი – ღვთაებრივ ნათებაში. ადამიანი გამართულად უნდა იჯდეს, ფეხები გადააჯვარედინოს, რომ ღვთაებრივი ენერგიის თვისუფალი გასვლა უზრუნველყოს დაბლიდან მაღლა, ენერგეტიკული ცენტრიდან (*მულადჰარა-ჩაკრადან*) *საჰასრარა-ჩაკრასაკენ სუშუმნა-ნადის* არხით. მედიტაციის მწარმოებელმა მდგრად ალზე უნდა მოახდინოს მზერის კონცენტრაცია, შემდეგ კი ნელა დახუჭოს თვალები და ალი აზრობრივად თავისი გულის შიგნით გადაიტანოს ან შეიზიდოს.

ამის შემდეგ თავისი სულიერი გულის ლოტოსი უნდა წარმოიდგინოს, რომელიც თვალისმომჭრელი სილამაზით ბრწყინავს და თავისი ნათებით ცხოვრების ბნელ ძალებს ფანტავს. შემდეგ უნდა წარმოიდგინოს, თვალისმომჭრელად მბრწყინავი გულიდან სხივები სხეულის ყველა ნაწილში როგორ თანდათან ვრცელდება, სინათლით გამსჭვალავს მათ და ირგვლივ ყველაფერს სისუფთავით და სიწმინდით ავსებს. მაგრამ ახლა, რაკი სინათლემ თქვენს ხელებს მიაღწია, უღირსი მოქმედებები არ უნდა ასრულოთ, ხოლო როგორც კი ცეცხლი თქვენს თვალებში აკიაფდება, შეუხედავ სცენებს აღარ უნდა უყუროთ. როდესაც შუქი, *ჯიოტი*, თქვენს ყურებში შეაღწევს, ცუდ საუბრებს აღარ უნდა უსმინოთ. ხოლო როდესაც შუქით თქვენი ტერფები შეივსება, წაბილწულ ბილიკზე ფეხი აღარ უნდა შედგათ. ამგვარად, მედიტაციის ასეთი სახე ადამიანს აკეთილშობილებს და ეხმარება უმაღლესი სულის დიდ სიმაღლეებზე ავიდეს.

თუ გონებას ყოველთვის ასეთი გზით დაასაქმებთ და შესაძლებლობას მისცემთ თქვენი სხეულის ყოველ ნაწილში ატაროს

შუქი, იგი აღარ იხეტიალებს და მდგრადი გახდება. მედიტაციის მთელი პროცესი ოცი წუთიდან ოცდაათ წუთამდე დროს იკავებს. მედიტაციის ასეთი სახე წარმოდგენის უბრალო ვარჯიშად არ უნდა ჩათვალოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, საწყის ეტაპზე წარმოდგენა რაღაცა როლს შეასრულებს. მაგრამ მუდმივი პრაქტიკა მას აზრის მძლავრ ტალღად აქცევს, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს ადამიანის გულზე და ღმერთთან კავშირისკენ წაიყვანს მას.

მედიტაცია უცებ მას შემდეგ არ უნდა დაასრულოთ, როგორც კი თქვენ შიგნით შუქი ცხადად წარმოიდგინეთ. ეს შუქი მეგობრებში, ნათესავებში და მტრებშიც კი უნდა დაინახოთ. უნდა დაინახოთ, მთელი ქმნილება ღვთაებრიობის თვალისმომჭრელ შუქში როგორ ბანაობს. ეს შესაძლებლობას გაძლევთ სიყვარულით და ბედნიერებით სავსე ცხოვრება გასწიოთ.

სურვილისამებრ მედიტაციის საწყის სტადიებზე შეგიძლიათ წარმოდგენაში ღმერთის თქვენთვის ძვირფასი ფორმა დახატოთ და ალის შიგნით მოათავსოთ, რომელზეც მედიტაციას ატარებთ. მაგრამ უნდა გააცნობიეროთ, რომ ადრე თუ გვიან ამ ფორმას შუქში გაზავება აქვს ბედად. ამიტომ ნუ ეცდებით ღვთაებრიობა რომელიმე კონკრეტული ფორმით შემოფარგლოთ, ისწავლეთ ღმერთს ხედავდეთ მის ყოვლისმომცველ ფორმაში, როგორც იმას, ვინც ყველა ღვთაებრივი არსების გულში მკვიდრობს.

ზოგიერთები დარწმუნებულნი არიან, რომ ღმერთს წარმოადგენენ მხოლოდ რამა, კრიშნა და საი ბაბა. მაგრამ ამის მტკიცება სრული უმეცრების გამოვლინებას ნიშნავს. თქვენც ღმერთები ხართ. და ღმერთი სწორედ იმიტომ ეშვება მიწაზე როგორც *ავატარი*, რომ დაგეხმაროთ გააცნობიეროთ, რომ ყოველი არსება ღვთაებრივია და რომ ისინი ყველა უმაღლესი არსების განხორციელებანი არიან. მე ეს ფორმა იმიტომ მივიღე, რომ თქვენ ყველამ თანდაყოლილი საკუთარი ღვთაებრიობის გაცნობიერება შეძლოთ. როდესაც იმ მიზანს გააცნობიერებთ, რის გულისთვისაც *ავატარები* მიწაზე ეშვებიან, თქვენ უნდა ენერგიულად და ენთუზიაზმით დაიწყოთ სულიერი ცხოვრების გაწევა.

გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც ღვთაებრივ თრობას მოჩვენებით გამოხატავენ და ცდილობენ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, რომ *სამადჰის* ტრანსცენდენტურ მდგომარეობას თითქმის მიაღწიეს. მაგრამ იმ მომენტში, როცა ჭიანჭველა ან კოღო დააჯდება, ისინი ინსტიქტურად აკეთებენ მოძრაობას, რომ საწყალი მწერი მოკლან. გვხვდებიან სხვებიც, მედიტაციაში ერთი წუთის განმავლობაში

მშვიდად სხედან, შემდეგ კი მსახურთა დატუქსვას იწყებენ მცირეოდენი შეცდომის გამო! ის, ვისაც მედიტირება გულწრფელად სურს, ასე არ უნდა იქცეოდეს. ბრძენ რამანა მაჰარშის[25] ერთხელ ჰკითხეს, დღის განმავლობაში რა ხანგრძლივობითაა საჭირო მედიტაციის წარმოება. ბრძენმა გაიღიმა და უპასუხა, რომ ადამიანი იმ დრომდე უნდა მედიტირებდეს, სანამ არ დაავიწყდება, რომ მედიტაციას ასრულებს.

მედიტაცია ისე უნდა სრულდებოდეს, რომ ეს სხვებისთვის თვალში საცემი არ იყოს. კალათებით თევზი თევზის ფარდულში იყიდება, ბრილიანტები კი საიუველირო მაღაზიაში მზრუნველობით ინახება და მათ მხოლოდ ღირსეულ მყიდველებს აჩვენებენ. თუკი განურჩევლად, სადაც მოგვიხდება, იქ ვზივართ და „მედიტაციას ვასრულებთ“ და ხალხის ყურადღებას ვიპყრობთ, ამით მედიტაცია იაფფასიანი მოჩვენებითობის დონემდე დაგვყავს.

უფალმა კრიშნამ არჯუნას უთხრა, რომ მედიტაცია მარტოობაში უნდა სრულდებოდეს. ამასთან სხეული მიწას ან სხვა რაიმე სხეულს არ უნდა ეხებოდეს. საქმე იმაშია, რომ მიწასთან კონტაქტი იწვევს ღვთაებრივი ენერგიის გაჟონვას, რომლებიც ადამიანში მედიტაციის დროს ჩნდება.

თქვენი სურვილების შემცირების შესაბამისად მედიტაცია სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდება. რაც უფრო ნაკლები ბარგი გვაქვს, მით უფრო მეტ სიხარულს გვაძლევს მოგზაურობა და უფრო კომფორტულად ვგრძნობთ თავს. და ცხოვრებაში ჩვენი მოგზაურობაც უფრო იოლი და ბედნიერი იქნება, თუკი რაც შეიძლება ნაკლები სურვილით ვიქნებით დამძიმებულნი.

[25] რამანა მაჰარში – დიდი წმინდანი, ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი რელიგიური მოღვაწე (მე-19 – მე-20 საუკ.), რომელიც თვითშემეცნების პრობლემის სპეციალური დამუშავებით იყო დაკავებული.

თავი 16

„ანორანეიან მაჰატო მაჰეიან“

(უმცირესზე უფრო უმცირესი და
უდიდესზე უფრო უდიდესი)

უმცირესზე უფრო უმცირესი და უდიდესზე უფრო უდიდესი, ყოვლის გამსჭვალავი *ბრაჰმანი* ყველაფრის მარადიულ მოწმედ რჩება.
***ბრაჰმანი* არის *ატმანი*, *ატმანი* კი არის *ბრაჰმანი*.**

სიყვარულის განხორციელებანო!

სამყაროს დასაწყისი არ გააჩნია, და მასში ურიცხვი რაოდენობის ცოცხალი არსება, *ჯივი* მკვიდრობს. ამ *ჯივებს* შორის ადამიანი ყველაზე უფრო ამაღლებული არსებაა.

უხსოვარი დროიდან ადამიანები ღმერთის შეგნებისკენ ისწრაფოდნენ. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ღმერთი არის, სხვები კი მის არსებობას უარყოფდნენ. მაგრამ არც თეისტებს, არც ათეისტებს უნარი არ ჰქონდათ ურთიერთსაწინააღმდეგო რწმენებისთვის მტკიცებულებები მოეყვანათ.

ინდოეთის მცხოვრებთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ღმერთი შივაა, რომელიც მგზავრობს ხარით ნანდი, სხვები თვლიან, რომ ღმერთი ვიშნუა, რომელიც სამგზავრო ცხოველად (*ვაჰანად*) არწივ გარუდას იყენებს. მესამენი კი ყველაფერ ამას სიცრუედ თვლიან და ბიბლიაზე ფიცით აცხადებენ, რომ ღმერთი სინათლეა და ზეცაში ბინადრობს.

ადგილის, დროის და დაგროვილი ინდივიდუალური გამოცდილების მიხედვით ადამიანებმა ღვთაების შესახებ სხვადასხვა წარმოდგენა განივითარეს. ხედავდა რა ადამიანებს ასეთ რთულ მდგომარეობაში, უფალმა კრიშნამ ბჰაგავად გიტაში ღმერთის ძალიან მარჯვე ახსნა მისცა. მან განაცხადა: „*ანორანეიან მაჰატო მაჰეიან*“ – ღმერთი ყველგან იმყოფება და თავს ავლენს ერთდროულად როგორც ყველაზე უმცირესი და როგორც ყველაზე უდიდესი.

განა შეუძლია ადამიანს დაინახოს ღმერთი, რომელიც უმცირეს ატომზე უფრო მცირეა, ან აღიქვას ტრანსცენდენტური ღვთაებრიობა, რაც მთელ კოსმოსს მოიცავს და მის ზღვრებს იქით ვრცელდება? პასუხი ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითი უნდა იყოს, ადამიანს ხომ მისი გარემომცველი ჰაერის დანახვაც კი არ შეუძლია, მით უმეტეს არ ფლობს აღქმის საშუალებებს ღვთაებრიობისა, რომელიც ჰაერზე უფრო ფაქიზია. ასევე მას არ შეუძლია ყოვლისგამსჭვალავი *ბრაჰმანის*

უსაზღვროება გაზომოს, *ბრაჰმანისა*, რომელიც აღემატება უსაზღვრო კოსმოსს ვარსკვლავთა მირიადებით, სადაც ყოველი მათგანი ზომით მზეზე უფრო დიდია და სხვა ვარსკვლავებიდან უზარმაზარი მანძილით არის დაშორებული.

ღმერთი მიწაზე როგორც *ავატარი* სწორედ იმიტომ ეშვება, რომ ადამიანი იმ ჭეშმარიტებებს აზიაროს, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანური ინტელექტისთვის ხელმიუწვდომელია და დაკავშირებულია ღვთაებრიობის ამ ორ ასპექტთან – იყოს ყველაზე უმცირესი და ამავე დროს ყველაზე უდიდესი („*ანორანეიან მაჰატო მაჰეიან*“). კრიშნამ *ავატარის* სახით თავისი გზავნილის - ბჰაგავად გიტას – საშუალებით არჯუნას (რომელიც მთელი კაცობრიობის წარმომადგენლად აირჩია) ეს მარადიული ჭეშმარიტებები გადასცა. „სამყაროს ზღვრებს იქით, - თქვა კრიშნამ, - არის უკუნეთი, ამ უკუნეთის ზღვრებს მიღმა კი ჭეშმარიტება ცხოვრობს“. ეს უკუნეთი შედგენილია *რაჯასის* და *ტამასის* არეებისგან, ამ სიბნელის ზღვრებს იქით კი იმყოფება *სატვაგუნას* სამფლობელოები – ჭეშმარიტების და სინათლის სამეფო.

ნათქვამია: „ჭეშმარიტება ღმერთია“, მაგრამ იმისათვის, რომ ეს გავაცნობიეროთ, *რაჯასის* და *ტამასის* ზღვრებიდან უნდა გამოვიდეთ. და ამის საშუალება მედიტაციაა.

კრიშნამ ორი მნიშვნელოვანი წესი ჩამოაყალიბა, რომლებიც მედიტაციას ეხება. მან განაცხადა: „*იუქთაჰარა ვიჰარასია*“, რაც ნიშნავს: „ზომიერი დიეტა და მოწესრიგებული ცხოვრების წესი“. მოცემულ შემთხვევაში „*იუქთაჰარა*“ არ მიუთითებს საკვებისაგან სრულ თავის შეკავებას, რადგან ეს ადამიანს ფიზიკურ გამოფიტვამდე და გონებრივ სისუსტემდე მიიყვანდა. ბუდას გამოცდილება ამის ძალიან კარგი ილუსტრაციაა. ასკეზას რომ მიეცა, ბუდამ რამდენიმე დღე საჭმელზე უარი თქვა, რამაც იგი ფიზიკური და გონებრივი ძალების კარგვასთან მიიყვანა. როდესაც გააცნობიერა, რომ ჯანმრთელი სხეული და ნათელი გონება წარმატებული ასკეზისთვის აუცილებელი პირობაა, იგი უახლოეს სოფელში წავიდა და შიმშილი ჩუმა-მაწვნით დაიცხრო. იმ დღიდან ბუდა ცოტა-ცოტა საკვების მიღებას განაგრძობდა და ამის წყალობით შეეძლო იოლად შეესრულებინა მედიტაცია და ასეთი სახით ჭეშმარიტება შეეცნო.

ამრიგად, მედიტაციის ნაყოფიერად ჩატარებისთვის ადამიანმა აუცილებელი რაოდენობის და კარგი თვისებების მქონე საკვები უნდა მიიღოს. მაგრამ უნდა ერიდოს ზედმეტ ჭამას, რომელიც ძილის მომგვრელია. გქონდეთ ასეთი წესი: აზრობრივად კუჭი ოთხ თანაბარ ნაწილად დაყავით. მაშინ კუჭის ორი ნაწილი მყარი საჭმლით

შეგიძლიათ შეავსოთ, ერთი ნაწილი – თხევადით, ბოლო მეოთხე ნაწილი კი ცარიელი დატოვოთ. თუ კუჭი მხოლოდ მყარი საჭმლითაა შევსილი, ეს ხელს შეუწყობს *ტამაგუნას*, მოშვებულობის განვითარებას, რაც მედიტაციისთვის უეჭველ დაბრკოლებას წარმოადგენს.

მედიტაციისთვის ასევე მავნებელია ძილზე უარის თქმა. ძილის უკმარისობა ადამიანში *რაჯაგუნას*, მღელვარების განვითარებას იწვევს და მის ცნობიერებას არაჯანსაღი აზრებით და ემოციებით ავსებს.

დღეს ადამიანის მიერ ხმარებული საკვები ძირითადად *რაჯასიურს* და *ტამასიურს* წარმოადგენს. სწორედ ამაშია მიზეზი სისასტიკისა და მღელვარებისა, რომლებშიაც დღეს ადამიანთა გონება იმყოფება. ადამიანთა ფიზიკური ჯანმრთელობაც ასევე სუსტია. ჩვენს დროში თექვსმეტი წლის ჭაბუკი ისეთივე ფიზიკურ უქეიფობას განიცდის, როგორსაც სამოცი წლის მამაკაცი. აი რამდენად სავალალოა თანამედროვე ახალგაზრდების ჯანმრთელობის მდგომარეობა! განა შეუძლიათ მათ ასეთი ჯანმრთელობით მედიტაციის ნეტარება განიცადონ?

ამიტომ ყოველი ადამიანისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თავის მოვლა და იმის გარკვევა, რამდენ დროს ხარჯავს იგი მსწრაფლწარმავალ მატერიალურ სიხარულს უგუნურ გამოკიდებაზე, და რა დროს უთმობს ღმერთზე ფიქრს. ჩვენს თანამედროვეს, რომელიც გრძნობითი სიამოვნებებისკენ ისწრაფის, ღვთაებრიობის სამზერად უბრალოდ დრო არ ჰყოფნის. მაგრამ ზეცის კარი მისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიღება, თუ იგი ღმერთზე მუდამ და ყველგან იფიქრებს. მაგრამ როგორც ჩანს, პრაქტიკულად ყველა თავის შვილებზე, ნათესავეზე, მეგობრებზე, ფულებზე და მატერიალურ საკუთრებაზეა ფიქრებში ჩაფლული. აი ასეა ადამიანი გარემომცველი სამყაროს წარმავალ სიხარულს გამოკიდებული და ამიტომ საკუთარ თავს სულიერი განცდის ნეტარებას უსპობს. ამიტომ ადამიანებმა მზერა მსწრაფლწარმავალ სიხარულთა სამყაროს უნდა მოაცილონ და *იოგას* რვასაფეხურიან გზაზე, რომელიც ფილოსოფოსმა პატანჯალიმ[26] „იოგა-სუტრებში“ წარმოადგინა, ბოლო სამი საფეხურია *დჰარანა, დჰიანა* და *სამადჰი. დჰარანა*, ამგვარად, *დჰიანას* წინ უძღვის. *დჰარანა* ნიშნავს გონების მოკრებას მედიტაციის, *დჰიანას* მიზანზე, და მედიტაციისთვისა აუცილებელ ყველა წინასწარ მომზადებას შეიცავს.

[26] პატანჯალი – *იოგას* ფილოსოფიური სისტემის ლეგენდაროლი დამფუძნებელი, რომელიც, გადმოცემით, ძვ.წელთაღ. მე-2 საუკუნეში ცხოვრობდა.

მედიტაციისთვის მზადებისას მოხერხებული პოზა უნდა მიიღოთ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჯობია ტყავით ან რბილი ქსოვილით გადაფარებულ ფიცარზე დაჯდეთ, ხელები *ჩინმუდრის* პოზიციაში დააწყოთ და ფეხები გადააჯვარედინოთ. ეს ყველაფერი ეხება კონცენტრაციას, *დჰარანას.* ხოლო მედიტაცია, *დჰიანა*, საკუთარი თავის უფალთან თანდათან გაიგივების პროცესით იწყება და ადამიანი მას *სამადჰისთან* მიჰყავს.

სამადჰი მდგომარეობაა, რომელშიაც *დჰიანა* თავის დასრულებას ჰპოვებს. *სამადჰის* მდგომარეობაში ადამიანი შედარებითი რეალობის ობიექტურ სამყაროზე, თავისი თავის სხეულთან სუბიექტურ გაიგივებაზე და იმ მოქმედებაზე მაღლა ადის, რომელშიაც იგია ჩაფლული, - მედიტაციაზე. *სამადჰი* სულაც არ არის არაცნობიერი მდგომარეობა. *სამადჰიში* ყოფნა არც ემოციურ აღგზნებას ნიშნავს. სიტყვა „*სამადჰი*“ თავის თავზე ლაპარაკობს: „„*სამო*“ ნიშნავს „წონასწორობას“, „*დჰი*“ კი - „გონს“, ანუ *სამადჰი* ინტელექტუალური წონასწორობის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი ორობითობის სამყაროს ზღვრებიდან გამოდის და ღვთაებასთან ერთიანობის ნეტარებას განიცდის.

უფალი ადამიანის სახით იმიტომ ხორციელდება, რომ ადამიანებს დაეხმაროს გააცნობიერონ ის, რაც თვით მათ, როგორც ჩანს, არ შეუძლიათ გაიგონ, რომ შესაძლებლობა მისცეს იმას მიაღწიონ, რისი მიღწევაც შეუძლებლად მიაჩნიათ. მაგრამ ეს არანაირად არ ამცირებს უფალს, რომელიც უსასრულოა, უცვლელია და ყველაფერში განუყოფლად იმყოფება. გარდა ამისა, მართალია, ღმერთი ადამიანის სახით არის განხორციელებული, მაგრამ მას არ ეხება მავნე ზეგავლენები და ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვეულებრივად ადამიანს აზიანებს.

რა დიდი და მოუცველიც არ უნდა იყოს ზღვა, მისი წყლის გემოს გასაგებად აუცილებელი არ არის მთელი ოკეანის დალევა. რამდენიმე წვეთის გასინჯვაც საკმარისია. ასევე, ვინც ადამიანის ფორმაში უფლის ყოფნას აცნობიერებს, ითვისებს და განიცდის, იმან *ბრაჰმანიც* გააცნობიერა, შეითვისა და განიცადა, *ბრაჰმანი*, რომელიც უცვლელი, მოუშლელი და უფორმოა.

ღვთაებრივი განხორციელება რომ გავიგოთ, ჩვენი ბუნებისთვის დამახასიათებელ *რაჯასის* და *ტამასის გუნებზე* მაღლა უნდა ავიდეთ. ჭეშმარიტი ერთგულების გზაზე, რომელსაც ღვთაების ლოტოსის ტერფებთან მივყავართ, მხოლოდ *სატვა გუნა* შეიძლება ჩვენი თანამგზავრი იყოს. *რაჯასის* და *ტამასის* თვისებები რომ მოვიცილოთ

და *საცვიური* ბუნება შევიძინოთ, აუცილებელია ხელსაყრელი გარემო და ღვთისმოსავ ადამიანთა საზოგადოება – *საცსანგი.*

ადამიანის გონებრივ წყობაზე იმით შეიძლება ვიმსჯელოთ, რითაც იგი თავის უშუალო გარემოცვას ქმნის. მაგალითისთვის, უცებ შეიძლება გავიგოთ, რომ ის ადამიანი, ვისი ოთახიც ნათესავების, მეგობრების და პოლიტიკური მოღვაწეების სურათებითაა მორთული, *რაჯაგუნაში* იმყოფება. იგი იმათ მიეკუთვნება, ვინც ადამიანურ ურთიერთობებს უდიდეს მნიშვნელობას აძლევს და ამქვეყნიური ძალის და სიმდიდრის წინაშე იხრის თავს, ღმერთს კი ყურადღებას არ აქცევს. და, რა თქმა უნდა, თავისი ბუნებით *ტამასიურია* ადამიანი, ვისი ოთახიც მახინჯი და უგვანო გამოსახულებებითაა სავსე. ადამიანთა ეს ორივე კატეგორია არ შეესაბამება იმას, რომ მედიტაციის წმინდა გზას გაჰყვეს. აი მესამე კატეგორია კი ადამიანებისა, რომლებიც ოთახების კედლებს ღმერთის და წმინდანების გამოსახულებებით რთავენ და ამით თავიანთ საცხოვრებლებს ტაძრებად აქცევენ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, *საცვიურს* წარმოადგენს. ასეთ ადამიანებს მედიტაციის წარმოებისათვის ყველა აუცილებელი თვისება აქვთ.

ადამიანები და მათი გამოსახულებები წარუშლელ კვალს ტოვებენ მეხსიერებაში და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ გონებებზე. ერთხელ მოჰანდას კარამჩანდი (განდი) დედასთან ერთად თეატრში წავიდა, რომ პიესა ენახა მეფე ჰარიშჩანდრას ცხოვრებიდან. ჰარიშჩანდრას, როგორც ჭეშმარიტებისათვის უბადლო მებრძოლის, გამოსახულებამ ახალგაზრდა განდიზე იმდენად ძლიერად იმოქმედა, რომ, სახლში დაბრუნების შემდეგ, მან გადაწყვეტილება მიიღო მთელი ცხოვრება ჭეშმარიტებისთვის ბრძოლაში გაეტარებინა. ეს იდეალი განდისთვის მთელ შემდგომ ცხოვრებაში შუქურა იყო, და ჭეშმარიტების ერთგულების წყალობით იგი *მაჰატმად*[27] აღიარეს.

რამანა მაჰარშიც ასევე დაუღალავი პრაქტიკის საშუალებით ავარჯიშებდა თავის გონებას. ყოველ ღამით იგი გარკვეულ ვარსკვლავს უყურებდა, საათობით მასზე ჰქონდა ყურადღება მოკრებილი. ეს კონცენტრაციას, *დჰარანას* უმყარებდა და მედიტაციისთვის, *დჰიანასთვის* ამზადებდა მას.

გონების სიწმინდის გარდა მედიტაციისთვის არსებით პირობას გონების სიმშვიდე წარმოადგენს. მღელვარე გონება წინააღმდეგობაა როგორც კონცენტრაციის, ასევე მედიტაციის პროცესისთვის.

---

[27] ეპითეტი *მაჰატმა*, „დიადი სული“, წმინდანთა, განსაკუთრებით გამოჩენილ და სულიერად განვითარებულ ადამიანთა მიმართ იხმარება, რომლებმაც სიცოცხლეშივე მიაღწიეს გაბრწყინებას.

გონებისათვის აუცილებელია დასვენება, რომელსაც იგი ძილის დროს ღებულობს. ფილოსოფოსი შანკარა[28] ძილს *სამადჰის* ადარებდა, თუმცა *სამადჰი* უფრო მეტ სიხარულს და შინაგან ჰარმონიას ატარებს. იმისათვის, რომ გონება გულისხმიერი, გაწონასწორებული და მედიტაციისთვის მზად ვაქციოთ, ჩვენთვის სრულფასოვანი ძილია აუცილებელი.

ღვთაებასთან სამ პირდაპირ გზას მივყავართ. პირველი გულისხმობს ყველა მოქმედების ღმერთისთვის მიძღვნის სულისკვეთებით შესრულებას, რომ ღმერთის გული მოვიგოთ. მეორე გზა მდგომარეობს საკუთარი ძალისხმევის შედეგთა სურვილზე უარის თქმაში, მესამე კი მდგომარეობს მედიტაციის დროს საკუთარი თავის ღმერთთან გაიგივებაში. ყველა მოქმედების ღმერთს მიძღვნა სიბრძნეს იძლევა. საკუთარი ძალისხმევებისთვის ჯილდოს მიღების უარყოფას გონების სიმშვიდე მოაქვს. ასევე მედიტაციაც ხელს უწყობს შინაგანი სიმშვიდის მიღწევას.

მედიტაციის წარმოება ყველას შეუძლია – მოხუცებს და ახალგაზრდებს, ბრძენებს და უმეცრებს, ჯანმრთელებს და სუსტებს. იმათთვის, ვისაც მედიტაციისთვის საკმარის ფიზიკური და გონებრივი უნარი არ გააჩნია, არანაკლებ ქმედითია უნივერსალური სიყვარულის განვითარება. ყველა სამ ზემოხსენებულ გზას (აბსოლუტურ ერთგულებას, ძალისხმევის შედეგებზე უარის თქმას და მედიტაციას) ადამიანი ერთსა და იმავე მიზნამდე მიჰყავს.

თავი 17
სატვიური საკვები

***ატმანის* თვალისმომჭრელი შუქი მარად ანათებს. *ატმანი* არ არის დაბადებული და უკვდავია. მას არა აქვს არც დასაწყისი, არც დასასრული, და მისი მოშლა შეუძლებელია. იგი არის უკვდავი მოწმე და დროისა და სივრცის უზენაესი.**

სიყვარულის განხორციელებანო!

კრიშნამ არჯუნას უთხრა: „*ნა შრეიო ნიამამ ვინა*“ (ცხოვრებას დისციპლინის, წესებისა და წესრიგის გარეშე არ მოაქვს არც

[28] შანკარა – მე-9 საუკუნის ინდოეთის დიდი ფილოსოფოსი და პოეტი, მკაცრი მონიზმის – ადვაიტა-ვედანტას – სკოლის მთავარი წარმომადგენელი და კლასიკოსი.

სიხარული, არც კეთილდღეობა, არც აყვავება). ვინც სხვა ადამიანების ქცევებს აკონტროლებს და მიმართავს, მას *იამა* ჰქვია, ხოლო ვინც თავის თავს აკონტროლებს და საკუთარ ქცევებს არეგულირებს, მას აქვს თვისება, რომელსაც *სამიამა* ჰქვია. *იამა* არ აკონტროლებს იმას, ვინც თვითკონტროლით, *სამიამითაა* აღჭურვილი. ადამიანი თავის ცხოვრებაში აუცილებლად უნდა მიჰყვებოდეს დისციპლინას და წესებს, რომლებიც თვითშეზღუდვაზეა დამყარებული. ასეთი თვითშეზღუდვა შეადგენს ინდივიდუმის *ტაპასს*, ასკეზას. ცხოვრება შეზღუდვების გარეშე უზნეოა. ზღვა, ქარი და სხვა ბუნებრივი მოვლენები ბუნების უნივერსალურ კანონებს ექვემდებარება. დედამიწა თავისი ღერძის გარშემო და მზის გარშემო ბრუნავს და თავის ორბიტას ზუსტად მიჰყვება. სამყაროში ასეთი ერთგვაროვნობა ღმერთის მიერ დაწესებულ კანონებზეა დაფუძნებული. ამ კანონებს ემორჩილება როგორც მაკროკოსმოსი (სამყარო), ასევე მიკროკოსმოსი (ჩვენი შიდა სამყარო). ღმერთის მიერ დამყარებული ბუნების კანონები აუცილებელია სამყაროს შექმნის და შენახვის პროცესისათვის, ასევე მისი დინამიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის.

ნებაყოფლობით თვითდისციპლინას ადამიანი ნამდვილ *შანტისთან* - გონების სიმშვიდესთან, თავდაჭერილობასთან და მდგრადობასთან მიჰყავს. ამქვეყნად ყველაზე უფრო სასურველი რამ გონების სიმშვიდეა. იგი ფიზიკურ და ფსიქიკურ სიხარულს გვაძლევს. გონების სიმშვიდის, *შანტის* მისაღწევად სულიერმა მაძიებელმა საკუთარ თავში სულიერი სიბრძნის, *ჯნიანას* წყურვილი უნდა გამოაღვიძოს. გარდა ამისა, უნდა განავითაროს თანაგრძნობის, სიმპათიის, სიყვარულის გრძნობა და სხვებისთვის უანგარო მსახურებას ეწეოდეს. *შანტი* არ უნდა განვიხილოთ როგორც რაღაც ხანმოკლე ზნეობრიობა, რომელიც მხოლოდ მედიტაციის დროს უნდა განვავითაროთ. *შანტი* შინაგანი სიმშვიდის უცვლელი მდგომარეობაა; იგი ჩვეული და ინსტიქტური უნდა გახდეს. მედიტაციაც, *დჰიანა*, უნივერსალური და ყველასთვის მისაღებია. იგი დროისა და სივრცის ჩარჩოებით არ არის შეზღუდული, მას არ განაგებენ რომელიმე გარკვეული რელიგიის დოგმატები. *დჰიანა* ცხოვრების სახეა, მას ადამიანი სრულ გაღმერთებამდე მიჰყავს. *დჰიანა* და *შანტი* განუყოფელია. *დჰიანა შანტის* დამყარებას უწყობს ხელს, *შანტი* კი *დჰიანას* აძლიერებს. ღვთაებრივის ბუნება არანაირად არ შემოიფარგლება ღვთაების ფორმით, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ. ზოგიერთები გონების უღრმეს სიმშვიდეს განიცდიან, როდესაც მედიტაციაში არიან ჩაძირულნი, მაგრამ როგორც კი მათი გონება მედიტაციური მდგომარეობიდან გამოდის, ისინი კვლავ დემონური

ბუნების გამოვლინებას იწყებენ. ასე არ უნდა ხდებოდეს. მედიტაციის დროს შეძენილი ღვთაებრივი თვისებები ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ვითარდებოდეს და მყარდებოდეს.

ავადმყოფს მხოლოდ წამლებით ვერ მოარჩენ. ავადმყოფობის შემდეგ სწრაფი აღდგენისათვის მან დიეტაც უნდა დაიცვას. უდიდესი ტანჯვებისათვის, რომლებიც წუთისოფელში ყოფნას თან სდევს, ერთიანი პანაცეა არ არსებობს. ყოველი ადამიანი თავისებურად იტანჯება. და მაინც ღმერთზე მედიტაცია საიმედო საშუალებაა ამქვეყნიური ტანჯვებისათვის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამყარებულია ვალის, *დჰარმის* შესრულებით, და ზნეობრივი ნორმების მკაცრი დაცვით. ჩვენ ყველა ერთმანეთზე ვართ დამოკიდებულნი და სხვების სიხარულის და მწუხარების გაზიარება უნდა ვისწავლოთ. ვინც მედიტაციას ასრულებს, იგი ღმერთს სხვების კეთილდღეობას ისევე გულწრფელად უნდა ევედრებოდეს, როგორც საკუთარი კეთილდღეობისთვის ლოცულობს.

სულიერი მაძიებლისთვის აუცილებელი არ არის ბერულ იზოლაციაში ცხოვრება. მან უნივერსალური თანაგრძნობის გრძნობა უნდა განავითაროს, ეს კი სხვა არა არის რა, თუ არა მთელი კაცობრიობისთვის კეთილდღეობის ძლიერი სურვილი. საკუთარ თავში უნივერსალური თანაგრძნობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს საკვები ასრულებს. გუშინ გეუბნებოდით სულიერი მაძიებლისთვის საჭმლის სწორ შერჩევაზე. დღეს შევჩერდები *სატვიურ* საკვებზე, ანუ საკვების ისეთ სახეზე, რომელიც სულიერი წინსვლისთვისაა აუცილებელი.

სატვიური საკვები სულიერ მაძიებელს, *სადჰაკას*, შესაძლებლობას აძლევს ღვთაებრიობის ყველგან მსუფევი ბუნება გააცნობიეროს. *სადჰაკა* ღვთაებრივი ცხოვრების ოთხ სტადიას გადის და სრულყოფილდება. სულიერი წინსვლის ოთხ სტადიას წარმოადგენს *სალოკია*, *სამიპია*, *სარუპია* და *საიუჯია*[29].

სალოკია არის თეოცენტრული რეალობის არეში შესვლა, *სამიპია* – სამყაროს ფუძემდებლურ სულიერ სუბსტანციასთან სიახლოვის მდგომარეობა, *სარუპია* – საკუთარი თავის ღვთაების ფორმას მიმსგავსება, *საიუჯია* კი ნიშნავს განთავისუფლებას და ღვთაებასთან საბოლოო ერთიანობას. *სატვიური* საკვები სულიერების ამ ოთხი

[29] *სალოკია* - „თანა-ამქვეყნიური“: ნეტარების მიღწევის ოთხი ეტაპიდან პირველი, ასოცირდება უხეშ სხეულთან, მუდმივი აზრობრივი მიმართვა ღმერთს; *სამიპია* - „მიახლოება“; აქ მეორე სტადია ნეტარების გზაზე, ასოცირდება ფაქიზ სხეულთან; *სარუპია* - „მაგვარი“; ნეტარების გზაზე ოთხი სტადიიდან მესამე, ასოცირდება მიზეზობრივ სხეულთან; *საიუჯია* - „შეერთება“: ღვთაებრივის და ადამიანურის აბსოლუტური კავშირი.

სტადიის (*სალოკიას*, *სამიპიას*, *სარუპიას* და *საიუჯიას*) თანამიმდევრულ მიღწევას უწყობს ხელს. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია გავარკვიოთ, რა იგულისხმება გაგებაში „*სატვიური* საკვები“. ზოგიერთები მცდარ აზრზე დგანან, რომ *სატვიური* საკვები უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ რძით, იოგურტით, ტკბილეულით და ხილით, დარწმუნებულნი არიან, რომ ამ დელიკატესების დიდი რაოდენობით მიღების შემდეგ თვითონ შეუძლიათ *სატვიურები* გახდნენ. ისინი ცდებიან. მხოლოდ და მხოლოდ რძის და რძის პროდუქტების უზომო მოხმარება ადამიანში *რაჯასიულ* და *ტამასიურ* თვისებებს აღვიძებს და ამყარებს. ჭარბი რძის, ხაჭოს და ერბოს (*გჰის*) დიეტა არ შეიძლება *სატვიური* ითვლებოდეს, რადგან ადამიანში ვნებითი მიდრეკილებების განვითარებას უწყობს ხელს.

ამასთან დაკავშირებით მინდა დაწვრილებით შევჩერდე ადამიანური შეცნობის ბუნებაზე და აღქმის ხუთ „კარზე“. ადამიანს გრძნობათა ხუთი ორგანო აქვს ბოძებული, რომლებიც გრძნობითი აღქმის ხუთ სახესთანაა დაკავშირებული: სმენასთან (*შაბდასთან*), შეხებასთან (*სპარშასთან*), მხედველობასთან (*რუპასთან*), გემოსთან (*რასასთან*) და ყნოსვასთან (*განდჰასთან*). ამ გრძნობით უნართა შენარჩუნება და განვითარება დამოკიდებულია *სატვიურ* საკვებთან, რომელსაც ჩვენ პირის საშუალებით ვიღებთ. ჩვენ მიერ მიღებული *სატვიური* საკვების მრავალფეროვნება განისაზღვრება ჩვენი ინდივიდუალური გემოვნების თავისებურებებით. ჩვენ კმაყოფილებას განვიცდით, თუკი იმ საკვებს ვიდებთ პირში, რომლის მიმართ მიდრეკილება გვაქვს. მაგრამ გვავიწყდება, რომ გრძნობათა სხვა ორგანოებითაც ვიღებთ საკვებს: უსხეულო საკვებს. ამიტომ *სატვიური* საკვების სამკურნალო ზემოქმედება ნულამდე იქნება დაყვანილი, თუკი მოვუსმენთ ცუდ საუბრებს, მავნე ჭორებში ჩავებმებით, ცუდ რამეებს ვუყურებთ და შევეხებით, ცუდ სუნს შევისუნთქავთ. ბოროტება ადამიანის გონებას და სხეულს ჩირქს სცხებს, ბილწავს და სვრის. მაშ ასე, სულიერი აღორძინებისთვის მხოლოდ *სატვიური* საკვები საკმარისი არ არის. ცუდ რამეებზე არ უნდა ვილაპარაკოთ, სხვები არ უნდა გავკიცხოთ, ასევე ჩვენი თავი ცამდე არ უნდა ავიყვანოთ. ტრაბახი და საკუთარი თავით ტკბობა ჩვენს სულიერ განვითარებას აფერხებს. გრძნობათა ორგანოები უნდა გავაჯეროთ ჯანმრთელი საკვებით, სამკურნალო ხმებით და კეთილისმყოფელი სანახაობებით. ენის დანიშნულებაა ღმერთის განდიდება, ყურების დანიშნულება კი ღვთაებრიობის გამოვლინების დიდებული დღესასწაულების მოსმენაა.

აღქმის ყოველი ორგანო მისი შესაბამისი სულიერი საკვებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ასე, *სატვიური* კვება არ ნიშნავს მხოლოდ რძის, ხაჭოს, ერბოს და ხილის ზომიერ მოხმარებას. მასში აგრეთვე შედის სიამოვნების გრძნობაც, რომელიც კეთილშობილი აზრებით, ღვთაებრივი ბგერებით, წმინდა სანახაობებით და სულიერი საუბრებით ჩნდება. ჩვენს თავში *სატვიური* მხედველობა და *სატვიური* ხედვა უნდა განვავითაროთ. უნდა ვტკბებოდეთ ბუნების სილამაზის და ტაძარში ხატების სიწმინდის სანახაობით (*დარშანით*), გავურბოდეთ ნებისმიერ გამაღიზიანებელ სანახაობებსა და ხმებს. და არ უნდა ვუყურებდეთ ვინმეს ბოროტი თვალით. ბოროტი ცქერა ბოროტი აზრებით ჩნდება, თვალები ხომ სულის სარკეა, და ჩვენი გული სიყვარულით და თანაგრძნობით უნდა იყოს შევსილი. ვაჯერებთ რა თვალებს *სატვიური* სანახაობებით, ამით ჩვენ *სატვიურ* ბუნებას ვავითარებთ.

ამგვარადვე მნიშვნელოვანია სუნების აღქმაც. საჭიროა ყნოსვის გრძნობა სასიამოვნო სუნებით დავაკმაყოფილოთ, ცუდ სუნებს თავი ავარიდოთ. საკურთხევლებზე და ტაძრებში ტყუილად ხომ არ ანთებენ ტკბილ კეთილსურნელებას და არომატულ ჯოხებს სიწმინდის ატმოსფეროს შექმნის მიზნით. არასასიამოვნო სუნი სიწმინდის ატმოსფეროს შლის. სიწმინდის წარმოდგენა ყოველთვის ტკბილ არომატთან და კეთილსურნელებასთან ასოცირდება.

ტაკტილური შეგრძნებები, ანუ შეხების გრძნობა, წმინდა ადამიანთა ტერფების შეხებით უნდა კმაყოფილდებოდეს. მანკიერი ადამიანების ფიზიკურ შეხებას კი უნდა გავურბოდეთ, რადგან ასეთი კონტაქტები ჩვენში ცუდ აზრებს ბადავენ.

უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს *სატსანგს*, ღვთისმოსავ ადამიანებთან ურთიერთობას. *სატსანგი* გვეხმარება განდგომილობის გრძნობასთან მივიდეთ, განდგომილობას თავდაჭერილობასთან მივყავართ, თავდაჭერილობას კი, თავის მხრივ, მივყავართ გათავისუფლებასთან სიცოცხლეშივე.

სატსანგის საშუალებით ბევრი რამ მიღწევადი ხდება. ასეთი გზით ჩვენში კეთილშობილ ჩვევებს გამოვიმუშავებთ და ღვთისმოსავ მოღვაწეობაში მონაწილეობას ვიწყებთ. *სატსანგი* ადამიანის სხეულს წმენდს და ღვთის ტაძრად აქცევს.

ამრიგად, ყოველმხრივმა დაბალანსებულმა *სატვიურმა* კვებამ *სატვიური* დაკმაყოფილება უნდა მოუტანოს ადამიანის სხეულის გრძნობათა ყველა ორგანოს. სმენა (*შაბდა*), შეხება (*სპარშა*), მხედველობა (*რუპა*), გემო (*რასა*) და ყნოსვა (*განდჰა*) უნდა ატარებდეს *სატვიური* დაკმაყოფილების გრძნობას *სატვიური* საუბრის

საშუალებით, *სტვიური* გარემოცვით, *სტვიური* სანახაობებით, *სტვიური* საკვებით და *სტვიური* სუნით. ყოველმხრივი *სტვიური* დიეტა გრძნობათა ყველა ორგანოს *სტვიურ* დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. ჩვენს დროში კი *სტვიური* საკვების შესახებ წარმოდგენა შემოიფარგლება საკვებით, რომელიც შედგება ხილისგან, რძისგან და რძის პროდუქტებისგან. მაგრამ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ასეთი საკვების უზომო მოხმარება მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის სხეულზე. ყოველმხრივი *სტვიური* კვების არქონის დროს, რომელსაც უნარი აქვს მთელი სხეული *სტვიური* სანახაობებით, ხმებით, სუნებით და ტაკტილური შეგრძნებებით შეავსოს, ბჰაგავად გიტაში ხსენებული მხოლოდ მედიტაციის სულიერი ტექნიკა სარგებელს ვერ მოიტანს. უფრო მეტიც, მედიტაცია შეიძლება უბრალო პოზად იქცეს. დღეს მეიდტაცია მოდური დროს ტარების დონემდეა დაყვანილი. იმისათვის რომ ხაფანგებს და ხიფათებს გავექცეთ, რომლებიც მედიტაციის მცდარი პრაქტიკისათვისაა დამახასიათებელი, ნათლად უნდა გავარკვიოთ მისი ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა. შეზღუდვები თვით ადამიანთა კეთიდღეობისთვისაა აუცილებელი. შეზღუდვა საჭმელში და *სტვიური* კვება სულიერი პროგრესისთვის ძალიან არსებითია. ასეთმა კვებამ გრძნობათა ყველა ორგანოს უნდა მოუტანოს დაკმაყოფილება.

ყველა მდინარე ოკეანეში ჩაედინება. და ზუსტად ასევე ნებისმიერი სულიერი *სადჰანის* მიზანი ინდივიდუალური სულის უნივერსალურ სულთან შერწყმაა. ღმერთის წყალობა უსაზღვრო ოკეანეს ჰგავს. წყლიდან ასული ორთქლი სიმბოლიზირებს მოსანანიებელ მსხვერპლს (*სადჰანას*), ღრუბელი – ჭეშმარიტებას (*სტიას*), წვიმის წვეთები – სიყვარულს (*პრემას*). წვიმის წვეთები ერთად გროვდება და ნეტარების, *ანანდას* ნაკადს ქმნის, რომელიც ღვთაებრივი წყალობის, *ანუგრაჰის*, უსაზღვრო ოკეანეში ჩაედინება.

საღმრთო წერილებიდან და საღმრთო წიგნებიდან (*შასტრებიდან*) უშუალოდ მიღებული ცოდნა ზღვის წყალს ჰგავს. წიგნური ცოდნის მლაშე წყალი იმ შემთხვევაში შეიძლება მტკნარი გახდეს და სიბრძნის სუფთა წყლად იქცეს, თუ ადამიანი გარჩევის უნარს ავითარებს, მისი გონება კი მედიტაციის მდგომარეობაში შედის. ამრიგად, წიგნური ცოდნა საკუთარი გამოცდილებით მისი გასინჯვის დროს გაადამიანურდება, უანგარო სიყვარულის გზით კი გაღმერთდება. წიგნურ ცოდნას გამოცდილებით გამყარების გარეშე ადამიანი ფანატიზმამდე და ინტელექტუალურ ქედმაღლობამდე მიჰყავს. პრაქტიკაში გამოცდილი ცოდნა ყოველთვის განუზომლად უფრო

მაღლაა ცოდნაზე, რომელიც წიგნური აღწერებიდანაა მიღებული. საკუთარი გამოცდილება ნებისმიერ დარიგებებზე უკეთესია. სულიერი დარიგებების შესახებ უბრალოდ კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ მნიშვნელოვანწილად მით უნდა ვიცხოვროთ. წესრიგი, რომელსაც ჩვენს თავს თვითონვე ვუმყარებთ, უფრო ეფექტურია, ვიდრე რომელიმე ავტორიტეტის მიერ გარედან თავს მოხვეული დისციპლინა.

მიღებული საკვების რაოდენობა და ხარისხი ჩვენს აზრებსა და გრძნობებს განსაზღვრავს. და მართლაც, საკვებს, თავს და ღმერთს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. სატვიურ კვებას ადამიანი მიჰყავს თვითრეალიზაციამდე და გათავისუფლებამდე ამ სამყაროს ორობითობისა და შედარებითობისაგან.

რაჯასიული თვისებები კი ჩვენში ბოროტ აზრებს ბადებს. როდესაც ვეგეტარიანულ დიეტას არ ვიცავთ, სასტიკ გონება-განწყობლებას ვავითარებთ ჩვენში. ვინც მედიტაციის პრაქტიკას ეწევა, ხორცისგან თავი უნდა შეიკავოს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ არაძალადობა, *აჰიმსა*, უმაღლეს *დჰარმას* წარმოადგენს. ცოდვაა უდანაშაულო ცხოველების მოკვლა მხოლოდ იმისათვის, რომ მუცელი ამოვივსოთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ყველა არსებაში ბინადრობს. „*იშავასიამ იდამ სარვამ*“ (ყველაფერი ღმერთითაა გამსჭვალული), - ნათქვამია იშვასია-უპანიშადაში. ამ აფორიზმის ჭეშმარიტებაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ, თუკი მედიტაციას ვაწარმოებთ.

მუცლის საამებლად ადამიანები მზად არიან ნებისმიერი ნიღაბი მოირგონ („*უდარანიმიტამ ბაჰუკრიტა ვეშამ*“). ქამელეონების მსგავსად ისინი თავის შეფერილობას სიტუაციების მოთხოვნილების შესაბამისად იცვლიან. ასე ხდებიან ისინი შემგუებლები და პირმოთნეები. შემდეგ კი ცდილობენ თავისი შემგუებლობა გაამართლონ და პირმოთნეობას რაციონალური ახსნა მისცენ. აწყობენ რა თავის პოლიტიკას ხეირისა და წუთიერი მიზანშეწონილობის საფუძველზე, ისინი თავის თავს ატყუებენ. მსგავსი ინდივიდუუმები ვერასოდეს დაადგებიან მედიტაციის გზას. ნუ ფიქრობთ, რომ მედიტაციის გზა რაღაც ხელოვნურად შექმნილი და ადვილად ხელმისაწვდომია. მედიტაცია ადვილი რომ ყოფილიყო, რისთვის უნდა დასჭირვებოდათ ჩვენი ქვეყნის დიდ ბრძენებს თავისუფლების, *მოკშას* გულისთვის თავისი ხორცის მოკვდინება? მედიტაციის ზოგიერთი თანამედროვე ტექნიკის შემქმნელები ამტკიცებენ, რომ თითქოსდა მათ შეუძლიათ *ნირვიკალპა-სამადჰის* მდგომარეობის მყისიერი მიღწევის უზრუნველყოფა. მედიტაციას მცდარად მღელვარებიგან დროებით

განთავისუფლებად მიიღებენ. მაგრამ თუ ანესთეზიის ასეთი სახეა საჭირო, მაშინ ცოტა ლიქიორის დალევაც საკმარისია. მედიტაცია, *დჰიანა*, სულაც არ არის სიმთვრალის ან უგონობის მდგომარეობა. *დჰიანა* არის საკუთარი თავის მედიტაციის ობიექტთან (*დჰეიესთან*) სრული გაიგივების მდგომარეობა, სრული სულიერი თანაგანცდის მდგომარეობა. ჩვენს დროში პოპულარული ხდება მედიტაციის მრავალი ხელოვნური და დამახინჯებული მეთოდი. სტუდენტები მათ თავს უნდა არიდებდნენ, რადგან ისინი უსარგებლო და პოტენციურად სახიფათოა.

არსებობს ბუნების სამი მდგომარეობა: *სატვა, რაჯასი* და *ტამასი*. არსებობს სამი თვალი: ორი ფიზიკური და ერთი უხილავი, სულიერი თვალი. არსებობს სამი დრო: წარსული, აწმყო და მომავალი. და არსებობს სამი სამყარო. ტრანსცენდენტალური მედიტაციის დროს სულიერ მაძიებელზე ამ ტრიადების ერთობლიობა ეშვება. და ამ დროს ცოდვა და მწუხარება ისპობა. მედიტაციისა და თვითგანდგომის საშუალებით ადამიანი *სატ-ჩიტ-ანანდას* (ყოფიერების-ცნობიერების-ნეტარების) მდგომარეობას განიცდის. სწორედ ამაშია მედიტაციის არსი. დღეს ადამიანები უამრავ წეს-ჩვეულებებს და რიტუალებს ასრულებენ და მათ სულიერი *სადჰანას* შემადგენელ ნაწილად თვლიან. მაგრამ რიტუალები დამხმარე საშუალებებია მხოლოდ კონცენტრაციაში, ნამდვილ მედიტაციაში კი მათ დიდი სარგებლობა არ მოაქვთ. სწორი პოზა, საკვების სწორი შერჩევა, ხელსაყრელი ადგილი – ეს ყველაფერი რეკომენდებულია მხოლოდ კონცენტრაციის (*დჰარანას*) დასახმარებლად. სატვიური კვება, ღვთისმოსავ ადამიანებთან ურთიერთობა (*სატსანგი*) და სხვა ფაქტორები გარკვეულწილად ეხმარება სულიერ მაძიებელს, რადგან მასში კონცენტრაციის ჩვეულებას ავითარებს. მაგრამ ჩვენი ძალისხმევა ამით არ უნდა მთავრდებოდეს, კონცენტრაციას ფიქრი და მედიტაცია უნდა მოჰყვებოდეს.

ნებისმიერ ადამიანურ ურთიერთობებში – საზოგადოებრივში, პირადში – ურთიერთმეგობრობის ელემენტი უნდა არსებობდეს. სიმპათია, თანაგრძნობა, გატაცება და სიყვარული ყოველთვის ურთიერთია. ისინი არ შეიძლება იზოლაციაში ვითარდებოდეს. ეგოიზმის და ეჭვიანობის გამოვლინება კი ასუსტებს და სპობს მათ. ჩვენი ვალდებულებები თვითგანდგომის სულისკვეთებით უნდა ვასრულოთ და სიმდიდრესა და აღიარებაზე არ უნდა ვზრუნავდეთ.

სიყვარული, *პრემა*, უდიდესი სულიერი მოღვაწეობაა, *სადჰანაა*. *პრემა* უბრალოდ ურთიერთსიყვარული არ არის. *პრემა* წარმოადგენს

სიყვარულს საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ გაფართოებულს და ამაღლებულს. *პრემა* არის სიყვარულის გავრცელება მთელ კაცობრიობაზე და მთელ ქმნილებაზე. *პრემას* როგორც სულიერი *სადჰანას* არსი გამოიხატება ჰუმანურობის, უნივერსალური თანაგრძნობის და ალტრუიზმის განვითარებაში.

არავის შეუძლია ერთ ღამეში წმინდანი ან ბრძენი გახდეს. ჩვენ უნდა ადრე დავიწყოთ და ნელა ვიმოძრაოთ, რომ დანიშნულების ადგილს უვნებლად მივაღწიოთ. სიჩქარეს კარგვები მოაქვს, კარგვებს კი – მღელვარება. სულიერი გასხივოსნების საბოლოო მიზნის მისაღწევად ნამდვილი *სადჰაკა* მოთმინებას და დაჟინებულობას უნდა ავითარებდეს.

თავი 18

ცნობიერების ოთხი მდგომარეობა

***ბრაჰმანი* ის არის, ვისი განსაზღვრა ან აღწერაც დამტკიცების დახმარებით შეუძლებელია. იგი არის ის, რომელსაც შეიძლება მიუთითო მხოლოდ უკუგდების გზით; *ბრაჰმანი* არის ის, ვინც მარადიული და უსასრულოა: იგი ყოფიერების-ცნობიერების-ნეტარების აბსოლუტია.**

ერთიანი ყოვლისჩამწვდომი *ბრაჰმანი* მთელ სამყაროს გამსჭვალავს მისი სულიერი არსებებით და არასულიერი ობიექტებით. ყოვლისმომცველი *ბრაჰმანი* პირველქმნილი სიტყვის - *აუმ*ის - სმენად ფორმას ღებულობს. უმაღლეს *ბრაჰმანში*, *პარაბრაჰმანში*, ოთხი განუყოფელი ელემენტი იმყოფება, სახელდობრ: *ვიშვა*, *ტაიჯასა*, *პრაჯნია* და *ტურიია*.

მღვიძარობის მდგომარეობა (*ჯაგრატა-ვასთჰა*) ცნობიერების ჩვეულებრივ მდგომარეობას წარმოადგენს და მატერიის უხეშ სამყაროსთანაა დაკავშირებული. აღქმისა და შეგრძნების საშუალებით მღვიძარობის მდგომარეობა ემპირიულ ცოდნას გვაძლევს საგნებისა და მოვლენების სამყაროს შესახებ. ასეთ მდგომარეობას შეცნობის რამდენიმე საშუალება აქვს, რომლებიც მოიცავს ხუთ მოძრაობის ორგანოს (*კარმენდრიებს*), ხუთ აღქმის ორგანოს (*ჯნიანენდრიებს*), ხუთ სასიცოცხლო ენერგიას (*პრანებს*), ინდივიდუალურ გონებას (*მანასს*), სულიერ გონს (*ბუდჰის*), ცნობიერებას (*ჩიტას*) და გრძნობა ეგოს, ანუ

აჰამკარას. მღვიძარობის (*ჯაგრატა-ვასთჰას*) მდგომარეობაში გრძნობითი, ანუ ემპირიული ცოდნის ეს ცხრამეტი ასპექტი ერთიან მთლიანს შეადგენს. სახელდობრ ეს ცოდნა თავისი აზრით წარმოადგენს იმ ცოდნას, რომელიც მატერიული სამყაროს სიამოვნებებისკენაა მიმართული.

სიზმრების დროს ცნობიერების მდგომარეობა (*სვაპნა-ვასთჰა*) დაკავშირებულია ქვეცნობიერების უნართან გამოიცნოს და აღიქვას ღვთაებრიობის და სიწმინდის ამაღლებული განცდის გამოძახილები. ეს ფაზა ადამიანის ცოდნის და გამოცდილების ფაქიზ ასპექტებს იყენებს და იმ ფაქიზ შთაბეჭდილებებს ატარებს, რომლებიც მღვიძარობის (*ჯაგრატა-ვასთჰას*) მდგომარეობაშია მიღებული.

ორი სხვა მდგომარეობა – *პრაჯნია* და *ტურიია-ვასთჰა* – სხვა მახასიათებლებს შეიცავს. *პრაჯნია-ვასთჰა* წარმოადგენს ცნობიერების ტრანსცენდენტურ მდგომარეობას, რომელშიაც უხეშისა და ფაქიზის დაპირისპირება ზეცნობიერებაში ქრება. ეს არის სუფთა *პრაჯნია*, ანუ ღვთაებრიობის გაცნობიერება. *პრაჯნია-ვასთჰაში* გონების უნარი - განასხვაოს და მრავალფეროვნება შემოიტანოს - არააქტიური ხდება. აი რატომ ამბობენ, რომ *პრაჯნიანა* არის *ბრაჰმანი.* იმისათვის, რომ ადამიანებს ღვთაებრიობის მწვერვალების მიღწევაში დახმარებოდა, კრიშნამ ბჰაგავად გიტაში თავის გზავნილში არჯუნას დაწვრილებით აუხსნა მედიტაციის გზა, ანუ *დჰიანა-სადჰანა. პრაჯნიას* მდგომარეობაში წუთისოფლის ყველა სურვილი და ოცნება მაღლდება და სულიერი განცდის ნეტარება ხდება. უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობაში განუხრელად ანათებს *პრაჯნიანას* თვალისმომჭრელი შუქი.

ცნობიერების მეოთხე მდგომარეობა, *ტურიია-ვასთჰა*, ცნობიერების უმაღლესი მდგომარეობაა, რომელშიც *ატმანის* ბუნების განცდა ხდება. სულიერი მაძიებელი შეიგრძნობს სრულ სიმშვიდეს (*შანტამ*), სიკეთეს (*შივამ*) და აცნობიერებს მთელი არსებულის ერთიანობას (*ადვაიტამ*). *ტურიია-ვასთჰა* წარმოადგენს ზეცნობიერების სუფთა, მშვიდ და მდგრად მდგომარეობას, რომელშიც ბუნების ყველა განმასხვავებელი და გამმიჯვნელი თვისებები, *გუნები*, გადაილახება და *ბრაჰმანის* მარადიულ და აბსოლუტურ რეალობაში ქრება.

ბგერა *ომ* (*ომკარ*) არის შენადნობი სამი თავდაპირველი ხმისა: *ა*, *უ* და *მ.* ეს სამი ასო შესაბამისად ცნობიერების სამ მდგომარეობას სიმბოლიზირებს – *ჯაგრატს* (მღვიძარობას), *სვაპნას* (ძილს) და *სუშუპტის* (ღრმა ძილს). გარდა ამისა, ასოები *ა*, *უ* და *მ* განასახიერებს ბრაჰმას, ვიშნუს და მაჰეშვარას. ეს ღვთაებრივი სამება რეალობის სამ

პერსონიფიცირებულ ასპექტს წარმოადგენს, რომლების ზემოხსენებულ ცნობიერების სამ მდგომარეობას შეესაბამებიან. მძივის ყველა მარცვალში ზონარი გადის, რომელიც მათ ერთად აკავებს. ამის მსგავსად ღმერთიც, *ბრაჰმანი*, ყველა ცოცხალ არსებას (*ჯივის*) გამსჭვალავს და მათს ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთკავშირს ამყარებს.

საქშატკარა წარმოადგენს *ბრაჰმანის* აბსოლუტური, უმაღლესი და განუყოფელი რეალობის მყისიერ და პირად აღქმას. *საქშატკარა* არის მისტიკური განცდა, რომელიც ადამიანის გონების, დროისა და სივრცის ზღვრებს მიღმა იმყოფება. მედიტაცია (*დჰიანა*) კი *საქშატკარას* მიღწევის საშუალებაა. თვალს არ შეუძლია თავისი თავი დაინახოს. ასევე ჩვენში დაფარულ *ატმანსაც* არ შეუძლია თავისი თავი დაინახოს. თუ ზღვის სიღრმის დასადგენად წყალში მარილისგან გაკეთებულ თოჯინას ჩავუშვებთ, იგი გადნება და სამუდამოდ გაქრება. ასევე განსხეულებული სულიც, *ჯივატმანი*, უმაღლესი სულის (*პარამატმანის*) ძიებაში ინდივიდუალობას და მისთვის დამახასიათებელ ფორმას კარგავს. *ბრაჰმანი* უძირო ოკეანეა. ინდივიდუალური სული (*ჯივა*), რომელიც ისწრაფის *ბრაჰმანი* იპოვოს, მასთან ერთიანი ხდება. *ატმანი* და *პარამატმანი* ონტოლოგიურად[30] ერთიანნი არიან, და მათ შორის არ არის ორობითობა. ისინი უბრალოდ ერთი და იგივე ცნობიერების უმაღლესი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტებია.

მედიტაციაში (*დჰიანაში*) ჩაძირული ადამიანი თვითკონტროლის საშუალებით გონების (*მანასის*), სულიერი გონის (*ბუდჰის*) და შეგრძნებების (*ინდრიების*) ზღვრებიდან გამოდის. მედიტაციის ზეცნობიერ მდგომარეობაში ნებისმიერი ორობითობა, შედარებითობა, დაპირისპირებები და განსხვავებები ისპობა. *დჰიანა* ცოდნის სინონიმია, რომელსაც ღმერთთან ერთიანობასთან მივყავართ. *დჰიანა* არის ხედვა ღვთაებრიობისა (*დივია-დარშანა*) და იმ გზისა, რომელსაც მასთან მივყავართ. მედიტაციას ყოფიერება-ცნობიერება-ნეტარების განუყოფელ რეალობასთან მივყავართ. *დჰიანა* მარადიულ ნეტარებას (*ნიტიანანდას*) გვჩუქნის და ნეტარებას გვანიჭებს *ანანდაში* (*ატმანანდა*). *დჰიანა* ადამიანს ეხმარება მიაღწიოს უმაღლეს ნეტარებას (*პარამანანდას*) და საყოველთაო ერთიანობის გაცნობიერებას (*ადვაიტანანდას*).

---

[30] ონტოლოგიურად ერთიანნი – ყოფიერების, უმაღლესი რეალობის თვალსაზრისით ერთიანნი. ონტოლოგია [ბერძ. *ონ, ონტოს* (არსებული) + *ლოგია* (ცოდნა)] – ფილოსოფიური მოძღვრება არსებულის ან ყოფიერების შესახებ, ყოფიერების შესახებ ერთიანად, და არა რომელიმე მისი კონკრეტული ფორმებისა; ფილოსოფიის განყოფილება, რომელიც ყოფიერების ფუნდამენტურ პრინციპებს და უმეტესად საერთო ფორმებს იკვლევს.

კრიშნამ არჯუნას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „*აჰამატმა გუდაკეშა*“ (მე ვარ *ატმანი*, ო, გრძნობების მომთვინიერებელო). კრიშნამ, გრძნობების ბატონმა და მბრძანებელმა (ჰრიშიკეშამ), არჯუნას გუდაკეშა უწოდა, ანუ ის, რომელმაც გრძნობებზე კონტროლს მიაღწია. გუდაკეშა ჰრიშიკეშას მოსწავლეა. გრძნობების ბატონი არის უზენაესი *გურუ*, ის კი, ვინც გრძნობებზე კონტროლს მიაღწია, არის მისი მოსწავლე – *შიშია*. კრიშნა არის უზენაესი *გურუ*, არჯუნა კი – მისი ერთგული მოსწავლე, *შიშია*. არჯუნა არის იდეალური ადამიანი (*ნაროტამა*), კრიშნა კი არის *პურუშოტამა* – უზენაესი *პურუშა*, ანუ უმაღლესი ღვთაებრივი პიროვნება. ჩვენს დროში, შესაძლოა, კიდევ შემორჩნენ კარგი *გურუები*, მაგრამ გულწრფელი მოსწავლის (*შიშიას*) პოვნა უკვე შეუძლებელია. ასეთია ადამიანებზე კალი-იუგას ზეგავლენა. ადამიანებს უფალ კრიშნას სახელი ახსოვთ, ისინი იმეორებენ კიდეც მას, მაგრამ მის სწავლებას ცხოვრებაში არ ნერგავენ.

ოდესღაც ფრიად ღირსეული *გურუ* ცხოვრობდა. მას ჰყავდა მოსწავლე. და აი ერთხელ *გურუ* სადღაც წავიდა და სახლში შუადღის პაპანაქება სიცხეში დაბრუნდა. ამ დროს მისი მოსწავლე სამადლობელის მსახურებით იყო დაკავებული, რომელიც *გურუს* ეძღვნებოდა. *გურუ* მცხუნვარე მზის ქვეშ დიდხანს დადიოდა, ცხელმა მიწამ მას შიშველი ფეხები მოუწვა, და მოსწავლეს სთხოვა კარი სასწრაფოდ გაეღო და შეეშვა. მაგრამ მოსწავლემ, რომელიც ამ დროს *გურუს* 108 სახელის ჩამოთვლით იყო დაკავებული, ითხოვა, რომ ამ საპატივცემულოდ გამართულ ზეიმის ცერემონიის (*პუჯის*) დროს იგი არ შეეწუხებინათ. და კარი მანამდე არ გააღო, სანამ *პუჯი* არ დაასრულა. საწყალი *გურუ* კი მცხუნვარე მზის ქვეშ უნდა მდგარიყო და დალოდებოდა, სანამ მოსწავლე მსახურებას არ დაასრულებდა მისივე საპატივცემულოდ. რა ბევრი ასეთი სულელი მოსწავლე გვხდება დღეს! რა სარგებელია *გურუს* მსახურებდე და ამავე დროს ტანჯავდე? არის ხალხი, რომელიც კრიშნას თაყვანს სცემს, მაგრამ მის სწავლებას ყურად არ იღებს.

ყოველ ადამიანს მართებს ის ჭეშმარიტება გააცნობიეროს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი უმაღლესი უფალი – პარამეშვარა. ღმერთის შეგნება მრავალი გზით შეიძლება. ღმერთზე, *ბრაჰმანზე*, შეიძლება ვიფიქროთ როგორც *საგუნას* შესახებ, ასევე როგორც *ნირგუნას* შესახებ. *საგუნა-ბრაჰმანი* არის *ბრაჰმანი*, რომელსაც თვისებები აქვს მინიჭებული, *ნირგუნა-ბრაჰმანი* კი არის *ბრაჰმანი*, რომელსაც თვისებები არ გააჩნია. და მათ შორის არსებითი განსხვავება არ არის,

ისევე როგორც არ არის არსებითი განსხვავება ქსოვილის ნაჭერსა და ბამბას შორის. *ნირგუნა-ბრაჰმანი* შეიძლება შევადაროთ ბამბას, ანუ საწყის სუბსტანციას, *საგუნა-ბრაჰმანი* კი – ქსოვილს, საწყისი სუბსტანციის წარმოებულს. *საგუნა-ბრაჰმანი* და *ნირგუნა-ბრაჰმანი* რეალობის მხოლოდ ორი სხვადასხვა დონეა.

პრიზმაზე დაცემისას სინათლის სხივი გარდატეხას განიცდის. სინათლის გარდატეხის შედეგად ჩვენ მრავალფერ სპექტრს ვხედავთ. სპექტრის ფერები სხვადასხვაა, თვითონ სინათლე კი ერთია. ამის მსგავსად აბსოლუტურ რეალობას, *ბრაჰმანს*, შეიძლება მრავალი სახელი და ფორმა ჰქონდეს. *ბრაჰმანი* ერთია, მაგრამ გამოვლინება მას მრავალი აქვს.

მედიტაციის პროცესში სულიერი მაძიებელი, *სადჰაკა*, სხვადასხვა განცდებს გრძნობს. როდესაც ღვთაებრიობაში ეშვება, მას ხმათა მთელი გამა ესმის. *სადჰაკას* ექტრასენსორული აღქმა უვითარდება. მას ესმის ვინას[31], მრიდანგას (დოლის) და ფლეიტის მსგავსი მუსიკალური ინსტრუმენტების ხმები. ეს ტკბილი მუსიკალური ჰანგები *საკარა-ბრაჰმანის*[32] გამჟღავნებას სიმბოლიზირებს. ეს მედიტაციის (*დჰიანას*) პირველი შედეგია. მედიტაციის პირველად სტადიებზე *სადჰაკას* აღქმის ყველა ორგანო ამაღლებულ მგრძნობიარობას იძენს, რომელიც მას საშუალებას აძლევს არაჩვეულებრივი ხილვები და ხმები აღიქვას. დროთა განმავლობაში ზემგრძნობიარობისადმი, ანუ ექსტრასენსორული აღქმისადმი ეს უნარი, გადაიზრდება უმაღლეს უნარში ესმოდეს მდუმარების ხმა. მდუმარების ხმაში (*ნიშაბდაში*) იმყოფება ბგერა (*შაბდა*). ეს არის ყოვლისშემძლის, იშვარას თავდაპირველი ბგერა, ანუ *პრანავა*. *სადჰაკა* ყურს უგდებს მრავალჯერ გამეორებულ პირველქმნილ ბგერას – *აუმ*ს. იგი ენით უთქმელ და აუწერელ *ტურიიას*, ანუ ზეცნობიერების მდგომარეობის ნეტარებას განიცდის.

ღრმა მედიტაციაში ზოგიერთმა *სადჰაკამ* შეიძლება იგრძნოს, მისი სხეული როგორი მძიმე ხდება იმდენად, რომ მას არ შეუძლია თავისუფლად იმოძრაოს. სხვები კი პირიქით, არაჩვეულებრივ სიმსუბუქეს გრძნობენ და მზად არიან ცაში აფრინდნენ. ზოგიერთები მთელ სხეულში კანკალს და თრთოლას განიცდიან. მაგრამ დაჟინებული და მდგრადი გონების მქონე *სადჰაკა* არ აღელდება მსგავსი პარანორმალური შეგრძნებების გამო. იგი გააგრძელებს თავის სულიერ *სადჰანას* და ფანტასტიკური განცდებით არ შეცბუნდება.

---

[31] *ვინა* – ინდური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი, ბარბითის მსგავსი.
[32] *საკარა-ბრაჰმანი* – ფორმის მქონე ღმერთი.

რამაკრიშნა პარამაჰამსამ[33] მედიტაციის ყველა ეს ოთხი სტადია გაიარა, *საკარადან ნირაკარამდე,* ანუ ღმერთის ფორმების გაცნობიერებიდან მისი სრული უფორმობის გაცნობიერებამდე. სულიერი წინსვლის დროს მას ეცხადებოდა ღვთაებრივი დედა ქალღმერთ კალის სახით. მაგრამ უმაღლესი სული, *ატმანი,* ფორმისგან თავისუფალია, ამიტომ *სადჰაკებს* ურჩევენ გადალახონ შეზღუდვები, რომლებიც ფორმებისა და სახელებისთვისაა დამახასიათებელი, და უფორმო *ბრაჰმანის* გაცნობიერებისკენ ისწრაფონ. ფორმებისა და თვისებებისგან თავისუფალი აბსოლუტური *ბრაჰმანი* უმაღლეს სულიერ ექსტაზს გვაძლევს. *ნირგუნა-ბრაჰმანის* ღვთაებრივ ზეშთაგონებას *სადჰაკა* ტრანსის და აღტაცების მდგომარეობაში მოჰყავს, იგი აბსოლუტურ ნეტარებას განიცდის. მედიტაციის ასეთი ზეცნობიერი მდგომარეობა ნებისმიერი ორობითობის ზღვრებს აღემატება, ეს ისეთი მდგომარეობაა, რომელშიც *ბრაჰმანის* მთლიანი ცოდნა მიიღწევა. ეს მდგომარეობა მუდამ გრძელდება და ყველა შეგრძნების და თვისების ზღვრებიდან გამოდის.

ახალბედამ უნდა *საგუნა-ბრაჰმანზე,* ანუ ფორმის მქონე ღმერთზე მედიტაციით დაიწყოს. მან ყველა შეზღუდვა უნდა დაიცვას. სულიერ *სადჰანაში* იგი თანამიმდევრული და ზუსტი უნდა იყოს. ნაზარდი ცხოველებისგან უნდა იყოს დაცული, შემოღობვაა საჭირო, და ასე უნდა გრძელდებოდეს მანამდე, სანამ იგი დიდ ხედ არ იქცევა. ახლა უკვე მას ღობე არ სჭირდება. იმავე მიზეზით დამწყებ სულიერ მაძიებლისთვის აუცილებელია წესები და მითითებები. წინწაწეული *სადჰაკა* კი გარეშე მდგომარეობასა და პირობებზე დამოკიდებული არ არის, მას შეუძლია მედიტაციურ ტრანსში შევიდეს მაშინ, როცა მოისურვებს. მისთვის მედიტაცია სპონტანური და ჩვეული ხდება.

მედიტაცია (*დჰიანა*) *დჰარანასგან* უნდა განვასხვაოთ. *დჰარანა* უბრალოდ კონცენტრაციაა. კონცენტრაციის პირველ სტადიას უნდა მოჰყვებოდეს მედიტაციის ობიექტის მზერა და მასში ჩაძირვა. ჩაძირვის მდგომარეობას მედიტაციასთან მივყავართ. მედიტაცია რომელიმე გარკვეული რელიგიის პროგატივას არ წარმოადგენს. მედიტაცია ღვთაების მთლიანი ცოდნის დაუფლების უნივერსალური და პრაქტიკული პროგრამაა.

[33] რამაკრიშნა პარამაჰამსა (1836-1886) – მე-19 საუკუნის უდიდესი წმინდანი და სულიერი მოღვაწე, ერთ-ერთი რეფორმატული მოძრაობის დამაარსებელი ინდუიზმში; აჩვენა რელიგიის, სარწმუნოების და მრწამსის ჰარმონიზაციის გზა.

თავი 19

შარანაგატი-ტატვა

(თვითგანდგომის არსი)

ვედებისა და ყველა საღმრთო წერილების სწავლების კვინტესენცია იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს მართებს თავისი იგივეობა იგრძნოს ერთიან *ატმანთან*, რომელიც ყველა არსებაში იმყოფება.

„ო, არჯუნა! ვინც მე ყველაში და ყველაფერში მხედავს, ჩემთვის იგი ძვირფასია, რა ცხოვრებასაც არ უნდა ეწეოდეს, - გამოაცხადა უფალმა კრიშნამ. – ადამიანი, რომელიც ყველა ქმნილებაში თაყვანს მცემს, ჩემთან ერთიანდება“. გიტას მასწავლებელმა განაგრძო: „მედიტაციას, *დჰიანას*, ზღვარი გააჩნია, მაგრამ ზღვარი არა აქვს *სიდჰებს*[34] – იმ სიკეთეს, რომელიც მისი დახმარებით შეიძინება. *დჰიანა* ადამიანს *ჯნიანას*, ანუ უმაღლეს სიბრძნეს ანიჭებს“.

ჯნიანა არ არის უბრალოდ ინტელექტუალური ვარჯიში. ეს არ არის წარმოდგენის აღმაფრენა, მენტალური მონაგონები. *ჯნიანა ატმანის* რეალობის უწყვეტ განცდას წარმოადგენს. „მილიონიდან მხოლოდ ერთი ცდილობს *ატმანი* გააცნობიეროს, და მათ შორისაც კი ათასში ერთი აღწევს *ატმანის* გაცნობიერების პროცესს, და ასეთი ხალხიდან ათასში მხოლოდ ერთი აღწევს ჩემამდე. ვინც თვითრეალიზაციას მიაღწია და მე შემიერთდა, სინამდვილეში, ძალიან ცოტანი არიან“, - აცნობა კრიშნამ არჯუნას.

წარმატება *ჯნიანა-იოგაში*, უმაღლესი ცოდნის მიღწევაში, ინდივიდუუმის პირად დამსახურებებზეა დამოკიდებული. მორბენალთა შეჯიბრში პირველი მხოლოდ ერთი მოდის. ამის მსგავსად ხის ტოტებზე ათასობით ყვავილი იშლება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მათგანი ხდება ნაყოფი. ადამიანები სხვადსხვანი არიან, მათ შორის არიან თეისტები და ათეისტები, იოგები და აგნოსტიკები, გედონისტები და სტოიკოსები, უქნარები და ცინიკები, ცოდვილები და წმინდანები, და ყოველი მათგანი ამქვეყნად იმ ადგილს იკავებს, რომელიც შეესაბამება მის *სამსკარებს* – ფსიქიკურ და სულიერ თვისებებს, რომლებიც მან წინა ცხოვრებებში შეიძინა.

ბუნება (*პრაკრიტი*) შედგება მიწისაგან, წყლისაგან, ცეცხლისაგან, ჰაერისაგან, ეთერისაგან, ადამიანის გონებისაგან, მისი

[34] *სიდჰები* – არაჩვეულებრივი, ანუ „ზებუნებრივი ძალები“ და უნარი, რომლებიც *იოგას* წარმოების საშუალებით მიიღწევა.

ინტელექტისაგან და ეგოს გრძნობისაგან. მაგრამ *პრაკრიტის* ზღვრებს იქით უმაღლესი არე ვრცელდება, რომელიც ცნობილია როგორც *პარაპრაკრიტი.*

ყოველმა ჩვენგანმა თავისთვის უნდა გაარკვიოს *პრაკრიტის* და *პარაპრაკრიტის* მნიშვნელობა. *პარაპრაკრიტის,* უმაღლესი ბუნების, წყალობით ადამიანი ღვთაებრივი ხდება. *პრაკრიტი* ადამიანს წუთისოფელთან აბამს, *პარაპრაკრიტი* კი აღმერთებს. *პრაკრიტი* კონკრეტული, მატერიალური და ხელშესახებია, *პარაპრაკრიტი* აბსტაქტული, არასხეულებრივი და არახელშესახებია. ადამიანურ არსებებში განუყოფლად მყოფი *ატმანიც* ასევე არამატერიალური და არახელშესახებია. იგი ადამიანის გონების, დროისა და სივრცის ზღვრებს მიღმაა, მაგრამ *იოგას* მეშვეობით შესაძლებელია მისი ინტუიციურად და მისტიკურად შეგრძნება.

დოქში რძეა ჩასხმული, და თქვენ არ შეგიძლიათ რძისგან განცალკევებით კარაქი დაინახოთ. ნიშნავს ეს თუ არა, რომ რძეში კარაქი არ არის? აადუღეთ რძე, აჭრის შემდეგ შედღვიბეთ და რძის ზედაპირზე კარაქი გამოჩნდება. ე.ი. რძე კარაქს შეიცავს, თუმცა მისი მიღება შეუძლებელია, თუ რძეს არ ავადუღებთ, ავჭრით და შევდღვებთ. ზუსტად ასევე შაქრის ლერწამიც შაქარს შეიცავს, მაგრამ ლერწმიდან რომ წვენი მივიღოთ, უნდა ვწუროთ და ვგრიხოთ. მიწაში ღრმად წყალი იმყოფება, მდოგვის თესლში ზეთია. წყალი რომ მოიპოვოთ, ჭა უნდა ამოთხაროთ, ხოლო ზეთის მისაღებად მდოგვის თესლი უნდა დანაყოთ, შემდეგ კი გაწუროთ.

ბუნება (*პრაკრიტი*) ჰგავს დოქს, სულიერი *სადჰანა* – სათქვეფელს, სიბრძნე (*ჯნიანა*) კი – სათქვეფელას შემოხვეულ თოკს (*სადჰანას*). აიღეთ ხელში სიბრძნის თოკი და სულიერი პრაქტიკის სათქვეფლით ბუნება „შედღვიბეთ“, და მაშინ ბუნების ზედაპირზე მასში დაფარული ღვთაებრიობა გამოჩნდება.

ზოგიერთები მეტისმეტად ზარმაცები არიან იმისათვის, რომ ძალისხმევა გამოიჩინონ, ამიტომაც აგრძელებენ იმის მტკიცებას, რომ ღმერთი არ არის. მაგრამ ყოველი ადამიანის გულში იზრდება ოცნების ასრულების ხე – კალპტარუ. იქვე ცხოვრობს წმინდა ძროხაც კამადენუ, რომელიც ყველაფერს იძლევა, რასაც კი მოისურვებ.

იმ ყველაფერზე, რაც ჩვენს თავს ხდება, და ყველა კეთილდღეობაზე, რასაც ვიძენთ, პასუხისმგებელია მხოლოდ ჩვენი საკუთარი მოქმედება, *კარმა.* ცოდვიანი *კარმის* მოშლა ღვთისმოსავი *კარმით* შეიძლება. ცოდვები უარყოფითია, მაშინ როდესაც ღირსებები დადებითია. უარყოფითი რიცხვი, მაგალითად -5, შეიძლება

გავაბათილოთ, თუკი მას დავუმატებთ +5 ან უფრო მეტ დადებით რიცხვს. ცოდვილი საქმეების უარყოფითი ეფექტი მხოლოდ კეთილი საქმეების დადებითი ეფექტით შეიძლება გავანეიტრალოთ.

არის სულიერი განვითარების ორი მეთოდი, რომლებსაც ჰქვიათ *ვიდვამსაკა-მარგა* (მოშლის გზა) *და ვიდჰაიაკა-მარგა* (შექმნის გზა). თუ მინდვრის დათესვა გსურთ, მაშინ უნდა ჯერ სარეველა ბალახი ამოგლიჯოთ და ნიადაგი გაასწოროთ, შემდეგ მორწყათ, მოხნათ და სასუქი დააყაროთ. ყველა ეს სამუშაო მოშლასთანაა დაკავშირებული. მაგრამ შემდეგ ხდება დათესვა, რომელიც შექმნის და შემოქმედებით პროცესს წარმოადგენს. ასევე ადამიანის გულშიც შეიძლება ღვთაებრივი მადლის, *ანანდას,* მოსავალი დამწიფდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯერ გულიდან ყველა ცუდ აზრს ძიდიანად ამოგლეჯენ, შემდეგ კი მას სუფთა სიყვარულით შეავსებენ. არასასურველი თვისებები, ისეთები როგორიცაა სიძულვილი, ღვარძლიანი კრიტიკა, ჩვეულება ყველაფერში სხვები დაადანაშაულო და მათში ნაკლოვანებები ეძებო, მიტოვებულ უნდა იქნას. ცინიკს არ შეუძლია სიკეთე და კეთილშობილება შეაფასოს, ამაშია მისი უბედურება. როდესაც გული ყველა მანკიერებისგან გაწმენდილია, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეივსება იგი სიყვარულით. სიყვარულის (*პრემას*) ნერგის გამოზრდა მხოლოდ უმწიკვლო, სუფთა გულის მინდორში შეიძლება. მოშლის ზემოხსენებული პროცესები სრულიად აუცილებელია სულიერი წინსვლისთვის. და გარდაქმნილ *სადჰაკას,* რომლის გულიც სიყვარულით და თანაგრძნობითაა შევსილი, თავისუფლად და ბედნიერად შეუძლია მედიტაციის გზას მიჰყვეს, რომ ღვთაების მთლიან ცოდნას დაეუფლოს.

ნამდვილი სიბრძნე გამოიხატება თეორიულ ცოდნათა პრაქტიკულ გამოყენებაში ყოველდღიურ ცხოვრებაში და მისი პრბლემების გადაჭრაში. თქვენ შეიძლება ბჰაგავად გიტას ყველა შვიდასი ლექსი გახსოვდეთ, ვედებს ციტირებდეთ და პურანებს კითხულობდეთ, მაგრამ ამ ყველაფერს აზრი ეკარგება მანამდე, სანამ მათში მდებარე წმინდა სწავლებებს ცხოვრებაში არ დანერგავთ. საღმრთო წერილების გულმოდგინედ შესწავლა უსარგებლო იქნება, თუ მათში არსებულ ჭეშმარიტებებს ქცევათა ენაზე არ გადაიყვანთ.

ადამიანები ბჰაგავად გიტას მიმართ პატივისცემას გამოხატავენ. ისინი წიგნს თვალებზე მოწიწებით იდებენ, აღმერთებენ, თავზე დადებულს ატარებენ და მის შესახებ ევანგელიკური გზნებით ლაპარაკობენ! მაგრამ ისინი მხოლოდ მატერიალურ საგანს – წიგნს და მის გვერდებს - სცემენ თაყვანს, და არა შინაარსს. წიგნს აღმერთებენ,

არსს კი უგულებელყოფენ. ზუსტად ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა თეორიულ ცოდნას ეძლევა, მაშინ როცა მისი პრაქტიკული გამოყენება იგნორირდება. ასეთი მანკის პატიება შეუძლებელია.

ღვთაებრიობა ყველა ცოცხალ ქმნილებაშია განხორციელებული, და ეს ფუნდამენტური ჭეშმარიტება ადამიანმა პრაქტიკით უნდა დაადასტუროს. მას მართებს თავისი სიყვარულის არე იქამდე გააფართოოს, სანამ იგი მთელ ქმნილებას არ მოიცავს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოჩნდება იგი ღვთაებრივი სიყვარულის ღირსეული ნათლია.

ოთხმოცდაოთხი წლის განმავლობაში კრიშნა და არჯუნა მეგობრები იყვნენ, ბავშვობიდანვე ერთად ცხოვრობდნენ, თამაშობდნენ და მღეროდნენ. და კურუქშეტრაზე ორთაბრძოლის დაწყების მომენტამდე კრიშნას არასოდეს უცდია არჯუნასთვის *ბჰაქთი-იოგას*, *კარმა-იოგას* ან *ჯნიანა-იოგას* აზრი აეხსნა. კრიშნას მიერ არჯუნასათვის ბჰაგავად გიტას არსი ბრძოლის ველზე იარაღის ჩხარუნსა და მეომართა მძაფრ ყვირილში იქნა გადაცემული. მაშ რაში გამოიხატება იმისი დაფარული აზრი, რომ დიადი სულიერი ზეშთაგონებისთვის, ბჰაგავად გიტასთვის, უფალმა კრიშნამ ბრძოლის ველი აირჩია? კურუქშეტრაზე ბრძოლამდე არჯუნა ამქვეყნიურ სიამოვნებებს გამოკიდებული და წუთისოფლის საქმეებში ჩაფლული იყო. მთელი მისი ცხოვრება ძალის, სიმდიდრისა და პატივის ძებნას იყო მიძღვნილი. მაგრამ ბრძოლის დაწყების წინ სულით დაეცა და სევდამ მოიცვა. სამყარო მას პატივმოყვარეობის უზარმაზარ ბაზრობად წარმოუდგა. მან ინტერესი დაკარგა ყოველივე იმის მიმართ, რაც ხდებოდა და სრულ სიცარიელეს, ყველაფრის ამაოებას და სასოწაკვეთილებას გრძნობდა. ახლობლების, მეგობრების, მასწავლებლების და უხუცესების წინააღმდეგ ბრძოლა ცოდვად ეჩვენებოდა. არჯუნა უკვე მზად იყო ბრძოლის ველი დაეტოვებინა. იგი ტანჯვამ და ტკივილმა, ეჭვებმა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ბიძაშვილების წინააღმდეგ ბრძოლა სასიკვდილო ცოდვად მიაჩნდა. არჯუნას ძმათა სისხლისმღვრელ ომში დამსახურებული სამხედრო დიდება არ სურდა. „ვიბრძოლო თუ არ ვიბრძოლო?“ - ასეთი იყო მის წინაშე მდგარი დილემა. ამიტომ არჯუნა კრიშნას გამოუტყდა: „საგანთა არსის გარჩევის უნარი დავკარგე და არ შემიძლია გავარჩიო, რა არის კარგი, და რა – ცუდი. მე უკვე ძალა არ მაქვს ვიფიქრო და არ ვიცი, რა უნდა ვაკეთო, სერიოზული სულიერი და ზნეობრივი კრიზისის ზღვარზე ვარ. ამიტომ, კრიშნა, ყველაფერს შენ გაბარებ.

გამომიყვანე ამ რთული მდგომარეობიდან“. ასე გახდა არჯუნა ის, ვინც თავი განუყოფლად უფალს ჩააბარა – *შარანაგატი*, და კრიშნას წინ განერთხა. სწორედ სრული განდგომის ამ მდგომარეობაში შეიძინა არჯუნამ მისთვის აუცილებელი მიზანსწრაფვა, მან თავი იმისთვის მოამზადა, რომ უფალ კრიშნასგან ცხოვრების ხარება მიეღო. ეჭვგარეშეა, რომ კრიშნა სწორედ ასეთ მომენტს ელოდა, რომ მსოფლიოსთვის თავისი დიადი ზეციური სიმღერა გაემხილა.

ბჰაგავად გიტა რომ შეისმინო, სამი თვისებაა აუცილებელი: ერთგულება (*შარანაგატი*), მიზანსწრაფვა (*ეკაგრატა*) და წუთისოფლის სურვილებზე სამსხვერპლო უარის თქმა (*ვაირაგია*). *შარანაგატი* სრული თვითგანდგომაა, როდესაც ერთგული თაყვანისმცემელი სხეულს, გონებას, გულს და სულს ღვთაებრივი მასწავლებლის ლოტოსის ტერფებთან დებს. *ეკაგრატა* კი გონების ერთ მიზანზე მოკრებაა როდესაც უფლის ერთგული ყურადღებას მთლიანად მის ხარებაზე მიმართავს, რომ გზავნილის ეზოტერიკულ სულისკვეთებაში იყოს განდობილი. *შარანაგატას*, გარდა ამისა, უანგარო სიყვარულის და მსხვერპლის შეწირვის თვისებებიც უნდა ჰქონდეს.

არ უნდა გვავიწყდებოდეს მედიტაციის (*დჰიანას*) მნიშვნელობაც. მედიტაცია საიმედო საშუალებაა სულიერი ზრდისათვის. მედიტაციის გზით *კარმის* შედეგებისგან გათავისუფლებაა შესაძლებელი. ეს კი სულიერ მაძიებელს შესაძლებლობას აძლევს შინაგანი სიმშვიდე (*შანტი*) შეიძინოს. როდესაც მედიტაციის ნაყოფს ვაგემოვნებთ, შინაგანი სიმშვიდის ტკბილ გრძნობას განვიცდით.

თანამედროვე ადამიანი შინაგანი სიმშვიდისაკენ ისწრაფის, მაგრამ ერთდროულად პატივმოყვარეობისა და სისასტიკის სახიფათო გზაზეც დგას. მისი გონება აღელვებულია, გული კი აღგზნებული. ამის მიზეზის პოვნა შეიძლება *პრარაბდჰა-კარმაში*, ანუ *კარმაში*, რომელიც ადამიანმა წინა ცხოვრებებში დააგროვა. *პრარაბდჰა-კარმა* ადამიანს ჯოჯოხეთის მწევარი ძაღლებივით უკან მისდევს. *პრარაბდჰა-კარმის* დაგროვილი სასიკვდილო ტვირთის მოსპობა მხოლოდ *სატკარმით*, ანუ ამ ცხოვრებაში კარგი საქციელით შეიძლება. ცუდი სუნი რომ მოიცილონ, სუნამოს ხმარობენ. მაგრამ ცუდი სუნი ასეთი სახით არ ქრება, იგი კეთილსურნელების არომატით მხოლოდ ყუჩდება. ასევე წარსულ საქციელთა (*კარმათა*) მავნე შედეგების ჩახშობა და ნეიტრალიზება მხოლოდ ახლანდელი *კარმების* (*სატკარმების*) კარგი შედეგებით შეიძლება.

კარმის მოსპობა მხოლოდ *კარმას* შეუძლია. ასევე ალმასის გაჭრა მხოლოდ ალმასით შეიძლება, ეკლის ამოღება კი მხოლოდ სხვა

ეკლით შეიძლება. *დჰარანას*, ყურადღების მოკრებისა და სიმტკიცის, ძალა *სადჰაკას* საშუალებას აძლევს ყოველგვარი ბოროტებისგან გაწმინდოს გული, რომ მასში მხოლოდ ზნეობრიობას შეეძლოს დამკვიდრება. *დჰარანას* ადამიანი *დჰიანასთან* მიჰყავს. სხვა სიტყვებით, კონცენტრაციას მედიტაციის ობიექტის მზერასთან და მასში ჩაძირვასთან მიჰყავს, რასაც, თავის მხრივ, *სადჰაკა* მედიტაციასთან მიჰყავს.

თავი 20
მედიტაციის პრაქტიკა

ადამიანის ცხოვრება ქოხს ჰგავს, სადაც
ბაღლინჯოები დაცოცავენ;
მისი სხეული კი - ავადმყოფობათა ბუნაგს.
როგორ და რით უნდა უხაროდეს მას?

ღვთაებრივი *ატმანის* განხორციელებანო! ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი ვხედავთ, რომ ერთი და იგივე ნივთი სხვადასხვა ფორმას და სახელს იძენს. აი თესლი იქცევა ხის ტანად, ტოტებად, ყლორტებად, ფოთლებად, ყვავილებად და ნაყოფად. და ამ ყველაფერს სხვადასხვა ფორმა, სხვადსხვა სახელი აქვს და სხვადასხვა თვისებებს ავლენენ. ოქრო ძვირფასი სამკაულის სხვადასვა ფორმას იღებს, ცეცხლის ალის ერთ ენას კი სხვადასხვა ელფერის უამრავი ცეცხლის გამოწვევა შეუძლია. ამის მსგავსად *პარამატმანის* თავდაპირველი სინათლე ერთია, მაგრამ სამყაროს ყველა არსებაში ამჟღავნებს თავს როგორც *ატმანი.* ამიტომ ერთობ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ვისწავლოთ მრავალფეროვნებაში ერთიანობა ამოვიცნოთ.

თიხისგან ქოთანი იძერწება, ოქრო კი სამკაულის ფორმას იძენს. მაგრამ მექოთნის გარეშე თიხის კოშტი ქოთანი ვერ გახდება, ისევე როგორც ოსტატის გარეშე ოქროს ზოდი სამკაულად ვერ იქცევა. მატარებელმა რომ იმოძრაოს, მემანქანეა საჭირო, ხოლო ავტომატური შუქნიშანი რომ მოქმედებაში მოვიდეს, მაკონტროლებელმა სქემამ უნდა იმუშაოს. ასევეა ჩვენი მოუცველი, რთული და იდუმალი სამყაროს შემთხვევაშიც – უნდა იყოს ვინმე, ვინც შექმნა და მართავს მას.

მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, ეთერი, გონება, ინტელექტი და ეგოს გრძნობა თავდაპირველი სუბსტანციებია, რომლებისგანაც სამყაროა შექმნილი. მიწა, ანუ თიხა, საწყის ნივთიერებას წარმოადგენს,

რისგანაც ქოთანია დამზადებული, და ამიტომ ქოთნის მატერიალურ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ. მისი ნამდვილი მიზეზი კი მექოთნეა, მისი განზრახვის, ანუ *სანკალპის*, და ჩანაფიქრის განხორციელების გარეშე ქოთანი ვერ გაჩნდებოდა. ასეთივე სახით *პრაკრიტი* სამყაროს მატერიალურ მიზეზია, *ბრაჰმანი* კი – მისი ნამდვილი მიზეზი. სწორედ *ბრაჰმანის* ნებით იქნა შექმნილი ამ დინამიურ სამყაროთა მირიადები ფორმათა მთელი მრავალფეროვნებებით და ურიცხვი ობიექტებით. და მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ *ბრაჰმანმა* გამოაჩინა თავი მთელ ამ უსასრულო მრავალფეროვნებაში. კრიშნა არჯუნას არწმუნებდა ყურადღება მიექცია არა მრავალფეროვნებისათვის ერთიანობაში, არამედ ეცადა ერთიანობა დაენახა მრავალფეროვნებაში. გარემომცველი სამყაროს გამჭოლ *ატმანის* ბუნების არაორობითობას უნდა ჩავწვდეთ.

მედიტაცია, *დჰიანა*, შესაძლებლობას გვაძლევს ეს ერთიანობა გავაცნობიეროთ და დავინახოთ *ბრაჰმანის* როგორც იმანენტურობა, ასევე ტრანსცენდენტურობა. მედიტაცია რომ მაქსიმალურად წარმატებით წარიმართოს, იგი ყოველ დღე განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ ადგილას და დადგენილი წესების შესაბამისად უნდა ტარდებოდეს. ზოგჯერ ეს ყოველდღიური წესები შეიძლება ირღვეოდეს. მაგალითად, მოგზაურობის დროს შესაძლებლობას კარგავთ ჩვეულ ადგილას მიღებული პროცედურების შესაბამისად მედიტაცია აწარმოოთ. მიუხედავად ამისა ადამიანი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მედიტაციას განუხრელად აწარმოებდეს ყოველ დღე საჭირო დროს, ადამიანის გონებას მისი ფაქიზი სხეული ჩვეულ გარემოებაში შეჰყავს და ადამიანს შინაგანად ეხმარება, რომ მიწერილ წესებს მიჰყვებოდეს, იგი შესაძლო გულის აყრის გრძნობას სპობს, რომელიც შეიძლება ახალ ადგილას წარმოიქმნას.

მედიტაციაში შესვლისთვის იდეალურ დროს წარმოადგენს *ბრაჰმა-მუჰურტა*, ანუ ის პერიოდი, რომელიც ღამის სამ საათზე იწყება და დილის ექვსზე მთავრდება. *ბრაჰმა-მუჰურტა* სიტყვასიტყვით ნიშნავს „*ბრაჰმანის* დროს“. მედიტაციისთვის რაღაცა კონკრეტული დრო უნდა შეარჩიოთ *ბრაჰმა-მუჰურტას* ზღვრებში და მედიტაცია ყოველდღიურად ერთი და იგივე დროს ასრულოთ.

მოხერხებული პოზა უნდა მიიღოთ, იჯდეთ სწორად, რომ *კუნდალინის* ენერგიის დაუბრკოლებელი მოძრაობა იყოს უზრუნველყოფილი. *კუნდალინი* ღვთაებრივი მანათობელი ენერგიის სახით ადამიანში *მულადჰარა-ჩაკრაში* იმყოფება. კუნდალინი მიედინება ზემოთ *საჰასრარა-ჩაკრასკენ*, ანუ ათასფურცლიან ლოტოსისკენ,

შუალედური ცენტრების გავლით, რომლებსაც ჰქვიათ *სვადჰისთჰანა-*, *მანიპურა-*, *ანაჰატა-*, *ვიშუდჰი-* და *აჯნა-ჩაკრა*, რომლებიც მიეკუთვნება შესაბამისად ჭიპის, მუცლის, გულის, ხორხისა და წარბთაშორის (*ბჰრუმადჰიასთჰანას*) არეებს. *კუნდალინს* ადამიანი ცნობიერებისა და სულიერი გამოღვიძების სხვადასხვა დონეებზე აჰყავს.

მედიტაციის დროს *სადჰაკამ* თვალები მთლიანად არ უნდა დახუჭოს, ფართოდაც არ უნდა გაახოლოს. ნახევრად დახუჭული თვალებით ცხვირის წვერს უნდა უყუროს და კონცენტრირება ღვთაებრივ მანათობელ ენერგიაზე – *აჯნა-ჩაკრაზე* - მოახდინოს. ამ ნეტარ მდგომარეობაში მან ხელები *ჩინმუდრას* პოზიციაში უნდა დააწყოს, ანუ ყოველი ხელის საჩვენებელი და ბერა თითები შეაერთოს. ყოველი ხელის დანარჩენი სამი თითი ცალკე უნდა იყოს. ბერა თითი სიმბოლიზირებს *ბრაჰმანს*, საჩვენებელი თითი კი – ცოცხალ არსებას, *ჯივას*. ამგვარად, *ჩინმუდრას* პოზიცია ნიშნავს ღმერთის, *ბრაჰმანის*, და ცოცხალი არსების, *ჯივას*, ურთიერთსიახლოვეს. ცოცხალი არსება, *ჯივა*, თავის ბუნებრივ თვისებებთან, *გუნებთა*, შეთავსებით, დროის მსვლელობას ემორჩილება. ღმერთი კი დროს აღემატება, ამიტომაც, როგორც კი ცოცხალი არსება და ღმერთი ერთი მთლიანი ხდებიან, ყველა *გუნა* ქრება.

მედიტაციის (*დჰიანას*) მიზანი სწორედ ადამიანური არსების (*ჯივას*) და ღმერთის (იშვარას) ერთობაშია. *ტრიპუტის* (შემცნობის, შეცნობადის და შეცნობის) არსი მდგომარეობს ინტეგრალურ რეალობაში, რომელიც ადამიანს (*ჯივას*), ღმერთს (იშვარას) და სამყაროს (*პრაკრიტის*) აერთიანებს. როდესაც მედიტაციის დროს *ჩინმუდრას* პოზას ვიღებთ, ჩვენი ღვთაებრიობა და მრავალფეროვნებაში ერთიანობა შეგვიძლია გავაცნობიეროთ.

ამ ნეტარი გამოცდილების შეძენა ასევე ჩვენს ძალისხმევათა (*კარმათა*) შედეგების უარყოფის საშუალებით შეიძლება. *ნიშკამა-კარმა* (პირადი მოტივაციისაგან თავისუფალი მოღვაწეობა) სიყვარულის განსაკუთრებულ კავშირს ამყარებს შემოქმედსა და ადამიანურ არსებას (*ჯივას*) შორის. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ბაღში დაქირავებული მუშა (*კული*) მიიწვიეთ. იგი დილიდან საღამომდე მუშაობს, ამასთან ერთობ დაუდევრად, შემდეგ კი მისთვის განკუთვნილ თანხას იღებს და მიდის. სინამდვილეში ბაღი მას სულაც არ აღელვებს. დიასახლისი კი მთელი დღე შრომობს, და, თუმც მას არაფერს უხდიან, იგი თავის ვალდებულებებს უანგარო ერთგულებით ასრულებს და ქმრისგან არავითარ ჯილდოს არ მოელის. სწორედ ამიტომ *კული* არასოდეს გახდება ძვირფასი სახლის პატრონისთვის,

მაშინ როდესაც მისთვის ცოლი ძალიან ძვირფასია. ასევე ღმერთისთვისაც მხოლოდ ისაა ძვირფასი, ვინც თავის სამუშაოს ჯილდოს მიღების მოლოდინის გარეშე ასრულებს.

სხეული იმისათვის იბადება, რომ მან სამუშაო (*კარმა*) ასრულოს. ადამიანი დროს (*კალას*) თავისი საქმეების განხორციელებისთვის უნდა ხარჯავდეს. დრო ღვთაებრივია, უზენაესს ტყუილად არ განადიდებენ როგორც *კალა-სვარუპას* (დროის განხორციელებას). ამიტომ ჩვენი დრო კარგი *კარმის* შესასრულებლად უნდა გამოვიყენოთ, ამასთან მისი შედეგები არ უნდა ვისურვოთ; მოქმედებების შედეგებზე უარის თქმა სრული უნდა იყოს და არა ზედაპირული.

იყო ერთი ადამიანი, რომელიც ყველაფერს განუდგა და ასკეტი გახდა. ერთხელ, როდესაც განგას ნაპირას მედიტაციაში იჯდა, მასთან ახლოს ტურისტული ავტობუსი გაჩერდა. ასკეტმა გაიგონა, რომ ტურისტები მის მშობლიურ ენაზე, კანადაზე, ლაპარაკობდნენ. მედიტაცია მაშინვე შეწყვიტა, მათთან მივიდა და ჰკითხა: „საიდან ხართ?“ მათ უპასუხეს: „კარნატაკიდან ვართ“. ადამიანს ძალიან გაუხარდა, რადგან წარმოშობით ის კარნატაკის შტატიდან იყო. ტურისტები ძალიან მოეწონა, იმიტომ რომ ისინი მისი მშობლიური შტატიდან ჩამოვიდნენ და მის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდნენ. იმდენად გახარებული იყო, რომ კითხვას კითხვაზე აძლევდა. ასე გამოარკვია, რომ ტურისტები მისი მშობლიური რაიონიდან იყვნენ, მისი სოფლიდან და მისი ქუჩიდანაც კი. ფაქტიურად მეზობლები აღმოჩნდნენ! ასკეტი პირდაპირ მიბმულობის ტალღამ გადაფარა, და თავისი მამის შესახებ ჰკითხა. მას უპასუხეს, რომ ის რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ეს რომ გაიგო, ასკეტი, რომელიც თვლიდა, რომ ყველა მიბმულობას განუდგა, ღრმა მწუხარებამ მოიცვა. მთელი მისი ასკეტიზმი უსარგებლო აღმოჩნდა. თუ სხეულის, მეგობრებისა და ნათესავების მიმართ მიბმულობა მეტისმეტად ძლიერია და ასე დიდხანს გრძელდება, მაშინ მედიტაციას (*დჰიანას*) აზრი არა აქვს. მაშინ ჯობია ფიზიკური სხეული *ნიშკამა-კარმას*, უანგარო მოღვაწეობას მიუძღვნა სხვათა სასიკეთოდ.

მედიტაციის მსვლელობაში უნდა ეცადოთ კოსმოსური სულის (*სარვატმანა*) და ინდივიდუალური სულის (*ეკატმანა*) ერთიანობა შეიგრძნოთ. არ შეიძლება მედიტაცია ყურადღების ხანმოკლე მოკრებას (*ეკაგრატას*) გავუტოლოთ. მედიტაცია (*დჰიანა*) უზრუნველყოფილი ხდება კონცენტრაციით და საკუთარი თავის მედიტაციის ობიექტთან (*დჰეიესთან*) გაიგივებით. თუ ძაღლს, მაგალითად, ათი დღის განმავლობაში ერთი და იმავე დროს კვებავთ, მაშინ კვების შეწყვეტის

შემდეგაც კი იგი რეგულარულად ყოველდღე იმავე დროს გამოჩნდება. ძაღლების ერთგულება ყველასთვისაა ცნობილი.

თქვენთვის რწმენა ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ რწმენა (*ვიშვასა*) ჩვენი სასიცოცხლო სუნთქვის (*შვასას*) მსგავსია. სხვა სიტყვებით, რწმენა ჩვენი სასიცოცხლო ორგანოა. ცხოვრება რწმენის გარეშე მკვდარია.

დასაწყისში მედიტაცია შეიძლება იოლი და საინტერესო გეჩვენოთ. პირველი ნაბიჯები აღმაფრენითი იქნება. თუმცა როდესაც მედიტაციის უფრო მაღალ საფეხურებზე დაიწყებთ ასვლას, გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები გაჩნდება. მაგრამ არავითარმა მოულოდნელმა დაბრკოლებამ გული არ უნდა აგიცრუოთ. ისინი გულდაჯერებით და მამაცობით უნდა გადალახოთ. მაგრამ მედიტაციის სულიერი პრაქტიკა (*დჰიანა-სადჰანა*) ძლიერი სურვილის გარეშე არ უნდა დაიწყოთ.

იმ ადამიანებისთვის, ვისი გონებაც სუსტია, არსებობს უფრო ადვილი ვარიანტი, სახელდობრ: *ნიშკამა-კარმა*, ანუ უანგარო მოღვაწეობა. ადამიანები გულში სიყვარულის თესლს უნდა თესდნენ, ცდილობდნენ თანაგრძნობას და უანგარო, ღვთაებრივ სიყვარულს (*პრემას*) ასხივებდნენ. სუფთა სიყვარული ადამიანთა შორის მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარებას უწყობს ხელს. უანგარო სიყვარული შურს და ბოროტებას გამოდევნის. სიყვარულით აღვსილ გულში სიძულვილისთვის ადგილი არ რჩება. თუ სიყვარული ღმერთისკენაა მიმართული, იგი მადლმოფენილი და ამაღლებული ხდება ერთგულების დონემდე. ადამიანის გული სამეფო ტახტის მსგავსია, რომელზედაც მხოლოდ ერთს შეუძლია იჯდეს. მაშ დაე თქვენი გულის სამეფო ტახტი *პრემამ*, ღვთაებრივმა სიყვარულმა, დაიკავოს, თქვენ კი ღმერთზე მედიტაციას შეუდექით.

თავი 21
გონების კონტროლი

ნეტარებას მხოლოდ მაშინ შიგრძნობ,
როდესაც შენს სულს შეიცნობ;
და თუ ჭეშმარიტებას არ შეიცნობ,
კვლავ სევდაში დარჩები;
ხოლო ვინც ღმერთი შეიცნო,
ის ჭეშმარიტად ღმერთი ხდება.

ღვთაებრივი *ატმანის* განხორციელებანო!

ადამიანის სხეულში ჭიპის ქვემოთ, *მულადჰარა-ჩაკრაში*, თვლემს *კუნდალინის* ენერგია – *კუნდალინი-შაქთი*. მისი გამოღვიძებისთვის მედიტაციის (*დჰიანას*) წარმოებაა საჭირო. გამოღვიძებული *კუნდალინი* მოძრაობს *მულადჰარა-ჩაკრადან საჰასრარა-ჩაკრას* ათასფურცლიან ლოტოსისკენ *სვადჰისთჰანას*, *მანიპურას*, *ანაჰატას*, *ვიშუდჰასა* და *აჯნას* გავლით.

კუნდალინის ენერგიის მოძრაობა მდოვრე და დაუბრკოლებელი რომ იყოს, მედიტაციის მწარმოებელი ლოტოსის პოზაში (*პადმასანაში*) უნდა დაჯდეს ისე, რომ მისი თავი, კისერი და ხერხემალი სწორ ხაზს ქმნიდეს. ზოგიერთები იმ აზრს იზიარებენ, რომ მედიტაციის მწარმოებლის მზერა წარბებს შორის წერტილზე უნდა იყოს მიმართული. მაგრამ გიტა გვირჩევს ცხვირის წვერს (*ნასაგრას*) ვუყუროთ და ღმერთს ვუმზიროთ, რომელიც ჩვენს გულში იმყოფება. მედიტაციის ჭეშმარიტი სიხარულის განცდისათვის *სადჰაკამ* თვალები სრულად არ უნდა დახუჭოს, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება ძილს (*ლაიას*) მისცეს თავი. ჯობია თვალები ნახევრად ღია ჰქონდეს, ეს დაეხმარება ვნებიანობის (*რაჯასის*) და სიზარმაცის (*ტამასის*) *გუნები* აღმოფხვრას.

ხშირად ხდება, რომ მედიტაციის (*დჰიანას*) გზაზე ახალბედა ვერ ახერხებს მედიტაციის ნეტარებით სრულად დატკბეს იმის გამო, რომ გონების სიმშვიდე აკლია. გარე სამყაროსთან მჭიდრო კავშირის შედეგად მისი გონება მრავალრიცხოვანი ფანტაზიებითა და ცდუნებებითაა შევსილი და უნარი არა აქვს მედიტაციის ობიექტზე სრულად მოკრიბოს ყურადღება. ამიტომ მედიტაციის უპირველესი

პირობა იმის შეძლებაა, რომ აზრთა ნაკადი სასურველ კალაპოტში მიმართოს, და ამასთან გონების კონტროლის მეთოდი გამოიყენოს.

„ადამიანს სრულყოფილს პრაქტიკა ქმნის“. სრულყოფილების მისაღწევად ჩვეულებრივ საქმეებშიც კი, ისეთებში, როგორიცაა სიარული, კითხვა ან წერილი, მუდმივი ვარჯიშია საჭირო. მედიტაციის პროცესიც ასევე შეუპოვარ ვარჯიშებს მოითხოვს, რომლებსაც ადამიანი მთელი გულწრფელობით უნდა მოეკიდოს.

გონების კონტროლის მიღწევისკენ პირველი ნაბიჯი იმაში მდგომარეობს, რომ მასში ის ჭეშმარიტება აღიბეჭდოს, რომ სამყარო წარმავალია და, შესაბამისად, ყველა მისი სიამოვნებაც სწრაფწარმავალია. გრძნობით სიამოვნებებს დაკმაყოფილება არ მოაქვს. რაც უფრო მეტად ვუსვამთ თავზე ხელს ჩვენს სურვილებს, მით უფრო მრავლდება და ძლიერდება ისინი, როგორც ცეცხლი, რომელიც მით უფრო მეტად ღვივდება, რაც უფრო მეტ ფიჩხს ვაყრით მას.

გონება რაღაც დამოუკიდებელ წარმონაქმნს არ წარმოადგენს. გონება სურვილთა ერთობლიობაა, რომლებიც აღძვრებით წარმოიქმნება. ქსოვილი საფუძველში ძაფების კონაა, ძაფები კი, თავის მხრივ, ბამბაა. ასევე სურვილებიც სიღრმისეული აღძვრების საფუძველზე წარმოიქმნება, გონება კი ამ სურვილებისგანაა შედგენილი. და როგორც ქსოვილის ნაჭერი ქრება, თუ მისგან რიგრიგობით ყველა ძაფს გამოვაძრობთ, ასევე გონების მოშლაც შეიძლება, თუკი მისგან ყველა სურვილს ამოვძირკვავთ.

გული შეიძლება ცას შევადაროთ, გონება – მთვარეს, სულიერი გონი კი – მზეს. აზრები გონებაში იბადება, მასში გასცურავს, როგორც ღრუბლები ცაში, და ქრება. ადამიანის ბედნიერებისა და უბედურების, სიამოვნებისა და ტანჯვის მიზეზი მის აზრებში იმალება. მაგრამ ეს განუყრელი გაგებები, როგორიცაა „ბედნიერება-უბედურება“ ან „სიამოვნება-ტანჯვა“, მხოლოდ ორობითობის სამყაროშია მართებული. ფოტოაპარატი იმ გამოსახულებას იძლევა, რაზედაც იგია ფოკუსირებული; ასევე გონებაც შთაბეჭდილებებს იმ საგნებზე ინახავს, რომლებზეც იგია მიმართული. რაც უფრო მეტადაა გონება გრძნობით სიამოვნებათა სამყაროსკენ მიმართული, მით უფრო მეტად აშორებს იგი ადამიანს ღმერთისგან. ამის ილუსტრირებას ახდენს ეპიზოდი რამაიანადან.

სიტამ გადაწყვიტა წუთისოფელს სრულად განდგომოდა და გაძევებულ რამასთან ერთად ტყეში გაიხიზნა. მაგრამ ტყეში მისი ყურადღება ოქროს ირემმა მიიპყრო, და მისით მოჯადოებულს, ირმის

დაჭერა მოუნდა. სწორედ ამ სურვილმა დააცილა იგი უფალ რამას. შედეგად იძულებული იყო დიდხანს ეტანჯა ტყვეობაში ლანკას კუნძულზე.

სიტა დედამიწის ღვთაებრივი ქალიშვილია. იგი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ ეს ოქროს ირემი ნამდვილი არ არის. მაგრამ მან მთელი ამ დრამის გათამაშება გადაწყვიტა იმისათვის, რომ ადამიანები გაეფრთხილებინა - ამქვეყნიური სიმდიდრის მსურველ გონებას ხიფათის მოტანა შეუძლია. ამიტომ სულიერი მაძიებელი, რომელიც მედიტაციას აწარმოებს, გონების არავითარ კაპრიზულ უსაქციელობას არ უნდა დაჰყვეს. მედიტაციის წარმოებისთვის გულის სისუფთავეა აუცილებელი. უნდა გააცნობიეროთ, რომ ყველა არსების ფორმირებას ერთი და იგივე უმაღლესი სული, *ატმანი*, ახდენს. თქვენს გარემოცვაში მყოფი ადამიანების სიხარულსა და მწუხარებას ისე უნდა თანაუგრძნობდეთ, თითქოს ისინი თქვენი საკუთარია. თუ ადამიანი სულიერი თანაგრძნობის უნარს განავითარებს, მაშინ მედიტაციის საშუალებით შესაძლებლობას იძენს ღვთაებრიობას მიაღწიოს.

ადამიანის დიდებულება მაშინ კი არ ვლინდება, როცა იგი თავისთვის სპეციალურად ამორჩეულ მსხვილ ამოცანებს დასანახად თავს ართმევს. მისი დიდებულება მეტწილად არამსხვილ, მაგრამ აბსოლუტურად გულწრფელად და ფართო გულით შესრულებულ საქმეებში ვლინდება. უნდა ვცდილობდეთ ნებისმიერი სამუშაო, ყველაზე უმნიშვნელოც კი, ღმერთს მივუძღვნათ.

რა არის ადამიანის ტანჯვის მიზეზი? ბუნებრივია თუ არა მისთვის მწუხარებები თუ ისინი რაღაც უცხოა მისთვის? ადამიანის ტანჯვის მთავარ მიზეზს უმეცრება წარმოადგენს. უმეცრებიდან მიბმულობა იზრდება, რაც ადამიანურ დაბადებას იწვევს. დაბადებას შეიძლება ტანჯვის უშუალო მიზეზი დავარქვათ. ამიტომ უნდა ვცდილობდეთ უმეცრება მოვიცილოთ და, ამრიგად, ტანჯვა გადავლახოთ. მწუხარება ადამიანისთვის ბუნებრივი არ არის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ტანჯვის მოცილება ადამიანური ბუნების ჩაქრობას გამოიწვევდა. ჩვილი ბავშვი სიხარულით ტიტინებს აკვანში და ამით გვიჩვენებს, რომ ადამიანისთვის სწორედ სიხარულია ბუნებრივი. თუ ბავშვი ბედნიერია და აკვანში ერთობა, მაშინ დედას შეუძლია თავისი საქმეები მშვიდად აკეთოს. მაგრამ როგორც კი ბავშვი ატირდება, დედა საქმეებს თავს ანებებს და მისკენ გარბის. იგი ცდილობს იპოვოს ჭიანჭველა ან სხვა მწერი, რომელმაც ბავშვის ტირილი გამოიწვია.

ჩვენ არასოდეს არ ვკითხავთ ადამიანს, რატომაა იგი ბედნიერი. მეორე მხრივ, თუ ადამიანი დათრგუნულია, ჩვენ მისი მწუხარების

მიზეზით ვინტერესდებით. ეს გასაგებია, რადგან ადამიანისთვის სიხარული ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს, მწუხარება კი არაბუნებრივია მისთვის. ადამიანური ცხოვრება სიხარულსა და ბედნიერებას უნდა ასხივებდეს; სხვა წარმოდგენები უმეცრების შედეგია. ჩვენ უნდა დისციპლინის გარკვეული წესები დავიცვათ და ამის საფუძველზე გამოვიცნოთ და გამოვავლინოთ ადამიანური ცხოვრების ჭეშმარიტი ბუნება და მისთვის დამახასიათებელი ღვთაებრიობა.

არჯუნას რომ მიმართავდა, კრიშნა ჭეშმარიტების გზებს მთელ კაცობრიობას ასწავლიდა. სიტყვა *არჯუნა* ნიშნავს სისუფთავეს და სიწმინდეს. ანდჰრა პრადეშის შტატში არის მომლოცველობის ცნობილი ადგილი, რომელსაც ჰქვია შრი საილამ. იქ დგას დიდი ტაძარი, სადაც თაყვანს სცემენ იშვარას მალიკარჯუნას სახით და მის მეუღლეს ბჰრამარამბას სახით. თუ ამ ორი სახელის შინაგან აზრს დავიჭერთ, მაშინ ცხოვრების იდუმალი აზრის გაგებასაც შევძლებთ. *მალიკა* ჟასმინია, სიტყვა *არჯუნა* კი ნიშნავს „სუფთას“ და „თეთრს“. სამყაროს დედა, პარვატი, მიმსგავსებულია *ბჰრამარას* – მუქ ფუტკარს. ამრიგად, სამყაროს დედა, მუქი ფუტკრის მსგავსად, იშვარას გულში (რომელიც სუფთა და თეთრ ჟასმინს მოგვაგონებს) აღწევს და მისი სიყვარულის ნექტარს სვამს. ჩვენი გონების ფუტკარმა ჩვენივე გულის ყვავილში უნდა შეაღწიოს და იქ მობინადრე იშვარას წყალობის ნექტარი შესვას.

ხშირად ვლაპარაკობთ ადამიანთა ძმობაზე, როგორც ადამიანურ ურთიერთობათა იდეალზე, მაგრამ არიან ძმები, რომლებიც ერთმანეთთან ჩხუბობენ და უმაღლეს სასამართლოში დაობენ. ადამიანთა გაცნობიერებული ერთობა უმაღლეს სულში უფრო მაღალი იდეალია, ვიდრე ადამიანთა ძმობა. ამიტომ სულიერმა მაძიებლებმა დიდი ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ იმისათვის, რომ „ადამიანთა ძმობის“ დონეზე მაღლა ავიდნენ და სულიერი პრაქტიკის გზით გააცნობიერონ, რომ ყველა ცოცხალ არსებაში ერთი და იგივე უმაღლესი სული, *ატმანი*, ბინადრობს.

თავი 22
აკშარა ბრაჰმანი
(მოუშლელი ღმერთი)

ის, ვისაც მუსლიმანები ალაჰს უწოდებენ,
ვისაც ქრისტიანები მიმართავენ როგორც იეღოვას,
ვაიშნავები თაყვანს სცემენ როგორც
ბჰულაბჯაქშას (ლოტოსისთვალა ვიშნუს),
შივაიტები პატივს სცემენ როგორც შამბჰას,
ის, ვისაც ადამიანები ერთგულად თაყვანს სცემენ
ყველა დროებაში,
ვინც სიმდიდრესა და აყვავებას აძლევს ყველას,
ის ჩვენი მხსნელია!
მაშ იცოდეთ, რომ სწორედ ეს არის
ერთადერთი *პარამატმანი.*

სიყვარულის განხორციელებანო!

ადამიანები ღმერთს სხვადასხვა ფორმას და სახელს ანიჭებენ ერთგულების იმ სახის შესაბამისად, რომელსაც ისინი მისდევენ. მაგრამ დღეს ღმერთზე იმ უნივერსალური წარმოდგენის აუცილებლობა მომწიფდა, რომელიც ყველა რელიგიური ტრადიციისთვის იქნება მისაღები. ღვთაებრივის მონისტური, ანუ ერთიანი იდეა, რომელიც ბჰაგავად გიტაში კრიშნამ არჯუნას აუხსნა, ყველა რელიგიის სწავლებას ათანხმებს ერთმანეთთან და ყველა ტრადიციის შერიგებას უზრუნველყოფს.

სიტყვა „*აკშარა*“ ნიშნავს „ასოს“ ან „მარცვალს“. მაგრამ ეტიმოლოგიური თვალსაზრისით სიტყვა „*აკშარა*“ ნიშნავს იმას, რისი მოშლაც შეუძლებელია. *აკშარა* ფორმაა, *ომკარა* – მისი სახელი, სულიერება კი – შინაარსი. *აკშარა* ჭეშმარიტების ისეთი ფორმაა, რომლის მიღებაც ყველას შეუძლია. *აკშარას* შინაგანი ბუნება (მისი *სვაბჰავა*) არ განისაზღვრება სამი თავდაპირველი თვისების (სამი *გუნას*) ურთიერთქმედებით, იგი მთლიანად ღვთაებრივ ბუნებას (*დივიაპრაკრიტის*) წარმოადგენს, რისგანაც მთელი სამყაროა წარმოქმნილი. ერთიანი ღვთაებრივი *ატმანი* სამყაროში თავს ავლენს როგორც სიმრავლეს. ღმერთზე სწორედ ასეთ გაგებას გვთავაზობს გიტა. ერთიანი *ატმანი* ცვლილებას არ ექვემდებარება. იგი არც

იზრდება, არც მცირდება. ამიტომაც უწოდებენ მას *აკშარას*, „უხრწნელს“. *ატმანი* მოუშლელი მთლიანი რეალობაა.

ერთი თავდაპირველი რიცხვია. ციფრი 1 (ერთი) ყველა დანარჩენ ციფრს შეიცავს, და ყველა ისინი ამ ციფრის 1 (ერთის) წარმოებულს წარმოადგენს. ამ მოვლენის შინაგანი აზრის გაცნობიერებაა საჭირო. არცერთი რიცხვი არ განსხვავდება რიცხვისგან1 (ერთი): ყველა ისინი მხოლოდ მისი სხვადასხვა ფორმაა. მაგალითისთვის, რიცხვი 4 (ოთხი) ოთხი ერთეულისგან შედგება, ანუ 4=1+1+1+1. თუ კიდევ ერთს მივამატებთ, გახდება 5 (ხუთი). არითმეტიკული მოქმედებების დროს რიცხვები იზრდება ან მცირდება, მაგრამ თვითონ რიცხვი 1 (ერთი) მთელი რჩება, იგი არავითარ ცვლილებებს და მოდიფიკაციას არ განიცდის.

და იმ დროს, როცა გამჟღავნებული სამყარო ცვლილებებს და მოშლას ექვემდებარება, ღვთაებრივი რეალობა მოუშლელია. *აკშარა* მოუშლელ ღვთაებრივ რეალობას სიმბოლიზირებს. ყველა რელიგიური ტრადიცია აცხადებს, რომ ღმერთი, *აკშარას* გამოვლინება, მარადიულია. ამას ყველა რელიგიის წარმომადგენელი ეთანხმება. ე.წ. თეოლოგიური უთანხმოებები კი არაარსებითია.

მარცვალი *აუმ* თავდაპირველი მარცვალია, *აკშარაა*, ყველა დანარჩენი ასო და ბგერა კი მისი წარმოებულია. ღვთაებრივი მარცვალი *აუმ* სიმბოლიზირებს უმაღლეს შემქმნელს, *პარაბრაჰმანს. პარაბრაჰმანის* არსის გაცნობიერებას ჰქვია *ბრაჰმა-ვიდია* – ღვთაებრივი ცოდნა. აი რატომ ატარებს ბჰაგავად გიტას მერვე თავი სახელწოდებას „აკშარა-პარაბრაჰმა-იოგა“ - „მოუშლელ *პარაბრაჰმანის* იოგა“.

ეჭვგარეშეა, რომ საერო ცოდნა საჭიროა ცხოვრებაში. მინიმალური ცხოვრებისეული საჭიროებების დაკმაყოფილების გარეშე სულიერების ნეტარების მიღწევა შეუძლებელია. მაგრამ მხოლოდ საერო ცოდნით არ ამოიწურება ადამიანური არსებობა. სულიერი ცოდნა როგორც ასეთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური ცოდნა. ადამიანური ცოდნის ყველა დარგი მდინარეებს ჰგავს, სულიერება კი უძირო და გამოუკვლეველ ოკეანეს შეიძლება შევადაროთ. და როგორც მდინარეები ზღვაში ჩაედინება და მასში ზავდება, ასევე ყველა საერო ცოდნა სულიერ ცოდნაში პოულობს დასრულებას.

აკშარას თავდაპირველი ბუნება ნებისმიერი თვისებების ზღვრებიდან გამოდის. *აკშარა* არის *ნირგუნა*, თვისებების არმქონე, იგი ასევე არის *ნირაჯანა* – ის, ვინც მიბმულობებს არ განიცდის. ბჰაგავად

გიტას ყოველი მარცვალი, *აკშარა*, *პარამატმანის* ტრანსცენდენტურ და იმანენტურ რეალობას აცხადებს.

„ო, უმეცარო უგუნურო, ჯობია გოვინდას[35] სახელი ადიდო. გრამატიკის ცოდნა კი სიკვდილის წინ ვერ გიშველის“, - თქვა დიდმა ფილოსოფოსმა და წმინდანმა შანკარამ. ყველა ჩვენი ენციკლოპედიური ცოდნა და ღრმა განსწავლულობა ვერ გვიხსნის იმისგან, რაც გარდაუვალია სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც.

ცხოვრობდა ერთი სწავლული, *პანდიტი*, რომელმაც ვედები და შასტრები სრულყოფილად იცოდა. ერთხელ ის ახლომდებარე სოფლისაკენ გაემართა. მდინარეზე გადასასვლელად ნავი დაიქირავა და, დრო რომ გაეყვანა, მენავეს სხვადასხვა კითხვების დასმა დაუწყო. „შეგიძლია მაჯის საათზე დროის წაკითხვა?“ - ასეთი იყო სწავლულის, *პანდიტის*, პირველი შეკითხვა. უბრალო მენავემ უპასუხა, რომ არ შეუძლია. ამაზე ქედმაღალმა *პანდიტმა* ზიზღით გაიცინა და საწყალს განუცხადა, რომ მისი ცხოვრების მეოთხედი ფუჭადაა გავლილი, წყალში ჩაიყარა.

პანდიტის მეორე კითხვა იმას შეეხებოდა, შეუძლია თუ არა მენავეს გაზეთების კითხვა. და როდესაც ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ წერა-კითხვის უცოდინარია, ამაყმა *პანდიტმა* დაცინვით დაასკვნა, რომ მენავეს უკვე ნახევარი ცხოვრება აქვს წყალში ჩაყრილი. შემდეგ ჩვენმა სწავლულმა მენავეს ჰკითხა, მღერა თუ შეუძლია. და როდესაც მესამედ მიიღო უარყოფითი პასუხი, *პანდიტმა* გაუთლელ მენავეს სრული ზიზღით განუცხადა, რომ მისი ძვირფასი ცხოვრების უკვე სამი მეოთხედია წყალში ჩაძირული.

ცოტა ხნის შემდეგ ცა შავი ღრუბლებით დაიფარა და ძლიერი შტორმი ამოვარდა. ტალღები ნავს აქეთ-იქით აქანებდა. მაშინ მენავემ ამაყ *პანდიტს* ჰკითხა: „ბატონო, იცით თუ არა ცურვა? თუ არ იცით, ჩათვალეთ, რომ მთელმა თქვენმა ცხოვრებამ ტყუილად ჩაიარა“. და აღმოჩნდა, რომ სწორე ცურვა არ სცოდნია საწყალ *პანდიტს*. ვერავითარი პედანტურობა და ვერავითარი სწავლულობა ვერ დაეხმარა მას უბედურების დროს, და იგი მდინარემ შთანთქა. უსწავლელი მენავე კი, რომელმაც ცურვა თევზივით იცოდა, უვნებლად გავიდა ნაპირზე.

სამსარა-საგარა ცხოვრების ოკეანეა. მეორე ნაპირს უვნებლად რომ მიაღწიოს, ადამიანმა უმაღლესი სულის, *პარამატმანის* რწმენა უნდა განავითაროს. მხოლოდ სულიერი გაცნობიერება მოგვცემს შესაძლებლობას ხიფათით სავსე ცხოვრების ოკეანე გადავლახოთ.

---

[35] გოვინდა - „წყემსი“, „ძროხების მძებნელი“; ვიშნუს და კრიშნას სახელი-ეპითეტი.

ადამიანებს შეუძლიათ ნებისმიერი რელიგია მიიღონ, მის მიერ ნებისმიერ მოწონებულ სექტაში შევიდეს. მაგრამ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყველა ისინი *ომკარას*, *ომ* მარცვალს იმეორებენ. რჯული და თაყვანისცემის ხასიათი შეიძლება სხვადასხვა იყოს. მუსლიმანებმა შეიძლება ღმერთების თაყვანისცემის ინდუისტური ტრადიციები უარყონ, ქრისტიანებს კი თაყვანისცემის მუსლიმანური წესები მიუღებლად ეჩვენოთ. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ზედაპირული განსხვავებებია. *აკშარა*, ანუ ღვთაებრივი მარცვალი, რომელიც ერთიანი ღვთაებრივი რეალობის მოუშლელ სუბსტანციას წარმოადგენს, უდავოა. *აკშარა* ღვთაებრივი ყველგანმსუფეობის უცვლელი და მოუშლელი რეალობაა.

ბჰაგავად გიტას ცალკეულ ნაწილებად დაყოფა მხოლოდ ჩვენი მოხერხებულობისთვის მოხდა. მთელი ტექსტისთვის განუყოფელი ორგანული ერთიანობაა დამახასიათებელი, მისი ნაწილები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ადამიანის სხეულიც ხომ მრავალი ნაწილისა და ორგანოსგან შედგება, მაგრამ მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად და ერთმანეთისგან იზოლირებულად იარსებონ. გიტას ყველა თავის ცენტრალურ თემას *პარამატმანის* ყველგან მსუფევი ღვთაებრივი რეალობა წარმოადგენს.

ანალოგიურად იმისა, რომ გამჟღავნებული ბუნების უკან ღვთაებრივი ბუნებაა დაფარული, გამჟღავნებული გონების უკან ღვთაებრივი გონება დგას. ჭეშმარიტი სულიერება არის გამოცნობა და აღქმა ღვთაებრიობისა, რომელიც გონების გამჟღავნებული სამყაროს საფუძველში და მატერიაში ძევს.

სამყარო შეიძლება განვიხილოთ როგორც მთელი რიცხვი. და როგორც თავდაპირველი რიცხვი 1 (ერთი) ჩვენ მიერ გაგებული ყველა დანარჩენი რიცხვის მთლიან ნაწილს წარმოადგენს, ასევე ღვთაებრიობაც ჩვენი გარემომცველი სამყაროს საფუძველს შეადგენს. ასეთივე სახით *აუმ* თავდაპირველ მარცვალს, *აკშარას*, წარმოადგენს რომლიდანაც ყველა დანარჩენი ბგერა და ასო წარმოიშვა. შედეგად უნდა გავაცნობიეროთ და შევიგრძნოთ მონისტური, ანუ არაორობითი რეალობა, რომელიც ფორმების და სახელების გარე მრავალგვარობის უკან დგას. სულიერი ერთიანობის (რომელიც მატერიალურ მრავალგვარობაშია დაფარული) შეფასებისა და ჩაწვდომისათვის არასანდო და ხრწნად ფიზიკურ სხეულზე მიბმულობა უნდა გადავლახოთ. უნდა ვეცადოთ შევერწყათ *აკშარას*, რეალობის მიერ მოშლას დაუქვემდებარებელ *ბრაჰმანს*. უნდა გამოვიდეთ სიბნელიდან სინათლეზე და სიკვდილიდან უკვდავებაში.

ფიზიკური სხეული, *დეჰა*, არის მხოლოდ ინსტრუმენტი, *უპადჰი*. მაგრამ მის შიგნით იმყოფება უმაღლესი სული, რომელიც ყველაფრის მოწმეს წარმოადგენს. ადამიანზე *კარმის* ზემოქმედება მანამდე არ შეწყდება, სანამ შენარჩუნებულია ხრწნად სხეულზე მისი მიბმულობა. სხეულზე მიბმულობა ჩვენში დაფარული *ატმანის* რეალობის გაცნობიერებით უნდა შეიცვალოს. ფიზიკური სხეული, *დეჰა*, ხუთი ელემენტისგან შედგება: მიწის, წყლის, ცეცხლის, ჰაერისა და ეთერისაგან. სხეული ავადმყოფობებს, მოშლას და სიკვდილს ექვემდებარება და არ ძალუძს ცხოვრების ოკეანე, *სამსარა* გადალახოს. აი რატომ მართებს ადამიანს ღმერთს მიენდოს, ლოტოსის ტერფებში ჩაუვარდეს და გააცნობიეროს, რომ სინამდვილეში იგი მოკვდავი სხეული (*დეჰა*) კი არ არის, არამედ ღვთაებრივი *ატმანია* (*დეჰი*), რომელიც სხეულში ბინადრობს. ადამიანი არ არის სხეული (*შარირა*), იგი არის *შარირი*, ანუ ღვთაებრივი *ატმანი*, სხეულში (*შარირაში*) მცხოვრები.

ღირს კი ჩვეულებრივი ძროხის ყიდვა, თუკი თქვენ ღვთაებრივი ძროხა, კამადენუ გყავთ, სურვილებს რომ ასრულებს? ღირს კი მზრუნველობით ზრდიდეთ ბაღში რაღაც ხეს, თუკი უკვე გაქვთ ღვთაებრივი ხე, კალპატარუ, სურვილების შემსრულებელი? როდესაც უმაღლესი სულის (*ატმანის*) ნეტარებას იძენთ, განა დაბალი სხეულებრივი სიხარული უნდა გწყუროდეთ?!

ცა წყლიან ჭურჭელშია ასახული. თუ ჭურჭელს გავტეხთ, მაშინ ცის ანარეკლი თვით უსაზღვრო ცას შეერწყმება. ასევე ადმიანის ფიზიკური სხეულის დაშლის დროსაც მასში დაფარული უკვდავი სული, *ატმანი*, უმაღლეს სულს, *პარამატმანს* უერთდება. არჯუნას რომ *პარამატმანის* ყველგანშეღწევადი რეალობა შეეგრძნო, კრიშნა მოუწოდებდა მედიტაცია *აკშარაზე*, მოუშლელზე ეწარმოებინა. კრიშნამ არჯუნას ღვთაებრივ სამყაროებრივ დრამაში მისი როლის შესახებ შეახსენა და აუხსნა, რომ იგი ღვთაებრივი ნების მხოლოდ ინსტრუმენტს წარმოადგენს. კრიშნამ არჯუნას მთელი არსება გიტას ნექტრით შეავსო და უკვდავება მიანიჭა.

თავი 23
აუმ ღმერთის სახელია

ბუშტი წყალში იბადება, ზედაპირზე უმალ ამოტივტივდება და მასშივე ქრება. ასევე ადამიანიც, *ნარა*, ღმერთიდან, ნარაიანადან, ჩნდება, შემდეგ კი კვლავ მას ერწყმის.

სიყვარულის განხორციელებანო!

უმაღლესი არსების მოუშლელობის იდეა ან რეალობის ის ასპექტი, რომელსაც *აკშარა*, „მოუშლელი“ ჰქვია, ყველა რელიგიისა და სარწმუნოებრივი მოძღვრებისთვისაა მისაღები. სწორედ ღმერთის მოუშლელობაა საფუძველი ღმერთის მარადიულ არსებად მიღებისთვის და იმად მიღებისთვის, ვინც კოსმოსის შთამაგონებელ ძალას წარმოადგენს. მოუშლელობა, ანუ *აკშარატატვა*, ღმერთის ფორმაა, ხოლო ამ მოუშლელი ღმერთის სახელს *აუმ* წარმოადგენს. *აუმ*, თავდაპირველი სიტყვა, ყველა ვედას არსს უკვე შეიცავს და ყველა საღმრთო წერილის, შასტრების, წყაროა. *აუმ* ყველა რელიგიური სწავლების და განმაზოგადოებელი ცოდნის საფუძველს აყალიბებს.

აუმ შედგება სამი ბგერისაგან: *ა*, *უ* და *მ*. ყოველ მათგანს დამატებითი შინაგანი მნიშვნელობა აქვს მიცემული. *აუმ* თავდაპირველი სიტყვაა, რომელიც ყველა დანარჩენ სიტყვას აძლევს სიცოცხლეს (*ჩაიტანიას*). ვედები, უპანიშადები და პურანები მრავალი გზით ადიდებენ *აუმ*-ს, ანუ *პრანავას*.

წმინდა სიტყვა *აუმ*-ის სრული გაცნობიერება ან მისი მთლიანი ფორმის აღწერა არავის ძალუძს. *აუმ* განუყოფელი სიტყვაა, რომელიც ღვთაებრიობას აღნიშნავს. *აუმ ბრაჰმანის* ჟღერადი ფორმაა (*შაბდა-ბრაჰმა-მაია*), რომელიც ცოცხალ და არაცოცხალ ფორმათა სამყაროს გამსჭვალავს. *აუმ* ყოველივე მოძრავი და უძრავია (*ჩარაჩარა-მაია*), მბრწყინავი ღვთაებრივი შუქია (*ჯიოტი-მაია*), მეტყველებაა (*ვანგ-მაია*), მარადიული ნეტარებაა (*ნიტიანანდა-მაია*). *აუმ* უმაღლესი და უდაბლესია (*პარაპარა-მაია*), თვით *მაიას* დედაა, ანუ *ბრაჰმანის* შემოქმედებითი ცნობიერებაა (*მაიას-მაია*); ეს არის აყვავება (*შრი-მაია*). მაშ ასე, *აუმ* ფლობს ჩამოთვლილ რვა ღვთაებრივ განძს – *აიშვარიამს*. *აუმ* ღვთაებრივად ძვირფასია, და იგი უნდა განვიხილოთ როგორც ღმერთის სახელი.

ეს სამყარო არის *კშარა*, რადგან დაცემას და მოშლას ექვემდებარება. მიუხედავად ამისა, სწორედ მასში, ასეთ არამდგრადში,

ავლენს თავს მოუშლელი ტრანსცენდენტური *ბრაჰმანი – აკშარა-პარაბრაჰმანი.* მართალია, *ბრაჰმანი* სამყაროს, *კშარას*, გამსჭვალავს, მაგრამ თვითონ მოშლას, *კშარას*, არ ექვემდებარება.

ქოთანი თიხისგან შედგება, მაგრამ თიხაში ქოთნები არ არის. ქოთნები შექმნის (*კალპანას*) პროცესის შედეგად ჩნდება და ამიტომ იშლება. მაგრამ თიხა ქოთნების გარეშე არსებობას განაგრძობს. ბუშტი ასევე შექმნის, კალპანას, პროცესში ჩნდება წყლიდან, ამიტომ კვლავ წყალში ზავდება. ბუშტში წყალიც იმყოფება – გარსის სახით, რომელიც ჰაერს შეიცავს. ასეთივე სახით ქმნილებაში *აკშარა*, მოუშლელი მჟღავნდება, და იქ მოშლადთან, *კშარასთან* ერთად იმყოფება. წმინდა მარცვალი *აუმ* ამის თვალსაჩინო დემონსტრაციას ახდენს.

რამაიანას გმირები ლაქშმანა, ბჰარატა და შატრუგნა ავლენენ თვისებებს, რომლებიც შეესაბამება სიტყვა *აუმ*ის სამ ცალკეულ ასოს – *ა*, *უ* და *მ*ს. მთელ სიტყვას „*აუმ*“-ს კი *ავატარი* რამა განასახიერებს. ბჰაგავად გიტაში უფალი კრიშნა აცხადებს, რომ იგი არის *პრანავა*, ანუ *აუმ*, რომელიც ყველა ვედაში იმყოფება („*პრანავასია სარვა ვედეშუ*“). ფილოსოფოსი პატანჯალი *პრანავას* განადიდებდა და ღმერთის ღირსეულ სახელად თვლიდა („*ტასია პრაჩაკაჰ პრანავაჰ*“). ინდუისტურ რელიგიაში არ არის არც ერთი *მანტრა* ან შასტრა, რომლის საფუძველშიც სიტყვა *აუმ* რომ არ იდოს. ამიტომ წმინდა *პრანავას*, ამ თავდაპირველი სიტყვის აზრს უნდა ჩავწვდეთ.

აუმ ღმერთის ისეთი სახელია, რომელსაც უნივერსალური გამოყენება შეიძლება ეპოვოს. ქრისტიანები ყოველდღიურ ლოცვებში წარმოთქვამენ „ამინ“, და ეს ხომ *აუმ*ის მხოლოდ სხვა ფორმაა. სიტყვა *აუმ* უნივერსალურია, იგი დროისა და სივრცის ყველა წინააღმდეგობას, რელიგიურ და კულტურულ ბარიერებს გადალახავს, და მისი წარმოთქმა ყველას შეუძლია.

ცხოვრება მძლავრი მდინარეა, რომლის წყლებიც სურვილებისგან შედგება. აზრები კი – ურიცხვი მცირე ტალღები მის ზედაპირზე. ძლიერი ვნებები მდინარეში მობინადრე ნიანგებს ჰგავს, ილუზიები კი – მდინარის მორევებს. ამ სახიფათო მდინარის გადალახვა მხოლოდ იოგს შეუძლია, რადგან მხოლოდ ის დაეუფლა გონების მზაკვრობებზე კონტროლს. ფილოსოფოსი პატანჯალი ამბობდა: „*იოგაჰ ჩიტა ვრიტი ნიროდჰაჰ*“ (იოგა გონების რხევების მოსპობაა).

ჩვეულებრივ მდინარეში წყლის ნაკადი შეიძლება ხან იზრდებოდეს, ხან მცირდებოდეს, მაგრამ ცხოვრების მდინარის ნაკადი, რომლის წყლებიც გაუთავებლად მზარდი სურვილებით ივსება,

არასოდეს ილევა. ცხოვრების მდინარეს უნარი აქვს მღელვარე ტალღების ფართო, უსაზღვრო სივრცედ იქცეს, და ეს არავითარ კონტროლს არ ემორჩილება. ასეთი მდინარის გადასალახად აბსოლუტურად აუცილებელია ნავი. და ასეთი ნავი, რომელსაც შეუძლია ცხოვრების მდინარეზე გადაგიყვანოთ, არის *აუმ* – ღმერთის სახელი. ძველი ბრძენები, *რიშები*, *პრანავას* ნავის დახმარებით ცხოვრების აღელვებულ მდინარეზე იოლად გადადიოდნენ. *პრანავას* აქვს ძალა, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ მთელი მსოფლიო დიდი წარღვნისგან (*პრალაიასგან*) იხსნას.

ამქვეყნიურ საქმეებთან დაკავშირებული სურვილების შესრულებებისკენ სხვადასხვა გზით მივდივართ. მაგრამ ნებისმიერ მათგანზე გარდაუვალად სამ სტადიას გავდივართ, რომლებსაც ჰქვიათ *პრიია*, *მოდა* და *პრამოდა*. აი ამის ილუსტრაცია. მაგალითისთვის, თქვენ ყური მოჰკარით, რომ ბაზარში გემრიელი მანგო იყიდება. ეს ახალი ამბავი თქვენში უკვე მოლოდინის იმდენად საამო გრძნობას იწვევს, რომ პირი ნერწყვით გევსებათ. წინასწარ დატკბობის ეს სტადია წარმოადგებს სწორედ *პრიიას* განცდას. ეს შეგრძნება ილუზიურია და უმთავრესად ფიქრით ან წარმოდგენითაა გამოწვეული. ამის შემდეგ მიდიხართ ბაზარში და მანგოს ყიდულობთ. მანგოს ყიდვის პროცესიც ასევე სიხარულის ან ბედნიერების გრძნობას გგვრით, რომელსაც ჰქვია *მოდა*. თუმცა ეს გრძნობაც დიდხანს არ გრძელდება და ნამდვილ დაკმაყოფილებას არ გაძლევთ. ბოლოს და ბოლოს მანგოს ჭამთ და დაკმაყოფილების სიხარულს განიცდით. ეს არის ბედნიერების დამასრულებელი შეგრძნება, და მას ჰქვია *პრამოდა*.

მაგრამ დაკმაყოფილების ეს შეგრძნებაც კი არ გრძელდება დიდხანს, რადგან საგანი, რომელიც ასე გსურდათ, ამქვეყნიურია. ჭეშმარიტი და მარადიული ბედნიერება ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს, თუ სურს ღმერთს მიაღწიოს და მისკენ მიმავალი გზით მიდის. როდესაც გონება მტკიცედაა უფალზე კონცენტრირებული, *პრიიას*, *მოდას* და *პრამოდას* მდგომარეობები ღვთაებრივ თვისებებს იძენს და ადამიანს უკვდავების ნეტარებას აძლევს.

ფილოსოფიური თვალსაზრისით სურვილების წარმოქმნა (*პრიიამ*), სასურველი საგნის შეძენა (*მოდამ*) და შეძენილით ტკბობა (*პრამოდამ*) შეჯერებულია სულიერი შეცნობის სამ სტადიასთან – მოსმენასთან (*შრავანასთან*), მოსმენილზე ფიქრთან (*მანანასთან*) და გულში იმის აღბეჭდასთან, რაზედაც ფიქრობდით (*ნიდიდჰიასანასთან*). წმინდა

სიტყვების უბრალო მოსმენა კი ვერ გიშველით, მას უნდა ფიქრი და ღრმა მზერა მოჰყვებოდეს.

შრავანა შეიძლება სამზარეულოში საკვების მომზადების პროცესს შევადაროთ. მაშინ *მანანა* მაგიდაზე საჭმლის მიტანა იქნება, *ნიდიდჰიასანა* კი – საკვების მიღებისა და ადამიანის სხეულის მიერ შეთვისების პროცესი. სინამდვილეში მხოლოდ მაშინ დანაყრდებით, როდესაც საჭმელს ჭამთ. მაშ ასე, სულიერი სიბრძნის, *ჯ̃ნიანას*, მიღწევაში მხოლოდ *ნიდიდჰიასანა* დაგეხმარებათ.

ატმანის მარადიული ნეტარების შეძენას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ, თუ სულიერი შეცნობის სამ სტადიას მიჰყვებით – *შრავანას*, *მანანას* და *ნიდიდჰიასანას*, თუ სამი თავდაპირველი თვისების (*გუნას*) – *სატვას*, *რაჯასის* და *ტამასის* – ბუნებას გაიგებთ, თუ თვალნათლივ წარმოიდგენთ წმინდა ტრიადის – ბრაჰმას, ვიშნუს და მაჰეშვარას – სახეებს, და თუ ყველა სამი სამყაროს წარმავალ ხასიათს გააცნობიერებთ.

გახსოვდეთ, რომ თქვენ უნდა ღმერთს შეუერთდეთ ზუსტად ისევე, როგორც ამას ბუშტი აკეთებს – უერთდება წყალს, რისგანაც იგი წარმოიქმნა. დაე თქვენში განუწყვეტლივ ჟღერდეს თავდაპირველი სიტყვა, *პრანავა*!

თავი 24
არაწარმავალი ღირებულების ფილოსოფია

ადამიანებს ცოდვის უკვე აღარ ეშინიათ. მსოფლიოში ბოროტება მძვინვარებს. ღმერთის მიმართ ერთგულება გაქრა. ყველაზე უფრო აუწერელი მანკიერებები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მწირებიც კი წუთისოფლის საქმეებში ჩაეფლენ. დადგა დრო ადამიანმა უფალზე იფიქროს და მისკენ მიმავალი გზები ეძებოს.

ინდური მისტიციზმი და სულიერების არაწარმავალი ფილოსოფია დაფუძნებულია ბჰაგავად გიტაზე, რომელმაც ყველა უპანიშადას არსი დაიტია. იმ ძველ დროს, საითკენაც თანამედროვე ემპირიულმა მეცნიერებამ გზები ვერ გაიკვალა, ვედური სიბრძნის მცოდნეებმა ბუნების სიღრმეში ინტუიციური შეღწევის უნარი შეიძინეს. ვედურმა *პანდიტებმა* გონების ფენომენალური შესაძლებლობები განავითარეს და ბუნების მოვლენებზე კონტროლის განხორციელებაც კი ისწავლეს.

თავის მაღალ სულიერ ძალებზე დაყრდნობით მათ უნარი შესწევდათ ბუნების მატერიალური ძალები დაეოკებინათ. ისინი მატერიაზე გონების გამარჯვების მაგალითს ავლენდნენ. ინდოეთმა დიდი ბრძენების, *რიშების,* და ძველი დროის წმინდანი ადამიანების სულიერი ტრადიციები მიიღო მემკვიდრეობით.

ვედების ცოდნა ჩვენს ძველ სწავლულებს, *პანდიტებს*, შესაძლებლობას აძლევდა სიკეთე ეკეთებინათ და ბოროტებას გასცლოდნენ. ვედების განყოფილება, რომელიც ვედურ წეს-ჩვეულებებსაა („კარმა-კანდა“) მიძღვნილი, *მანტრების*, ანუ სულიერი შელოცვებისგან შედგება. ვედანტას მნიშვნელოვან ნაწილს ასევე შეადგენენ ბრაჰმანები (კანონიკური პროზაიკული ტექსტები), რომლებიც ხსნიან, სწორად როგორ უნდა შესრულდეს მსხვერპლის შეწირვა, *იაჯნები* და *იაგები.* ამ წეს-ჩვეულებებს, წარმოადგენს რა ცერემონიალურ რიტუალებს, რომლებიც ამქვეყნიური სიხარულის მიღწევისკენაა მიმართული, არ შეუძლია *ატმანში* სუფთა ნეტარება, *ატმანანდა* მოგვცეს. მათ შეუძლიათ მხოლოდ გრძნობითი სიამოვნებები გამოიწვიონ, და ამით ე.წ. ეპიკურელური[36] სიხარული მოგვანიჭონ, რასაც სწრაფმდინარობა ახასიათებს. *ატმანის* სუფთა და არაწარმავალი ნეტარების ძებნას ძველი ბრძენები, *რიშები*, ტყეში მიჰყავდა, მარტოობაში. იქ გასხივოსნებისა და განთავისუფლების მიღწევის გულისათვის ასკეზას, *ტაპასს* ეძლეოდნენ. მათთვის გამოცხადებულ სულიერ სიბრძნეს ბრძენები უპანიშადების[37] მეშვეობით გადმოსცემდნენ. ეს მისტიკური გამოცხადებები უპანიშადების სახელწოდებას ატარებს, რადგან ადამიანს ღვთაებრივთან აახლოებს. მრავალნი უპანიშადებს იხილავენ როგორც ვედების დაგვირგვინებას, ამიტომ უპანიშადებს უწოდებენ ვედანტას – ინდური მისტიციზმის არსს და უმაღლეს წერტილს.

სიბრძნეს (*ჯნიანას*) და განათლებას (*ვიდიას*) შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. განათლებას შეუძლია სიბრძნის დამხმარე იყოს. იგი იძლევა ინფორმაციას, რომელიც ფორმალურად განიხილება როგორც „ცოდნა“. სიბრძნე კი ცოდნის ზეშთაგონება და ამაღლებაა. ნამდვილი განათლება მხოლოდ ცოდნის შეძენით არ უნდა შემოიფარგლებოდეს, მან ეს ცოდნა სიბრძნედ უნდა აქციოს. ჭეშმარიტ განათლებას მწუხარების სამყაროდან გათავისუფლებისკენ უნდა

[36] ეპიკურელობა – ძველი საბერძნეთის ფილოსოფოს-მატერიალისტის ეპიკურის ეპიკური სწავლების გამარტივებული განმარტების საფუძველზე წარმოქმნილი მსოფლმხედველობა როგორც გრძნობითი ინსტიქტების დაკმაყოფილებისაკენ და პირადი კეთილდღეობის მიღწევისაკენ მისწრაფება.

[37] სიტყვა „უპანიშადა“ ნიშნავს ფარულ ცოდნას და წარმოქმნილია სანსკრ. სიტყვიდან *უპა-ნი-შად* - „სულიერი მასწავლებლის გვერდით ჯდომა“.

მივყავდეთ. მაგრამ ამის ნაცვლად თანამედროვე განათლება ადამიანის პიროვნებაზე უკუზეგავლენას ახდენს, იგი ტანჯვების მოსპობას კი არა, გაზრდას იწვევს. თანამედროვე განათლების განმტკიცებასთან ერთად ტანჯვაც ძლიერდება. განათლების გავრცელებასთან ერთად საყოველთაო ტანჯვა მსოფლიოში უსაშველოდ გაიზარდა. ამრიგად, თანამედროვე განათლება არაფრით არ უწყობს ხელს ამქვეყნიური მწუხარების (*დუჰკჰის*) თავიდან მოცილებას. ადამიანურ ტანჯვათა გამრავლების მიზეზი ფუძემდებლური ერთიანობის (რომელიც გარეშე მრავალფეროვნების უკანაა დაფარული) რწმენის უკმარისობაში შეიძლება დავინახოთ. ეგოიზმი, ადამიანის ტანჯვების წყარო, პირადი „მე“-ს, *აჰამკარას* გრძნობასთან მხარდამხარ მიდის. *მამაკარა* კი რამდენადმე გაფართოებული სახეა ეგოიზმისა, იგი თავის ზღვრებში აქცევს მეგობრებსა და ნათესავებს, ასევე პირად საკუთრებას. *აჰამკარას* და *მამაკარას* ერთობლივ ზემოქმედებას ადამიანი ამ სამყაროს წარმავალ ობიექტებზე მიბმულობასთან მიჰყავს.

სულიერი სიბრძნე, *ჯნიანა*, აბსოლუტური, მარადიული და ღვთაებრივი რეალობის უშუალო და პირადი განცდაა. ჭეშმარიტება ერთია. და იგი ტყუილი ხდება და თავის თავს ეწინააღმდეგება იმ შემთხვევაში, თუ მასში რაიმე ორობითობა ან შედარებითობა ჩნდება. სამყარო ონტოლოგიური ორი სხვადასხვა სუბსტანციისგან არ არის შედგენილი.

„*აუმ იტი ეკაკშარამ ბრაჰმ*“ (*აუმ* ერთიანი მოუშლელი ღმერთია). „*სატიამ ჯნიანამ ანანტამ ბრაჰმ*“ (ღმერთი არის ჭეშმარიტება, სიბრძნე, უსაზღვროება). პირველ ფრაზაში სიტყვა „*აკშარა*“ ნიშნავს დაუჭკნობელ, მოუკვდენელ და მოუშლელ სუბსტანციას. *აკშარა* აბსოლუტური რეალობაა. სულიერი სიბრძნე, *ჯნიანა*, *აკშარას* წარმოადგენს. უსასრულობაც, *ანანტამ*, *აკშარას* წარმოადგენს. თავდაპირველი *აკშარა* ყველა *აკშარაში* განუყოფლად იმყოფება. თავდაპირველ *აკშარას* ხილვის ღირსი ხდება ის, ვინც სულიერი ხედვა შეიძინა ან სულიერი სიბრძნის თვალებითაა აღჭურვილი.

ჭეშმარიტების, სიბრძნის და უსასრულობის სამთა კავშირი უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი და განუყოფელი რეალობა. სულიერი სიბრძნის არსი ჭეშმარიტების, სიბრძნის და უსასრულობის სამერთიანობის გაცნობიერებასა და განცდაში მდგომარეობს. ამ მისტიკური გამოცდილების შეძენა იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუ ჩვენში აუღელვებელ სიმშვიდეს (*სამიამას*) განვავითარებთ. *სამიამა* გრძნობით ორგანოებზე კონტროლთანაა გაიგივებული.

გრძნობით ორგანოებზე კონტროლის დამყარებას მუდმივი, მტკიცე და სისტემატური პრაქტიკით შეიძლება მივაღწიოთ. მხოლოდ ადამიანს აქვს პრივილეგია გადალახოს თავისი თანდაყოლილი ინსტიქტები და ჩვეულებები შეცვალოს. ვეფხვსაც შეიძლება ვასწავლოთ ცირკში სხვადასხვა ტრიუკები. მაგრამ ბუნებით ვეფხვი ხორცისმჭამელი მხეცია, და ვერასოდეს იქცევა ალერსიან ბალახისმჭამელ ცხოვლად. თუ ვეფხვი მშიერია, მას ხორცი უნდა, ნუთუ იგი ოდესმე ხორცის ნაცვლად პურის კვერის ჭამას დაიწყებს? მისი ინსტიქტი ხორცის ჭამაა. ასე რომ ნურც კი იოცნებებთ ვეფხვ-ვეგეტარიანელზე. ინსტიქტის შეცვლა არ შეიძლება. თქვენ შეგიძლიათ კატა რძით და ხაჭოთი კვებოთ, მაგრამ როგორც კი ის თაგვს დაინახავს, მაშინვე ეცემა და შესანსლავს. კატას აქვს ასეთი ინსტიქტი – თაგვი ჭამოს.

ადამიანს კი მინიჭებული აქვს შესაძლებლობა ახალი ისწავლოს და თავისი თავი ცვალოს. ცხოველებისგან განსხვავებით მას აქვს სწავლის უსაზღვრო უნარი და შეუძლია თავისი პიროვნება მნიშვნელოვნად სრულყოფილი გახადოს. მას უნარი აქვს თავისი ინსტიქტები აამაღლოს, დახვეწილი გახადოს და მანკიერი მიდრეკილებები მოსპოს. ძალისხმევის წყალობით ადამიანს ყველაფრის მიღწევა შეუძლია.

მიუხედავად ამისა, დღეს ჩვენ ყველგან ვხედავთ ადამიანის თავისი მოძმის მიმართ არაჰუმანურ მოპყრობას. მან სუფთა და უანგარო სიყვარულის უნარი დაკარგა. ჭიანჭველაც კი, პალმის შაქრის ნაჭერს თუ იპოვის, მის ჭამას მარტო არ შეუდგება. იგი აუცილებლად მოიყვანს თავის მეგობარ-ჭიანჭველებს და მათს კამპანიაში შეჭამს, საჭმელს უანგაროდ გაუნაწილებს სხვებს. ჭიანჭველას ეგოიზმი არ გააჩნია ინსტიქტის დონეზე. ადამიანი კი პირიქით, ეგოისტურია თავის ყველა გამოვლინებაში. როგორც ჩანს, აზროვნების შეზღუდულობა და ეგოისტური მიდრეკილებები ჩვეულებაშია შესული.

ჩვენ ყვავს ზიზღით ვეპყრობით, თუ იგი სახლთან ჩხავილს დაიწყებს, ქვებსაც კი ვესვრით. მაგრამ ყვავი მარტო არასოდეს დაიწყებს ჭამას, ეს ყველაზე უფრო თანაზიარი ფრინველია. თუ ბრინჯის გროვას შეამჩნევს, ყველა დანარჩენ ყვავს მიიწვევს და ნადავლს გაუზიარებს. საინტერესოა, რა წიგნებს კითხულობდნენ ჭიანჭველები და რა უნივერსიტეტები დაამთავრეს ყვავებმა? ასე რომ ყოველ თქვენგანს მართებს ურთიერთსიყვარული და თანამშრომლობა ისწავლოს ჭიანჭველებისა და ყვავებისგან.

მაგრამ მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი, იგი *ატმანით*, უმაღლესი სულით ცოცხლობს. ადამიანის ცხოვრება ღმერთის

ერთგულების (*ბჰაქთის*) და თავდადების (*პრაპატის*) საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს. მათ ადამიანი გულში სულიერი სიბრძნის აყვავებამდე უნდა მიიყვანონ. სიხარბეს (*ბჰუკთის*) და მოტყუებას (*იუკთის*) კი იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

წმინდანი რამდასი[38] უფალ რამას დიდი თაყვანისმცემელი იყო; მან მისი მადიდებელი ათასი ლექსი შეთხზა. ერთხელ მოუნდა გაეგო, ამ ლექსებიდან რომლებმა მიაღწია სინამდვილეში რამას. მაგრამ არ გააჩნდა ამის გამოკვლევის პირდაპირი ხერხი, და ამიტომ ყველა ფურცელი შეაგროვა ლექსებით და მდინარე გოდავარში გადაყარა. თითქმის ყველა ფურცელი ჩაიძირა წყალში, დარჩა მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე, რომლებიც რაღაც ასამდე ლექსს შეიცავდა. სწორედ ამ ასმა ლექსმა მიაღწია უფალ რამას, რადგან ისინი გულწრფელი გრძნობით და დიდი ყურადღებით იქმნებოდა. ისინი რამდასის უდიდესი ქმნილებები, გულის სპონტანური ქმნილებები აღმოჩნდა, რომლებიც გულწრფელი ერთგულებითა და აბსოლუტური თვითგანდგომით იყო შთაგონებული. წყალში ჩაძირული ლექსები კი მის მიერ სიამაყით და დიდების სურვილით იყო შეთხზული. გულწრფელობა – აი ყველაზე უფრო არსებითი კრიტერიუმი ერთგულების პოეზიაში. მაგრამ მხოლოდ ღმერთის ერთგულება (*ბჰაქთი*) არასაკმარისია – მას უნდა გულის სისუფთავეც დაერთოს.

ასევე აუცილებელია გრძნობების კონტროლიც. მოძრავი მატარებლის ან ავტობუსის გასაჩერებლად მუხრუჭების დაწოლაა საჭირო. მემანქანე პატარა ბერკეტს აწვება და მატარებელს სადგურის პლატფორმასთან აჩერებს. ადამიანის გრძნობითი აღქმის ორგანოები უდიდესი სიჩქარით მუშაობენ. თუმცა ჩვენი გრძნობითი ორგანოების ძლიერი აღგზნება თითქმის მყისიერად შეიძლება დავამშვიდოთ, თუ გულს და გონებას თანაგრძნობით და სიბრძნით შევავსებთ. ყოველმა ადამიანმა უნივერსალური თანაგრძნობა და სუფთა სიყვარული უნდა განავითაროს. ყოველი ჩვენგანი ისეთი მოღვაწეობით უნდა იყოს დაკავებული, რომელიც ღმერთს მოეწონება. თვითონ უფალი კი თანაგრძნობის ოკეანეა.

როგორც წესი, მშობლებს აქვთ მიდრეკილება თავის თავქარიან ბავშვებს ტყუილი და სახლიდან ფულის მოპარვაც კი აპატიონ. მაგრამ როგორც კი მსახური რაიმე წვრილმანს მოიპარავს, მაშინვე მას პოლიციას გადასცემენ. თუ ვაჟი ქურდი აღმოჩნდება, მშობლები

[38] რამდასი (ნარაიან თჰოსარი) – მე-17 საუკუნის პოეტი-მქადაგებელი. გადმოცემის თანახმად ერთ-ერთი მედიტაციის დროს მდინარე გოდავარის ნაპირას პოეტი დაჯილდოებულ იქნა უფალ რამას დარშანით (ხილვით) და თავის თავს უწოდა რამდასი - „რამას მსახური“.

ცდილობენ გამოასწორონ, სიყვარულით სავსე რჩევებს აძლევენ. მსახური კი ყველაზე მკაცრი სასჯელით ისჯება, და მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახში იგი უცხოა.

ასევე ჩვენც ღმერთის ერთიან ოჯახს ვეკუთვნით. ღმერთი როგორც მამა უნდა გვიყვარდეს და მასთან ახლო და სიყვარულით სავსე დამოკიდებულება დავამყაროთ. უნდა ვცდილობდეთ მისი უსაზღვრო სიყვარული და უსასრულო წყალობა დავიმსახუროთ. შეიძლება, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ცოდვები ჩავიდინოთ. მაგრამ თუ ღმერთი მთელი გულით გვიყვარს, თუ მისი ერთგულნი ვართ, მაშინ იგი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, გვაპატიებს.

კრიშნა არჯუნას ურჩევდა უანგარო სიყვარულის, უპირობო ერთგულების და სრული თვითგანდგომის გზას მიჰყოლოდა. აუცილებელია გამოვიცნოთ, გავაცნობიეროთ და შევიგრძნოთ ღვთაებრიობის ერთიანობა. აუცილებელია იმ ფუძემდებლურ ერთიანობას ჩავწვდეთ, რაც გარეშე მრავალფეროვნებაშია დაფარული.

აკშარა მოუშლელი რეალობაა. სულიერი სიბრძნე, *ჯნიანა*, *აკშარას* ბუნებას შეადგენს. მოუშლელი ფორმა *აკშარას* ასახვაა. *აკშარა* ასევე არის პირველქმნილი სრულყოფილი ბგერა *აუმ*. მთელი სამყარო ბგერა *აუმ*ით ვიბრირებს. და შეცდომა იქნება, თუ ჩავთვლით, რომ თუ ხმა არ გვესმის, ე.ი. ის არ არსებობს. ხმა ყველა ვიბრაციის თანმხლებია. ჩვენი სმენა შეიძლება არასაკმარისად მგრძნობიარე იყოს იმისათვის, რომ ფაქიზი ვიბრაციების დროს წარმოქმნილი უფაქიზესი ხმები დავიჭიროთ. ვიბრაციები ყველა მოძრაობას თან ახლავს, ხმა კი ვიბრაციების აუცილებელი თანამგზავრია. თვალის ქუთუთოს მოძრაობაც კი ფაქიზ ვიბრაციას იწვევს, რომელიც, თავის მხრივ, უფაქიზეს ხმას ქმნის.

აუმ, ანუ *ომკარა*, *ბრაჰმანის* თავდაპირველი ბგერა, თავდაპირველი ნათება და ყოველგვარი ცოდნის წყაროა. *ომკარა* არის უმაღლესი, აბსოლუტური და მარადიული რეალობა. *ომკარას* შესახებ ეზოტერიკული ცოდნა კრიშნამ დიდი ყურადღებით და სიყვარულით გადასცა არჯუნას.

სანდჰია-ვანდანას[39] დროს სიტყვა *აუმ*ის წარმოთქმა ყოველ წინადადებას წინ უნდა უძღოდეს. ზოგიერთი უმეცარი ადამიანი კი ჩვეულებით *აუმ*ს ყოველი წინადადების ბოლოს წარმოთქვამს. *აუმ* ჰგავს მძლავრ ლოკომოტივს, რომელიც მატარებლის ყველა ვაგონს ეწევა – ლოცვებს და შელოცვებს. ინდოეთი ის ქვეყანაა, რომელსაც

[39] *სანდჰია-ვანდანა* – დილის, შუადღის დასაღამოს ლოცვა.

სულიერ გზაზე ყველა დანარჩენ ქვეყანა მიჰყავს. იგი *ავატარების*, ვედების, უპანიშადების და ბჰაგავად გიტას მხარეა. ვედები სხვადასხვა ცერემონიალური წესებისა და რიტუალების შესრულებას აწესებს კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ინდოეთი *იოგას* (*იოგა-ბჰუმის*), ანუ ღვთაებასთან კავშირის ქვეყანაა. ინდოეთი უმაღლესი თავგანწირვის (*ტიაგა-ბჰუმის*) ქვეყანაა, ინდოეთი ქვეყანაა, რომელსაც თვით ბედმა დაავალა ყველა დანარჩენი ქვეყანა სულიერი გზით ატაროს, იგი არის *კარმა-ბჰუმი.* და ჩვენი წმინდა მოვალეობაა არ დავუშვათ, რომ სულიერმა დაცემამ და გადაგვარებამ ჩვენი დიადი ქვეყანა *როგა-ბჰუმად*, ავადმყოფობათა ქვეყნად აქციოს.

სიტყვა *ტიაგა* ნიშნავს „მსხვერპლს“. მართლაც, არ შეიძლება ცხოვრება მსხვერპლის გარეშე არსებობდეს. ჟანგბადის ჩასუნთქვა და ნახშირორჟანგის ამოსუნთქვაც, აგრეთვე სისხლის მიმოქცევაც კი სხეულის ყველა ორგანოში მსხვერპლს სიმბოლიზირებს. ამრიგად, მსხვერპლი ადამიანის სხეულის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია. მსხვერპლი ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ადამიანის სულიერი სიკეთისათვის. სტუდენტებმა მსხვერპლის შეწირვის სულისკვეთება უნდა შეითვისონ თავისი ფიზიკური, გონებრივი და სულიერი კეთილდღეობისათვის. მსხვერპლის აზრს ბჰაგავად გიტა ყველაზე უფრო ცოცხალ მანერაში და შეუდარებლად ლამაზი ენით ხსნის.

თავი 25
სიკვდილის მოგზაურობა

თუ გონებაში აზრები სუფთაა,
მაშინ საქმეებში მუდმივი წარმატებაა.
მაგრამ ყველა ძალისხმევის ნაყოფი ჭუჭყიანია,
თუ აზრებში ცოდვა ბატონობს.

ღვთაებრივი სიყვარულის განხორციელებანო!

ყოველ ცხოვრების ხეზე სიყვარულის ნაყოფი მწიფდება. თუმცა იგი ჟინის, მრისხანების, შურის და ეგოს ქერქითაა დაფარული. ამიტომაა ასე ძნელი ჩვენთვის დაფარული სიტკბოს შეგრძნება. ვინც გარე კანის მოცლას მოახერხებს, მხოლოდ ის შეძლებს ნაყოფში არსებული წვნით დატკბეს, თუმცა ეს ყოველი ჩვენგანისთვისაა ხელმისაწვდომი. ეგოიზმით და შიშით შეუხებელი სიყვარულის ნაყოფი

მაღლა დგას რასობრივ, კასტურ, რელიგიურ და ცხოვრებისეულ წყობათა (*ვარნების*) განსხვავებებზე.

უმაღლეს ვედურ სიბრძნეს უპანიშადებში ჰქვია *რასა* - „წვენი“. ამ უმაღლესი სულიერი სიბრძნის თვით ბუნებაშია ჩადებული სიყვარული. იმისათვის, რომ ეს სიყვარული იგემოს, აუცილებელია ადამიანმა ჟინი მოიცილოს, მთლიანად ღმერთს მიანდოს თავი და მასთან ერთიანობა შეიგრძნოს. უფალთან ერთიანობის ასეთი განცდა არავითარი სურვილისთვის არ ტოვებს ადგილს, მაშინ როცა ღმერთისგან განკერძოებულობა სურვილებს ბადებს. ღვთაებრიობის მისაღწევად გრძნობებზე კონტროლია აუცილებელი. შეიძლება ჩვეულებრივი სიყვარულის გრძნობით დავიწყოთ და თანდათან, მუდმივი პრაქტიკის საშუალებით, სრული თვითგანდგომის სიწმინდეს მივაღწიოთ.

დჰრუვამ[40] თავისი ასკეტური გმირობა სამეფოს დაუფლების სურვილთან ერთად დაიწყო, მაგრამ შეხედულებები თანდათან შეცვალა და იმის შემდეგ, როგორც კი ღვთაებრივის ხედვით იქნა კურთხეული, სულიერი ნეტარება ისურვა. მაგრამ მაინც მეფობის სურვილის წყალობით იხილა უფალი. სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ ადამიანს არ შეუძლია გათავისუფლებისკენ მისწრაფება განავითაროს, თუ საწყის სტადიებზე ამქვეყნიური ობიექტების სურვილი არ გამოიარა.

ბჰაგავად გიტას მერვე თავში, „აკშარა-პარაბრაჰმა-იოგაში“, *აკშარას* და *ომკარას* ბუნებაა განმარტებული. ჩვენ ამ აღწერაში უნდა გავერკვეთ. კრიშნას ფრაზა „*პრანა პრაიანე პრაბჰო*“ ცხოვრებას მოგზაურობას ამსგავსებს. კრიშნა არჯუნას ცხოვრების მოგზაურობის ბუნებაზე და დანიშნულებაზე მოუთხრობდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის მიერ შესრულებული ნებისმიერი მოგზაურობა, იქნება ეს ავტომობილით, ავტობუსით, მატარებლით თუ თვითმფრინავით, დროის გარკვეულ ჩარჩოებში ექცევა. მაგრამ ცხოვრების, ანუ *პრანას* მოგზაურობა ქმნილების დაწყების მომენტიდან იწყება და მარად გაგრძელდება. ყველა სხვა მოგზაურობისაგან განსხვავებით ეს მოგზაურობა არ შეიძლება გაუქმდეს ან გადაიდოს. იგი ყველასთვის გარდაუვალია, იქნება ეს პრინცი თუ გლეხი, მესია თუ მათხოვარი. ადამიანს იმის შესახებ ავიწყდება, რომ ცხოვრებაში მოგზაურობას ყველა ასრულებს, ვინც ამქვეყნად ფიზიკურ სხეულში დაიბადა, და უგუნურად უკვდავებაზე აცხადებს პრეტენზიას. წარმავალ

[40] დჰრუვა – პურანების პერსონაჟი, ხუთი წლის ბიჭი ტყეში წავიდა და სამი ათასი წლის განმავლობაში ასკეზას ეწეოდა, ვიშნუზე ფიქრობდა, და ამის გამო ზეცაში იყო აყვანილი.

ამქვეყნიურ საქმეთა მიერ შთანთქმული ადამიანი ტანჯვათა და ვაებათა მსხვერპლი ხდება.

ადამიანი ბავშვობას მეგობართა საზოგადოებაში ატარებს. ახალგაზრდობას გართობასა და ცეკვებში ხარჯავს. საშუალო ასაკის დრო სიმდიდრის მოხვეჭას ეძღვნება, სიბერე კი სინანულებით და შეუნელებელი მიბმულობებით სავსე ნაღვლიანი მოთხრობაა. ადამიანს უნარი არ აქვს უარი თქვას ცუდ ჩვეულებებზე და გათავისუფლებისკენ მიმავალი გზა ეძებოს, იგი წუთისოფლის ჭაობში ეფლობა და ადამიანურ ცხოვრებას წვრილმანებზე ხარჯავს.

სპეციალურად იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც უნარი არ აქვთ თავისი თანდაყოლილი ღვთაებრიობა გააცნობიერონ და დავიწყებული აქვთ თავისი ნამდვილი სავანე, ბჰაგავად გიტა აცხადებს, რომ ღვთაებრივი ნეტარების და სრულყოფილი სიყვარულის მიღწევა შესაძლებელია ღმერთის ერთგულების და თვითგანდგომის მეშვეობით. ერთმანეთის მიმართ უნდობლობა ადამიანებს მღელვარებით და შიშით აღავსებს. ასე, ადამიანი, რომელიც მეზობელ ქალაქში გაემგზავრა და მეგობრის სახლში გაჩერდა, ვერ შეძლებს ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები წყნარად დაათვალიეროს, თუ სახლის პატრონს არ ენდობა და თავის ძვირფას ნივთებს შესანახად მასთან არ დატოვებს. ზუსტად ასევე, თუ ყოვლისშემძლეს მიმართ რწმენა არ გვაქვს და მისდამი, ვინც ჩვენი ყველაზე უფრო ძვირფასი მეგობარია, ნდობას არ ვგრძნობთ, ჩვენს თავს უამრავი სიძნელის, მღელვარებისა და შიშის ქვეშ ვაქცევთ.

ადამიანის სხეული, რომელიც ხუთი ბუნებრივი ელემენტისგან შედგება, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეიძლება დაიღუპოს. ბრძენ ადამიანს გაცნობიერებული აქვს სიკვდილის გარდაუვალი ხასიათი და ესმის, რომ ხრწნადი მოკვდავი სხეული ბუშტია წყლის ზედაპირზე და მეტი არაფერი. სვამი ვივეკანანდა[41] ამის შესახებ თავის მოსწავლეებს ხშირად ახსენებდა და ეუბნებოდა, რომ ცოდნა სიკვდილის შესახებ და მისი გარდაუვალობის გაცნობიერება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ჭეშმარიტებას ჩასწვდეს. ხშირად ვხედავთ სატვირთო ვაგონებს, რომლებზედაც დაწერილია სიტყვა „დაბრუნება“, აგრეთვე მითითებულია თარიღი, როდის უნდა დაბრუნდეს ისინი დეპოში. ადამიანის სხეული ასეთ ვაგონს ჰგავს, რომელიც ღმერთის მიერ იქნა ამ ილუზორულ სამყაროში

[41] ვივეკანანდა – მე-19 საუკუნის ინდოეთის საზოგადო მოღვაწე და რელიგიური მოაზროვნე, რომელმაც ცხოვრება დიდი წმინდანის, რელიგიური რეფორმატორისა და მოაზროვნის რამაკრიშნას იდეების განვითარებას მიუძღვნა.

გამოგზავნილი. მართალია, ადამიანის სხეულზე დაბრუნების თარიღი მითითებული არ არის, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მისი დაბრუნება მაინც მოხდება. ჩვენ უნარი არ გვაქვს ეს ჭეშმარიტება შევიგნოთ, წარმავალ სიამოვნებებს ვართ გამოკიდებულნი და დაუსრულებელ ტანჯვებში ვაგდებთ თავს.

იმდენად ვართ ჩაფლულნი წუთისოფლის საქმეებში, რომლებიც ახლანდელ მომენტს ეხება, რომ მომავალზე აბსოლუტურად არ ვფიქრობთ. ამბობენ, ერთმა ადამიანმა გამოაცხადა, რომ მას სიკვდილისათვის დრო არ აქვს! რა სისულელეა ასე ფიქრი, სიკვდილს ხომ ჯერ არავისთვის უპატიებია. გრძნობების სამყაროს მიერ დატყვევებულ ადამიანს უნარი არ აქვს საკუთარი არსებობის ჭეშმარიტება შეიცნოს. სიმდიდრის, ძალაუფლების და პატივის წარმავალი ბუნების გაცნობიერების შემდეგ იგი უკანასკნელი მოგზაურობისთვის უნდა მოემზადოს. თუ კინოში ან სასეირნოდ წასვლას ვაპირებთ, ჩვენი მზადება იმით შემოიფარგლება, რომ ფულს ჯიბეში ვიდებთ და ფეხსაცმელს ვიცვამთ. და როდესაც მახლობელ ქალაქში გვინდა წასვლა, ტანსაცმლით სავსე ჩემოდანი მიგვაქვს თან. როგორ ვემზადებით უკანასკნელი მოგზაურობისთვის – სიკვდილის მოგზაურობისთვის?

სიკვდილი უეჭველია. მაგრამ მანამ, სანამ სხეული გვაქვს, ჩვენი ვალი უნდა ვასრულოთ, ამასთან სამაგალითო სახით. როდესაც სურათს გიღებენ, ფოტოგრაფი გაფრთხილებთ, რომ მზად იყოთ იმ მომენტისთვის, როცა იგი აპარატის ღილაკს თითს დააჭერს. და თუ ამ მომენტისთვის შესაფერისი პოზა არ მიიღეთ, მაშინ კარგი ფოტოსურათი არ გამოვა. უფალი კი ისეთი ფოტოგრაფია, ვინც ჩვენს ფოტოსურათს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე აკეთებს. იგი არ ამბობს: „მოემზადეთ!“ ამიტომ, ღმერთის გულის ფოტოფირზე წარმატებულად აღბეჭდილი რომ აღმოვჩნდეთ, მუდამ მზად უნდა ვიყოთ.

ჩვენი სხეული შეიძლება ფოტოაპარატს შევადაროთ, მაშინ გონება ლინზებია, გული – ფოტოფირი კამერის შიგნით. ჩვენი გონიერება მოქმედებს როგორც სასხლეტი ღილაკი, აზრები კი ანთებას უზრუნველყოფს. როდესაც ეს ყველაფერი შეთანხმებულად მოქმედებს, აბსოლუტური კონცენტრაციის ხარისხს ვაღწევთ. მაგრამ ასეთი კონცენტრაციისათვის გრძნობებზე კონტროლია აუცილებელი, მისი მიღწევისთვის კი ცხოვრების საუკეთესო პერიოდს ახალგაზრდობა წარმოადგენს. თუ გრძნობები ახალგაზრდა ასაკში არ არის დამორჩილებული, მოხუცებულობაში ისინი კონტროლიდან გამოდიან.

„აი ბებერი მაიმუნი! – ძლივს დადის, თვალები ამღვრეული აქვს, სახე – დანაოჭებული, თმები კი - მთლად ჭაღარა!“ - ასე გაიძახიან მოხუცის გარშემო შეკრებილი ბიჭუნები, ცეკვავენ და ცდილობენ გააჯავრონ. გრძნობებზე კონტროლის პრაქტიკა შეიძლება, სანამ გონება და ინტელექტი ჯერ კიდევ სათანადო ფორმაშია. როდესაც ყურადღებას შიგნით მივმართავთ, გონებაში აღგზნება და მღელვარება არ უნდა შევუშვათ. სულიერი ძალის ზრდასთან ერთად უნდა ვისწავლოთ ცხოვრების ჯუნგლებში ლომივით უშიშრად ვისეირნოთ და სხვებს ვემსახუროთ. მაგრამ ამის ნაცვლად სხეულებრივ ცნობიერებას ვავითარებთ და ნერვიულები და ბატკნებივით მშიშრები ვხდებით.

ყოველ ახალგაზრდას მართებს დაემსგავსოს აბჰიმანიას, არჯუნას გმირ ვაჟიშვილს, რომელმაც პასუხად დედის სიტყვებისა, ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, წამოიძახა: „როდესაც ჩემში სურვილი ფეთქდება მტერს ვებდღვნა და დავფლეთო, როგორც ლომი ფლეთს სპილოს, უკეთესი იქნებოდა, შეჩერების ნაცვლად ჩემთვის კურთხევა მოგეცა“.

სტუდენტები მსახურების საქმეში უნდა ჩაებნენ და ჩვენი სამშობლო-ინდოეთი განაახლონ. მშობლიური მიწიდან მათ თავხედურად მზარდი უმეცრება, მღელვარება და უსამართლობა უნდა განდევნონ. სტუდენტებმა უნდა ჭეშმარიტების, მართლქმედების, სამართლიანობის და სიყვარულის იდეალები გაავრცელონ და ახლობლების ბედნიერებისა და აყვავებისთვის იშრომონ. სადაც რწმენაა, იქ სიყვარულიცაა; სადაც სიყვარულია, იქ მშვიდობაცაა; სადაც მშვიდობაა, იქ ღმერთია; ხოლო სადაც ღმერთია, იქ ნეტარებაა. ამრიგად, რწმენა ნეტარების განცდის საფუძველია. რწმენა იგივეა, რაც ჩვენი სასიცოცხლო სუნთქვა. რწმენის გარეშე ამქვეყნად ერთ წუთსაც ვერ იცოცხლებ.

მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ საკუთარი თავის რწმენას განავითარებთ, ღვთაებრივის რწმენას განიმტკიცებთ და თქვენს ვალდებულებებს თვითგანდგომის სულისკვეთებით შეასრულებთ. მთვარის დასანახად ფანარი საჭირო არ არის, იგი ხომ დახმარების გარეშეც ჩანს – საკუთარი ნათების წყალობით. ასევე უფალიც – სიყვარულის განხორციელება – მხოლოდ სიყვარულის საშუალებით არის მიღწევადი. ამიტომ, მის გასაცნობიერებლად, ჩვენი გულები ღვთაებრივი სიყვარულით უნდა გავაჯეროთ.

თავი 26
მეფური ცოდნა

გვაქვს კი უფლება ვთქვათ:
„ეს კარგია, ის კი – ცუდი“,
თუკი ესეც და ისიც ღმერთის ქმნილებაა?

ღვთაებრივი *ატმანის* განხორციელებანო!

ცოდნის ყველა დარგს შორის სულიერი ცოდნა თავისებურად ერთადერთია. იგი, სხვა ყველაფრის გარდა, საიდუმლოთა შორის ყველაზე უფრო იდუმალია. ბრძენმა ვიასამ, რომელიც *ტრიკალაჯნიანი* იყო, ანუ ის, ვინც წარსული, აწმყო და მომავალი გააცნობიერა, პირველმა მოიყვანა სისტემაში სულიერი ცოდნა და შემდგომში მისი გამოჩენილი ამხსნელი გახდა. სწორედ ვიასამ მისცა დახასიათება სულიერების მეცნიერებას და მისი კონტურები მოხაზა.

ბჰაგავად გიტას მეცხრე თავში სულიერ ცოდნას ეწოდა *რაჯა-ვიდია* - „მეფური ცოდნა“. *რაჯა-ვიდია* ჩვენი უძველესი მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო ძვირფასია. ჩვენი დიდი ბრძენები ათასწლეულების განმავლობაში იცავდნენ და ზრდიდნენ მას. დღეს კი ჩვენი ქვეყნის ზნეობის და სულიერი სიმდიდრის გამოფიტვის მოწმენი ვართ. სულიერების სამშობლო დღეს სულიერი აზრებითაა ღარიბი, მაგრამ სამაგიეროდ უზნეო ქცევებითაა მდიდარი. ინდოელებს არ ესმით, სულიერი სიბრძნის რა საგანძურს ფლობენ და განვითარებული წარმოების ქვეყნებს თავის მოხრით მიმართავენ, რომ მათი ახალმოდური იდეები და იდეოლოგიები გადმოიღონ. ისინი მოგვაგონებენ მათხოვრებს, რომლებიც ნარჩენებს ითხოვენ მაშინ, როდესაც მათს საკუთარ სახლში უხვადაა სხვადასხვა გემრიელი საჭმელი. დღეს ჩვენ ვისწრაფით საერო ცოდნის მიღებისაკენ და მისი განვითარებისაკენ, მაგრამ სულიერი ცოდნის ფასად, და ამას მხოლოდ იმისათვის ვაკეთებთ, რომ ცხოვრებისთვის ფული ვიშოვოთ.

დაჟინებულობა, *შრადჰა*, სულიერი ციდნის მიღწევისათვის უმნიშვნელოვანესი წინასწარი პირობაა. დაჟინებულობის, შეუპოვრობის და მიზანსწრაფვის გარეშე შეუძლებელია რაიმეს მიღწევა. თანამედროვე სტუდენტები საჭმელზე და ძილზე უარს ამბობენ, რომ წიგნებიდან რამე გაიგონ და გამოცდები ჩააბარონ. ამასთან საკმაოდ დიდ შეუპოვრობას იჩენენ, რომ საერო განათლება მიიღონ. რაც

შეეხება სულიერ განვითარებას, აქ ისინი სულ ცოტა დაჟინებულობასაც კი არ ავლენენ.

სულიერი ცოდნა ადამიანის ცხოვრების თვით არსია. შინაგანი სიმშვიდის და სამყაროზე ყოველმხრივი შეხედულების შეძენისათვის იგი აუცილებელია. ვერავითარი მიღწევა, ვერავითარი სრულყოფა მეცნიერებებში და ხელოვნებებში ვერ დაგვეხმარება განვსაზღვროთ ჩვენი ხვედრი. მხოლოდ სულიერ ცოდნას აქვს უნარი ჩვენი ბედის წრფე მოხაზოს.

შურის, ეჭვის და ბოროტების არარსებობა (*ანასუია*) პირველსაწყისი პირობაა ღვთაებრივის ყველგანმსუფევი რეალობის მყისიერი და უშუალო, პირადი განცდის მიღწევისათვის. ყოველი ადამიანი, ვინც სულიერებას ეძებს, თავის თავში *ანასუიის* თვისებას აუცილებლად უნდა ავითარებდეს. ეს არის ღვთაებრივი თვისება, რომელიც ადამიანის პიროვნებას სუფთას და ნათელს ხდის.

ქრონიკული შური კი, *ასუია*, წარმოადგენს ამქვეყნიური ყველა გონებრივი და ფიზიკური ავადმყოფობის წყაროს. გონებრივი წონასწორობის და შინაგანი სიმშვიდის შეძენისათვის ადამიანმა გონება ფსიქიკური მანიისაგან უნდა გაწმინდოს, რომელსაც შური ჰქვია. უპირველეს ყოვლისა ადამიანმა თავისი თავი უნდა გააადამიანუროს და მხოლოდ ამის შემდეგ ეცადოს გააღვთაებრიოს იგი.

შური, სულ უბრალო საგნებშიც კი, პიროვნებაში ყოველგვარ ადამიანურს ახშობს. ჩვენს დროში ადამიანები მთელ თავის დროს და ენერგიას სხვათა გაუთავებელ კიცხვაში ხარჯავენ, და ვერ აცნობიერებენ, რომ ახლობლებში ნაკლის ძებნა ყველაზე საშინელი და მძიმე ცოდვაა. არჯუნა სრულიად თავისუფალი იყო შურის, ეჭვის და ბოროტების მომაკვდინებელი თვისებებისგან. აი რატომ დაიმსახურა მან სახელი ანასუია და ბჰაგავად გიტას ნექტარი თვით კრიშნას ბაგეთაგან შესვა.

ბჰაგავად გიტას მეცხრე თავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იგი მეფურ ცოდნას (*რაჯა-გუჰიას*) აღწერს. ეს თავი ადამიანის სულის ოკულტურ გამოცდილებას და ეზოტერიკულ საიდუმლოებებს ეხება. თავი ბჰაგავად გიტას შუაში იმყოფება და ჰგავს მშვენიერ თაიგულს დიდებული და სურნელოვანი ყვავილწნულის ორ ნახევარს შორის – გიტას სხვა თავებს შორის. ეს ცენტრალური თავი შეიცავს უმაღლეს ცოდნას *ატმანის* შესახებ.

სიტყვა „*ბჰუტა-ბჰრიტ*“ ნიშნავს **იმას**, ვინც დამცველად და საყრდენად ემსახურება ცოცხალ არსებათა მირიადებს. სიტყვა „*ბჰუტა-*

სთჰო“ კი ხაზს უსვამს იმას, რომ **ის** ყველა გამჟღავნებულ არსებაში იმყოფება. სხვა სიტყვებით, ღმერთი არის ყველა არსების შემქმნელი, საყრდენი და მხსნელი, და იგი ყოველ ჩვენგანში ბინადრობს.

ადჰეია არის ის, ვისაც ინარჩუნებენ, ვისაც არსებობა არ შეუძლია იმის გარეშე, ვინც მას ინარჩუნებს, - *ადჰარას* გარეშე. ყველა ამქვეყნიური სიამოვნება *ადჰარას* მიეკუთვნება. *ატმანის* ძირითადი არსი კი იმაში გამოიხატება, რომ იყოს *ადჰარა*, საყრდენი. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ნებისმიერი განცდა, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი, *ატმანის* მიერ რეგულირდება.

ამქვეყნიური ადამიანები გონების შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, და ზუსტად არ იციან, რა ფორმა და ზღვრები აქვს მას. ზოგჯერ აცხადებენ, რომ ბედნიერები არიან. მაგრამ რა ფორმა აქვს ბედნიერებას? კიდევ ნეტარებაზე, *ანანდაზე* ლაპარკობენ. მაგრამ სად არის ნეტარების არსებობის საგრძნობი მტკიცებულება? გონება, ბედნიერება, ნეტარება და სხვა მსგავსი რამ აბსტრაქციებია, რომლებიც დროში და სივრცეში არ არსებობს. მიუხედავად ამისა ისინი არსებობს განსაკუთრებული აზრით, და, თუმც მათ ფორმა არ გააჩნია, არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ისინი ადამიანის რეალურ განცდებს წარმოადგენს. ზუსტად ასევე აუწერელია ყველა სულიერი განცდაც, მათი დემონსტრირება შეუძლებელია, ისინი სუბიექტურია.

მაგალითად, შეიძლება გაზეთში წავიკითხოთ იმის შესახებ, რომ სადღაც საზღვარგარეთ ვიღაცა მმართველი გარდაიცვალა. მმართველის სიკვდილის შესახებ ჩვენ პირადი ცნობები არ გაგვაჩნია, მისი მკვდარი სხეულიც არ გვინახავს. სიკვდილის შესახებ ცნობა ტელეფონით გადმოგვცეს, და მიუხედავად ამისა ეს მაინც გვჯერა. აი დიადი ბრძენების, *მაჰარიშების*, პირად მოწმობებში კი ვეჭვდებით და უარვყოფთ მათ. მაგრამ ბრძენებმა, *რიშებმა*, ხომ მიაღწიეს თავისი ჭეშმარიტი „მე“-ს განცდას მკაცრი ასკეზისა და მონანიების გზით. ვისაც გარჩევის უნარი აქვს და ვინც გონების სიფართოვით გამოირჩევა, მან არ უნდა უარყოს ან გაიცხოს დიადი ბრძენების მოწმობები ღრმა და მისტიკური გამოცდილების შესახებ.

სულიერ ცოდნას ყოველმა ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს. „სურვილი იყოს, თორემ საშუალება მოიძებნება“[42]. სულიერ გზაზე პირველ ნაბიჯს წარმოადგენს *ანასუიას* თვისებების, ანუ შურის, ეჭვების, სიხარბისა და ბოროტებისგან თავისუფლების, შეძენა. *ასუია* კი, ანუ შური, ადამიანის გულიდან მთლიანად უნდა ამოიძირკვოს. მის

[42] წიგნში გამოყენებულია ინგლისური ანდაზა „Where there is a will, there is a way“.

ნაცვლად გულში დაჟინებულობა (*შრადჰა*) უნდა გამოვზარდოთ. ჩვენში დაფარული *ატმანის* დანახვა მედიტაციის საშუალებით შეგვიძლია. გულწრფელი და დაჟინებული *სადჰაკა*, ეჭვგარეშეა, სულიერ განცდას და მისტიკურ გამოცხადებას მიიღებს.

მაგალითად, თქვენ გინდათ გემრიელი *სამბარი*[43] მოამზადოთ. ამისათვის შეგიძლიათ ქორფა ბოსტნეული, ხარისხიანი სუნელები და *თამარინდის* სუფთა ნაყოფი გამოიყენოთ. და მზარეული შეიძლება ნამდვილი ვირტუოზი აღმოჩნდეს, მაჰაბჰარატას გმირების ნალას და ბჰიმას მსგავსი. მაგრამ თუ ამ საჭმლის მომზადებისთვის განკუთვნილი ჭურჭელი წესიერად არ იქნა მოვერცხლილი ან კალით არ დაიფარა, მასში მომზადებული მთელი *სამბარი* აუცილებლად გაფუჭდება. ამის მსგავსად, მართალია, ღმერთის თაყვანისცემის ცხრა წესი არსებობს, მაგრამ მანამდე, სანამ თაყვანისმცემელი გულის სისუფთავეს არ შეიძენს, არცერთი მათგანი სარგებლობას არ მოიტანს. რა აზრი აქვს კრიალოსანის დამარცვლას ან *მანტრების* კითხვას, თუ გული შურით, ეჭვით და ბოროტებით არის წაბილწული?

ეგოიზმი და ღვთაებრიობა შეუთავსებელია. ეგოისტი ღვთაებრივი ცხოვრების გზას ვერასოდეს დაადგება. იმისათვის, რომ სულიერ გზაზე წინსვლა იყოს, ეგო მთლიანად უნდა მოისპოს. აი საკუთარ თავში დარწმუნებულობა კი, რომელიც ეგოიზმისგან განსხვავდება, სულიერი წინსვლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანს, რომელსაც თავის თავში რწმენა არ გააჩნია, ღმერთის რწმენის შეძენაც არ შეუძლია. თავის თავში დარწმუნებულობა და ღმერთის რწმენა ხელიხელჩაკიდებულნი დადიან, ისინი ერთმანეთის დანამატებია.

რწმენა უმთავრესი ზნეობრიობაა, ღმერთის რწმენა კი – საყრდენია ცხოვრებაში. მართალია, ღმერთი ყოველ ადამიანში იმყოფება, მაგრამ მანამ, სანამ ადამიანი ღმერთის რწმენას არ შეიძენს, იგი ვერ შეძლებს ღვთაებრივი გახდეს. არიან ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ ღმერთს მხოლოდ იმის შემდეგ იწამებენ, როგორც კი ამაში საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდებიან. მაგრამ ეს იგივეა, რაც საზიდავი რომ ცხენს წინ მიაბა. სულიერებაში წინ ყოველთვის რწმენა მიდის, შემდეგ კი – განცდა.

„სულიერებაში ცოდნა (*ვიდია*) *შრადჰას* გარეშე უსარგებლოა“, - განაცხადა სვამი ვივეკანანდამ. *შრადჰა* (დაჟინებულობა ძალისხმევის უნართან ერთობლიობაში) სრულიად აუცილებელია ჭეშმარიტ „მე“-ზე

[43] *სამბარი* – ინდური ეროვნული კერძი, სუპი ბოსტნეულით და სუნელებით.

(*ადჰიატმა-ვიდიაზე*) ცოდნის დაუფლებისთვის. ჩვენს დროში ახალგაზრდებს დაჟინებულობა (*შრადჰა*) უხვად აქვთ, მაგრამ, საუბედუროდ, მთელი მათი *შრადჰა* მიმართულია გართობისაკენ, ახალგაზრდული რომანების, კინოს, რადიოს, ტელევიზორის, კრიკეტისა და რბოლებისაკენ. ასეთი დაჟინებულობა, რომელიც გამჟღავნებულია არა იქ, სადაც საჭიროა, მათი ფიზიკური სისუსტის და გონებრივი გახრწნის მიზეზია, რის შედეგადაც მათ დაკარგეს რწმენა არა მარტო ღმერთის, არამედ საკუთარი თავისაც.

სულიერება არის მოღვაწეობა, მოღვაწეობა *ატმანისა*. და როგორც იმის თქმა არ შეიძლება, რომ წყალში მხოლოდ მას შემდეგ გადავხტებით, როგორც კი ცურვას ვისწავლით, ასევე არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულიერი გამოცდილების სიღრმეში მხოლოდ მას შემდეგ შევალთ, როგორც კი სულიერებას მთლიანად დავეუფლებით.

განვიხილოთ მაგალითი ასტრონომიიდან – დედამიწის ბრუნვა საკუთარი ღერძის და მზის გარშემო. მზე, როგორც ჩვენ ყველამ ვიცით, „უძრავია“, დედამიწა კი მის გარშემო ბრუნავს. ე.წ. მზის ამოსვლები და ჩასვლები გამოწვეულია დედამიწის ბრუნვით მზის გარშემო, და არა მზის მოძრაობით – ეს მეცნიერულად დამტკიცებულია. მიუხედავად ამისა მეცნიერები ყოველდღიურ ცხოვრებაში უბრალო ხალხის ენით გამოხატავენ ამას, ხმარობენ ფრაზებს „მზის ამოსვლა“ და „მზის ჩასვლა“, და ამასთან მათთვის ცნობილ ჭეშმარიტებაზე ხმას არ იღებენ. ამის მსგავსად სიტყვების ენა აბსოლუტურად არ ადგება სულიერების დიადი ჭეშმარიტებების გამოსახვას. გამოცდილების ენა – აი ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ სულიერებას ჩავწვდეთ.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დედამიწას აქვს ძალა ობიექტები მიიზიდოს, და ამის საფუძველზე მსოფლიო მიზიდულობის კანონი ჩამოაყალიბეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დედამიწას არ ჰქონდა გრავიტაციული ძალა მანამდე, სანამ მეცნიერები აღმოაჩენდნენ. ამასთან თვით მიზიდულობის ძალა სრულიად შეუგრძნობადია. შეიძლება ხის ტოტიდან მოწყვეტილი ყვავილი დავინახოთ, რომელიც მიწაზე ვარდება. მაგრამ არ შეგვიძლია დავინახოთ მიზიდულობის ძალა, რომელიც აიძულებს ყვავილს მიწას მიაღწიოს. ასეთივე სახით გრძნობათა ორგანოების მოწმობები სულიერი გამოცდილების ნათელი მტკიცებულება ვერ იქნება. გრძნობათა ხუთი ორგანოს საშუალებით ადამიანს არ შეუძლია შეიგრძნოს სულიერების უფაქიზესი ძალები, რომლებიც მას აღმერთებენ.

მაგნიტმა რკინის ნაჭერი რომ მიიზიდოს, რკინა ჭუჭყის და ჟანგისგან უნდა გასუფთავდეს. და თუ მაგნიტი რკინის ჟანგიან ნაჭერს არ იზიდავს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მაგნიტი ცუდია. ამგვარად, თუ ადამიანის არასაკმარისად სუფთა გონება თავისი თავით მასში დაფარულ *ატმანს* ეფარება, მაშინ *ატმანი* უმაღლესი სულის, *პარამატმანის* მიერ ვერ მიიზიდება.

თუ სამყაროს ფერადი სათვალით შეხედავთ, თქვენთვის იგი სათვალის ფერს მიიღებს. ფერი სათვალის თვისებაა და არა გარემომცველი სამყაროსი. ციებ-ცხელებით შეპყრობილ ადამიანს ტკბილი ნამცხვარიც კი მწარედ ეჩვენება. და ამის მიზეზი ავადმყოფშია და არა ნამცხვარში. ზუსტად ასევე თავისივე თავის მიერ შეცდომაში შეყვანილ ადამიანს არ შეუძლია *ატმანის* თავდაპირველი, აბსოლუტური და მარადიული რეალობა გააცნობიეროს.

მატერიაში ელექტრობა იმყოფება, მაგრამ იგი მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში ავლენს თავს. ელექტრული ეფექტის დანახვა მაშინ შეგვიძლია, თუ ელექტრულ წრედში ნათურას ჩავრთავთ. ასევე ღმერთიც ყოველ საგანში განუყოფლად იმყოფება – იგი იმანენტური და ყველგან მსუფევია. იგი ყველგანაა, მაგრამ მისი მყოფადობა მხოლოდ სუფთა გულში ჩნდება. ბჰაგავად გიტას მეცხრე თავში ხაზგასმულია, რომ ღმერთის გაცნობიერებისთვის აბსოლუტურად აუცილებელია გულის სისუფთავე.

ღვთაებრიობა არაწარმავალია, მაშინ როცა ადამიანის ცხოვრება ხანმოკლეა. ჩვენ გარშემო უამრავ არსებას ვხედავთ, რომლებიც იბადებიან, იზრდებიან, რაღაც დროის განმავლობაში ცხოვრობენ, შემდეგ კი კვდებიან. ამრიგად ვაცნობიერებთ დაბადების, ზრდის, დაცემისა და სიკვდილის თანმიმდევრობას. და მაინც ჩვენი თავი შეზდომაში შეგვყავს, ვცხოვრობთ და ვთვლით, რომ უკვდავები ვართ. ეს ყველაფერი უმეცრების და სულიერი ბანკროტის ნიშანია.

ერთხელ ღამით დიად მეფე ჯანაკას უცნაური რამ ესიზმრა. *მაჰარაჯას* ესიზმრა, რომ მან სამეფო დაკარგა და მათხოვარი გახდა. ჯანაკა თავისი ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა და მოწყალებას ითხოვდა. შიმშილით ტანჯვამ აატირა კიდეც. ერთმა გულკეთილმა ადამიანმა მას საჭმლის ნაჭერი გაუწოდა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ნაჭერიც კი გაუვარდა ხელიდან ჯანაკას. ამ საშინელების დროს მეფეს გამოეღვიძა. თავისი თავი კვლავ მეფის სასახლეში იხილა და თავს შეკითხვა მისცა: რა არის რეალური – სიზმრის სამყარო თუ მღვიძარობის სამყარო?“ მის გვერდით მყოფი დედოფლისთვისაც ეს კითხვა მოულოდნელი აღმოჩნდა. მაშინ გადაწყვიტეს რჩევა დიადი

ვასიშთჰასათვის ეთხოვათ. ბრძენმა უპასუხა: „მეფეო! ეს ორივე მდგომარეობა რაღაც გაგებით რეალურია, მაგრამ სხვა თვალსაზრისიც არის. **შენ** გახდი მათხოვარი სიზმრის სამყაროში, და **შენ** ხარ მეფე მღვიძარობის სამყაროში. ორივე სამყაროში არსებობ, თუმცა ორივე არარეალურია. რეალური მხოლოდ შენ ხარ. „შენ“ ხარ აბსოლუტური რეალობა სიზმრის დროსაც, და მღვიძარობის დროსაც“.

„*ეკამ სატ*“ (რეალურია მხოლოდ **ერთიანი**). ჭეშმარიტება ერთია, მაგრამ გამჟღავნება მას მრავალი აქვს. სწორედ ამაში მდგომარეობს ბჰაგავად გიტას ცენტრალური სწავლება.

თავი 27
პრაკრიტის ბუნება

იმის მსგავსად, როგორი აუცილებელია წყალი,
რომ მშრალი თიხისგან ქოთანი გაკეთდეს,
ასევე აუცილებელია შივას და შაქთის შეერთება,
რომ ქმნილებამ არსებობა შეიძინოს.

ღვთაებრივი *ატმანის* განხორციელებანო!

პურუშა და *პრაკრიტი* ორი მარადიული არსია, რომლებიც ქმნილების პროცესშია ჩართული. *პურუშა* მამაკაცური არსია, ურღვევი და მარადი, *პრაკრიტი* კი – ქალური, ხრწნადი და წარმავალი. იმ დროს როცა *პურუშა* ღვთაებრივის მარადიულ რეალობას ან კოსმოსურ მოწმეს წარმოადგენს, თავდაპირველი მატერია, *პრაკრიტი*, **დედის** როლს თამაშობს. პრაკრიტის ასევე უწოდებენ ბჰუმატას - „დედა-მიწას“, ლოკა-მატას - „მსოფლიოს დედას“, ჯაგან მატას - „ქმნილების დედას“, ვიშვა-მატას - „სამყაროს დედას“. მამაკაცურ არსს, *პურუშას*, ასევე სხვადასხვა სახელი ეძლევა: პრანა-ნათჰა - „სიცოცხლის ბატონი“, ლოკა-ნათჰა - „მსოფლიოს ბატონი“, ჯაგან-ნათჰა - „ქმნილების ბატონი“, ვიშვა-ნათჰა - „სამყაროს ბატონი“.

იმისათვის, რომ *პრაკრიტის* აზრი გავიგოთ, ქალური საწყისის არსი უნდა შევიცნოთ. სანსკრიტული სიტყვა „*სტრი*“ ნიშნავს „ქალი“. იგი შემდეგი ასოებისგან შედგება: „*სა*“, რომელიც ნიშნავს *სატვაგუნას*, სიწმინდეს, „*ტა*“, რომელიც *ტამაგუნას*, ინერტულობას განასახიერებს, და „*რა*“, რომელიც *რაჯაგუნას*, აქტიურობას აღნიშნავს. ამგვარად, ქალური ბუნების არსს წარმოადგენს ამ სამი *გუნას* – *სატვას*, *რაჯასის* და *ტამასის* – ერთობლიობას.

თავაზიანობა, ადამიანურობა და მოთმინება *სატვას* განეკუთვნება, მშიშარობა, მორცხვობა და სიზარმაცე - *ტამასს*, ხოლო აგრესიულობა, ურჩობა და შური რაჯასისთვისაა დამახასიათებელი. ქალებში ჩვეულებისამებრ *სატვიური* და *ტამასიური* თვისებები ჭარბობს.

როდესაც ქალებს ახასიათებენ, ხშირად ხმარობენ სიტყვას „*აბალა*“, რაც ნიშნავს „სუსტი“. მათ მორიდებულებად და მხოლოდ საშინაო საქმეების კეთების უნარის მქონედ თვლიან. ქალებს მსხვერპლის შეწირვების (*იაჯნების* და *იაგების*) უფლება არა აქვთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას ქმრებთან ერთად აკეთებენ.

თუმცა პირიქითაცაა შესაძლებელი. მაგალითად, ოჯახური ცხოვრების პერიოდში (*გრიჰასთჰა-აშრამაში*) ყოფნის დროს ოჯახის უფროსს არ შეუძლია მსხვერპლის შეწირვის ზოგიერთი სახე ცოლის გარეშე შეასრულოს. სიტას მოტაცების შემდეგ რამა იძულებული იყო მისი ოქროს ქანდაკება დაემზადებინა, რომ მას *აშვამედჰა-იაგას*, ცხენის მსხვერპლად შეწირვის დროს ცოლის მაგივრობა შეესრულებინა. და ზუსტად ასევე სატია ჰარისჩანდრას ნება დაერთო თავისი სამეფო ბრძენ ვიშვამიტრასთვის მხოლოდ მისი ცოლის ჩანდრამატას თანდასწრებით მიეცა. ასე რომ ეპითეტი „*აბალა*“, „სუსტი“, რომელსაც ქალს მიაწერენ, ამდენადვე მამაკაცებისთვისაცაა მისაღები. მამაკაცებიც და ქალებიც მათთვის დამახასიათებელი თვისებების (*სატვას*, *რაჯასის* და *ტამასის*) ერთობლიობას წარმოადგენენ და ბუნების, *პრაკრიტის* უნივერსალურ კანონებს ემორჩილებიან. ბუნების თვალსაზრისით კაცებიც და ქალებიც თავისი თვისებებით საკმაოდ ქალურები არიან. ყოველი არსება ამა თუ იმ სისუსტით იტანჯება. უბედურების დროს ქალებიც და კაცებიც ერთნაირად ტირიან. ერთსაც და მეორესაც სიხარულიც და მწუხარებაც ახასიათებს, ამიტომ არასწორია იმის თქმა, რომ ქალები სუსტებია, კაცები კი - ძლიერები.

უფრო მეტიც, ისტორიაში უხვადაა მაგალითი, როდესაც ქალები თავის გმირობას ამტკიცებდნენ და ნამდვილ სიმამაცეს ავლენდნენ. ანასუიამ ღვთაებრივი ტრიადა – ბრაჰმა, ვიშნუ და მაჰეშვარა – პატარა ბავშვებად აქცია და აკვანში არწევდა მათ. სუმატიმ მზე აიძულა არ ამოსულიყო, რომ მისი ქმრის მიმართ წყევლა არ აღსრულებულიყო, რომლის თანახმადაც იგი მზის ჩასვლის დროს უნდა მომკვდარიყო. სავიტრიმ იამა, სიკვდილის ღმერთი, მოხიბლა და მკვდარი ქმარი სატიავანა მკვდრეთით აღადგინა. მადალასამ თავისი სულიერი სტატუსი და ინტელექტუალური გენიოსობა დაადასტურა და თავის ვაჟებს სულიერი ცოდნა გადასცა. სულაბჰამ კი ფილოსოფიურ

დისკუსიაში ცნობილი ბრძენი იაჯნავალკია დაამარცხა. როგორ უნდა ვუწოდოთ ამის შემდეგ ქალებს *აბალები* - „სუსტი არსებები“? უპანიშადებშიც, პოემებში რამაიანასა და მაჰაბჰარატაში ქალები გამოსახულია როგორც *საბალები* – არსებები, რომლებიც ძალით და მამაცობით არიან აღჭურვილნი.

სამყარო თეატრია, და ყოველი ჩვენგანი მსახიობია მასში. თუმცა მსახიობთა როლები და სახელები ვითარების, პირობების და გარემოებების შესაბამისად იცვლება. ბჰაგავად გიტა აცხადებს, რომ *ატმანის* ღვთაებრივი არსი ერთი და იგივეა, თუმცა მისი ფორმები და სახელები შეიძლება იცვლებოდეს.

„ერთი მრავალი ხდება“ (*ეკამ სატ ვიპრაჰ ბაჰუდავადანტი*“). ერთიანობა მრავალსახეობად დანაწევრდება. წყლის ჭურჭელი შეიძლება დამზადებულ იქნას სპილენძისაგან, თითბერისაგან, ვერცხლისაგან, ოქროს ან ნებისმიერი სხვა მეტალისაგან, მაგრამ ყოველ მათგანში მოთავსებულ წყალში მზე ერთნაირი სიკაშკაშით აირეკლება. ზუსტად ასეთივე სახით ყველა ქმნილებაში ერთი და იგივე ღვთაებრიობაა განხორციელებული.

ბუნება, *პრაკრიტი*, სამოსელს წარმოადგენს *პურუშასათვის*, თავდაპირველი პრინციპისთვის. ბუნების უხვი ნობათით მხოლოდ უმაღლესი სულის, *პარამატმანის* კურთხევით უნდა ვტკბებოდეთ. ყველასათვის კარგადაა ცნობილი დემონ რავანას უბედური ხვედრი, რომელმაც სიტა გაიტაცა და რამას დიდი ნაღველი მოჰგვარა. ადამიანებს, რომელთა სურვილებიც შეუზღუდავია, უნარი არ აქვთ *ატმანის* არსი გააცნობიერონ. ადამიანს *ატმანის* ბუნების არსში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეღწევა, თუ ყველა სურვილს სიბრძნის ცეცხლში დაწვავს.

არსებობს ინდუსის ცხოვრების ოთხი პერიოდი, ანუ *აშრამა*: *ბრაჰმაჩარია* – ცხოვრება თავშეკავებაში და მოსწავლეობაში, *გრიჰასთჰია* - სახლის პატრონის ცხოვრება, *ვანაპრასთჰა* – მწირის ცხოვრება და *სანიასა* – ასკეტის ცხოვრება. არსებობს ასევე ცხოვრების ოთხი მიზანი: *დჰარმა* – მართლქმედითი ცხოვრება, *ართჰა* – მატერიალური კეთილდღეობა, *კამა* – გრძნობითი სურვილების დაკმაყოფილება და *მოკშა* – საბოლოო გათავისუფლება. ისინი შეიძლება წყვილებად დავაჯგუფოთ. და თუ *ართჰა* და *კამა* ამჟამად ყვავის, *დჰარმა* და *მოკშა* პრაქტიკულად გაქრა. თანამედროვე ადამიანს სიმდიდრე და გრძნობითი სიამოვნებები სწყურია, მართლქმედებას და გადარჩენას კი არად მიიჩნევს. თუ *დჰარმას* (მართლქმედებას) ადამიანის ტერფებს შევადარებთ, *მოკშას* (გათავისუფლებას) კი –

თავს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ადამიანი სხეულის ამ ორი უმნიშვნელოვანესი ნაწილის გარეშე არსებობს. ამის ნაცვლად ცხოვრების ოთხი ღირებულება უმჯობესი იქნებოდა შემდეგნაირად დაგვეჯგუფებინა: *დჰარმა-ართჰა* და *კამა-მოკშა*. სხვა სიტყვებით, სიმდიდრისაკენ სწრაფვა მხოლოდ მართლქმედითი ცხოვრების მისაღწევად უნდა ხდებოდეს, წყურვილი კი მხოლოდ გათავისუფლება უნდა იყოს. ცხოვრების ოთხი მიზნის ამგვარი საღი შეთავსება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს თვითრეალიზაციას მიაღწიოს.

გრიჰასთჰა-აშრამას სტადიაზე სახლის პატრონი სიმდიდრის და დიდების ძიებით არის დაკავებული. და მაშინ ცხოვრების ამ სტადიაზე დიასახლისმა ქლღმერთ **კეთილდღეობის** როლი უნდა ითამაშოს. იგი ქმრის მიერ დაგრიოვილის მცველი უნდა იყოს და ფულები გააზრებულად და ბრძნულად ხარჯოს, რისკენაც იგია მოწოდებული.

ადამიანებს, რომლებიც ქალებს ზემოდან უყურებენ და ზიზღით ეპყრობიან, უნარი არ აქვთ მათი კეთილშობილება შეაფასონ. პოეტმა ტიაგარაჯამ როგორღაც ერთხელ თქვა: „შეიძლება კაცებმა ბევრი იციან და ბევრი რამ ნახეს, მაგრამ ისინი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ცოლების მსახურნი არიან“. უნივერსიტეტების პრორექტორები ათასობით სტუდენს ხელმძღვანელობენ, პოლიციის უფროსები კი საზოგადოებას დამნაშავეებისაგან იცავენ. მაგრამ სახლში დაბრუნებისას ხშირად საკუთარი ცოლების ეშიანიათ! ყოველი ადამიანი იძულებულია დაემორჩილოს *პრაკრიტის* – ქალურ საწყისს სამყაროში. *შაქთი* ქალური ენერგიის არსია, მამაკაცს კი არ შეუძლია თავს ნება მისცეს უგულებელყოს იგი. ბჰაგავად გიტა არაერთხელ უსვამს ხაზს ქალური საწყისის გამოვლინებას სამყაროში.

„*სარვაჯივა ნამასკარამ კეშავამ პრატიგაჩჰატი*“ (ყველა არსების პატივისცემა არის ღმერთის პატივისცემა). „*სარვაჯივა ტირასკარამ კეშავამ პრატიგაჩჰატი*“ (ზიზღი ყველა არსების მიმართ არის ზიზღი ღმერთის მიმართ). ჩვენი საღმრთო წერილები მუდამ ხაზს უსვამენ იმ ჭეშმარიტებას, რომ ღმერთი ყოველ არსებაში ბინადრობს და რომ მისი გაცნობიერება აქ და ახლა შეიძლება. იგი ყოველი ადამიანის მისაწვდომობის ფარგლებშია. ბუნება, *პრაკრიტი*, ველს (*ქშეტრას*) ჰგავს, უმაღლესი სული (*პარამატმანი*) კი *ქშეტრაჯნიაა* – ველის ბატონი. *ქშეტრაჯნია* თავის თავში *ქშეტრას* შეიცავს. თუ სიტყვა „*ქშეტრაჯნიას*“ სიტყვა „*ქშეტრას*“ მოვაცილებთ, დარჩება მარცვალი „*ჯნია*-“. *ჯნია*- ნიშნავს *ჯნიანას*, ანუ სიბრძნეს. ამრიგად, ადამიანი, რომელიც ბუნების (*პრაკრიტის*) ნაწილს წარმოადგენს, სიბრძნის (*ჯნიანას*) შეძენის მეშვეობით მისი ბატონი ხდება. ადამიანი *პურუშას*

მარადიულ რეალობას იგნებს. იგი აცნობიერებს, რომ სამყარო ხრწნადის (*კშარას*) და მოუშლელის (*აკშარას*) შეთავსებაა, ხედავს, რომ მოუშლელობის თვისება ხრწნად სამყაროსაც კი განუყოფლად ახასიათებს. იგი თავის თავში *ანანია-ბჰაქთის* – მტკიცე ერთგულების – განვითარებას იწყებს. ადამიანი კასტების, რწმენების და რელიგიების ხელოვნური დაბრკოლებების გადალახვას იწყებს. და იგი ღმერთისთვის ძვირფასი ხდება.

თავი 28

ანანია-ბჰაქთი

(მტკიცე ერთგულება)

გაღვიძების მომენტიდან, დილით და დაძინებამდე საღამოს, დროს მხოლოდ სმა-ჭამაზე ხარჯავთ. მთელი თქვენი ძალისხმევა მხოლოდ ამქვეყნიური მიზნებისკენაა მიმართული. მაშ რა სიხარული უნდა განიცადოთ ცხოვრებაში, თუ ლოტოსისთვალება უფალი დაგავიწყდათ?

დამშვიდებულობა (*შანტი*) ჭეშმარიტად ღვთაებრივი თვისებაა. იგი უმაღლესი სულის, *ატმანის* სიტკბოებაა. იგი ჯილდოა *პარამაჰამსასთვის* – იმისთვის, ვინც საგანთა არსის უშეცდომო გარჩევის უნარის მწვერვალს მიაღწია. ეგოისტების ბოროტ გულებში შეუძლებელია მშვიდობა იყოს გამეფებული. მისი შეძენა მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც სულიერების წმინდა გზას მოთმინებით და დაჟინებით მიჰყვება.

ისევე, როგორც წუთისოფლის საქმეებში, სულიერების სფეროშიც, შედეგის მისაღებად ძალისხმევაა აუცილებელი. მხოლოდ *სადჰანას*, ანუ უცვლელ, სისტემატურ და განუწყვეტელ ძალისხმევას შეუძლია გონების დაოკებასთან და დამშვიდებულობასთან მიყვანა. მაგრამ ამ გზაზე არსებობს დაბრკოლებები, რომელთა გადალახვისთვისაც სულიერმა მაძიებელმა დაჟინებულობა უნდა გამოავლინოს. „*ნა სუქჰატ ლაბჰეიატე სუქჰამ*“ (სიამოვნება არ შეიძლება სხვა სიამოვნების წყარო გახდეს). არ არსებობს სიხარული მწუხარების გარეშე, არ არსებობს სიამოვნება ტკივილის გარეშე და არ არსებობს შეძენები კარგვების გარეშე. ამიტომ უწყვეტი სიხარულის და მარადი ნეტარების (რომლებსაც აბსოლუტური დამშვიდებულობა და გონების სიმშვიდე

იძლევა) შეძენა მხოლოდ გულწრფელი და გულმოდგინე *სადჰანას* დახმარებით შეიძლება.

„ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძებეთ და შეიძენთ, დააკაკუნეთ და გაგიღებენ“, - ნათქვამია ბიბლიაში. ეს სიტყვები ყველა რელიგიის საერთო არსს შეიცავს. მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს დროში ამტკიცებენ, რომ ითხოვენ, ეძებენ და კარზე აკაკუნებენ, უნდა გააცნობიერონ, რომ მათი თხოვნა მატერიალური ბუნებისკენაა მიმართული, რადგან წარმავალ სიამოვნებებს ეძებენ, და ჯოჯოხეთის კარზე აკაკუნებენ. და ამ შეთხვევაში უფლება არ აქვთ იმედი ჰქონდეთ, რომ ღმერთი უპასუხებს, რომ გათავისუფლების (*მოკშას*) გზას იპოვიან და რომ მათთვის სამოთხის კარი გაიღება. ნუთუ იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ უმაღლესი სული, *პარამატმანი*, იმ ლოცვებს უპასუხებს, რომლებიც მატერიალური ბუნებისკენ (*პრაკრიტისკენ*) არის მიმართული?

„ანანიაშ ჩინტაიანტო მამ ე ჯანაჰ
პარიუპასატე
ტეშამ ნიტიაბჰიიუკტანამ იოგაკშემამ
ვაჰამიაჰამ‘.

(გიტა, თ.9, შლოკა 22)

ვინც ურყევი ერთგულებით
გამუდმებით მცემს თაყვანს,
ვინც მუდამ ჩემი ფორმის აზრობრივ
მზერაშია ჩაძირული,
ვაძლევ იმას, რაც მას აკლია,
და ვუნარჩუნებ იმას, რაც აქვს.

ასე სრულად და ნათლად განმარტავდა კრიშნა თავის გზავნილში *ანანია-ბჰაქთის* (მტკიცე ერთგულების) იდეას, რომელიც სრულ თვითგანდგომას შეიცავს. ადამიანმა გონება არ უნდა დაყოს ნაწილებად და ღმერთს მხოლოდ ერთი ნაწილი შესთავაზოს. განუყოფლად მთელი გონება უნდა იყოს ჩაფლული ყოვლისშემძლეში. ერთხელ კრიშნას მეგობარმა და მოსწავლემ, უდჰავამ, მწყემს ქალებს, *გოპიებს*, ასეთი რჩევა მისცა: „თქვენ უმეცრები ხართ, რადგან შასტრებიდან, პურანებიდან და ვედებიდან არაფერი იცით. ამიტომ, ღმერთთან ერთიანობას რომ მიაღწიოთ, იმ გზით უნდა იაროთ, რომელსაც *იოგას* მომხრეები მიჰყვებიან“. რაზედაც ნირაჯამ, მწყემსი

ქალებიდან ერთ-ერთმა, უპასუხა: „კი მაგრამ, ჩვენ მხოლოდ ერთი გონება გვაქვს, და არა მრავალი, და ეს გონება კრიშნას გაჰყვა მადჰურაში. ამიტომ გონების გარეშე ვართ და არ შეგვიძლია გაგიგოთ!“

ადამიანი, რომლის გონებაც დანაწევრებულია, ვერ შეძლებს მტკიცე ერთგულების (*ანანია-ბჰაქთის*) შეძენას. განცალკევებული გონება სულიერ განვითარებას დაბრკოლებას უქმნის. ნაწილებად დაყოფილი გონების ღმერთზე კონცენტრირება ამაო მცდელობაა. ერთგულება კი - მდგომარეობა, როდესაც გონება ერთადერთი მიზნით ცხოვრობს – როგორც ჩანს, გადარჩენისთვის ყველაზე იოლი გზაა. ფაქტიურად, მიზანმიმართული თაყვანისმცემელი (*ანანია-ბჰაქთა*) ჯერ კიდევ ცხოვრებაში ხდება გათავისუფლებული (*ჯივანმუკთი*).

ბუნების, *პრაკრიტის*, არსის გაგება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ცხოვრების აზრს და საიდუმლოს ჩასწვდეს. ცხოვრებაში შვიდი უმაღლესი ღირებულება არსებობს. ეს არის კარგი სახელი (*კირტი*), აყვავება (*სამპადა*), მჭევრმეტყველება (*ვაკ*), გარჩევის უნარი (*ბუდჰი-შაქთი*), ზემგრძნობიარე გონიერება (*მედჰა-შაქთი*), მამაცობა (*დჰაირია*) და მოთმინება (*საჰანა*). იმისათვის, რომ ღვთაებრივის არსი შეითვისოს, ადამიანმა იმ ძალებზე ბატონობას უნდა მიაღწიოს, რომლებიც ზემოჩამოთვლილ ცხოვრების ღირებულებებთან არის დაკავშირებული.

ვინც მაღალზნეობრივ ქცევებს ასრულებს, ის პატივისცემას იწვევს და კარგ სახელს იძენს. ამრიგად, ადამიანი იმას უნდა აკეთებდეს, რასაც ყველასთვის სიკეთე მოაქვს. ღმერთის წყალობა უდიდესი სიმდიდრეა. ხოლო ფიქრი იმაზე, რომ ფულების, ოქროს ან სხვა მატერიალური ღირებულებების ქონა წარმატების და სოციალური პრესტიჟის სიმბოლოა, უმეცრებაში ყოფნას ნიშნავს. ამის ნაცვლად მიზანი ცხოვრებაში უნდა ითვლებოდეს ღვთაებრივი განძის – ღმერთის წყალობის – შეძენა.

ჭეშმარიტი მჭევრმეტყველება სიტყვებისაგან თავის შეკავებაა. ხოლო უზომო ლაპარაკი, შეურაცხმყოფელი და უშვერი სიტყვების ხმარება ან ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანი ლაპარაკის დროს წონასწორობიდან გამოდის, - აი მხოლოდ ზოგიერთი უხეში შეცდომა, რომელსაც ენა აუცილებლად დაუშვებს, თუ იგი გამუდმებით ყბედობს. სინამდვილეში ენის დანიშნულებაა ღვთაებრივი ძალის მქონე უფლის

სახელთა განდიდება, ისეთების, როგორიცაა გოვინდა, დამოდარა და მადჰავა[44].

გრძნობათა ხუთი ორგანოდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ენა, რადგან იგი ორმაგ როლს ასრულებს განსხვავებით თვალის, ყურის, ცხვირის ან კანისგან, რომლებსაც მხოლოდ ერთი ფუნქცია აკისრიათ, სახელდობრ: ხედვა, სმენა, ყნოსვა და შეხება. ენას კი არა მხოლოდ გემოს შეგრძნების უნარი აქვს, არამედ მეტყველების ნიჭიც გააჩნია. ენას არაჩვეულებრივი სიმახვილე და გამძლეობა ახასიათებს. ეს იმ ფაქტით მტკიცდება, რომ იგი უვნებელი რჩება ოცდათორმეტი ბასრი კბილის უშუალო სიახლოვეში, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ ჭრილობა მიაყენონ. გარდა ამისა, იგი თავისი თავის მიმართ უდიდესი პატივისცემითაა აღვსილი და არ ტოვებს თავი სავანეს – პირს, ყველაზე რთულ გარემოებებშიც კი. თუ ადამიანმა სიმარჯვე არ გამოიჩინა და წაიქცა, შეიძლება ტრავმა მიიღოს. ასეთი ტრავმის მორჩენა წამლებით შეიძლება. აი მოუხერხებელი ენით მიყენებული ზიანი კი შეიძლება გამოუსწორებელი აღმოჩნდეს. ასე რომ საკუთარ ენაზე მუდამ და გულმოდგინედ თვალთვალია აუცილებელი.

აუმ ბჰურ ბჰუვაჰ სვაჰ
ტატ სავიტურ ვარენიამ
ბჰარგო დევასია დჰიმაჰი
დჰიიო იო ნაჰ პრაჭოდაიატ

აუმ, ჩვენ ვუმზერთ იმ სხივმოსილ ღმერთს,
რომელმაც შექმნა ფიზიკური, ასტრალური
და მიზეზობრივი სამყაროები,
რომელთა თაყვანისცემაც გვმართებს,
და რომელიც უმეცრების სიბნელეს ფანტავს.

ასე ჟღერს წმინდა *მანტრა* გაიატრი. *მანტრას* მოწოდება მზისკენაა მიმართული სულიერი გონიერების (*ბუდჰის*) თვისებების სრულყოფისათვის. უმეცრების სიბნელის გაფანტვა მხოლოდ სითეთრემდე გავარვარებულ სულიერ გონიერებას შეუძლია, რომელიც დალოცვილი მზის მსგავსად ასხივებს სინათლეს. „ყველა ნიჭს შორის

[44] გოვინდა („მწყემსი“), დამოდარა („მწყემსის ბაწრით წელზე შემორტყმული“), მადჰავა („მადჰუს შთამომავალი“ ან „თაფლოვანი“, „გაზაფხულისა“) – კრიშნას ეპითეტები.

მე *ბუდჰი* ვარ“, - განაცხადა კრიშნამ გიტას გზავნილში „ვიბჰუტი-იოგა“.

ზემგრძნობიარე გონიერება, *მედჰა-შაქთი*, ადამიანის სულიერი აღორძინებისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საჭიროა იგი გულდასმით განვასხვაოთ *ბუდჰი-შაქთისგან. ბუდჰი* არის განსხვავების უნარი, რომელიც შეგრძნებების და სიგნალების საფუძველზე ვითარდება, რომლებიც გრძნობათა ხუთი ორგანოდან გადმოიცემა: მხედველობიდან, სმენიდან, შეხებიდან, გემოდან და ყნოსვიდან. *მედჰა-შაქთი* კი დაკავშირებულია ზემგრძნობიარე გამოცდილებასთან, ექსტრასენსორულ აღქმასთან, ინტუიციასთან და სულიერებასთან. *მედჰა-შაქთი* შეგრძნებების და აღქმის ზღვრებიდან გამოდის, რომლებსაც ადამიანს გარე სამყარო აწვდის.

ადამიანი მამაცი უნდა იყოს. მამაცობის არქონა ეჭვს, სასოწარკვეთას, სევდას და დეპრესიას იწვევს. ადამიანი, რომელსაც შეუბღალავი და წუნდაუდებელი ხასიათი აქვს, შეშინებული, აკანკალებული კრავივით არასოდეს მოიქცევა. ამიტომ ინტელექტუალური სიძლიერის და დარწმუნებულობის ძალის განვითარებასთან ერთად იგი უნდა გარემომცველი სამყაროს მანკიერებებს და ცდუნებებს ძლევდეს და წინ მიიწევდეს.

თავშეკავება, ყველა ზნეობრიობის ეს ნიმუში, ადამიანს საშუალებას აძლევს ცხოვრების ნებისმიერი უკუღმართობისგან ხელშეუხებელი რჩებოდეს, არ ზეიმობდეს კარგად განვითარებულ მოვლენათა დროს, და არ წუხდეს ტრაგედიის შემთხვევაში. ის, ვისშიაც ძლიერი სულისკვეთება იმყოფება, აღუშფოთველი რჩება აღმაფრენების და დაცემების დროს, რომლებიც ცხოვრების უსასრულო დრამისთვისაა დამახასიათებელი. მსგავსი პიროვნება, რომელსაც შინაგანი წონასწორობა და გონების სიმშვიდე აქვს მინიჭებული, ბჰაგავად გიტაში *სტიტჰაპრაჯნას* სახითაა წარმოდგენილი.

ბუდას დროს ერთ სოფელში ცხოვრობდა მამასახლისი, რომელსაც სძულდა წმინდანი და ყოველივე ის, რასაც იგი ასწავლიდა. ერთხელ მან შეიტყო, რომ სოფელს ბუდა უახლოვდება თავისი მოსწავლეებით. დესპოტურმა მამასახლისმა სოფლის მცხოვრებლებს უბრძანა სახლები ჩაეკეტათ და მოწყალება არ გაეღოთ, რაც მათ მორჩილად შეასრულეს. თვითონ მამასახლისი კი თავისი სახლის მახლობლად დადგა.

როდესაც თავის მომხრეებთან ერთად ბუდა სოფელში შევიდა, მაშინვე მამასახლისის სახლისკენ გაემართა, რომ მისთვის მოწყალება

ეთხოვა. „*ბჰავატი ბჰიკშამ დეჰი*“[45], - წარმოთქვა მან. მამასახლისმა მაშინვე წონასწორობა დაკარგა და ბუდას ლანძღვა-გინება დაუწყო. და იმ მომენტში, როცა წმინდანისთვის უნდა დაერტყა, ბუდამ უცებ გაიღიმა და თქვა: „მე ეჭვი გამიჩნდა. დავუშვათ, რომ მოწყალება გაიღე, მე კი ის არ მივიღე. მაშინ როგორ მოიქცევი?“ რაზედაც ქედმაღალმა მამასახლისმა უპასუხა: „უკან წავიღებ“. მაშინ ბუდამ თავაზიანად განაგრძო: „შენ მე შეურაცხყოფას და ცილისწამებას მიგზავნი, მე კი მათ არ ვიღებ. ამიტომ ისინი უკან უნდა წაიღო“. და მამასახლისი უცებ გაჩუმდა. თავი დახარა კიდეც, რადგან სირცხვილმა და ნამუსის ქენჯნამ მოიცვა იგი.

სულ ცოტა თავდაჭერილობა და მოთმინება ჩვენი მხრიდან – და მტრების შეურაცხმყოფელი სიტყვები მათ ბუმერანგივით დაუბრუნდება, ზუსტად ისევე, როგორც დაკვეთილი წერილი უკან ბრუნდება, თუ მან ადრესატი ვერ იპოვა.

ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი თვისება – კარგი სახელი (*კირტი*), აყვავება (*სამპადა*), მჭერმეტყველება (*ვაკ*), გარჩევის უნარი (*ბუდჰი-შაქთი*), ზემგრძნობიარე გონიერება (*მედჰა-შაქთი*), მამაცობა (*დჰაირია*) და მოთმინება (*საჰანა*) – სრულიად აუცილებელია მტკიცე ერთგულების (*ანანია-ბჰაქთის*) მისაღწევად, ამიტომ ყველა სულიერმა მაძიებელმა უნდა განავითაროს ისინი. კრიშნამ არჯუნას უთხრა: „მე შენში ვარ, შენ კი ჩემში ხარ. თუ ჩვენ შორის არსებულ ბარიერებს მოვანგრევთ, მაშინ სულიერ სიახლოვეს შევიძენთ, და შენ შეძლებ მიხილო მე, მე კი შევძლებ შენ გიხილო. *ანანია-ბჰაქთის* არსი იმაში მდგომარეობს, რომ შენს თავს აღმოაჩენ ჩემში, ჩემს თავს კი – შენში. შენ და მე ერთნი ვართ“.

„*იშვასიამ იდამ სარვამ*“ (ღმერთი ამ ყველაფერში იმყოფება). ყოველი ადამიანური არსება ღვთაებრივი *ატმანის* ტაძარია. ამიტომ თუ სხვებს შეურაცხყოფას აყენებთ, შეურაცხყოფას ყოვილშემძლეს, იშვარას აყენებთ, რომელიც მათში ბინადრობს.

[45] ტრადიციული მიმართვა დიასახლისს მოწყალების თხოვნით: „ო, უკეთილშობილესო! გაიღე მოწყალება!“

თავი 29
მუშაობა, თაყვანისცემა და სიბრძნე

ადამიანთა ცხოვრებაში შავი ზოლები რომ არ არსებულიყო, როგორ შეაფასებდნენ ისინი სინათლის ჭეშმარიტ მნიშვნელობას? მაშ რა არის არაჩვეულებრივი იმაში, რომ ბედნიერება ყოველთვის არ ყვავის დიდი ძალისხმევების დროსაც კი?
სიმართლის, მართლქმედების, დამშვიდებულობის და სიყვარულის გარეშე ადამიანის მიერ მიღებული განათლება უაზრო ხდება. ქველმოქმედება დამსახურება არ იქნება, და ადამიანის კარგი მოქმედებები კარგს არაფერს მოიტანს, თუ იგი ამ ოთხ ზნეობრიობას არ ფლობს. და არავითარი ზეციური მადლი არ მიეცემა იმას, ვისაც წუთისოფელში ძალაუფლება აქვს მინიჭებული, მაგრამ ამ უმთავრესი ზნეობრიობების უკმარისობას განიცდის. სიმართლე, მართლქმედება, დამშვიდებულობა და სიყვარული ოთხი კედელია საძირკვლისა, რომელზედაც დგას *სანატანა-დჰარმას* (მარადიული უნივერსალური რელიგიის) უზარმაზარი სასახლე.
კეთილ ადამიანთა კეთილშობილო კრებავ, გარდა ამისა კიდევ რა შემიძლია გაცნობოთ?

სიყვარულის განხორციელებანო!

ღმერთის (*ბრაჰმანის*) ცოდნას უარყოფს ის, ვინც გონიერებას არად მიიჩნევს და ეფემერული ცოდნის დაგროვებითაა გატაცებული. ადამიანისთვის, რომელივ ზღვის პირას დგას და მის ზედაპირს უთვალთვალებს, მხოლოდ ტალღები არსებობს. გაბედული და გამოცდილი მყვინთავი კი, რომელსაც უნარი აქვს ზღვის ფსკერს მიაღწიოს, იქ მდებარე ძვირფას მარგალიტს პოულობს. ბჰაგავად გიტა აცხადებს, რომ *ბრაჰმანის* ცოდნა მხოლოდ იმათთვისაა მისაწვდომი, ვინც უმაღლეს სულს, *ატმანს* თავისი ფაქიზი არსების ყველაზე იდუმალ კუნჭულებში ეძებს.

ადამიანის სხეულის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს გაჭუჭყიანებები, რომლებიც სხეულში არსებულ სამ სუბსტანციასთან არის დაკავშირებული, კერძოდ: ქართან (*ვატასთან*), ნაღველთან (*პიტასთან*) და ლორწოსთან (*შლეშმასთან*). ზუსტად ასევეა გაჭუჭყიანებული ადამიანის ფაქიზი სხეულიც, რომელიც მჟღავნდება როგორც გონება. გონება წაბილწულია *მალათი* (უსუფთაობებით,

ისეთებით, როგორიცაა ჭუჭყიანი, მანკიერი აზრები და მიდრეკილებები), *ვიკშეპათი* (რეალობის არარეალობად წარმოდგენით) და *ავარანათი* (რეალურის დაფარვით). გონების ასეთი სამმაგი უსუფთაობის ზეგავლენით ადამიანი ღვთაებრივი ცოდნის შეძენის უნარს კარგავს. სანამ გონებაში ეს ლაქები იარსებებს, ადამიანი *აცმანის* ცოდნას ვერ დაეუფლება.

მანკიერი მიდრეკილებებისა და აზრებისაგან თავის დაღწევა შეიძლება წმინდა მუშაობის გზით, არარეალობის რეალობად წარმოდგენის მოშლა - ღმერთის თაყვანისცემით, რეალურის დაფარვა კი - სიბრძნის შეძენის გზით. გიტა გვასწავლის, რომ კარგი და წმინდა მოქმედებებით შეგვიძლია გულები გავწმინდოთ, რომ ღმერთის თაყვანისცემის გზით შეგვიძლია გონების ერთ მიზანზე კონცენტრაციას მივაღწიოთ და რომ სიბრძნის დაუფლების მეშვეობით შეგვიძლია უმეცრების საფარველი მოვიცილოთ და ღმერთთან ერთიანობას მივაღწიოთ. ამრიგად, ადამიანს შეუძლია ღვთაებრივი გახდეს, თუ იმუშავებს, ღმერთს თაყვანს სცემს და სიბრძნეს დაეუფლება. თუმცა გიტა აღნიშნავს, რომ ყველა ამ სამი თვისების (გონების სისუფთავის, ერთ მიზანზე გონების მოკრების და ღვთაების მთლიანი ცოდნის) შეძენა *იოგას* პრაქტიკის მეშვეობითაც შეიძლება.

სიტყვა „*იოგას*“ სხვა მნიშვნელობაც აქვს – *სამატვა*, ანუ „გონების წონასწორობა“. „*სამატვა იოგა მუჩიატე*“ (გონების სიმშვიდეს *იოგა* ჰქვია). გარემოცვის, რომელშიაც ჩვეულებრივი ადამიანი იმყოფება, ასევე მისი ვალდებულებების, როგორც საეროსი, ასევე სულიერის, მხედველობაში მიღებით გონების წონასწორობას, *სამატვას*, მან ხუთი სხვადასხვა ხერხით შეიძლება მიაღწიოს. შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ *სამატვას* მდგომარეობას ბუნების (*პრაკრიტის*), საზოგადოების (*სამაჯის*), ცოდნის (*ჯნიანას*), მოქმედების (*კარმის*) და ღმერთის თაყვანისცემის (*უპასანას*) მიმართ.

პრაკრიტიკა-სამატვა არის სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის მიმართ უშფოთველი სიმშვიდის შენარჩუნება. წელიწადის ცივ დროს კომფორტს სითბოში განვიცდით, მაშინ როცა ცხელ სეზონში სიგრილე გვსიამოვნებს. ამრიგად, სიცივესაც და სიცხესაც სათანადო დროს ჩვენთვის სიხარული მოაქვს, და არცერთი მათგანი არ გვავნებს. თუმცა დროდადრო ტემპერატურის ძლიერი მერყეობის გამო შეიძლება რაიმე უხერხულობა განვიცადოთ. მაგრამ ეს უფრო სუბიექტური და ზერელე შეგრძნებებია, ვიდრე რაღაც უნივერსალური მოვლენები. არსებითად, სითბოც და სიგრილეც კმაყოფილებას გვანიჭებს.

ზუსტად ასევე ბედნიერებისთვის სიხარულიც და გულისტკივილიც აუცილებელია. გულისტკივილის გარეშე ადამიანი ვერ შეძლებდა სიამოვნებისთვის ნამდვილი შეფასება მიეცა. სიხარულს ასეთი უდიდესი მნიშვნელობა მხოლოდ ტანჯვის შუქზე ეძლევა. ამიტომ სიამოვნებას და გულისტკივილს, ბედნიერბას და უბედურებას უნდა ვუყუროთ მშვიდი გონებით და ერთნაირი განდგომით.

თქვენ ყველამ უნდა აუცილებლად *პრაკრიტიკა-სამატვა* განავითაროთ. განსაკუთრებით ეს ეხებათ სტუდენტებს, რომლებსაც იმპულსურობისკენ აქვთ მიდრეკილება და რომლებიც იოლად ემორჩილებიან წარმატებების და წარუმატებლობების ზეგავლენას. იმპულსების კაცად ყოფნა ადამიანური სისუსტის ნიშანია. ყოველმა ჩვენგანმა ის ჭეშმარიტება უნდა გააცნობიეროს, რომ სიხარული ტანჯვების ორ პერიოდს შორის შუალედია, და ისწავლოს წუთისოფლის უბედურებებს მშვიდად და მოწესრიგებულად ხვდებოდეს. მხოლოდ სიხარულის და გულისტკივილის გამოცდილების მონაცვლეობა გვაიძულებს მართლქმედების გზით ვიმოძრაოთ.

ახლა *სამაჯიკა-სამატვას* შესახებ უნდა ვთქვათ, ანუ აღუშფოთველი სიმშვიდის შესახებ, რომელიც უნდა შეიძინოს ადამიანმა როგორც საზოგადოების განუყოფელმა ნაწილმა. რა თქმა უნდა, საზოგადოება ადამიანს ასევე სიხარულის და მწუხარების ორმაგი განცდისკენ უბიძგებს. ასე, ქება და გაკიცხვა ადამიანთან იმ საზოგადოების მხრიდან მიდის, სადაც ის ცხოვრობს. მაგრამ ქება და გაკიცხვე იგივეა, რაც ერთი მედლის ორი მხარე, ისინი ერთიმეორეს უცვლელად მიჰყვებიან. ამიტომ არცერთი არ უნდა გვაღელვებდეს. პირფერობასაც და გაკიცხვასაც უნდა ვეპყრობოდეთ როგორც ეტაპებს თვითსრულყოფის გზაზე.

როდესაც ჭას თხრიან, ორმოსთან ამოყრილი მიწა მაღალ ბორცვს ქმნის. ამ მიწაყრილში მიწა ზუსტად იგივეა, რაც ორმოში იყო. ქება და ცილისწამება ორმოს და მიწაყრილს ჰგავს, ისინი ერთი და იგივე წყაროდან არის წარმოქმნილი. ამის გაცნობიერების შემდეგ გონებას ასწავლეთ საზოგადოებასთან თქვენს ურთიერთობას და საზოგადოებაში თვით თქვენს არსებობას აღუშფოთებელი სიმშვიდით ეპყრობოდეს.

ჯნიანა-სამატვა გაწონასწორებულობის მესამე სახეა, რომელიც თქვენ უნდა განავითაროთ. თავის საფუძველში იგი იმის გაცნობიერებას ვარაუდობს, რომ ერთიანი *ატმანი* ყველა ადამიანს გამსჭვალავს დამოუკიდებლად მათი კასტის, კანის ფერის ან რჯულისა. რელიგიები შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს,

მაგრამ ყველა რელიგიას ადამიანი ერთი მიზნისკენ მიჰყავს – ღმერთისკენ. ტანსაცმელი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ ქსოვილი ერთი და იგივეა. მორთულობები შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგრამ ოქრო, რისგანაც ისინია დამზადებული, ერთია. ძროხები შეიძლება სხვადასხვა ჯიშისანი იყვნენ, მაგრამ ყველა მათგანში რძე ერთი და იგივეა. ელექტრულ ნათურებს შეიძლება სხვადასხვა სიმძლავრე, ზომა და შეფერილობა ჰქონდეს, მაგრამ მათში გამავალი ელექტროდენი ერთია. ასეთივე სახით არსებობს უთვალავი რაოდენობის ადამიანური არსება, *ჯივა*, და ცხოველი, მაგრამ სასიცოცხლო ძალა ყოველ მათგანში ერთი და იგივეა. ქმნილების ერთიანობის პრინციპის გაცნობიერება *ჯნიანა-სამატვას* საფუძველში დევს.

მართლქმედითი და სიწმინდით გამსჭვალული მოქმედებების განდგომის სულისკვეთებით შესრულება, როდესაც ადამიანს არ აწუხებს, კარგ შედეგებამდე მიიყვანს ისინი თუ ცუდამდე, შეესაბამება *კარმა-სამატვას*, ანუ მოქმედებაში აღუშფოთველი სიმშვიდის შენარჩუნებას. *ბჰაქთი-სამატვა* (აღუშფოთებელი ერთგულება) კი იმ ჭეშმარიტების გაცნობიერებაში მდგომარეობს, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი, იშვარა, მთელ სამყაროს გამსჭვალავს და რომ იგი არის ყველაფერი და ყველაფრის თავშესაფარი. „*ტვამევა სარვამ მამა დევა დევა*“ (უფალო, მხოლოდ შენ ხარ ჩემთვის ყველაფერი!), - ასე წამოიძახებს ადამიანი, რომელიც უანგარო ერთგულებით არის სავსე. ღმერთის თაყვანისმცემელს *ბჰაქთი-სამატვას* მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიაღწიოს, თუ მისი ერთგულება, *ბჰაქთი*, მუდმივი, მომთმენი და ურყევია. ღმერთის მიმართ სიყვარულის ნაკადი მუდამ მდგრადი და უცვლელი უნდა რჩებოდეს. უფალმა კრიშნამ გიტაში განაცხადა:

ვინც განუხრელი ერთგულებით
მუდამ თაყვანს მცემს,
ვინც მუდამ ჩემი ფორმის
აზრობრივ მზერაშია ჩაძირული,
ვაძლევ იმას, რაც მას აკლია,
და ვუნარჩუნებ იმას, რაც აქვს.

ასეთი განუხრელი ერთგულება, *ანანია-ბჰაქთი*, წარმოიქმნება გაწონასწორებულობის (*სამატვას*) ყველა ხუთი სახის დაუფლების შედეგად. ამიტომ საჭიროა განუხრელი სიმტკიცით განვავითაროთ

ჩვენში *სამატვას* მდგომარეობა და ყოველთვის, ყველგან და ნებისმიერ გარემოებაში დავიცვათ იგი.

სიტყვა „*მანავა*“ (ადამიანი) სამ მარცვალს შეიცავს: „*მა*-“, რაც უმეცრებას აღნიშნავს, „*ნა*-“ (უმეცრების უარყოფა) და „*ვა*-“, რომელიც ღვთაებრივი ცოდნის მიღწევის ძალას სიმბოლიზირებს. თუ ადამიანს სურს ამ წოდების ღირსი იყოს, უნდა უმეცრება მოიცილოს თავიდან.

ბჰაგავად გიტა შეიცავს წმინდა სწავლებას უმაღლეს სულზე. ეს სწავლება კრიშნამ კაცობრიობას არჯუნას მეშვეობით მიაწოდა. გიტას ბირთვი კრიშნამ ბრძოლის ველზე აცნობა არჯუნას, ეს იყო დილის თერთმეტის ნახევარზე *კარტიკა-ბაჰულა-ამავასიას*[46] დღეს. ამ დღეს მაჰაბჰარატას დიადი ბრძოლა დაიწყო. ათი დღის შემდეგ კი, როცა კაურავების არმიის სარდალი ბჰიშმა ბრძოლაში დაეცა, წინასწარმჭვრეტმა სანჯაიამ ბრმა მეფე დჰრიტარაშტრას აცნობა იმის შესახებ, რაც მაშინ ბრძოლის ველზე ხდებოდა. დჰრიტარაშტრამ სანჯაიას ჰკითხა:

დჰარმაქშეტრე კურუქშეტრე
სამავეტაიუიუტსავაჰა
მამაკაჰ პანდავასჩაივა
კიმაკურვატა სანჯაია?

დჰარმის ველზე, კურუს ველზე
ორთაბრძოლაში რა ქნეს ჩვენებმა,
ასევე პანდავებმა, სანჯაია?

მაშინ იყო *მარგაშირა-ბუდჰა-ეკადასის* დღე. არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ სწორედ ეს დღე უნდა ითვლებოდეს *გიტა-ჯაიანტის* დღედ, ანუ როდესაც კრიშნამ გიტას გზავნილი აღირსა არჯუნას. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ის დღე, როცა წინასწარმჭვრეტმა სანჯაიამ მეფე დჰრიტარაშტრას ბრძოლის ამბები ამცნო. სინამდვილეში კრიშნამ *კარტიკა-ბაჰულა-ამავასიას* დღეს ამცნო არჯუნას გიტა. რატომ აირჩია კრიშნამ ბრძოლის დაწყებისთვის და გიტას გადმოცემისთვის *ამავასიას* დღე? ჩვეულებრივ *ამავასიას* დღე ნებისმიერი წამოწყებისთვის არახელსაყრელ დღედ ითვლება. მაგრამ ასე ღვთაებრივად გამოუცნობია კრიშნას გზები: ამისი მაგალითები მისი ცხოვრების სხვა ეპიზოდებშიც გვხვდება. მისი დაბადება *აშტამის*

[46] მეშვიდე თვის დღე (*კარტიკა*) ძველი ინდური კალენდრის მიხედვით (ოქტომბერ-ნოემბერი).

დღეს ამასვე ამოწმებს. კრიშნა დაიბადა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3227 წლის 20 ივლისს; ეს მოხდა დილით ადრე სამ საათზე. მაჰაბჰარატას ბრძოლა კი მოხდა 3141 წელს, როდესაც კრიშნა 86 წლის იყო. ამ ომიდან დღემდე, 5119 წლის განმავლობაში, გიტას გზავნილმა მსოფლიოს ყველა კუთხეში შეაღწია.

თანამედროვე სტუდენტებმა თავისი ხელსაყრელი პირობების გამო დაივიწყეს მითითება უფლის სახელის მუდმივი ხსენების (*ანანია-ჩიტას*) აუცილებლობის შესახებ, და ამასთან მათ *იოგა-ქშემა* (კეთილდღეობის დაუფლება) სწყურიათ. უფალი კი გარწმუნებთ, რომ იგი იზრუნებს თქვენს *იოგაზეც*, და თქვენს *ქშემაზეც*. *იოგა* მიუღწევლის შეძენაა (*პრაპტია*), და უფალი გარდმოავლენს მას თქვენზე. მაშინ როცა *ქშემა* იმის დაუფლებაა, რაც ისედაც თქვენ გეკუთვნით.

აი ამის ილუსტრაციის მაგალითი. დავუშვათ, წიგნს კითხულობდით და გვერდის სანიშნედ ხუთრუპიანი კუპიურა ჩადეთ. რაღაც დროის გასვლის შემდეგ ამის შესახებ დაგავიწყდათ. და აი დადგა დრო, როცა ძალიან დაგჭირდათ ხუთი რუპია. თქვენ მეგობარს სთხოვთ, რომ გასესხოთ. მეგობარი შემთხვევით იღებს წიგნს, პოულობს იქ ხუთ რუპიას და გაძლევთ. ფული სინამდვილეში თქვენია, და მეგობარმა მხოლოდ ის მოგცათ, რაც ისედაც თქვენ გეკუთვნით. ასევეა სიხარულთან დამოკიდებულებაშიც: იგი მუდამ თქვენს შიგნითაა, თუმცა ამას ვერ აცნობიერებთ. *სადგურუ* მეგობარია, რომელიც გეხმარებათ აღმოაჩინოთ ბედნიერება – თქვენს გულში დამალული განძი.

„მოვალეობა, რომელიც სიყვარულის გარეშე სრულდება, სავალალოა. მოვალეობა, რომელიც სიყვარულით სრულდება, სასურველია. სიყვარული, რომელიც მოვალეობის გრძნობით არ არის გამოწვეული, ღვთაებრივია“. მოვალეობის გაგება გულისხმობს იძულების ძალას, მაშინ როდესაც სიყვარული სპონტანურია და ყოველივე გარე აღმძვრელის გარეშე ვლინდება. თქვენ მიერ ხმარებული ყველა სულიერი პრაქტიკა – ღვთის სახელის გამეორება, *ჯაპა*, მედიტაცია, *დჰიანა*, და სხვა, როგორც ყველა თქვენი კარგი საქმეები, ამაო აღმოჩნდება, თუ თქვენში უნივერსალურ და უანგარო სიყვარულს არ განავითარებთ.

თუ ღმერთს შესთავაზებთ მხოლოდ და მხოლოდ ფოთოლს (*პატრამს*), ან ყვავილს (*პუშპამს*), ან ნაყოფს (*ფჰალამს*), ან უბრალოდ წყლის წვეთს (*თჰოიამს*), მაგრამ შესთავაზებთ ჭეშმარიტი ერთგულების სულისკვეთებით, შედეგი უაღრესად კეთილისმყოფელი აღმოჩნდება.

აი მალე თვე შესრულდება, გიტას რომ ეცნობით. მაგრამ მხოლოდ მოსმენა უმიზნოა. მოსმენას (*შრავანას*) უნდა მოჰყვებოდეს ფიქრი, *მანანა*, და მოსმენილის შეთვისება (*ნიდიდჰიასანა*).

თავი 30

ვიბჰუტი-იოგა
და პრაქტიკული ცხოვრება

ვინ აიძულებს მზეს განუხრელად ამოდიოდეს
და ჩადიოდეს, და ყოველდღიურად ცის თაღზე ცურავდეს?
ვინ აიძულებს ვარსკვლავებს, ღამით რომ ცას ამშვენებს,
დღისით ქრებოდეს?
ვინ აიძულებს ქარის ღმერთს
მირიად სიცოცხლეს იცავდეს მთელ ქვეყანაზე,
დასასვენებლად არცერთი წამით რომ არ ჩერდება?
ვინ შექმნა მორაკრაკე ნაკადული, უცნაურად
რომ იკლაკნება და მხიარულად ჩუხჩუხებს?
მაშ რატომ უნდა არსებობდეს
ადამიანის მიერ თავსმოხვეული კასტის,
რწმენის და კეთილდღების შეზღუდვები?
თავი დახარეთ მის წინ – სამყაროს უფლის წინ,
იმის წინ, ვისავ ყველაფერი ემორჩილება.
ნუ უარყოფთ უფალს მხოლოდ იმიტომ,
რომ თქვენ მას ვერ ხედავთ.
ღმერთისგან თქვენივე უმეცრება გფარავთ,
ზუსტად ისევე, როგორც მზის შუქი
ვარსკვლავებს დღისით უხილავს ხდის.

სიყვარულის განხორციელებანო!

მრავალი ათასი წლის განმავლობაში ბჰაგავად გიტა ღვთაებრივი ცხოვრების მაღალ იდეალებს ქადაგებს. ამ შეუდარებელმა სულიერმა ტექსტმა ბჰარატას ქვეყანას უზარმაზარი დიდება მოუტანა. ბჰაგავად გიტას ჯილდოდ მიღება ბჰარატასათვის განსაკუთრებულ პრივილეგიას წარმოადგენდა, გიტა ხომ უნიკალური სულიერი პოემაა, რომლის მეტაფიზიკური შინაარსი სხვა ქვეყნების ვერცერთ საღვთო წერილს ვერ შეედრება. გიტა უბადლოა.

სამწუხაროდ, დღეს გიტას გზავნილის არასწორი გაგება ვრცელდება. ზოგიერთები თვლიან, რომ გიტა მოქმედების გზებს, ანუ *კარმა-მარგას* ასწავლის. სხვანი ამტკიცებენ, რომ იგი ერთგულების გზისკენ – *ბჰაქთი-მარგასკენ* მოუწოდებს. ბევრი არ იზიარებს იმ აზრს, რომ გიტა მხოლოდ სიბრძნის გზას – *ჯნიანა მარგას* ქადაგებს. ასე, საკუთარი სუბიექტური გამოცდილების და გაგების დონის მიხედვით ადამიანები სხვადასხვა იდეოლოგიურ სისტემას ქმნიან, რომლებიც გიტას სწავლებაზეა დაფუძნებული.

გიტა არ აღიარებს რაიმე განსხვავებებს ადამიანებს შორის კასტის, სარწმუნოების, ეროვნების ან რომელიმე საზოგადოების კუთვნილების საფუძველზე, ისევე როგორც არ აღიარებს განსხვავებებს ქალებსა და კაცებს შორის. გიტა მოუცველი და უნივერსალური წერილია, რომელიც ყველა ხელოვნურ ბარიერს გადალახავს. ვინც გიტას მოწიწებით სწავლობს, მისთვის იგი საკუთარი ვალის (*სვადჰარმის*) შესრულების მნიშვნელობას ხსნის.

„*დჰარმაქშეტრე კურუქშეტრე*...“, - ასე იწყება გიტას პირველი ლექსი. პირველი სიტყვა პირველ სტროფში არის *დჰარმა*. გიტას უკანასკნელ სტროფში კი უკანასკნელი სიტყვაა *მამა* („*იატრა იოგეშვარაჰ კრიშნო... დჰრუვა ნიტირ მატირ მამა*[47]). სიტყვების *მამა* და *დჰარმა* შეერთება ქმნის სიტყვას *მამადჰარმა*, რაც ნიშნავს „პირად დჰარმას“, ანუ *სვადჰარმას*. ამრიგად, ბჰაგავად გიტა ყოველ ინდივიდუუმს მისი საკუთარი *დჰარმის* პრინციპებს ასწავლის.

კრიშნა არის ის, ვინც გიტა გვამცნო. თუმცა კრიშნა ასევე ის პირია, ვინც გიტა შეისმინა და ჩაწერა. ასეთმა მტკიცებამ შეიძლება გაგაოცოთ. თქვენ შეიძლება იკითხოთ: „განა არჯუნამ არ შეისმინა გიტა? როგორ შეიძლება არჯუნა კრიშნა იყოს? და განა ვიასამ არ ჩაწერა გიტა? როგორ იქცა ვიასა კრიშნად?“ მაგრამ ამ კითხვებს არაორაზროვნად თვითონ კრიშნამ უპასუხა.

კრიშნამ ახსნა: „*პანდავანამ დჰანაჯაიაჰ*“, რაც ნიშნავს „პანდავებს შორის მე არჯუნა ვარ“. კრიშნას ეს სიტყვები გიტას მეათე თავშია, იმ თავში, რომელსაც „ვიბჰუტი-იოგა“ ჰქვია. უფრო მეტიც, არჯუნას ცხრა სახელს შორის გვხვდება სახელი ჯაიიაკრიშნა, რომელიც მას კრიშნასთან, ღმერთთან ათანასწორებს. და რამდენადაც კრიშნას სახე არჯუნას გულში მტკბცედ იყო ჩაბეჭდილი და მათ შორის სრული სულიერი თანაგანცდა არსებობდა, აბსოლუტურად სწორი იქნებოდა

[47] „სადაც *იოგას* მბრძანებელი კრიშნაა (სადაც მეისრე პართჰაა), იქ სიკეთე, გამარჯვება, წარმატება, მუდმივი მართლქმედებაა, მე ასე ვთვლი“.

გაგვეცხადებინა, რომ კრიშნა იყო არა მხოლოდ ის, ვინც გიტა ამცნო, არამედ ასევე ის, ვინც იგი შეისმინა.

თავის სხვა გამონათქვამში კრიშნა თავის თავს ვიასასთან აიგივებს:

„ბრძენებს (*მუნიებს*) შორის მე ვიასა ვარ“. და არა მხოლოდ ვიასა, რადგან უფალი ყველა ბრძენის გულში ბინადრობს, ამიტომ დასაშვებია იმის თქმა, რომ სწორედ თვითონ კრიშნამ ჩაწერა გიტა. ამასთან დაკავშირებით მახსენდება სიტყვები პოტანისა – პოეტისა, რომელმაც განაცხადა, რომ მის მიერ ტელუგუს ენაზე დაწერილი ბჰაგავატა რამაჩანდრას, ანუ თვით უფლის მიერაა შეთხზული. პოტანას იმდენად ჰქონდა ეგო მოცილებული, რომ ღვთაებრივი პოეტური შთაგონების გამტარი გახდა.

„ვიბჰუტი-იოგას“ გზავნილში კრიშნა თავის იგივეობას აცხადებს სამყაროში სულიერ და არასულიერ არსებებს შორის ყველაზე უფრო საუკეთესოებსა და ამაღლებულებთან. ეჭვგარეშეა ის ჭეშმარიტება, რომ კრიშნა ყველგან მსუფევია და რომ იგი მთელ სამყაროს გამსჭვალავს. მიუხედავად ამისა იგი თავის თავს აიგივებს მხოლოდ ყველაზე საუკეთესოებთან, ყველაზე გამოჩენილებთან და ყველაზე უმაღლესებთან ქმნილების მთელი მრავალფეროვნებიდან, როგორც ცოცხალის, ასევე არაცოცხალისა. „მთებს შორის მე ჰიმალაები ვარ, მდინარეთა შორის განგა ვარ, იადავებს შორის – ვასუდევა, ხეებს შორის – ბანიანი, მე ლომი ვარ მხეცებს შორის და ძროხა ვარ შინაურ ცხოველებს შორის. მე წმინდანი პრახლადა ვარ დემონთა შორის, სამეფო კობრა ვარ გველებს შორის, ფრინველთა შორის კი გარუდა ვარ“. ასე გამოაცხადა კრიშნამ, რადგან ის უმაღლესი სილამაზის და სრულყოფის მთლიანი განხორციელებაა.

კრიშნა ამტკიცებს, რომ იგი არის *პრანა*, ანუ სასიცოცხლო ძალა ყველა არსებაში. ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავი, შემდეგ კი – სხეული, მაგრამ თავი და სხეული სიცოცხლისთვის საკმარისი არ არის. იმისათვის, რომ სხეული და თავი ფუნქციონირებდეს, საჭიროა აგრეთვე *პრანა* – სასიცოცხლო სუნთქვა. სწორედ ამიტომ ამბობს კრიშნა: „ყველა ცოცხალ არსებაში, *ჯივაში* მე *პრანა* ვარ“. ფიზიკური სხეულისთვის კრიშნა *პრანას* წარმოადგენს ისევე, როგორც გათავისუფლების წყურვილი, ანუ *მუმუქშუტვა* ჩვენი ყველა სულიერი სწრაფვისთვის *პრანას* წარმოადგენს. მათ შორის გარჩევის უნარი რეალურსა და არარეალურს შორის, ანუ *ნიტია-ანიტია-პარიშილანა*, შეიძლება თავს შევადაროთ, აგრეთვე ზნეობრიობა, როგორც

მოთმინება (*შამა*), ამტანობა (*დამა*), და სხვა შეიძლება ტანს შევადაროთ.

„ვიბჰუტი-იოგას გზავნილში კრიშნა ასევე ამტკიცებს, რომ იგი არის სინათლე (*ჯიოტი*), აყვავება (*აიშვარია*), მამაცობა (*დჰაირია*) და ნეტარება (*ანანდა*). კრიშნას ღვთაებრივმა სიტყვებმა სტუდენტებს აღმაფრენა უნდა შემატოს კარგი საქმეების შესრულებისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ღმერთი თავის თავს ავლენს როგორც ღვთაებრივი ნათება, ამიტომ უნდა ვცდილობდეთ ღვთაებრივი სიბრძნის სინათლე მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ფიზიკურ პლანზე კი სხეული ჯანმრთელობით უნდა უზრუნველვყოთ და ჩვენ ირგვლივ განათებული და სუფთა გარემო შევქმნათ.

მატერიალურის დაუფლებაც (*აიშვარია*) ღვთის ჯილდო, ანუ ღვთაებრივი *ვიბჰუტია*. ამიტომ უნდა *აიშვარიას* ღვთაებრივ ბუნებას იცავდეთ, სათანადო სახით ხარჯოთ თქვენი ფულები და სხვა მატერიალური საკუთრება და ასევე მართლქმედების (*დჰარმის*) განვითარებაზე მიმართოთ ისინი. ფულის არასწორი მოხმარება ბოროტებას წარმოადგენს და ადამიანს ცოდვასთან მიიყვანს. თუ ჩვენს დროში სტუდენტებს ცუდი აზრები და მიდრეკილებები უვითარდებათ, ეს იმიტომ ხდება, რომ მათ მეტისმეტად ბევრი ფული აქვთ ხელზე. ფულის ხარჯვის დროს აკურატულები უნდა იყოთ, ეცადეთ ხარჯვები შეამციროთ. თუ საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის ათი რუპია გჭირდებათ, მაშინ მშობლებს მხოლოდ ცხრა სთხოვეთ. და თუ ორმოცდაათ რუპიას ითხოვთ, მაშინ საჭირო სახით მხოლოდ ათს დახარჯავთ, დანარჩენ ორმოცს კი ტყუილ-უბრალოდ დახარჯავთ და ამით თქვენს თავს ვნებას მიაყენებთ. ფულს ისე უნდა ეპყრობოდეთ, როგორც სისხლის ფასი რომ ედოს. კეთილგონივრულად მოიხმარეთ ფული. იგი შეიძლება ღვთაებრივ ჯილდოდ, *ვიბჰუტად*, ანუ *აიშვარიად* მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლებოდეს, თუ მას კეთიგონივრულად ხარჯავთ და *დჰარმის* აყვავებას უწყობთ ხელს. სხვა შემთხვევაში იგი ეშმაკის ნაჩუქარია და მეტი არაფერი.

მამაცობაც (*დჰაირია*) ასევე ღვთაებრივი ჯილდოა (*ვიბჰუტია*). ჭეშმარიტი მამაცობა ისეთი მამაცობაა, რომელიც მოდის მართლქმედითი (*დჰარმული*) საქმეების შესრულებით, ისევე როგორც ღმერთის კურთხევა. მამაცობის ყველა სხვა ფორმა, ისეთი, როგორიცაა გამბედაობა, რომელიც ფიზიკურ ან ინტელექტუალურ ძალაზეა დამყარებული, უსარგებლოა. ფიზიკური ან გონებრივი ძალა, ფინანსური ძლიერება და საზოგადოებრივი გავლენა გამცურავ ღრუბლებს ჰგავს ცაში.

სხეული განკუთვნილია იმისათვის, რომ ადამიანს საშუალება მისცეს წმინდა მოქმედებები ასრულოს და თავისი დრო ისე მოიხმაროს, რომ იგი (დრო) – ყველაფრის ულმობელი მომშლელი – თვითონ იყოს მოშლილი. უკვდავ მდგომარეობისკენ ასეთი გადასვლა სულიერი ევოლუციით მიიღწევა. იმის ანალოგიურად, როგორც მინერალები მცენარეებად იქცა, მცენარეებმა კი თავის მხრივ სულიერი არსებების სიცოცხლე გამოიწვიეს, როგორც ცხოველებმა ადამიანის დონემდე განიცადეს ევოლუცია, ადამიანიც ასევე უნდა ვითარდებოდეს და ღმერთი გახდეს.

გათავისუფლება (*მუკთი*) სუფთა, დაუნაღვლებელი აბსოლუტური ნეტარების განცდის მიღწევაა. არიან უმეცარი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გათავისუფლება მიიღწევა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ან რომელიმე მომავალ ცხოვრებაში. მსგავსი გაუბრალოებული შეხედულება *მუკთის* ბუნების უხეში გაუგებრობით აიხსნება. სინამდვილეში *მუკთი* ნიშნავს მატერიალური ბორკილებისგან გათავისუფლებას და მჟღავნდება როგორც აღმასვლა დაბალი მდგომარეობიდან უმაღლესისკენ. *მუკთი* მოდის როგორც შედეგი ტრანსცენდენტალური ევოლუციისა, რომლის საშუალებითაც ადამიანი ღვთაებრივი ხდება. დედა საკვებს გთავაზობთ და შიმშილის ტანჯვებისგან გიცავთ, ექიმი წამლის დახმარებით მტანჯველი ავადმყოფობისგან „გათავისუფლებთ“. მაგრამ ეს არ არის ჭეშმარიტი გათავისუფლების მაგალითები. საკვებიც და წამლებიც მხოლოდ ნახევარზომებია, რომლებიც ტანჯვებს მოკლე დროით გაცილებთ. ჭეშმარიტი გათავისუფლება მაშინ დგება, როდესაც თქვენ ყოვლისშემძლეს შეერწყმებით და აბსოლუტურ ნეტარებას შეიგრძნობთ.

ნუთუ შესაძლებელია ჭიანჭველების ბუდეში მოყუჩებული გველის მოკვლა, თუ მას ჯოხით ვურტყამთ? დაიკარგება კი ადამიანის მანკიერი მიდრეკილებები, თუ მის სხეულს დავსჯით? და შეუძლია კი ადამიანს თავისი ჭეშმარიტი „მე“ გააცნობიეროს, თუ უბრალოდ საჭმელ-სასმელზე უარს იტყვის? და როგორ უნდა შეიგნოთ სწავლება ჭეშმარიტ „მე“-ზე, თუ ჯერ თქვენივე თავი არ შეგიცნიათ? ამიტომ ჯერ ეცადეთ გააცნობიეროთ, ვინ ხართ. უნდა გაარკვიოთ, საიდან მოხვედით და საით მიდიხართ. თუ წერილის გაგზავნა გადაწყვიტეთ, კონვერტზე წერთ უკან მოსაბრუნებელ მისამართს და მიმღების მისამართს და მხოლოდ ამის შემდეგ აგდებთ საფოსტო ყუთში. ხოლო თუ კონვერტზე არავითარი მისამართი არ აღმოჩნდება, ალბათ ფოსტაში წერილს ნაგვის კალათში გაგზავნიან. თქვენი ცხოვრებაც

საფოსტო კონვერტს ჰგავს, და უნდა იცოდეთ იმისი სახელი, ვინც ის გაგზავნა, და ასევე იმისი სახელიც, ვისაც ის განეკუთვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს ცხოვრებას ამ სამყაროს ნაგვის კალათში დაკარგვა ემუქრება.

ამრიგად, უნდა იცოდეთ, საიდან მოხვედით, ვინ ხართ და სად მიდიხართ. სხვა სიტყვებით, საჭიროა გაიგოთ თქვენი ღვთაებრივი წარსული, თქვენი ღვთაებრივი ბუნება და თქვენი ღვთაებრივი დანიშნულება. ძალისხმევა უნდა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ სულიერ ზეცაში დაბრუნდეთ, ანუ იქ, საიდნაც მოხვედით. თქვენ კი მოხვედით უმაღლესი სულიდან, *ატმანიდან*, არსით *ატმანი* ხართ, და *ატმანთან* თქვენი იგივეობა უნდა გააცნობიეროთ. მაშ მიუძღვენით მთელი თქვენი უნარი უმაღლესი ჭეშმარიტების გაცნობიერებას, ჭეშმარიტებისა საკუთარი ღვთაებრიობის შესახებ.

ადამიანმა უნდა გაიგოს, რომ ოჯახთან და მეგობრებთან მისი ურთიერთდამოკიდებულებანი, როგორც ყველა ამქვეყნიური მიბმულობები, პირველ რიგში ფიზიკურ სხეულზეა დამყარებული. ქმარი და ცოლი ერთმანეთისთვის ქორწინების მომენტამდე უცხონი არიან. ცოლქმრული დამოკიდებულებები ქორწილამდე არ არის. ამის მსგავსად, მანამდე, სანამ ბავშვი არ დაიბადება, ლაპარაკიც კი ზედმეტია შვილის მიმართ სიყვარულზე, რომელიც ბავშვს დედასთან აკავშირებს. დედას და ბავშვს შორის ურთიერთდამოკიდებულებები მხოლოდ მისი დაბადების შემდეგ ჩნდება. ყველა ამქვეყნიური კავშირი ეფემერულია. *ატმანმა*, რასაც სინამდვილეში თქვენ წარმოადგენთ, არ იცის არც მშობლები, არც სხვა ნათესავები. იმ ჭეშმარიტების გასაცნობიერებლად, რომ *ატმანი* ხართ, სულიერი ცოდნა – *ადჰიათმიკა-ვიდია* - უნდა შეიძინოთ.

ეჭვგარეშეა, რომ საერო განათლება აუცილებელია იმისათვის, რომ არსებობა შეინარჩუნოთ. მაგრამ თუ გსურთ თქვენი ცხოვრებისეული დანიშნულება შეასრულოთ, მაშინ სულიერ ცოდნას უნდა დაეუფლოთ. სულიერი ცოდნა უსაზღვრო ოკეანეს ედრება, მაშინ როცა საერო ცოდნის სფეროები მდინარეებს ჰგავს, რომლებიც ბოლო ჯამში მასში ჩაედინება და მასში ზავდება. სულიერება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ჰარმონიულად გააერთიანოს თავისი სულის მოწყვეტილი ელემენტები და მისთვის შინაგანად დამახასიათებელი ღვთაებრიობის მთლიან განცდად აქციოს. საერო ცოდნა კი, პირიქით, ადამიანური თვისებების დეგრადაციას და პიროვნების დამსხვრევას იწვევს.

და აი პატარა მაგალითი. ათი სტუდენტი მედიცინის სხვადასხვა სფეროებში სპეციალიზდება. ერთ-ერთი მათგანი ხდება ოფტოლმოლოგი, მეორე – კარდიოლოგი, მესამე – კბილის ექიმი და ა.შ. ამგვარად, ისინი სხვადასხვა სპეციალობებს იძენენ. ყოველი მათგანი თავის სფეროში ისეთი მცოდნე ხდება, რომ უკვე არ შეუძლია პაციენტი აღიქვას როგორც ჰარმონიული, მთლიანი პიროვნება და უუნარო ხდება მისი საერთო მდგომარეობა გააუმჯობესოს. ყოველი სპეციალისტი ატარებს ოპერაციას, რომელიც პაციენტს შესაძლებლობას აძლევს მხოლოდ იმ ავადმყოფობებს დააღწიოს თავი, რომლებიც ექიმის შეზღუდული ცოდნის ჩარჩოებში ხვდება. ამიტომ ავადმყოფის სრული გამოჯანმრთელება ვიწრო სპეციალიტებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. ასე რომ მთელი მათი სპეციალიზაცია საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევ საშუალებას წარმოადგენს და მეტი არაფერს. ადამიანის სხეულის „დანაწევრება“ მედიცინაში უმცირესობის ანგარებითი ინტერესებისთვის გამოიყენება.

ჩვენ უნდა ის ღვთაებრივი მაკროკოსმოსური პრინციპი გავაცნობიეროთ, რომელიც სამყაროში ყველა მიკროკოსმოსურ არსებებს ხელმძღვანელობს და აკონტროლებს. თუ რაღაც საკერავი ნაწარმი მთლიანად გაარჩიეთ, შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს, მაგალითად, ცხვირსახოცია. მაგრამ თუ მხედველობისთვის ქსოვილის მხოლოდ პატარა ნაწილია ხელმისაწვდომი, მაშინ როგორ უნდა მიხვდეთ და გაიგოთ, რომ ეს ცხვირსახოცია? ტენდენცია სპეციალიზაციაზე, რომელიც თანამედროვე განათლებაში ჭარბობს, თვით ადამიანის სულის „ატომიზაციას“ იწვევს.

„რისთვის უნდა სწავლობდეთ და გონებას უსარგებლო ცოდნით ტვირთავდეთ? თქვენ ხომ ისე მოკვდებით, რომ უმეცრები დარჩებით და კვლავ და კვლავ დაიბადებით. ჯობია ისეთი ცოდნა შეიძინოთ, რომელიც უკვდავად გაქცევთ“, - თქვა პოეტმა ვემანამ. საერო მეცნიერებებში თქვენ შეიძლება საუცხოოდ განათლებულნი იყოთ, მაგრამ საკუთარი ჭეშმარიტი „მე“-ს ცოდნის გარეშე კვლავ უმეცრები დარჩებით. ადამიანი გარე სამყაროში ძებნით არის დაკავებული, მაგრამ იქ თავის ჭეშმარიტ არსს ვერ პოულობს, იმ ინდივიდის მსგავსად, რომელიც ოთახში დაკარგულ ნივთს ეძებს, მაგრამ თავისი თავის დანახვის უნარი არ აქვს. ეძებეთ თქვენ შიგნით, გააცნობიერეთ თქვენი ჭეშმარიტი „მე“, რომელიც იქ ბინადრობს, და ღვთაებრიობის ნეტარება განიცადეთ.

ნეტარებაც, *ანანდა*, ღვთაებრივი ჯილდოა, *ვიბჰუტია*, აი რატომ ამბობენ: „ბედნიერება ღმერთთან კავშირია“. ნეტარება თქვენი

ჭეშმარიტი ბუნებაა. შეიცანით იგი და მუდამ ბედნიერნი იყავით. ბნელი გონება ბოროტების და შურის გარდა არაფერს და არავის შეიკედლებს. ღვთაებრიობას არ შეუძლია ასეთ ბიწიერ გონებებში ბინადრობდეს. ხალისიანობა სულიერების პირველი ნიშანია. ამიტომ მუდამ ეცადეთ იყოთ ბედნიერნი. განიცადეთ დაკმაყოფილების გრძნობა, სიხარულით იცხოვრეთ. ასეთი ხერხით თქვენს თავს ღვთაებრიობის განცდისთვის მოამზადებთ, რაც უმაღლეს ნეტარებას წარმოადგენს.

ხმა, *შაბდა*, ასევე ღვთაებრივი ჯილდოა, *ვიბჰუტია*. ღვთაებრიობას აღწერენ როგორც *შაბდა-ბრაჰმა-მაიის*, ანუ როგორც იმას, რაც განუყოფლად ხმაში იმყოფება. გამოიყენეთ თქვენი მეტყველების ნიჭი ისე, რომ იგი თქვენს ღვთაებრივ ბუნებას შეესაბამებოდეს. ილაპარაკეთ თავაზიანად და რბილად. ნებას ნუ მისცემთ ენას ცოდვიან მითქმა-მოთქმაში ჩაებას, ნუ შეურაცხყოფთ სხვებს, ნუ დაუშვებთ, რომ ღმერთის მიერ თქვენთვის მოცემული მეტყველების ნიჭი საზიანოდ გამოიყენებოდეს.

სიყვარულის განხორციელებანო, სტუდენტებო! თქვენ აქ უკვე თვეა რაც ხართ და ინდური კულტურის და სულიერების მაღალ იდეალებს ითვისებთ. იმედი მაქვს, რომ თქვენში შეინახავთ მათ, და თქვენი ცხოვრება მოძმეთათვის ყველგან მაგალითი გახდება. განათლების (*ვიდიას*) მეშვეობით თვინიერებას (*ვინაიას*) შეიძენთ. თვინიერება თქვენში საკუთარი ღირსების გრძნობას განავითარებს, მისი დახმარებით კი კეთილდღეობას მიაღწევთ. თქვენი დაგროვილი თანხა მართლქმედების (*დჰარმის*) დასაცავად უნდა გამოიყენოთ. ამას კი ადამიანი მატერიალურ აყვავებამდე და სულიერ ამაღლებამდე მიჰყავს.

სტუდენტებო! თანამედროვე განათლება, საუბედუროდ, ახალგაზრდობას სამშობლოს მსახურებისთვის გამოუსადეგარს ხდის. იგი უბრალოდ უსარგებლო დიპლომებს არიგებს, რომლებიც მხოლოდ იმისთვის არის გამოსადეგი, რომ შრომის ბაზარზე ფიალით ხელში იდგე და მოწყალებას ითხოვდე. ეცადეთ სულიერი ცოდნა შეიძინოთ, და ამით თქვენს არსებობას აზრით შეავსებთ.

ნუ დაგავიწყდებათ თქვენი დიადი და უძველესი მემკვიდრეობის შესახებ და პატივი ეცით მშობლებს, რადგან ისინი ღმერთის განხორციელებები არიან, დედ-მამა თქვენთვის ღმერთს წარმოადგენს. ნუ მიაყენებთ ტკივილს, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი შვილებიც აუცილებლად დაგტანჯავენ, რადგან ამქვეყნად აბსოლუტურად ყველაფერი რეაქციას და არეკვლას იწვევს. გიყვარდეთ მშობლები და ერთგულად ემსახურეთ მათ: არა მხოლოდ იმ მსხვერპლთა გამო,

რომლებიც მათ თქვენთვის გაიღეს, არამედ თქვენი მომავალი კეთილდღეობის გამოც. იყავით კეთილნი, აკეთეთ სიკეთე და დაინახეთ სიკეთე – სწორედ ეს გზა მიგიყვანთ ღმერთთან!

თავი 31
„სატიამ ვადა, დჰარმამ ჩარა“

(სიმართლე ილაპარაკე, სამართლიანად მოიქეცი)

ხეები ყოველ ადამიანს აძლევენ თავშესაფარს მიუხედავად მათი კასტის და მრწამსისა, და ამასთან ხაზს უსვამენ, რომ ყველა ისინი თანასწორნი არიან. მცენარეები გვასწავლიან მეტისმეტად არ მივებათ ჩვენს სხეულებს, ფრინველები კი, რომლებიც იმ საკვებით არიან კმაყოფილნი, რომელსაც ეს დღე აძლევთ მათ, გვკარნახობენ, რომ ხვალინდელ დღეზე მეტისმეტად არ უნდა ვწუხდეთ. ფრინველები თავისი სიკვდილითაც კი გვასწავლიან და წუთისოფლის წარმავლობას დემონსტრირებენ.

დედა-ბუნება დაჟინებით გვარწმუნებს საკუთარ თავზე და საკუთარ მიწიერ ქონებაზე მიბმულობა მოვიცილოთ. ჭეშმარიტად ბუნება ის სკოლაა, რომელშიაც ადამიანს, შეითვისა რა ცოდნა უდიდესი *სადგურუსაგან* – ღმერთისგან, უნარი აქვს ღვთაებრივ სიბრძნეს მიაღწიოს.

სიყვარულის განხორციელებანო, სტუდენტებო!

ეკონომიური და სოციალური განვითარების პროგრამები ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას იწვევს და, რა თქმა უნდა, საჭიროა ამქვეყნად. თუმცა ადამიანში სულიერი კეთილდღეობის მიღწევისთვის და ღვთაებრივის აყვავებისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მის ხასიათს და ზნეობრივ საფუძვლებს აქვს. სულიერება ყოველი ადამიანის სასიცოცხლო სუნთქვაა. ინდური კულტურა სულიერებასა და ზნეობრივ ღირებულებებზეა დამყარებული. და ჩვენი უპირველესი ვალია ჩვენი უძველესი კულტურის და მისი ბრძნული ტრადიციების უდიდესი მნიშვნელობა გავაცნობიეროთ და ისინი თანამედროვეობის საჭიროებებს შევუთავსოთ. ინდურმა კულტურამ და ტრადიციებმა დროის გამოცდებს გაუძლო. საუკუნეების

განმავლობაში ხოტბაშესხმულ ამ ტრადიციებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრი სიხარული მოაქვს.

განათლების სისტემას, რომელიც სულიერების მაღალ იდეალებს და ჩვენს უძველეს კულტურას მხედველობაში არ იღებს, სინამდვილეში არ შეუძლია საზოგადოებაში ჰარმონია შეიტანოს. დღეს იმის მოწმენი ვართ, რომ თანამედროვე განათლებაში სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების შესამჩნევი დეფიციტი საზოგადოებრივ არეულობებს და ადამიანური პიროვნების დეგრადაციას იწვევს. თანამედროვე ადამიანმა სრულყო მეცნიერება და ტექნიკა, მაგრამ სწორედ მათ აქციეს იგი მამონას[48] მსახურად. ადამიანებს ბირთვული ენერგიის დაუფლებაში მიღწეული წარმატებები უხარიათ, ამასთან მორალის სულ მცირე დონით კმაყოფილდებიან.

კულტურა საზოგადოების სასიცოცხლო ძალაა, იგი ქვეყნის მთავარი ღერძია. ჩვენი კულტურის სიწმინდის მტკიცებას წარსულის ბრძენები, *რიშები* წარმოადგენენ, რომლებმაც ეგოიზმისგან გათავისუფლებას მიაღწიეს და წუთისოფლის სურვილებზე მაღლა ავიდნენ და საზოგადოება თავიანთი სულიერების ბრწყინვალებით გააშუქეს. ჩვენი ქვეყნის კულტურა გვკარნახობს ქცევის ნორმებს, რომლებიც ყველაზე მეტად პატივისცემას მაშინ იწვევს, როდესაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაშია განხორციელებული.

მასწავლებელს (*გურუს*) და მოსწავლეს (*შიშიას*) შორის წმინდა დამოკიდებულებებმა ბჰარატას ქვეყანაში ისეთ იდეალს მიაღწია, როგორიც არცერთ სახვა ქვეყანაში არ არის. მზრუნველობით დაცული ტრადიციის სახით ეს დამოკიდებულებები ჩვენამდე საუკუნეთა სიღრმიდან მოვიდა. როდესაც მოსწავლეები (*შიშიები*) *გურუკულას* (სკოლას, სადაც მოსწავლეები *გურუსთან* ერთად ცხოვრობენ, მას მსახურებენ და მისგან სწავლობენ) ტოვებდნენ და სახლში წასასვლელად ემზადებოდნენ, მასწავლებელი მათ ეუბნებოდა სიტყვებს, რომლებიც ღრმა აზრით იყო გაჯერებული: „თაყვანი ეცით დედას და მამას როგორც ღმერთს, თაყვანი ეცით მასწავლებელს როგორც ღმერთს, თაყვანი ეცით სტუმარს როგორც ღმერთს („*მატრუ დევო ბჰავა, პიტრუ დევო ბჰავა, აჩარია დევო ბჰავა, ათჰითჰი დევო ბჰავა*“).

„სიმართლე ილაპარაკეთ და მართლქმედით კანონს მიჰყევით“ („*სატიამ ვადა, დჰარმამ ჩარა*“). ეს არის ასევე უმნიშვნელოვანესი

[48] მამონა (ბერძ. *მამონას* – სიმდიდრე) – ბოროტი სული, რომელიც ვერცხლისმოყვარეობას და მომხვეჭელობას ასახიერებს; მუცელი, ფაშვი როგორც სიხარბის, ღორმუცლობის, მომხვეჭელობის სიმბოლო.

აფორიზმებიდან ერთ-ერთი, რომლებიც ინდოეთის ძველ *გურუთა* მიერაა ფორმულირებული. იგი *სატიას* და *დჰარმის* მნიშვნელობას უსვამს ხაზს. *სატია* არის მარადი, აბსოლუტური და უცვლელი ჭეშმარიტება. სიტყვა „*დჰარმა*“ ხშირად ითარგმნება როგორც „მართლქმედება“, მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობა განუზომლად უფრო ღრმაა. *დჰარმა* არის სიტყვა, რომელიც უზარმაზარი ძალითაა აღვსილი, იგი მთელ ფილოსოფიას შეიცავს მოკლე ფორმით; ეს არის ცხოვრების სახე, ინდური ეთიკის კვინტესენცია. ხოლო მოსწავლე (*შიშია*) არის ის, ვინც დაუღალავი სულიერი *სადჰანას* დახმარებით შეძლო „*სატიას*“ და „*დჰარმის*“ აზრის დაჭერა. *სატია* და *დჰარმა* თავის თავში აერთიანებს ქცევის წესებს და ღირებულებათა სკალას, რომლებიც ინდოეთის უკვდავ საღმრთო წერილებშია გადმოცემული.

თუ გსურთ ბრინჯის მოსავალი მოიწიოთ, მაშინ იძულებული იქნებით ბევრ რამეზე იზრუნოთ. მიწა უნდა მოხნათ და სასუქი და ნაკელი დააყაროთ მას. თესლი კარგი უნდა იხმაროთ. ყანა უნდა შემოღობოთ, რომ ნაზარდი ადამიანებისგან და საქონლისგან დაიცვათ. ამას გარდა, დროდადრო მიწა უნდა გამარგლოთ და კარგად მორწყათ. ბრინჯი რომ გამოზარდოთ, ყველა ეს მოქმედება უნდა შეასრულოთ. ხოლო ბალახი რომ გაიზარდოს, ამისათვის არავითარი განსაკუთრებული ძალისხმევა საჭირო არ არის. მავნე სარეველა თავისით იზრდება. ასევე არამართლქმედებაც (*ადჰარმა*) იზრდება ყველგან და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, როგორც ბოროტი სარეველა. ამიტომაც ვართ იძულებულნი ასე სათუთად ვადევნებდეთ თვალს მართლქმედების (*დჰარმის*) ნაზ ნაზარდს და იმაზე ვზრუნავდეთ, რომ იგი ცოდვიანობის (*ადჰარმის*) გარეულ და შხამიან სარეველაში გადარჩეს.

დჰარმის დამყარებისა და დაცვისთვის განსაკუთრებული სულიერი *სადჰანა* და კონცენტრირებული ძალისხმევაა აუცილებელი. ჩვენს თავს მუდამ უნდა ვახსენებდეთ წმინდა ჭეშმარიტებას: „*დჰარმო რაქშატი რაქშიტაჰ*“ (*დჰარმა* იმას იცავს, ვინც *დჰარმას* იცავს). მაგრამ ასევე უნდა გვახსოვდეს მტკიცება იმის შესახებ, რომ *დჰარმა* იმას სპობს, ვინც *დჰარმის* მოსპობას ცდილობს („*დჰარმა ევა ჰატოჰანტი*“). ამრიგად, *დჰარმა* არა მხოლოდ რაღაც მეტაფიზიკური გაგებაა, არამედ მძლავრი ზნეობრივი ძალაცაა, რომლის უარყოფაც არ გვმართებს. ვინც *დჰარმის* გზიდან გადადის, ეს შემდგომში მას ძვირად დაუჯდება.

„*დჰარაიატეტი დჰარმაჰა*“ (*დჰარმა* სამყაროს იცავს). *დჰარმა* უცვლელი და მარადიულია. ჩვენ ვამბობთ, რომ მზე ამოდის და ჩადის, და დღე და ღამე ერთმანეთს ენაცვლება. მაგრამ სინამდვილეში მზე

არც ამოდის და არც ჩადის, იგი უცვლელად მარად ნათებაში იმყოფება. ამის მსგავსად *დჰარმაც* მარადიული, უცვლელი და მოუშლელია. ბჰაგავად გიტას *შლოკაში „იადა იადაჰი დჰარმასია გლანირ ბჰავატი ბჰარატა...“*[49] სიტყვა *„გლანი“ დჰარმასთან* დამოკიდებულებაში გამოიყენება და ნიშნავს „გამოფიტვას“, „გაბლაგვებას“, „დაცემას“. სინამდვილეში *დჰარმა* დაცემას, ანუ *გლანის* არსოდეს განიცდის. დაცემას მხოლოდ *დჰარმის* პრაქტიკა შეიძლება განიცდიდეს. და ბჰაგავანი დედამიწაზე სწორედ *დჰარმის* პრაქტიკის აღორძნებისთვის ხორციელდება როგორც *ავატარი*, და არა მისი დაცვისთვის, რადგან *დჰარმა* მარადი და აბსოლუტურია. მხოლოდ *დჰარმის* პრაქტიკა საჭიროებს აღორძინებას.

რამაიანა აცხადებს: *„რამო ვიგრაჰავან დჰარმაჰ“* (რამა *დჰარმის* განხორციელებაა). ვინაიდან *დჰარმას* თვით ღმერთი წარმოადგენს, ამიტომ მისი უარყოფა იგივეა, რაც ღმერთის უარყოფა. ხშირად ღმერთს სურათის ან ფიგურის სახით ვცემთ თაყვანს. ზოგიერთებს კი შეუძლიათ თაყვანი სცენ ხეს როგორც ღმერთს. თუმცა ათეისტებს, აგნოსტიკებს, რაციონალისტებსა და ჰუმანისტებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც თვით *დჰარმას* სცემენ თაყვანს, და მათთვის იგი ღმერთს წარმოადგენს. მსგავსი ადამიანები არ უნდა ჩაითვალონ ნამდვილ ათეისტებად, რადგან მათი გარეგნული ათეიზმი სინამდვილეში არის შენიღბული თეიზმი – ღმერთის რწმენა. მათი ღმერთი არის *დჰარმა*, და ისინი *დჰარმას* თაყვანს სცემენ როგორც ღმერთს, მაგრამ ღმერთი ხომ ფაქტიურად სწორედ *დჰარმის* განხორციელებას წარმოადგენს. ასე რომ *დჰარმის* მსგავსი გაღმერთება თავისთავად თეიზმი აღმოჩნდება. სხვა მხრივ, არსებობს მრავალი ადამიანი, რომლებიც ღმერთს ლოცულობენ, მაგრამ *დჰარმის* პრაქტიკას უარყოფენ. ასეთი ადამიანები სინამდვილეში არ არიან ღვთისმოშიში თეისტები.

მსოფლიოში მრავალი ადამიანი ღიად აცხადებს, რომ იგი თეისტი, *იოგი*, ღმერთის ერთგული თაყვანისმცემელი ან ასკეტია. მაგრამ მათ შორის სინამდვილეში ბევრმა გააცნობიერა ის ჭეშმარიტება, რომ მართლქმედება (*დჰარმა*) ღვთაებრიობის თვით არსს შეიცავს? ღვთისმოსავ ადამიანთა უდიდესი რაოდენობა სალოცავებში მიემართება. მომლოცველები წმინდა ადგილებს სტუმრობენ და წმინდა მდინარეებში განბანებს ასრულებენ. მაგრამ თუ ამასთან ადამიანის ხასიათი უკეთესი არ ხდება, მაშინ მომლოცველობა უაზრო. იმის

[49] თავი მე-4, ლექსი 7. „ყოველთვის, როდესაც სუსტდება *დჰარმა* (და უკანონობა მძლავრობს), მე ჩემივე თავს ვამჟღავნებ, ო, ბჰარატას შთამომავალო“.

ნაცვლად, რომ წმინდა ადგილების ნახვისას დრო და ფული ხარჯონ, ადამიანებმა უნდა გონება გაწმინდონ და მათში დაფარული ღვთაებრიობა გააცნობიერონ. ახალგაზრდობას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ფიზიკური ძალა, ფული და დიდება სამუდამო არ არის. ხასიათის ძალა ფულის ძალაზე მაღლაა; ფული ამქვეყნად ყველაზე უფრო ეფემერული საგანია.

ბრძენმა ვიშვამიტრამ ასკეტური გმირობები გამოიჩინა და უზარმაზარი ძალები შეიძინა. ამ ძალებით დაბრმავებულმა დიდი ბრძენი ვასიშთჰა ბრძოლაში გამოიწვია და დამამცირებელი დამარცხება განიცადა. კაურავებმა, რომლებიც თავისი ძალით და სიმდიდრით უკიდურესად ამაყნი იყვნენ, ღვთისმოსავ პანდავებთან ომი გააჩაღეს, მაგრამ მთლიანად განადგურებულ იქნენ. კაურავების დინასტიის მმართველობა სამარცხვინოდ დასრულდა, რადგან ისინი არამართლქმედების (*ადჰარმის*) გზით მიდიოდნენ და ღვთისმოსავი პანდავების წინააღმდეგ ბრძოლობდნენ. დემონმა რავანამაც ასკეზას საშუალებით სასწაულებრივი ძალები შეიძინა, თუმცა უზნეო ტირანად იქცა და ბოლოს და ბოლოს თავისი თავი თვითონვე მოსპო. პოემები რამაიანა, მაჰაბჰარატა და ბჰაგავატა შეიცავს თხრობებს დიად გმირებზე, რომლებიც უზნეო ქცევისა და არამართლქმედითი ცხოვრების გამო ტრაგიკულ გარემოებებში დაიღუპნენ.

აი რატომ უნდა შეითვისოს ყოველმა ადამიანმა *დჰარმის* მნიშვნელობა და მისი გზით იაროს. ახალგაზრდობაში ადამიანმა, როდესაც იგი ფიზიკურად ჯანმრთელი და გონებრივად ძლიერია, თავის თავში ექვსი მანკიერება უნდა დაამარცხოს: ჟინი (*კამა*), მრისხანება (*კროდჰა*), სიხარბე (*ლობჰა*), მიბმულობა (*მოჰა*), სიამაყე (*მადა*) და შური (*მათსარია*). გარდა ამისა, ახალგაზრდა ადამიანი თავის თავში დარწმუნებულობას უნდა დაეუფლოს. რწმენა სიყვარულს ქმნის, სიყვარული მოთმინებას და თანაგრძნობას ქმნის, ღმერთი კი თავის თავს იმას უმჟღავნებს, ვისშიაც მოთმინება და თანაგრძნობაა. ამრიგად, რწმენა თავის თავში უაღრესად მნიშვნელოვანია. მოსწავლეები სიყვარულით და თანაგრძნობით უნდა აღივსონ და ამით მაღალ ზნეობრივ და სულიერ ძალას დაეუფლონ.

დჰარმის იდეალმა სტუდენტები იმ მოღვაწეობისთვის უნდა შთააგონოს, რომელიც საზოგადოების მსახურებისკენ არის მიმართული. ისინი თანამედროვე მსოფლიოში *დჰარმის* მაუწყებლები უნდა გახდნენ. სტუდენტებს საზოგადოებაში მღელვარებების და წესრიგის აღდგენა მოელით, რაც *დჰარმის* მოთხოვნებს პასუხობს. ხელახალი ზნეობრივი აღჭურვის ამ გრანდიოზულ პროგრამას უნდა

ეპყრობოდნენ როგორც წმინდა მსხვერპლის შეწირვას, *იაჯნას.* და ეს ბოროტების და უსამართლობის წინააღმდეგ ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა იქნება.

აქ შეკრებილი ახალგაზრდა სტუდენტები იმ ავტომობილებს მაგონებენ, რომლებიც საგზაო შემთხვევებშია დაზიანებული. ამ თვის განმავლობაში ისინი სათანადოდ გაარემონტეს, სათანადო სათადარიგო ნაწილები შეურჩიეს, და ხელახლა გადაღებეს. კეთილშობილი იდეალებით და წმინდა იდეებით შთაგონებულნი მალე ისინი სახლში დაბრუნდებიან. შემდგომში მთელ თავის მოღვაწეობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ დევიზით: „ერთგულება, ვალდებულება, დისციპლინა“.

ადამიანის თვალში კატარაქტა გარედან არ ჩნდება. იგი შიგნიდან იზრდება. აალებული მუგუზალი ან გავარვარებული ნახშირი ცხელი ნაცრის ფენით იფარება. ნაცრის ეს ფენა გარედან არ მოდის, იგი დამწვარი ხის მერქნის ადგილას ჩნდება. ხავსი ტბაში იზრდება და მის ზედაპირს ეკიდება. მზე ტბის წყალს ათბობს და ორთქლად აქცევს, რომელიც ცაში ადის და ღრუბლებს ქმნის. მზის მიერ შექმნილი ღრუბლები მზესვე ფარავს. ასევე ადამიანის გონებაში დაბადებული უმეცრებაც მის გარჩევის უნარს ბინდავს, რასაც ტანჯვები მოაქვს. კატარაქთა ქირურგიული ოპერაციის გზით უნდა მოისპოს. სიბრძნე კი ქირურგიული ინსტრუმენტია, რომელიც უმეცრების ავთვისებიან ნაზარდს ამოჭრის. სწორედ სიბრძნის იარაღი აძლევს სულიერ მაძიებელს შესაძლებლობას უმეცრება დაამარცხოს და გაბრწყინებას მიაღწიოს. სულიერი გაბრწყინების მიღწევა სიბრძნის შეძენის საშუალებით ცნობილია როგორც *ჯიბჰაგა-იოგა.* მის წარმატებას ხელს უწყობს მუდმივი პრაქტიკა და რიტუალური წესების შესრულება. სტუდენტებს, შესაძლოა ძალა არ ყოფნით ჩვენი საღმრთო წერილების რთული რიტუალები შეასრულონ, თუმცა ისინი უნდა ეცადონ გიტას ზოგიერთი უკვდავი დარიგება ცხოვრებაში დანერგონ.

ეგოიზმი ჰაერით შევსილ რეზინის ბურთს ჰგავს. როგორც კი ბურთს ვუჩხვლეტთ, შიგნით მყოფი ჰაერი გარეთ მყოფ ჰაერს შეერევა. როდესაც ეგო მცირდება და ბრტყელდება, მის ადგილს ალტრუისტული სიყვარული იკავებს. გიყვარდეთ ყველა, განავითარეთ უნივერსალური თანაგრძნობა. თქვენი თავის სიყვარული ღვთაებრივ სიყვარულში უნდა გადაიზარდოს, რომელიც სიყვარულის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს. როგორც ჭეშმარიტების უდაბლესი დონიდან უმაღლეს დონემდე ავდივართ, ასევე უნდა ავიდეთ სიყვარულის

უდაბლესი დონიდან მის უმაღლეს დონემდე. ღვთაებრიობას მხოლოდ ალტრუისტული სიყვარულის გზით შეგიძლიათ მიაღწიოთ.

დახმარება, რომელიც ჩვენ ვინმეს აღმოვუჩინეთ, ისევე როგორც მავნებლობა, რომელიც ჩვენ მიმართ ვინმემ ჩაიდინა, მთლიანად უნდა დავივიწყოთ. ნუ ფიქრობთ თქვენს მისამართით ჩადენილ მავნებლობაზე, და ნუ ელოდებით თქვენ მიერ შესრულებული მსახურებისთვის აღიარებას ან დაჯილდოებას. თუ თქვენი საქციელისგან კარგი შედეგების იმედი გაქვთ, მაშინ ასევე საწინააღმდეგოსთვისაც უნდა იყოთ მზად.

თიხაც და წყალიც ღმერთის მიერაა შექმნილი, მექოთნე კი ერთსაც და მეორესაც იყენებს, რომ დოქები გამოძერწოს. თქვენ ღვთაებრივი წყაროდან ხართ წარმოქმნილნი, თქვენი პიროვნება (ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სულიერი თვისებების ერთობლიობა) დედ-მამისგან გაქვთ მემკვიდრეობით მიღებული. ისინი არიან პასუხისმგებლები თქვენს დაბადებაზე და აღზრდაზე, ამიტომ პატივი ეცით მათ, ეცადეთ ბედნიერები გახადოთ და უმერყეოდ შეასრულეთ მათი სურვილები. მათ უყვარხართ ცხოვრებაში თქვენი წარმატებების და წარუმატებლობების მიუხედავად, უყვარხართ თქვენი შეცდომების და სისუსტეების მიუხედავად. მშობლიური სიყვარული სიყვარულის ყველაზე უფრო სუფთა და უანგარო ფორმაა. სიყვარულში, რომელსაც მშობლები თავისი შვილებისთვის არ იშურებენ, ნამდვილი სისუფთავე და სიწმინდეა.

სტუდენტებმა წყალში მყოფი თევზისგან უნდა აიღონ მაგალითი, თევზი ხომ წყალს ასუფთავებს, ყველა უსუფთაობას სპობს მასში. ისინი საზოგადოების აქტიური წევრები უნდა გახდნენ, არ უნდა გაურბოდნენ საზოგადოებრივ ან სამოქალაქო ვალდებულებებს; ისინი თავისი მშობლიური ქვეყნის შეგნებული მოქალაქეები უნდა გახდნენ. მათ უნდა საზოგადოება ყველა მანკიერებისგან გაწმინდონ და ახალი საზოგადოებრივი წყობილების შემქმნელებად გახადონ თავი.

ყველა ღირსეულ წამოწყებაში ახალგაზრდები ერთმანეთში უნდა გაერთიანდნენ. ისეთი ორგანიზაციები უნდა შექმნან, რომლებიც საზოგადოებრივი სამართლიანობის გამაგრებას შეუწყობს ხელს. გასული ოცდაათი დღის განმავლობაში თქვენ ერთად ცხოვრობდით და სოციალური მსახურების პროგრამებში მონაწილეობას იღებდით. ახალგაზრდების მსგავსი შეხვედრების დანიშნულებაა მონაწილეთა პირადი კონტაქტები გაამყაროს, ასევე პერიოდულად განაახლოს. ჩვენი შეკრება მსმენელთა რაღაც შემთხვევითი თავმოყრა არ არის. ის უფლება, რომ აქ აღმოჩენილიყავით, თქვენს გასულ ცხოვრებებში

მიღებული დამსახურებების შედეგად მოიპოვეთ. ის, რომ აქ შეიკრიბეთ, რომ ამ საზაფხულო კურსების მსმენელები გამხდარიყავით, უდიდესი წარმატებაა თქვენთვის. მე აღვსილი ვარ იმ იმედით, რომ პრაქტიკაში დანერგავთ ზოგიერთს მაინც იმ იდეალებიდან, რომლებიც თქვენ აქ გადმოგცეს, მე თქვენ ყველას მატერიალური და სულიერი აყვავებისთვის გლოცავთ.

გლოსარიუმი

ა

აბალა - „უძლური“, „სუსტი არსება“ - ქალის ეპითეტი; ძალის უკმარისობა.

აბჰიმანა – თავისი თავის პატივისცემა, სიამაყე; განსაკუთრებით - დიდი სიამაყე ან ქედმაღლობა; თავის ფიზიკურ სხეულზე მიბმულობა.

აბჰიმანიუ – (პირდ. „მიბმული“) – მაჰაბჰარატას ერთ-ერთი გმირი, არჯუნას და სუბჰადრას ვაჟი, რომელიც კურუს ველზე ბრძოლაში დაიღუპა.

ადვაიტა - „არაორობითობა“; ერთიანი; ფილოსოფიური სწავლება, რომელიც ვედანტას სკოლის მოაზროვნეების მიერ იქნა დამუშავებული. ამ სწავლების თანახმად ერთადერთ რეალობად აღიარებულია უმაღლესი ღვთაება – *ბრაჰმანი*, რომელიც სამყაროს სულთან და/ან სამყაროს გონთანაა გაიგივებული. ვედანტას სკოლამ წამოაყენა ღმერთის, სულის და ბუნების იდენტურობის, იგივეობის შესახებ თეზისი.

ადვაიტა-დარშანა-ჯნიანა – არაორობითობის ფილოსოფიის ცოდნა.

ადვაიტანანდა – ერთიანობის ნეტარება (გაცნობიერება).

ადჰარა – ჭურჭელი; საცავი; ფუძე; საყრდენი; ის, ვინც მხარში უდგას.

ადჰარმა - „*არა-დჰარმა*“, ყოველივე ის, რაც *დჰარმას* ეწინააღმდეგება; უკანონობა; უზნეობა, დანიშნულებასთან შეუთავსებლობა, უპატიოსნობა; ვალდებულების დარღვევა, გადაცდომა.

ადჰეია – ის, რაც საყრდენზეა, ფუძეზეა, ანუ ის, ვისაც მხარში უდგანან.

ადჰიატმა-ვიდია – სულიერი განათლება, მეცნიერება ადამიანის ჭეშმარიტი „მე“-ს, მასში დაფარული უმაღლესი სულის (*ატმანის*) შესახებ.

ადჰიატმიკა-დჰარმა – სულიერი *დჰარმა*, სულიერი ვალდებულება.

ადჰიატმიკა-ვიდია – სულიერი ციდნა.

ავარანა – ადამიანის გონების თვისება მის მიერ ასახული სინამდვილე დაამახინჯოს; გონების მიერ რეალობის დაფარვა, რომლის მიზეზსაც ადამიანის სხეულთან გაიგივების მცდარი იდეა წარმოადგენს.

ავატარ(ა) - „დაშვება“ ან „ის, ვინც ეშვება“; დედამიწაზე ღვთაების ინკარნაცია, დაშვება, მისი მოკვდავ არსებად განსხეულება რაიმე ფორმაში (ცხოველის ან ადამიანის); ღვთაების გამჟღავნება ადამიანურ ბუნებაში; ღვთაებრივი განსხეულების დედამიწაზე ყოფნის დრო.

ავატარანა – ღვთაებრივი პრინციპის დაშვება.

აიოდჰია - „დაუმარცხებელი“; ძველი დასახელება აუდჰას, კოშალას ქვეყნის დედაქალაქისა, რამას სამშობლოსი (კოშალა თანამედროვე სამხრეთი ბიჰარაა, ინდოეთის ჩრდილოეთი პროვინცია).

აიშვარია – სიდჰების (ღვთაებრივ საგანძურთა, ანუ „ზებუნებრივ“ ძალთა) რვა სახეობიდან ერთ-ერთი; ძალაუფლება ხმაზე, სინათლეზე, მეტყველებაზე, დროებითზე და მუდმივზე, შემოქმედებით ძალაზე, აყვავებაზე; მარადიული ნეტარება.

აკშარა – (პირდ. „ასო **ა**“) – ასო ან ბგერა; წმინდა ბგერა *ომ* (*აუმ*); უმოძრაო; უცვლელი, მოუშლელი; მოუშლელი რეალობა.

აკშარა-ბრაჰმანი - „მოუშლელი *ბრაჰმანი*“; უნივერსალური ღმერთი.

„*აკშარა-პარაბრაჰმა-იოგა*“ - „მოუშლელი პარაბრაჰმანის იოგა“, ბჰაგავად გიტას მე-8 თავის დასახელება.

აკშარა-პარაბრაჰმანი – მოუშლელი ტრანსცენდენტური *ბრაჰმანი.*

აკშარატვა – მოუშლელობის არსი; მოუშლელობის პრინციპი.

ამავასია – ახალი მთვარის დღე.

ანა – საკვები; უხეში ხილული მატერია.

ანანდა – სიხარული; უმაღლესი, ღვთაებრივი სიხარული, ნეტარება, სულიერი ექსტაზი; სიხარულის უსასრულო წყარო.

ანანია-ბჰაქთა – მიზანდასახული, ერთგული თაყვანისმცემელი.

ანანია-ბჰაქთი – ერთი მიმართულების მქონე, უცვლელი და განუხრელი ერთგულება.

ანანია-ჩინტა – უფლის მუდმივი ხსენება; მხოლოდ და მხოლოდ უფალზე მედიტაცია.

ანანტამ – შეუზღუდაობა, უსაზღვროება, უსასრულობა.

ანასუია - „არამოშურნე“; ატრის, დიდი ბრძენის, ბრაჰმას შვიდი ვაჟიდან ერთ-ერთის მეუღლე.

ანასუია – შურის, ბოროტების, ანგარების არქონა.

ანატმან - „არა-*ატმანი*“; ის, რაც *ატმანის*, ადამიანის ჭეშმარიტ „მე“-ს საწინააღმდეგოა, მისი მცდარი „მე“.

ანაჰატა – გულის ცენტრი (ჩაკრა), „12-ფურცლიანი ლოტოსი“.

ანდჰრა პრადეში – შტატი ინდოეთის სამხრეთში.

ანეკაგრატა – მრავალი აზრის ერთდროულად არსებობა.

ანუგრაჰა – წყალობა; ღვთაებრივი წყალობა, ღვთაებრივი კეთილგანწყობილება.

ა-პურუშეია - „უპიროვნო“; ის, რაც კონკრეტულ ადამიანურ პიროვნებას არ ეხება.

არდჰანგი - „სხეულის ნახევარი“; ცოლქმრული წყვილის მეორე ნახევარი, ანუ მეუღლე-კაცი ან მეუღლე-ქალი (*არდჰანგინი*).

არია-დჰარმა - „*არიას* ვალდებულება“; კეთილშობილი მაძიებლის ვალდებულება (*არია* კეთილი და კეთილშობილი ადამიანია, რომლის ცხოვრებისეულ მიზანს სულიერი სრულყოფილების მიღწევა წარმოადგენს; ვედური კულტურის ცივილიზებული მიმდევარი).

არტჰა – სარგებელი, კეთილდღეობა, აგრეთვე აზრი, მიზანი; ინდური საზოგადოების კლასებად (*ვარნაშრამებად*) დაყოფის სისტემაში ოთხი მთავარი მიზნიდან (რომლებიც ადამიანური არსებობის აზრს განსაზღვრავს) ერთ-ერთი – მატერიალური კეთილდღეობა. ამ ტერმინით აღინიშნება ყოველი მოღვაწეობა, რომელიც მატერიალური კეთილდღეობის და სოციალური სტატუსის

ამაღლებისკენაა მიმართული; ასე აღნიშნავენ მორწმუნეთა ოთხი ნაირსახეობიდან (ვინც ღვთაებრიობას პირადი მიზნებისთვის ეძებს) ერთ-ერთს.

არტჰარტჰი - „მცდელი, გულითადად მსწრაფი (რომელიმე პირადი მიზნისაკენ)"; მორწმუნეთა ოთხი ნაირსახეობიდან (ვინც ღვთაებრივს საკუთარი სურვილების განხორციელებისთვის ეძებს: ძალის დაუფლების, სიმდიდრის, აყვავების და ა.შ.) ერთ-ერთი.

არჯუნა - „თეთრი", „სუფთა"; ძმები პანდავებიდან მესამის სახელი, კუნტის და ღმერთ ინდრას ვაჟი; კრიშნას მეგობარი, მოსწავლე და ერთგული თაყვანისმცემელი.

ასტი – სანსკრ. ზმნა „(ის) არის, არსებობს".

ასუიია – ინდური ფილოსოფიის ერთ-ერთი კარდინალური გაგება, რომელიც ვედებით და უპანიშადებითაა დამუშავებული; ვედურ ლიტერატურაში იხმარებოდა როგორც სანსკრ. უკუქცევითი ნაცვალსახელი „თვითონ", „თავისი თავი", შემდგომ – მნიშვნელობაში „სხეული", და ბოლოს (უპირველესად უპანიშადებში), როგორც აღნიშვნა სუბიექტური ფსიქოლოგიური საწყისის, უკვდავი უმაღლესი სულისა, რომელიც *ბრაჰმანის*, აბსოლუტის, ჭეშმარიტი „მე"-ს იგივეობაა.

ატმა-ვიჩარა - „*ატმანის* შეცნება", საკუთარი უმაღლესი „მე"-ს, საკუთარი ღვთაებრივი ბუნების შეცნება, თვითშეცნება.

ატმანანდა - „*ატმანის* ნეტარება", უმაღლესი სულის ნეტარება.

ატმანივედანა – სრულად თავის მიცემა, თვითგანდგომა და თავისი თავის უმაღლეს ნებას *ჩაბარება – ღმერთის თაყვანისცემის ცხრა ფორმიდან ერთ-ერთი.*

ატმასამიამა-იოგა - „გონების კონტროლის *იოგა*", თვითდისციპლინის *იოგა* (*ატმასამიამა* – თვითდისციპლინა); ბჰაგავად გიტას მე-6 თავის დასახელება.

ატმა-ტატვა - „*ატმანის* არსი"; *ატმანის* არსებითი ბუნება; *ატმური*, ანუ უმაღლესი, სულიერი პრინციპი.

ატმური – ის, რაც *ატმანს* ეხება, რაც *ატმანის* ბუნებიდან გამომდინარეობს, სულიერი.

აუმ (*ომ*) – წმინდა ბგერა, რომელიც წმინდა ტექსტების დასაწყისში წარმოითქმება, ღმერთმსახურების, ღმერთისთვის მიმართვის და ა.შ. დროს; ქმნილების და გამოცხადებების სიტყვათა თავდაპირველი ხმა; ხმით გამოსახული სიმბოლო *ბრაჰმანისა* მის ყველა ოთხ სფეროში, *ტურიიდან* გარე, ანუ მატერიალურ დონემდე, ამასთან ასოები *ა*, *უ* და *მ* აღმავალ რიგში შეესაბამება გარე (*ჯაგატის*), შიდა (*სვაპნას*) და ზეცნობიერ მდგომარეობებს, ხოლო ყველა ეს სამი ხმა (ასო) ერთად ავლენს მესამე მდგომარეობას – *ტურიიას*; სიმბოლიზირებს ღვთაებრივ ტრიადას (ტრიმურტის) – ბრაჰმას, ვიშნუს და მაჰეშვარას (შივას), რომლებიც რეალობის სამ ასპექტს განასახიერებენ, და ზემოხსენებულ ცნობიერების სამ მდგომარეობას შეესაბამებიან.

აშვამედჰა-იაგა - „ცხენის მსხვერპლად შეწირვა"; სამსხვერპლო წეს-ჩვეულება, რომელიც დაკავშირებულია მეფური ძალაუფლების დამტკიცებასთან, და სრულდება ასევე ცოდვების მოსანანიებლად. ამ წეს-ჩვეულების თანახმად მეფის თავლაში გაზრდილ ცხენს ათავისუფლებდნენ. მეფის ლაშქარი ამ ცხენს მიჰყვებოდა და სადაც ცხენი გაივლიდა, იმ მიწებს იპყრობდა. ლაშქრობა მთელ წელიწადს გრძელდებოდა, რის შემდეგაც ცხენს ღმერთებს სწირავდნენ.

აშრამ – განმარტოებული სავანე; მონასტერი; სულიერი ცენტრი, სადაც *გურუ* და მისი მოსწავლეები ცხოვრობენ.

აშრამა – იმ ინდუსის ცხოვრების ოთხი ეტაპის დასახელება, რომელიც სამი უმაღლესი წოდებიდან (*ვარნადან*) ერთ-ერთს ეკუთვნის. ეს ეტაპებია: მოსწავლეობა (*ბრაჰმაჩარია*), ოჯახური, საერო ცხოვრება (*გრიჰასთჰია*), განდეგილობა (*ვანაპრასთჰა*) და თვითგანდგომა (*სანიასა*).

აშრამი – დღის სახელწოდება მთვარის კალენდრის მიხედვით, როდესაც კრიშნა დაიბადა.

აჯნა (*აჯნია, აჯნა-ჩაკრა*) – წარბებშორის ცენტრი („ორფურცლიანი ლოტოსი“), რომელიც მართავს დინამიურ გონებას, ნებას, ხედვას, მენტალურ გამოსახულებებს.

აჰამკარა (*აჰანკარა*) - „დაბალი „მე“-ს მქმნელი“; ინდივიდუალური თვითშეცნება (*აჰამ*), რომელიც ფორმით (*კარათი*) არის შემოსილი, და ამის შედეგად წარმოდგენა თავის თავზე როგორც ინდივიდუალურ პიროვნებაზე, მოღვაწეზე, რაც ჭეშმარიტი „მე“-ს *ატმანის*, ილუზორულ „მე“-სთან გაიგივებას იწვევს; ეგოს, პირადი „მე“-ს გრძნობა; განკერძოებულობის, ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

აჰიმსა - „ვნების არმიყენება“, „არაძალადობა“; ცოცხალი არსების მიმართ ვნების მიყენებაზე უარის თქმა. ბოროტების (*ჰიმსას*) არმიყენების სწავლება – ინდუსთა მორალის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ინდოეთში არსებობდა და რომელმაც შემდგომი განვითარება ბუდიზმში და ჯაინიზმში ჰპოვა.

ბ

ბანიანი – ერთ-ერთი თაყვანსაცემი ხე ინდოეთში, რომელიც წმინდა ხედ ითვლება; მისმა საჰაერო ფესვებმა, რომლებიც ტოტებიდან ძირს ეშვება, მრავალ რელიგიურ სიმბოლოს დაუდო საფუძველი.

ბრაჰმა – ღმერთი-შემქმნელი, რომელიც ინდუისტური პანთეონის უმაღლესი ღმერთების ტრიადას (*ტრიმურტის*) ხსნის; შემოქმედების კოსმოსური ძალის განხორციელება.

ბრაჰმა-ვიდია - „*ბრაჰმანის* ცოდნა“; ღმერთის ცოდნა, უმაღლესი, წმინდა ცოდნა; დისციპლინა, რომელსაც ადამიანი ღმერთის გაცნობიერებასთან მიჰყავს; სულიერი ფიქრის პროცესი.

ბრაჰმა-მუჰურტა - „*ბრაჰმანის* დრო“; განთიადისწინა დრო (3-დან 6 საათამდე), სულიერი პრაქტიკის წარმოებისთვის, მედიტაციისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი დრო.

ბრაჰმანი – ინდოეთის ორთოდოქსალური (ანუ ვედების ავტორიტეტის ამღიარებელი) ფილოსოფიის უმაღლესი პრინციპი. *ბრაჰმანის* შესახებ სწავლების საფუძველი უპანიშადების მიერაა ჩადებული და ფილოსოფიური ორთოდოქსალური სკოლების მიერ მრავალმხრივ დამუშავდა; უმაღლესი ობიექტური რეალობა; მთელი არსებულის ერთიანი სულიერი პირველსაწყისი.

ბრაჰმანი – ვედური კანონების მცოდნე, ოთხი *ვარნიდან* პირველის წარმომადგენელი, უმაღლესის, განსაკუთრებით პრივილეგირებული *ვარნისა* (ქურუმების, მღვდელმსახურების, ვედების მცოდნეებისა).

ბრაჰმანები - „*ბრაჰმანის* ახსნა“; პროზაიკული კანონიკური ტექსტები, რომლებიც უპანიშადებთან და არანიაკებთან ერთად შეიცავს ვედების ფილოსუფიურ კომენტარებს, მსხვერპლის შეწირვების ახსნებს და განმარტებებს და ა.შ.

ბრაჰმაჩარია – მოსწავლეობის პერიოდი (12 წელიწადი), რომელიც უმაღლესი *ვარნებისათვის* აუცილებელია; ყოფაქცევის წესები მოსწავლისათვის; თვით ეს ყოფაქცევა; შემდგომში ეს სიტყვა ხშირად ვიწრო გაგებით იხმარება – ცხოვრება თავშეკავებით; უმწიკვლობის დაცვა.

ბრინდავანი (ვრინდავანი) – ტყიანი ველის დასახელება იამუნას მარცხენა სანაპიროზე ჩრდილოეთ ინდოეთში (თანამედროვე შტატი უტარ პრადეში), სადაც კრიშნამ ახალგაზრდობა გაატარა. ველის დასახელებამ მადჰურას გვერდით მდებარე დასახლებას მისცა სახელი. ბრინდავანი კრიშნას თაყვანისმცემელთა სალოცავი ადგილია.

ბუდა - „განათებული“, გამოღვიძებული“; ადამიანი, რომელმაც მრავალი დაბადების შედეგად აბსოლუტურ სრულყოფილებას მიაღწია და რომელსაც შეუძლია მსგავსი მდგომარეობისაკენ გზა სხვებს აჩვენოს. ბუდიზმში უკანასკნელ მიწიერ *ბუდად* ითვლება ბუდა გაუტამა (სიდჰართჰა შაკიამუნი - „ბრძენი შაკიას მოდგმიდან“).

ბუდჰი – გაბრწყინება; ვედანტას ფილოსოფიურ სისტემაში ადამიანის ცნობიერების ერთ-ერთი ასპექტი: ინტელექტი; სიბრძნე; ინტუიცია, გარჩევის უნარი, რომლის წყალობითაც პირდაპირი და უტყუარი ცოდნა შეიძინება; სულიერი გონიერება.

ბუდჰი-იოგა - „გონიერი ნების *იოგა*“, *ბჰაქთი-იოგას* სინონიმი, რომელიც იმას მიანიშნებს, რომ ეს გონიერების (*ბუდჰის*) საუკეთესო გამოყენებაა.

ბუდჰი-შაქთი - „სულიერი გონიერების ძალა“; საგანთა არსის გარჩევის უნარი, რომელიც გრძნობათა ხუთი ორგანოს (მხედველობის, სმენის, შეხების, გემოს და ყნოსვის) აღქმით ოპერირებს.

ბჰაგავად გიტა - „ღვთის გალობა“, ანუ „ღვთაებრივი გალობა“ - რელიგიურ-ფილოსოფიური პოემა კრიშნას და არჯუნას დიალოგის ფორმით, რომელიც კურუქშეტრას ბრძოლის ველზე შედგა; იგი ინდუიზმის ფილოსოფიურ საფუძვლად ითვლება.

ბჰაგავანი – ის, ვინც ყოველგვარი ნიჭით არის დაჯილდოებული, ღვთაებრივი ნიშნებით არის აღნიშნული ან ღვთაებრივ არსს ავლენს; ინდუისტური ღმერთების სახელი-ეპითეტი. სანსკრიტულად ბჰაგავანი მოპყრობის ჩვეულებრივი ფორმაა პატივცემული პირის – ღმერთის, წმინდანის, მეფის და ა.შ. მიმართ.

ბჰაგავატა-პურანა – 18 „დიადი პურანადან“ ყველაზე უფრო ცნობილი, რომელიც ადიდებს კრიშნას როგორც ვიშნუს იპოსტასს, დაწვრილებით გადმოსცემს ვიშნუს 10 განხორციელების ისტორიას; ვიშნუიტური სარწმუნოებრივი მოძღვრების საფუძვლები და ღმერთის თაყვანისცემის წესები.

ბჰარატ(ა) - „ის, ვისაც აქვს ღმერთის (*ბჰაგავანის*) მიმართ მიბმულობა (*რატა*)“ - ბჰარატთა ვედური მოდგმის ლეგენდარული მამამთავარი, მთვარის დინასტიის მეფე, რომელმაც, გადმოცემით, ინდოსტანის მთელი ტერიტორია თავის მმართველობაში გააერთიანა. ბჰარატას ცხოვრების ისტორია „შრიმად-ბჰაგავატას“ მეხუთე თავშია მოთხრობილი.

ბჰარატა-ვარშა (პირდ. „ბჰარატთა მიწა“, „ბჰარატას შთამომავალთა მიწა“) – ინდოეთის სუბკონტინენტის ისტორიული დასახელება; რამას ძმის სახელი.

ბჰაქთ(ა) – *ბჰაქთის* მატარებელი; ღმერთის უანგარო ერთგული ადეპტი, რომელსაც ღმერთი მის მიმართ სიყვარულის მეშვეობით სწამს; ადამიანი, რომელიც *ბჰაქთი-იოგას* გზას მიჰყვება.

ბჰაქთი – ერთგულება; მსახურება, ღმერთისთვის ერთგული სასიყვარულო მსახურება; თავისი თავის ღვთაებისთვის ჩაბარება.

ბჰაქთი-იოგა - „ერთგულების *იოგა*“, რომლის საშუალებითაც ადამიანი უფალთან კავშირს ამყარებს; ღმერთისთვის ერთგული მსახურების მეშვეობით მასთან შეერთება.

ბჰაქთი-მარგა – ერთგულების გზა.

ბჰაქთი-სამატვა – გონების გაწონასწორებული მდგომარეობის ერთ-ერთი სახე, რომელიც მშვიდ ერთგულებას, მუდმივ, მომთმენს და ურყევს გულისხმობს.

ბჰაჯან(ა) – მოწიწება, თაყვანისცემა; შემდგომში ეს სიტყვა „ღმერთის თაყვანისცემის, დიდების“ მნიშვნელობით იხმარება; *ბჰაჯანების* – ტრადიციული ლოცვების (*მანტრების*) ან ჰიმნების – გალობა მუსიკალური ინსტრუმენტების აკომპანიმენტის ქვეშ ღმერთის მსახურების ცხრა ფორმიდან ერთ-ერთია.

ბჰიმა - „შემზარავი“; ძმებ პანდავებს შორის მეორე, კუნტის და ქარის ღმერთ ვაიუს ვაჟი, ძლიერი, მოუთვინიერებელი და ღორმუცელა, რომელმაც დედამიწა მრავალი ურჩხულისგან გაწმინდა.

ბჰიშმა - „საშინელი“, „მრისხანე“; მთვარის დინასტიის მეფის შანტანუს და მდ. განგას ქალღმერთის ვაჟი, კურუს მოდგმიდან უფროსი, პანდავების და კაურავების პაპის ბიძაშვილი; სახელი სიბრძნით და სამხედრო ხელოვნებით გაითქვა, მაჰაბჰარატას ბრძოლაში კაურავების მთავარსარდალი.

ბჰოგა – საკვები; სარგებელი; სიამოვნება.

ბჰრამარა – მუქი ფუტკარი.

ბჰრამარამბა - „დედა-ფუტკარი“; ინდუისტურ მითოლოგიაში იშვარას მეუღლე პარვატი, სამყაროს დედა, ღვთაებრივი დედა, რომელიც ზოგიერთ ტაძარში წარმოდგენილია ბჰრამარას სახით – მუქი ფუტკრის სახით, რომელიც თავისი მეუღლის, იშვარას, ჟასმინის მსგავსი გულიდან ნექტარს სვამს.

ბჰრუმადჰიასთჰანა (*ბჰრუმადჰია* – წარბებშორის ადგილი) – წარბებშორის ცენტრი, მესამე თვალის არე.

ბჰუქთი – მატერიალური სიამოვნებები; ცხოვრებისეული სიამოვნებების სიყვარული; სიხარბე.

ბჰუმატა – დედა-მიწა.

ბჰუტაბჰრიტ – ის, ვინც ნებისმიერ არსებას მხარში უდგას და მისი დასაყრდენია (*ატმანის* ეპითეტი).

ბჰუტაშთჰა – ის, ვინც ყველა არსებაში ბინადრობს (*ატმანის* ეპითეტი).

გ

გაიატრი - „მხსნელი გალობა“; რიგვედას ცნობილი *მანტრის* დასახელება (იხ. ვედები); ეს *მანტრა* მიმართულია სავიტარისკენ (მხსნელის, მზის ერთ-ერთი იპოსტასისკენ) და ერთიან ღმერთს ადიდებს; იგი ვედური *მანტრების* „დედად“ ითვლება; ქალღმერთ სავიტრის ერთ-ერთი სახელი; ვედური ზომა, რითმი.

კლასიკური გაიატრი განიხილებოდა როგორც პროტოტიპი ყველა დანარჩენი გაიატრისთვის: ვიშნუ-, რუდრა-, განეშა-, ლაქშმი- და ა.შ.

განგა – ინდოეთის დიადი მდინარე, რომლის სათავეც ჰიმალაების მთებშია. წმინდა მდინარე, რომელიც, ლეგენდების თანახმად, ვიშნუს ფეხისგულიდან გამოედინება, და ირმის ნახტომის სახით ცაში მიედინება, შემდეგ კი შივას თმებიდან დედამიწაზე ეშვება.

განდი (1869-1948, ნამდვილი სახელია მოჰანდას კარამჩანდი) – დიადი სულიერი მოღვაწე, *მაჰატმა*. განდი არაძალადობის ქადაგებით მილიტარიზმის და კასტური სისტემის წინააღმდეგ გამოდიოდა, ასევე ქალთა უფლებებს იცავდა; ავითარებდა საზოგადოებრივი მსახურების იდეას როგორც რელიგიურ ვალდებულებას. ისწრაფოდა რა თეორიულად დაესაბუთებინა პოლიტიკურ მიზნებში რელიგიის გამოყენება, მის ინტერპრეტაციას ახდენდა როგორც პრაქტიკულ მოქმედ ძალას.

განდივა – ჯადოსნური მშვილდი, რომელიც ბრაჰმას მიერ *განდის* ხისაგან იქნა შექმნილი. არჯუნამ ეს მშვილდი თავისი მამის, ინდრას, ხელიდან მიიღო.

განდჰა – სუნი; არომატი; ყნოსვა.

გარუდა – ფრინველთა მეფე, ბრძენ კაშიაპას და ვინაპას ვაჟი, გველების გამანადგურებელი. ოქროსფრთიანი არწივი გარუდა, ღმერთ ვიშნუს *ვაჰანა*, ამომავალ მზეს განასახიერებს.

გიტა – გალობა; ბჰაგავად გიტას მიღებული შემოკლება.

გიტა-ჯაიანტი – დღე, როდესაც კრიშნამ გიტა გამოაცხადა (აღინიშნება როგორც დღესასწაული).

გიტაჩარია – (*აჩარია* – მასწავლებელი) გიტას მასწავლებელი.

გლანი – დაჩლუნგება; დაცემა; დაღლილობა; გამოფიტვა.

გოდავარი – დეკანის ნახევარკუნძულის ერთ-ერთი მდინარე, რომელიც მთაგრეხილებიდან (დასავლეთის გათხებიდან) აღმოსავლეთის მიმართულებით ზღვისკენ მიედინება; ინდუიზმში წმინდა მდინარედაა აღიარებული.

გოვინდა - „ძროხების მძებნელი“ ან „ძროხების მპოვნელი“; ვიშნუს და კრიშნას სახელი-ეპითეტი, რომელიც იმ შემთხვევას გულისხმობს, როდესაც კრიშნამ ინდრას ძროხების ნახირი მოსტაცა, რის გამოც ინდრამ მისი დევნა დაიწყო.

გოპი(კა) – მწყემსი ქალი; ვრაჯის მცხოვრები, რომელმაც კრიშნას ღვთაებრივი ბუნება დაინახა. *ბჰაქთი-იოგაში* სიმბოლიზირებს ადეპტს, რომელიც ღმერთთან შერწყმას ეძებს.

გრიჰასთჰა – სახლის პატრონი.

გრიჰასთჰა-აშრამა – ინდუსის ცხოვრების ოთხი ეტაპიდან (*აშრამადან*) ერთ-ერთი, სულიერი ცხოვრების მე-2 საფეხური – ოჯახური ცხოვრების პერიოდი, ცხოვრებისა ოჯახის უფროსის როლში წმინდა წერილების (შასტრების) მითითებების შესაბამისად.

გუდაკეშა (*გუდაკა* + *იშა*) – ძილის მბრძანებელი; ის, ვინც გრძნობების კონტროლს მიაღწია; არჯუნას ეპითეტი.

გუნა - „ის, რაც აკავშირებს“; თოკი; ბოჭკო; თვისება; ატრიბუტი. არჩევენ სამ *გუნას*, სამ ძირითად ძაფს, რომლებისგანაც ბუნების მთელი ქსოვილი იქმნება, ბუნების სამი მდგომარეობა, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის სულიერი განვითარების ხარისხს, მის ტემპერამენტს, კერძოდ: *ტამაგუნას*, *რაჯაგუნას* და

სტვაგუნას. გუნების შესახებ სწავლებამ ყველაზე უფრო თანმიმდევრული დამუშავება მიიღო ფილოსოფიურ სისტემაში *სანქჰია.*

გუნა-დჰარმა - „*გუნების დჰარმა*“; ადამიანის ვალი, რომელიც მისი ბუნებრივი თვისებებიდან (*გუნებიდან*) არის განპირობებული.

გურუ - „დიდი“, „მნიშვნელოვანი“, „მძიმე“; პატივცემული პირი (დედა, მამა, უფროსი ნათესავი) და განსაკუთრებით მასწავლებელი, სულიერი მოძღვარი.

გურუკულა – სასწავლო დაწესებულების ტრადიციული ტიპი, სადაც მოსწავლეები მასწავლებლის (*გურუს*) ოჯახში ცხოვრობენ, მას მსახურებენ და მისგან სწავლობენ; ამჟამად აგრეთვე ტაძართან არსებული სკოლა (*კულუ*).

ᲓᲔ

დაივატვა – ღვთაებრივის ასპექტი.

დამა – ჩახშობა, მოთვინიერება; თავდაჭერილობა, თვითკონტროლი, ანუ სხეულზე და გონებაზე კონტროლის გაწევა.

დამოდარა - „მუცელზე ქამარშემორტყმული“, „მწყემსის ბაწრით წელზე შემორტყმული“; კრიშნას სახელი-ეპითეტი.

დანავა – დანუს და ბრძენ კაშიაპას ვაჟი, დემონური კლანის წევრი; მრავლ. რიცხვში – დანუს შვილები, ღმერთების მტრები, დემონთა ნაირსახეობა.

დანტავაკრა – მაჰაბჰარატას გმირი, უზნეო და ბოროტი მმართველი, რომელიც კრიშნას გამუდმებით წყევლიდა.

დარშან(ა) – მზერა, ვინმეს ნახვის შესაძლებლობა, ჩვეულებრივად წმინდანისა; ხედვა, აღქმა; ღვთაების, უფლის მზერა; სწავლება; ფილოსოფიური სისტემა, შეხედულებები.

დაქშინამურტი - „სამხრეთისკენ მაცქერალი“; შივას სამთვალა და ოთხხელა იპოსტასი სამყაროებრივი მასწავლებლის როლში, სრულყოფილი *გურუს* ნიმუში. შივა ჰიმალაებში განმარტოებულ ადგილას სამხრეთისკენ მიმართული იჯდა და ბრძენებს ასწავლიდა.

დეჰა – ის, რაც დაწვას ექვემდებარება; ფიზიკური სხეული.

დეჰი – ის, ვინც სხეულში ბინადრობს; სხეულში დაფარული უკვდავი უმაღლესი სული (*ატმანი*); განხორციელებული უმაღლესი სული.

დვარაკა - „მრავალკარიანი“; იადავების სატახტო ქალაქი, რომელიც კრიშნას ბრძანებით ერთ ღამეში შეიქმნა მას შემდეგ, როგორც კი მან გადაწყვიტა მადჰურუ, მანამდელი სატახტო ქალაქი, მიეტოვებინა. გადმოცემით, კრიშნას მიერ თავისი სხეულის მიტოვებიდან შვიდი დღის შემდეგ ქალაქი ფსკერზე დაეშვა.

ᲖᲔ

დივია-დარშანა – ღვთაებრივის ხედვა და მასთან მიმავალი გზები.

დივია-პრაკრიტი – ღვთაებრივის ბუნება.

დრაუპადი – მაჰაბჰარატას გმირი ქალი, მეფე პანჩალა დრაუპადის ქალიშვილი (*დრაუპადა* - „ხის სვეტი“), პანდავთა ხუთი ძმის მეუღლე, რომელიც მსოფლიოში ულამაზეს ქალად ითვლებოდა.

დრონა(ჩარია) – (*დრონა* - „მომცრო კასრი“) მაჰაბჰარატას გმირი, *ბრაჰმანი*, პანდავების და კაურავების მასწავლებელი სამხედრო ხელოვნებაში; ომის დროს იგი კაურავების მხარეზე იბრძოდა.

დურიოდჰანა - „ძნელად დასაძლევი“; დჰრიტარაშტრას 101 ვაჟიდან ყველაზე უფროსი, პანდავების მთავარი მეტოქე, რომელიც საომარი მამაცობით იყო განთქმული; მაჰაბჰარატაში გამოსახულია როგორც ცბიერი ბოროტმოქმედი, ბოროტების დემონის განხორციელება.

დუჰკჰა – სინანული, სევდა; მწუხარება; ამქვეყნიური მწუხარება.

დუჰკჰამიშრა(მა) – სევდის არსებობა; მწუხარების გარდაუვალობა.

დუჰშასანა - „ძნელად მოსათვინიერებელი“; დჰრიტარაშტრას 101 ვაჟიდან ერთ-ერთი, რომელმაც ძმები პანდავების მეუღლე შეურაცხყოფის განზრახვით ტყვედ აიყვანა.

დჰაირია – სიმტკიცე; ურყეობა; მამაცობა.

დჰანანჯაია - „განძეულობათა (სულიერ ან მატერიალურ) დამპყრობი“; არჯუნას ეპითეტი.

დჰანუშკოტი - „უსაზღვროდ მდიდარი“; ოკეანე.

დჰარანა – კონცენტრაცია, გონების მოკრება მისი ერთადერთ აზრზე, შეგრძნებაზე ან ერთ ობიექტზე ფიქსაციის გზით; პატანჯალის *აშტანგა-იოგას* (8 საფეხურიანი *იოგას*) პრაქტიკის მე-6 საფეხური.

დჰარმა – ტვირთი; საფუძველი; ვალი; რელიგია; კანონი; ჭეშმარიტების, სათნოების, სამართლიანობის საზომი; სოციალური ჰარმონიის კანონი; ინდუისტურ ტრადიციაში – ადამიანის ვალდებულებები საზოგადოებაში მისი მდგომარეობის შესაბამისად, საზოგადოებრივი, ოჯახური და რელიგიური ვალდებულებების ერთობლიობა, რომლებიც ადამიანის სავალდებულო ყოფაქცევას განსაზღვრავს; ვიწრო გაგებით – მართლქმედითი ცხოვრება, მართლქმედება. ვედურ მითოლოგიაში – სამართლიანობისა და კანონის ღმერთის სახელი.

დჰარმარაჯა - „მართლქმედითი მეფე“; იუდჰიშდჰირას, პანდავების უფროსი ძმის, სახელი-ეპითეტი, პანდუს და კუნტის ვაჟი, რომელიც ასევე დჰარმის ღმერთის ვაჟად ითვლებოდა.

დჰარმაქშეტრა - „*დჰარმის* ველი“; ვალის შესრულების ველი.

დჰი – გონიერება.

დჰრიტარაშტრა - „ის, ვისი სამეფოც მტკიცეა და მაგრად დგას“; მაჰაბჰარატას ერთ-ერთი მთავარი გმირი, ვიასას და ამბიკას ვაჟი, ბრმა *რაჯა* კურუს დინასტიიდან, პანდუს უფროსი ძმა, პანდავთა ბიძა და კაურავების ასი უფლისწულის მამა, რომლის მცდელობამაც თავისი ვაჟების სასარგებლოდ სამეფოს უზურპაცია მოეხდინა კურუქშეტრას ომი გამოიწვია.

დჰრუვა – მაჰაბჰარატას და პურანების ერთ-ერთი გმირი, პანდავების მომხრე, *მაჰარაჯა* უტანაპადას ვაჟი, რომელიც დედინაცვლის ხრიკების გამო იძულებული იყო სახლიდან წასულიყო. იგი „დიადი *რიშების*“ მოსწავლე და განდეგილი-ასკეტი გახდა. საგმირო საქმეებით ვიშნუს წყალობა დაიმსახურა, რომელმაც იგი პოლარულ ვარსკვლავად აქცია. მისი ცხოვრების ისტორია „შრიმად ბჰაგავატას“ მეოთხე ლექსშია გადმოცემული.

დჰეია – მზერის, მედიტაციის ობიექტი.

დჰიანა – მედიტაცია, მზერაში ჩაძირვის მდუმარე პროცესი და მზერის ობიექტში გაზავება, ცნობიერების მდგომარეობა გრძნობების სფეროს გარეთ; პატანჯალის *ამტანგა-იოგას* (8-საფეხურიანი *იოგას*) მე-7 საფეხური.

დჰიანა-იოგა – მედიტაციის დისციპლინა, მედიტაციის პრაქტიკა.

დჰიანა-სადჰანა – მედიტაციის გზა, მედიტაციით საქმიანობა.

დჰიატ(ჰ)ა – ის, ვინც ფიქრობს, მედიტირებს; მზერის, მედიტაციის სუბიექტი.

ე

ეკაგრატა – მიზანსწრაფვა, ერთ მიზანზე გონების მოკრება; გონების ხანმოკლე მოკრება.

ეკატმანი - „ერთადერთი *ატმანი*“; ადამიანის უმაღლესი სული (*ატმანი*).

თ

თჰოიია(ბ) – წყლის წვეთი.

ი

იადავა – იადუს შთამომავალი, იადავების და კაურავების ძველი მოდგმის მამამთავარი; ძველი გვარი, რომელსაც კრიშნა მიეკუთვნებოდა.

იამა - „ტყუპი“; ვედურ მითოლოგიაში იგი სამართლიანობის ღმერთ დჰარმას ტყუპისცალია; ადამიანთა შორის პირველი, ვინც მიწის ქვეშ წავიდა, მკვდრების განმკითხველი და მბრძანებელი, ჭეშმარიტების განსახიერება და მეუფე, უკვდავების დამცველი, მოგვიანებით – სიკვდილის ღმერთი; *იოგას* პრაქტიკაში ერთ-ერთი საფეხური – თავის სხეულზე და გრძნობებზე მიბმულობაზე უარის თქმა; წესი, თვითკონტროლის და თვითშეზღუდვის კანონი.

იამუნა – წმინდა მდინარე ჩრდილოეთ ინდოეთში, განგას დიდი შენაკადი, ხშირად პერსონიფიცირდებოდა როგორც დამოუკიდებელი ქალღმერთი.

იაჯნა (*იაგა*, *იაგია*) – სამსხვერპლო რიტუალი; რიტუალური მსხვერპლი, რომელიც ბრძენი-*რიშების* მიერ იქნა დადგენილი, აგრეთვე ღვთაება – ის, ვინც შეწირული მსხვერპლით ტკბება; თვითგანდგომის ნებისმიერი აქტი ღმერთის გულისათვის.

იაჯნავალკია – ლეგენდარული ბრძენი, ვიასას მოსწავლე, რომელმაც მზის ღმერთ სურიასგან შუკლა-იაჯურვედას (თეთრი იაჯურვედას) ცოდნა მიიღო. თაყვანს სცემენ როგორც *იოგეშვარას* - „იოგას მეუფეს“, რომლის ავტორიტეტსაც ხშირად ამოწმებენ.

ინდრა - „მბრძანებელი“; ზეცაში მცხოვრებთა მეფე, გვიანი ვედური პანთეონის მთავარი ღმერთი. ეპიკურ პერიოდში – ჭექა-ქუხილის და ელვის ღმერთი, რომელიც წვიმასთან და ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული. ინდრა სამხედრო ფუნქციასაც განახორციელებს, მამაცი და ძლევამოსილია, მრავალ ბრძოლაში მონაწილეობს დემონთა და არიელებისთვის უცხო ტომთა წინააღმდეგ.

ინდრიები - „ინდრას ძალები“; გრძნობითი უნარები; გრძნობების ძალები; ფსიქოფიზიოლოგიური ორგანოები, რაოდენობით 10: აღქმის ხუთი ორგანო (თვალები, ყურები, კანი, ცხვირი, ენა) და მოქმედების ხუთი ორგანო (საჭმლის მომნელებელი, მეტყველების, შვილოსნობა-გამოყოფის სისტემები, მამოძრავებელ ორგანოთა ორი წყვილი).

ინდრია-ნიგრაჰა – გრძნობებზე, გრძნობით ორგანოებზე კონტროლი.

ინდუიზმი – მსოფლიო რელიგიებიდან ერთ-ერთი, თანამედროვე ინდოეთის ყველაზე უფრო გავრცელებული რელიგია; ჩამოყალიბებულია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში ბრაჰმანიზმის საფუძველზე, ძველინდური რელიგიისა, რომელიც ღმერთ ბრაჰმას თაყვანისცემასთანაა დაკავშირებული. ბრაჰმას გარდა ინდუიზმში თაყვანისცემის ობიექტებს წარმოადგენენ ვიშნუ და შივა, რომლებიც ინდუისტურ ტრიადას (ტრიმურტის) შეადგენენ. ინდუიზმის სარწმუნოებრივი მოძღვრება და წეს-ჩვეულებათა საფუძვლები ვედებშია აღწერილი. ინდუიზმში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სწავლებას *სანსარას* შესახებ. ინდუიზმის სისტემაში როგორც მუდმივი ელემენტი ექვსი ფილოსოფიური ორთოდოქსალური სწავლება შევიდა: *სანქჰია*, *ვაიშეშიკა*, *მიმანსა*, *ნიაია*, *ვედანტა* და *იოგა*.

იოგა – („შეკაზმვა“); სულის დისციპლინა; სისტემაში მოყვანილი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია თვითსრულყოფისკენ პოტენციური შესაძლებლობების (რომლებიც ადამიანშია დაფარული) გამოსახვის, და უნივერსალურ და ტრანსცენდენტურ არსებასთან ადამიანის ერთიანობის საშუალებით; ღვთაებრივთან შეერთება, კავშირი. ფილოსოფია, რომლის თანახმად ღმერთთან შერწყმა სპეციალური ფიზიკური და მენტალური ვარჯიშებით მიიღწევა. ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც, გადმოცემის თანახმად, პატანჯალიმ მოიყვანა სისტემაში (სავარაუდოდ ჩვ. ერამდე მე-2 საუკუნეში).

იოგა-ბჰუმი – *იოგას* მხარე.

„იოგა-სუტრა“ - ტრაქტატი *იოგას* შესახებ, რომელიც ფილოსოფოსმა პატანჯალიმ შეადგინა (ჩვ. ერამდე მე-2 საუკ.), რომელმაც სისტემაში მოიყვანა ის, რაც ძველი ტრადიციების, დოქტრინების და ტექნიკის მემკვიდრეობა იყო, რომლებიც ინდოეთის *იოგთა* მიერ იქნა გამოყენებული.

იოგა-ქშემა – სიკეთით უზრუნველყოფა.

იოგეშვარა - „*იოგას* მბრძანებელი“; *იოგას* მცოდნე, სრულყოფილი ცოდნის მატარებელი; კრიშნას და შივას ეპითეტი.

იოგინი (*იოგი*) – ასკეტი, რომელიც *იოგაში* ვარჯიშობს, *იოგას* სწავლების ადეპტი, რომელიც თავის თავში განსაკუთრებული ფსიქიკური თვისებების განვითარების მიზნით აწარმოებს იოგას ვარჯიშებს; ის, ვინც თვითრეალიზაციისკენ ისწრაფის.

იუქთი – მოტყუება.

იქშვაკუ - „კიტრი“; ძველ (მაჰაბჰარატას თხრობის დროსთან შედარებით) *რაჯას*, მანუს ხალხთა წინაპართა ვაჟის სახელი, მზის დინასტიის მთავრისა, აიოდჰის მეფისა, რომლის შესახებაც მრავალი ლეგენდაა შექმნილი.

იშა-უპანიშადა (იშავასია-უპანიშადა) – ჩვენამდე მოღწეული 108 უპანიშადადან 10 ყველაზე უფრო ცნობილის დასახელება. გადმოცემის თანახმად, ბრძენ ვიასას მიერ იაჯურვედასთან იქნა მიერთებული და დაკავშირებულია „ჯნიანა-კანდასთან“ - განყოფილებასთან ცოდნის შესახებ. იგი შედგება 18 *მანტრისაგან*, რომელთაგან პირველი ორი დაკავშირებულია გათავისუფლებასთან და მისი მიღწევის შესაძლებლობასთან, დანარჩენები კი ამ უკანასკნელებზე კომენტარებად შეიძლება ითვლებოდეს.

იშვარა - „მბრძანებელი“, „მეუფე“; მრავალი ღმერთის ეპითეტი; ასე უწოდებენ ინდუიზმის უმაღლეს ღმერთებს, იშვიათად ვიშნუს, უფრო ხშირად შივას.

იშვარადჰარმა - „ყოვლისშემძლებლის (ღმერთის) *დჰარმა*“; უნივერსალური ღვთაებრივი *დჰარმა*, ღვთაებრივი კანონი.

კ

კალა – განვითარების ფაზა; მთვარის ფაზა; თანმიმდევრობა; დრო; მარადი დრო; პლანეტა სატურნის სახელწოდება; სიკვდილის ღმერთ იამას სახელი; იშვიათად ვიშნუს ეპითეტი, უფრო ხშირად – შივასი, როგორც სამყაროს გამანადგურებელი ძალისა.

კალი - „შავი“; სიბნელე; ველურობა. ინდუიზმში – დევას (შივას ცოლის) ერთ-ერთი იპოსტასი, შივას *შაქთის* მრისხანე, დამღუპველი ასპექტის განსახიერება. ყოველი *კალპის* (სამყაროს პერიოდის) ბოლოს კალი სამყაროს წყვდიადით მოსავს და მის განადგურებას უწყობს ხელს.

კალი-იუგა - „კალის ეპოქა“, „შავი ეპოქა“; ადამიანის ფიზიკური და მორალური დეგრადაციის ეპოქა; ევროპული ტრადიციის თანახმად - „რკინის ხანა“, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტრული ატმოსფერო; ოთხი ეპოქისგან (რომლებიც ერთ მაჰა-იუგას, ანუ დიდ იუგას, შეადგენს) შემდგარი ციკლიდან უკანასკნელი.

კალპავრიქშა - „ნატვრის ხე“.

კალპანა – შექმნის პროცესი.

კალპატარუ - „ნატვრის ხე“; ინდუისტურ მითოლოგიაში – ინდრას ბაღებში არსებული წმინდა ხე, რომელიც იმ ადამიანის ნებისმიერ ნატვრას ასრულებს, ვინც მის ჩრდილს შეაფარებს თავს.

კამა – გრძნობითი სურვილი, დაუფლების შეუკავებელი სურვილი, ვნება, ჟინი; ჟინის განსახიერება. ინდუიზმში გრძნობითი, ემოციური ცხოვრების გამოსახვა; გრძნობების აღგზნება და დაკმაყოფილება.

კამადჰენუ – წმინდა ძროხა, რომელიც ნატვრებს ასრულებს.

კამსა (კანსა) - „თასი“; მაჰაბჰარატას პერსონაჟი (მადჰურას მეფისა), დემონის და მადჰურას მეფე უგრასენას ცოლის ვაჟი, კრიშნას ბიძა და მისი მუდმივი ანტაგონისტი, რომელმაც ვიშნუს თაყვანისცემა აკრძალა. წინასწარმეტყველებით (რომ იგი დევაკას მერვე ვაჟის ხელით იქნებოდა მოკლული) შეშინებულმა კრიშნას მშობლები ციხეში დაამწყვდია, მათი უფროსი შვილები გაანადგურა და არაერთხელ ეცადა კრიშნა და მისი ძმა ბალარამა გაენადგურებინა. მებრძოლთა შეჯიბრის დროს იგი ახალგაზრდა კრიშნას მიერ იქნა მოკლული.

კანადა – სამხრეთ ინდოეთის ერთ-ერთი სახელმწიფო ენა.

კარმა – მოქმედება; მუშაობა; წეს-ჩვეულება; სასიკეთო მოღვაწეობა; მოქმედების მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი, ანუ სამყაროს მიგების კანონი; კარგი და ცუდი საქმეების ერთობლიობა, რომლებიც ინდივიდუალურმა სულმა შეასრულა და მის შემდგომ ბედს განსაზღვრავს.

კარმა-ბჰუმი - „*კარმის* მხარე“; სულიერი მოღვაწეობის მხარე.

კარმა-იოგა – მოქმედების *იოგა*, უანგარო მოღვაწეობა იდეის გულისათვის; სულიერი სრულყოფის და უფლის გაცნობიერების გზა მოქმედების შედეგების

ღმერთისთვის მიძღვნის საშუალებით; *იოგაში* ოთხი ძირითადი მიმართულებიდან ერთ-ერთი.

„კარმა-კანდა“ - ვედების განყოფილება, რომელიც ეძღვნება *კარმას*, ანუ ღმერთის თაყვანისცემის და სასიცოცხლო ციკლის რიტუალების და წეს-ჩვეულებების სწორ შესრულებას.

კარმა-მარგა – მოქმედების გზა.

კარმა-სამატვა – გონების გაწონასწორებული მდგომარეობის ერთ-ერთი სახე – თავისი მოქმედების მიმართ მშვიდი, მიუკერძოებელი დამოკიდებულება.

კარმა-სანიასა – მოქმედებისგან, მოღვაწეობისგან განდგომა.

კარმა-სანიასა-იოგა – მოღვაწეობისგან განდგომის გზა.

კარმა-ტატვა - „*კარმის* არსი“, მოქმედებების ან მოღვაწეობის არსი, რომლებიც მათ შედეგებზე ფიქრის გარეშე სრულდება.

კარმა-ქშეტრა – მოქმედების ველი.

კარმენდრიები - „მოქმედი *ინდრიები*“, ანუ მოქმედების ორგანოები: საჭმლის მომნელებელი, მამოძრავებლის ორი წყვილი, მეტყველების და შვილოსნობის.

კარმული – *კარმისთვის* დამახასიათებელი, რომელიც *კარმის* ბუნებიდან გამომდინარეობს.

კარნა - „ყური“, „ყურმახვილი“; კუნტის და მზის ღმერთ სურიას ქორწინებაგარეშე ვაჟი, რომელიც მეეტლის ოჯახში იზრდებოდა. იგი ზებუნებრივ ძალას ფლობდა; თავის დროზე მან დრაუპადის *სვაიამვარაში* (პატარძლის მიერ საქმროს შერჩევაში) მიიღო მონაწილეობა. დაბალი წარმომავლობის საბაბით დრაუპადიმ კარნაზე უარი თქვა და საქმროებს შორის უპირატესობა არჯუნას მისცა. კარნამ არ იცოდა თავისი ნამდვილი წარმომავლობა; პანდავების და დრაუპადის მიმართ გულში წყენა ჩაიდო და პანდავებთან ბრძოლაში კაურავების ყველაზე უფრო მძლავრი და ერთგული მოკავშირე გახდა; იგი კურუქშეტრაზე ბრძოლაში დაიღუპა.

კარტიკ(ა) – ინდუისტური კალენდრის მიხედვით ერთ-ერთი თვის სახელწოდება (ოქტომბერ-ნოემბერი).

კაურავები - „კურუს შთამომავლები“; ხალხი, რომელიც სომადან (მთვარის ღვთაებიდან) წარმოიშვა, რომელსაც პანდავებიც მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ მაჰაბჰარატა კაურავებში გულისხმობს დჰრიტარაშტრას და განდჰარის 100 ვაჟს, ანუ პანდავების ბიძაშვილებს. ეპოსში კაურავები განიხილებიან როგორც დემონ-*ასურების* განხორციელებანი.

კირტი – კარგი სახელი, რეპუტაცია.

კრიშნა - „შავი“, „მუქი“; ეპოსში – *რაჯა* იადავების ტომიდან, ვასუდევას და დევაკის ვაჟი, იადუს, მთვარის დინასტიის ერთ-ერთი მეფის, შვილიშვილი, და პანდავების ბიძაშვილი და მომხრე. ინდუიზმში თაყვანს სცემენ როგორც *პურნა-ავატარს*, „სრულ *ავატარს*“, ვიშნუს სრულ ღვთაებრივ განხორციელებას, ახალი რელიგიის და ახალი ფილოსოფიის მატარებელს; *ანანდას* (ნეტარების), *პრემას* (სიყვარულის და *ბჰაქთის* (ერთგულების) მეუფე.

კროდჰა – ბოროტება, მრისხანება; მძვინვარება.

კული (ჰინდი) – დაქირავებული მუშა; მებარგული; მტვირთავი.

კუნდალინი – შინაგანი, ანუ სულიერი ენერგია, რომელიც ტრადიციულად წარმოდგენილია როგორც დახვეული გველი, რომელიც თვლემს *მულადჰარა-*

ჩაკრაში – დაბალ, „ძირეულ“ *ჩაკრაში*, რომელშიაც *კუნდალინის* შინაგანი, ანუ სულიერი ენერგია იმყოფება.

კუნდალინი-შაქთი – კუნდალინის ძალა, ენერგია.

კურუ – ძველი მეფის, კურუს გვარის დამფუძნებლის სახელი. სანვარტანას და ტაპატის (მზის ქალიშვილის) ვაჟი; კურუს შთამომავლები კაურავებია.

კურუქშეტრა - „კურუს ველი“, „მოქმედების ველი“; ვაკე ჩრდილოეთ ინდოეთში მდინარეებს – სარასვატის და დრიშადვატის – შორის, ქალაქებს ამბალას და დელის შორის; ინდუიზმში იგი წმინდად ითვლება; პანდავების და კაურავების ლაშქრებს შორის დიადი ბრძოლის ადგილი; ეს ბრძოლა 18 დღე გრძელდებოდა, რომელშიც კაურავები სრულად დაიღუპნენ.

კუტასთჰა – სულიერების მუდმივი, უცვლელი, მარადი პრინციპი.

კშაიაშილა – არამდგრადობა; წარმავლობა.

კშარა – მოძრავი; ცვალებადი; წარმავალი; მოშლა; წარმავალი სამყარო.

კშარა-პურუშა – უმაღლესი სული ბუნებაში; უმაღლესი სული კოსმოსური გამუდავნებისა და ჩამოყალიბების ცვალებადობაში; ის, ვინც მოშლას და დაცემას განიცდის.

ლ

ლაია – ძილი; გაზავება; მოშლა; ფორმის და არა გავრცელებული მახასიათებლების დაკარგვა; ინდივიდუალური სულის გაქრობა უსასრულოში.

ლანკა – დემონ რავანას სამეფოს და მისი სატახტო ქალაქის სახელწოდება; ჩვეულებრივ იგი ინდოეთის ოკეანეში თანამედროვე კუნძულ შრი ლანკასთან (ცეილონთან) არის გაიგივებული.

ლაქშმან(ა) - „ის, ვინც ღმერთის და მისი მეუღლის, ლაქშმის მსახურებაში პოულობს სიხარულს“; რამაიანას გმირი, აიოდჰას მეფის, დაშარათჰას და მისი მესამე ცოლის, სუმიტრას ვაჟი, რამას უმცროსი ნახევარძმა და ერთგული მეგობარი.

ლაქჰი – 100 ათასი.

ლობჰა – სიძუნწე; სიხარბე.

ლოკა-მატა – სამყაროს დედა, სამყაროების მეუფე-ქალი.

ლოკა-ნათჰა – სამყაროს ბატონი, სამყაროების მეუფე.

მ

მადა – *სომას* (სვიას ტიპის ხვიარა მცენარის) ღვინო, მათრობელა სასმელი, რომელსაც მსხვერპლად შეწირვისთვის ხმარობენ; ფიგურალური გაგებით – დათრობა, გონების, გრძნობების, სულის ამღვრევა; ვნებებით შთანთქმა; უკიდურესი ეგოიზმი; სიამაყე.

მადჰავა - „მადჰუს შთამომავალი“ ან „თაფლოვანი“, „საგაზაფხულო“; კრიშნას ეპითეტი და მისი სახელი მამის გვარის მიხედვით; მადჰუ – იადავების ტომის წინაპარი.

მადჰურა (მატჰურა) – ქალაქი, რომელიც ლაქშმანამ დემონ-*რაქშასის* სავანეს, მადჰუს ადგილას დააარსა. იადავების მმართველ კამსას სატახტო ქალაქი მათი დვარაკაში გადასახლებამდე; კრიშნას დაბადების ადგილი.

მაია – ილუზია, ჯადოსნობა, გრძნება; ღმერთის (*ბრაჰმანის*) შემოქმედებითი, მისტიკური და მაცდუნებელი ძალა, რომლის საშუალებითაც იგი სამყაროს გამჟღავნებას ახორციელებს. სამყაროებრივი ილუზია, სამყაროს მრავალფეროვნული ხილულობა; მეტაფიზიკური არცოდნა; უმეცრება.

მაია-მაიი – ის, რაც *მაიას* ეხება; *ბრაჰმანის* შემოქმედება.

მალა – აქ არასისუფთავე ან არასრულყოფილება; გაჭუჭყიანება, წაბილწვა; ცუდი, ჭუჭყიანი აზრები და მიდრეკილებები.

მალიკა – ჟასმინი.

მალიკარჯუნა - „სუფთა ჟასმინი“, „თეთრი ჟასმინი“; იშვარას სახელი-ეპითეტი, რომელიც თეთრი ჟასმინის სახით ზოგიერთ ტაძარშია გამოსახული.

მამა – ჩემი.

მამა-დჰარმა – პირადი *დჰარმა*.

მამაკა – ჩემი, ჩემი საკუთარი.

მამაკარა – „თავისი საკუთარის“ (რომელიც ფორმითაა შემოსილი) გაცნობიერება, და ამის შედეგად – წუთისოფელზე, საგნებზე, მეგობრებზე და ახლობლებზე მიბმულობის გრძნობა, რომელსაც თავისი თავის სხეულთან გაიგივება იძლევა.

მანავა - „მანუს შთამომავალი“, „მოაზროვნე“; ადამიანი.

მანანა – მოფიქრება, შესმენილზე, წმინდა მოძღვრებებზე ფიქრი.

მანას – გონება, აზრთა ხლართი, სურვილთა კომპლექსი; ფსიქიკური ორგანო, რომელიც *ინდრიებს* აერთიანებს და *ბუდჰის* ემორჩილება; ადამიანის ემოციური ცენტრი.

მანიპურა (*მანიპურა-ჩაკრა*) – 10-ფურცლიანი ლოტოსი, *ჩაკრა*; ჭიპის ცენტრის დასახელება, რომელიც კუჭის არეში, ჭიპის უკანაა განლაგებული; ადგილი, სადაც ენერგია იქმნება, გროვდება და ნაწილდება.

მანიში - „ის ვინც ფიქრობს“; ადამიანი.

მანტრა – სულიერი შელოცვა, ლოცვითი ფორმულა, რომელიც ვედური ჰიმნებიდანაა აღებული; წმინდა აქსიომა, რომელსაც ტრანსცენდენტური ხმოვანი ვიბრაცია გააჩნია; იგი ადამიანს ცნობიერების მაღალი მდგომარეობის მიღწევაში ეხმარება.

მანუ – მოაზროვნე, ადამიანი; კაცობრიობის პირველმშობლის სახელი; იგი შექმნილი სამყაროს განვითარების ყოველ პერიოდში ჩნდება. ბჰაგავად გიტა ოთხ მანუზე ლაპარაკობს, მოგვიანებით ისინი 10-მდე დათვალეს. ლეგენდის თანახმად მანუ ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ვიშნუმ წარღვნის დროს გადაარჩინა. მანუ, მზის ღმერთის, სურიას, ვაჟი, მზის და მთვარის დინასტიის მეფეს და მამამთავარს წარმოადგენს. მან დედამიწაზე ქაოსი შეწყვიტა და *დჰარმა* დაამყარა.

მარგა – გზა.

მარგაშირა-ბუდჰა-ეკადასი – *მარგაშირას* თვის (ნოემბერი-დეკემბერი) ახალი მთვარის პირველი დღე.

მატსარია – შური.

მაჰაბჰარატა - „დიადი თქმულება ბჰარატას შთამომავლებზე“ ან „ბჰარატას შთამომავალთა დიადი ბრძოლა“ - ეპიკური პოემა 18 ნაწილად (*პარვებად*), რომლის შექმნაც ბრძენ ვიასას მიეწერება. პოემის ძირითადი სიუჟეტი ტახტისთვის ბრძოლაა სამეფო გვარის ხუთ წარმომადგენელს, ძმებ პანდავებსა და მათი ბიძის

(მეფე დჰრიტარაშტრას) 100 ვაჟს, კაურავებს, შორის. *კურუს* ველზე დიად ბრძოლაში (რომელიც ძვ. წელთაღრიცხვით 3141 წ. შედგა) ინდოეთის ყველა მეფე და ხალხი მონაწილეობდა ორივე მხარეს. პოემის უმეტესი ნაწილი შეიცავს მითოლოგიურ, ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ თემებს. მაჰაბჰარატა ინდური კულტურის ფასდაუდებელი ლიტერატურული ძეგლია, რომელიც დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარს განეკუთვნება.

მაჰარაჯა - „დიადი *რაჯა*“; *რაჯა*-დამპყრობელი, რომელმაც *აშვამედჰა-იაგა* (ცხენის მსხვერპლად შეწირვა) შეასრულა.

მაჰატმა - „სულით დიადი“; „დიადი სული“; ის, ვინც ყოველგვარი ორობითობის განცდისგან თავისუფალია, ვისაც არ ეხება არც მიბმულობა, არც სიძულვილი.

მაჰატმა განდი – იხ. განდი.

მაჰეშვარა - „დიადი მეუფე“; შივას და ვიშნუს ეპითეტი.

მაჰიში – დედალი კამეჩი; პირველი, მთავარი მეუღლე (ცოლი).

მედჰა-შაქთი – გაგების, გონიერების ძალა; ზემგრძნობიარე გონიერება, რომელიც ასოცირდება ექსტრასენსორულ აღქმასთან, (რაც გარე სამყაროს შეგრძნების და აღქმის ჩარჩოებს სცილდება) ინტუაციასთან, სულიერებასთან.

მოდა(მ) – სასურველის შეძენა; საგნის შეძენით გამოწვეული სიხარული, სიამოვნება.

მოკშა (*მუკთი*) – გათავისუფლება; *კარმული* ტვირთისგან *ჯივას* გათავისუფლება, ანუ ადამიანის გათავისუფლება *სანსარას* ბორკილებისგან – დაბადებისა და სიკვდილის წრისაგან; ინდუიზმში – ადამიანის არსებობის ოთხი მიზნიდან ერთ-ერთი (ბოლო).

მოჰა – ცდომილება; დაბრმავება; სიცრუე; მიბმულობა;

მრიდანგა – ინდური მუსიკალური ინსტრუმენტი, დოლის სახეობა.

მულადჰარა (*მულადჰარა-ჩაკრა*) – ოთხფურცლიანი ლოტოსი, ქვედა *ჩაკრა*, ფიზიკური ცნობიერების ცენტრი. *მულადჰარა-ჩაკრას* გახსნა *კუნდალინის* ცეცხლის დენს აღვიძებს, რომელიც ზემოთ, დანარჩენი *ჩაკრებისკენ* ადის.

მუმუქშუტვა – *მოკშას*, გათავისუფლების წყურვილი.

მუნი – მარად მდუმარე, ასკეტი, ბერი; ბრძენი.

ნ

ნა – არა, უარყოფითი ნაწილაკი „არ“.

ნაივედია – ღმერთებისთვის საკვების მირთმევის რელიგიური ცერემონია; რიტუალის დასრულების შემდეგ საკვები მის მონაწილეებზე ნაწილდება; ჩვეულებრივ ძღვენი შედგება ერბოს, ჩუმა-მაწონის, ხილის, ტკბილეულის, საერთოდ ნებისმიერი საჭმლისაგან, რომლებიც საღმრთო წიგნების (შასტრების) მიერ აკრძალული არ არის.

ნაკულა - „მანგუსტა“; მაჰაბჰარატას გმირი, ძმებ პანდავებს შორის უმცროსი, გველების ცნობილი მტერი, პანდუს და მადრის ვაჟი; როგორც მისი ტყუპისცალი საჰადევა, ისიც ღმერთ-ტყუპების აშვინების, მკურნალებისა და ჯადოქრების ვაჟიშვილად ითვლება.

ნალა – მაჰაბჰარატას პერსონაჟი, ნიშადჰების სახელმწიფოს ძლევამოსილი მეფე, ღვთაებრივი ხუროთმოძღვრის ვიშვაკარმანას, ხელოსნობის და გამოყენებითი ხელოვნების მბრძანებლის, ვაჟი, დამაიანტის მეუღლე.

ნამასკარი – მოწიწებული მისალმება, რომელიც გამოიხატება თავის დახრით და ხელისგულების ერთმანეთზე მიწყობით.

ნანდი(ჰ) – ღმერთ შივას ხარის, ვაჰანას სახელი.

ნარა – წყალი; ადამიანი; ქმარი, მამაკაცი; ძველ ინდურ მითოლოგიაში – ბრძენი-*რიში*, რომელიც მუდამ *რიში* ნარაიანასთან ერთად გამოდიოდა. პურანებში ნარა-ნარაიანა ვიშნუს ორერთიან განხორციელებად (ღმერთების დჰარმისა და აჰიმსასი) ცხადდება. მაჰაბჰარატაში ნარა არჯუნასთან არის იდენტიფიცირებული.

ნარადა – ღმერთების სახელგანთქმული მასწავლებლის, ღვთაებრივი *რიშის*, ბრაჰმას სულიერი ვაჟის სახელი, რომელსაც რამდენიმე ვედური ჰიმნის ავტორობა და ინსტრუმენტ *ვინას* გამოგონება მიეწერება. მისი ცხოვრების ისტორია „შრიმად-ბჰაგავატას“ პირველ ლექსშია აღწერილი.

ნარაიანა - „ის, ვინც ადამიანთანაა (დაკავშირებული)“; „ადამიანთა გზა“; ვიშნუს სახელი, რომელიც ადამიანების დაცვის (სამყაროს დაცვის) ფუნქციას ასახავს, ღმერთ ვიშნუს ოთხხელა იპოსტასი. მაჰაბჰარატაში ნარაიანა კრიშნასთან იდენტიფიცირდება.

ნაროტამა – ადამიანთა შორის საუკეთესო; იდეალური ადამიანი.

ნასაგრა – ცხვირის წვერი.

ნასტი (სანსკრიტ. *ნა სტი*) - „არ არის“.

ნასტიკა – ის, ვინც ღმერთის არსებობას უარყოფს, არამორწმუნე, ათეისტი.

ნიდიდჰიასანა – სულიერი პრაქტიკა, რომელიც საღმრთო წერილებშია ჩადებული; გონების კონცენტრაცია ობიექტზე, შინაგანი კონცენტრაცია *გურუს* მოსასმენად და მედიტაცია მოსმენილზე; ადამიანის მიერ იმის შეთვისება, გულში აღბეჭდვა, რაზედაც იგი ფიქრობდა.

ნიპატ(ა) (პირდ. „დაცება რაიმეზე“) – მოხვედრა, მიღწევა; მსუბუქი თავის დაკვრა: უფლის ლოტოსის ტერფების თავით შეხება.

ნირაკარა - „უფორმო“, „უსხეულო“.

ნირაჯა - „ის, რაც მიბმულობებს არ განიცდის“; ერთ-ერთი მწყემსი ქალის (*გოპის*) სახელი.

ნირაჯანა - „ის, ვინც მიბმულობებს არ განიცდის“.

ნირგუნა - „თვისებების არმქონე“; ის, ვისაც ფიზიკური თვისებები ჩამორთმეული აქვს, უპიროვნო.

ნირგუნა-ბრაჰმანი - „თვისებების არმქონე *ბრაჰმანი*“, ანუ *ბრაჰმანი*, რომელსაც ფორმა და ატრიბუტები არა აქვს, ერთიანი ღმერთი, აბსოლუტი.

ნირვიკალპა-სამადჰი – სულის უმაღლესი მდგომარეობა, რომელშიაც არ არის ფიქრები ან ცნობიერების მოძრაობები, შიდა ან გარე საგნების გაცნობიერება, უმაღლესი სრულყოფილი სიმშვიდის მდგომარეობა, უმაღლეს აბსოლუტთან, ღმერთთან შეერთება; *იოგას* უმაღლესი საფეხური, პატანჯალის სისტემის *იოგას* მე-8 საფეხური.

ნისამშაია – იჭვნეულობის და სკეპტიციზმის არარსებობა.

ნიტიანანდა – მარადი ნეტარება.

ნიტიანანდა-მაიი - „ის, რაც მარად ნეტარებას ეხება“.

ნიტიანიტია-პარიშილანა – რეალურსა და არარეალურს შორის გარჩევის უნარი.

ნიშაბდა – მდუმარების ხმა.

ნიშკამა-კარმა – მოქმედება, რომელსაც პირადი მოტივაცია არა აქვს; მოღვაწეობაში ჩაბმა მოქმედებების შედეგებზე მიბმულობის გარეშე; საკუთარი ვალდებულების უანგარო შესრულება.

ო

ომ – იხ. *აუმ*

ომკარა - „ბგერა *ომ*“; წმინდა ბგერა *ომ*-ის წარმოთქმა.

პ

პადმასანა (*პადმა-ასანა*) – ლოტოსის პოზა;

პანდავები - „პანდუს შთამომავლები“. ამ სიტყვით მაჰაბჰარატა ხუთ ძმას აღნიშნავს: დჰარმარაჯას, ბჰიმას, არჯუნას (პანდუს და მისი ცოლის, კუნტის, ვაუებს) და ნაკულას და საჰადევას (პანდუს და მადრის ვაუებს). რამდენადაც დაწყევლის შედეგად პანდუს შვილების ყოლა არ შეეძლო, უფლისწულთა ფაქტიურ მამებად ითვლებიან ღმერთები დჰარმა, ვაიუ, ინდრა და ტყუპი-ძმები აშვინები.

პანდიტი – განათლებული ადამიანი; სწავლული; ვედური სიბრძნის მცოდნე; საპატიო ტიტული, რომელიც საღვთისმეტყველო განათლების მქონე ადამიანებს ენიჭებოდათ.

პანდუ - „ფერმკრთალი“; მაჰაბჰარატას გმირი, ჰასტინაპურის (უძველესი ქალაქისა განგას სანაპიროზე) მმართველი, მეფე ვიჩატრავირის ვაჟი (ფაქტიურად ვიასას ვაჟი), ხუთ ძმა პანდავების მამა, მეფე დჰრიტარაშტრას უმცროსი ძმა.

პანჩაბჰუტა - „ხუთი სტიქია“, „ხუთი ელემენტი“; ნივთიერების ხუთი ელემენტარული მდგომარეობა: *აკაშა* (სივრცე), *ვაიუ* (ჰაერი, ქარი), *აგნი* (ცეცხლი), *ჯალა* (წყალი), *პრითჰივი* (მიწა).

პანჩაკოშა - „ხუთი საფარველი“; მატერიის კონცენტრაციის ხუთი გარსი ან ფენა, რომლებიც უმაღლეს სულს (*ატმანს*) ფარავს. მათ თავის თავად დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნიათ.

პანჩაპრანა – ხუთი სასიცოცხლო დენი, ანუ სასიცოცხლო ენერგია.

პარაბრაჰმა(ნ) - „უმაღლესი *ბრაჰმანი*“, *ბრაჰმანი* მის ტრადიციულ ასპექტში, უნივერსალური ერთიანი ღმერთი, აბსოლუტი.

პარამანანდა – უმაღლესი ნეტარება.

პარამატმანი - „უმაღლესი *ატმანი*“; უმაღლესი სული, უმაღლესი ღვთაებრივი არსი, რომელიც *ბრაჰმანთანაა* გაიგივებული.

პარამაჰამსა - „სრულყოფილი გედი“; *ჰამსა* – ზეციური გედი, ღმერთ ბრაჰმას *ვაჰანა*, რომელსაც უნარი აქვს წყლის და რძის ნარევიდან რძე გამოყოს და მხოლოდ ის სვას; მოღვაწე, რომელმაც უმაღლეს სულიერ დონეს და გარჩევის უნარს მიაღწია; განთავისუფლებული; წმინდანი.

პარამეშვარა (*პარამა-იშვარა*) - „უზენაესი მბრძანებელი“, „უზენაესი“; ვიშნუს და შივას ეპითეტი.

პარა-პრაკრიტი – სასიცოცხლო ძალის და გონების უმაღლესი ბუნება სხეულის დაბალი ბუნების საწინააღმდეგოდ.

პარართჰა – ყოვლისმომცველი სიყვარული.

პარა(ა)პარა-მაია - „ის, რაც ეკუთვნის უმაღლესსაც და უდაბლესსაც“; ღმერთის რვა საგანძურიდან, ანუ ძალიდან, ერთ-ერთი.

პარვატი – იშვარას (შივას) მეუღლე.

პარჯანია – წვიმის ღრუბელი, წვიმის წყარო; ძველინდურ მითოლოგიაში საავდრო ღრუბლის და წვიმის ღმერთი. პართჰა - „პრიტჰ(ი)ვის ვაჟი“; პრიტჰვი („ფართო“, „ხელისგული“) – დედამიწის ეპითეტი და კუნტის სახელი. პართჰებს უწოდებდნენ კუნტის სამ უფროს ვაჟს – დჰარმარაჯას, ბჰიმას და არჯუნას.

პასჩატაპა – წარსულზე ფუჭი სინანული.

პატა – თავის დაკვრა, მოდრეკა.

პატანჯალი – ლეგენდარული ვედური ფილოსოფოსი (სავარაუდოდ ჩვ. ერამდე მე-2 საუკ.), რომელსაც *იოგას* ფილოსოფიური მოძღვრების სისტემატიზაცია, „იოგა-სუტრას“ ტრაქტატის ავტორობა და რვა საფეხურიან *იოგას* შექმნა მიეწერება.

პატრამ – მცენარის ფოთოლი; წერილი.

პაშუ – ცოცხალი არსება; ცხოველი; შინაური საქონელი.

პაშუპატი – პირუტყვთა ბატონი; ცხოველთა მბრძანებელი; შინაური საქონლის მეუფე; ძველინდურ მითოლოგიაში – შივას ეპითეტი.

პიტა – ნაღველი.

პოტანა, ბამერა (1400-1470) – შუა საუკუნეების პოეტი, „ანდჰრა-მაჰაბჰაგავატას“ (უფლის შესახებ დიადი თქმულების) – ბჰაგავატა-პურანას ტელუგუს ენაზე საავტორო გადატანის (რომელიც რამასაა მიძღვნილი) – შემქმნელი.

პრაკრიტი – ბუნება; ვედანტას ფილოსოფიაში მატერიალური სამყარო, რომელიც ღმერთის შემოქმედებითი ენერგიით იქმნება და სულიერდება; პირველშობილი მატერია, რომელიც ხუთი ელემენტისგანაა შექმნილი, ანუ ატომებისაგან შექმნილი უხეში და ინერტული ბუნება; ხილული გამჟღავნებული სამყარო, რომელიც ჩვენი გრძნობითი ორგანოების მიერ აღიქმება; ქალური არსი, ხრწნადი და წარმავალი.

პრაკრიტი-სამატვა – გონების გაწონასწორებული მდგომარეობის ერთ-ერთი სახე – აღუშფოთებელი სიმშვიდის შენარჩუნება ბუნების სხვადასხვა მოვლენის მიმართებაში.

პრალაია – გაზავება, ჩაძირვა, დიდი წარღვნა; მოშლა, დეზინტეგრაცია, გაქრობა, სიკვდილი; სამყაროს დაღუპვა, რომელიც სამყაროს ციკლის დასრულების დროს დგება; ბუნების პოტენციალურ მდგომარეობაში გადასვლა, როდესაც ყველა მისი *გუნა* (თვისება) სრულიად გაწონასწორებულია.

პრამოდა(მ) – დაკმაყოფილება, რომელიც საგნის დაუფლების შემდეგ იქმნება; დაუფლებულით ტკბობა.

პრანა – სიცოცხლე; სუნთქვა; ცხოველმყოფელი ძალა, სასიცოცხლო ენერგია, სასიცოცხლო პრინციპი. ადამიანის სხეულში ხუთ ძირითად *პრანას* არჩევენ.

პრანავა – თავდაპირველი ბგერა; თავდაპირველი სიტყვა.

პრანანათჰა – სასიცოცხლო ენერგიის (*პრანას*) მეუფე, მთელი სიცოცხლის ბატონი.

პრანიპატა –მუხლის სრული მოყრა, მდგომარეობა, როდესაც ადამიანი უფლის წინაა მთლიანად განრთხმული.

პრაპატი – თავდადებული ერთგულება, თვითგანდგომა.

პრაპტი – შეძენა; საკუთარი თავის ღმერთს მთლიანად ჩაბარება.

პრარაბდჰა-კარმა – *კარმა*, რომლის განცდაც ამჟამად ხდება როგორც ყველა წინა *კარმის* შედეგი.

პრახლადა - „სასიხარულო აღგზნება“, „აღტაცება“; დემონ-*ასურთა* ღვთისმოსავ მეფის სახელი. ვიშნუს თავგამოდებული თაყვანისმცემელი, მეფე-დემონის ჰირანიაკაშიპუს ვაჟი.

პრაჯნია – გაგება; სიბრძნე; ღრმა ძილის ფაზა სიზმრების გარეშე (იხ. *სუშუპტი*).

პრაჯნიანა – უმაღლესი სიბრძნე, სრული, სრულყოფილი ცოდნა; შემცნობი პრინციპი; ადამიანის შიგნით მყოფი ღმერთის ცოდნა; მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება ცნობიერების უმაღლეს დონეს – მუდმივ ყოვლისმომცველ ცნობიერებას.

პრაჯნია(ნა)-ვასთჰა – ცნობიერება, რომელიც *პრაჯნიანას* მდგომარეობაში იმყოფება.

პრემა – სიყვარული; კოსმოსური, უნივერსალური, ღვთაებრივი სიყვარული.

პრემა-სვარუპა – სიყვარულის განხორციელება.

პრითჰ(ი)ვი – მიწა; ბუნების ხუთი პირველელემენტიდან (*ბჰუტადან*) ერთ-ერთი; მიწიერი პრინციპი – კონდენსაციის მასტაბილიზირებელი პრინციპი, რომელიც მატერიალურ სამყაროში ჩვენთვის წარმოდგენილია როგორც მიწა – ყველა მყარი სხეულის საფუძველი.

პრიია(მ) – სასურველი; ის, რასაც დაკმაყოფილების მოტანა შეუძლია; მოჯადოება, მიმზიდველობა, მიბმულობის და სიყვარულის გამოწვევის უნარი, როდესაც არსებობს შესაძლებლობა, რომ იყოს გამოყენებული; სურვილის გაჩენა, სიხარულის მოლოდინი; გატაცება.

პურანა – საგმირო თქმულება, ნამდვილი ამბავი; მრავლ. რიცხვში – ძველი თქმულებები და ლეგენდები. არის 18 „დიდი პურანა“ და 32 „მცირე პურანა“, რომლებიც ვედების დამატებაა. მოგვიანებით, ჩვ. წელთაღ. მე-4 საუკუნეში, სიტყვამ „პურანა“ უფრო ვიწრო მნიშვნელობა მიიღო. ასე იწოდებოდა უფრო გვიანი წარმოშობის ლიტერატურული ნაწარმოებები, უპირატესად ვიშნუიტური მიმართულებისა, მაგალითად, „ვიშნუ-პურანა“, „ბჰაგავატა-პურანა“. არის შივაიტური პურანები, მაგალითად „ვაიუ-პურანა“, „ლინგა-პურანა“.

პურვატაპა – ბრძნული მზრუნველობა მომავალზე.

პურუშა – ადამიანი; მამაკაცი; ქალაქელი; ვედანტას ფილოსოფიაში – სრულყოფილი ადამიანი, განხორციელებული უმაღლესი სული, ღმერთის გამჟღავნება მატერიალურ სამყაროში; აბსოლუტური სუბიექტი, რომელიც სამყაროს გამჟღავნებას უმზერს და ბუნების (*პრაკრიტის*) თამაშს მხარს უბამს; მამაკაცური არსი, მოუშლელი და მარადი; მუდმივი მამაკაცური საწყისი.

„პურუშა-სუკთა“ - რიგვედას ჰიმნი, რომელიც სამყაროებრივი სულის (*პურუშას*) აღწერასაა მიძღვნილი და გვამცნობს *ვირატ-პურუშას* შესახებ – კოსმოსური გიგანტისა, რომელიც ღმერთების მიერ მსხვერპლად იყო გაღებული; მისი ნაწილებისგან კოსმოსის ძირითადი ელემენტები იქნა შექმნილი.

პურუშოტამა - „მამაკაცთა შორის საუკეთესო“; ვიშნუს ეპითეტი; უზენაესი *პურუშა*, ანუ ღმერთი, სამყაროს უზენაესი სული, რომელიც ინდივიდუალურ *ატმანებს* აერთიანებს.

პუშპამ – ყვავილი.

პუჯა – პატივი; თაყვანისცემა, მოდრეკა; უმაღლესი არსებების პატივისცემა ან ღმერთების თაყვანისცემა; საზეიმო ცერემონია; ღვთისმსახურების რიტუალი.

პჰალამ – ხილი; ნაყოფი; ჯილდო.

პჰულაბჯაკშა - „ლოტოსისთვალება ვიშნუ“; ვიშნუს მრავალრიცხოვანი სახელებიდან ერთ-ერთი.

რ

რავანა - „მოღრიალე“; „რამაიანას“ გმირი, ათთავიანი დემონი-*რაქშასა*, ლანკას მმართველი, ბრძენ ვიშრავასას და დემონი ქალის ნიკასას ვაჟი. ასკეტური საგმირო საქმეების შესრულების გამო ბრაჰმასგან ჯილდოს სახით სამყაროებზე შეუზღუდავი ძალაუფლება და ღმერთებისთვის და დემონებისთვის მოუწყვლელობის უნარი მიიღო. რაქშასების ბატონობის გასანადგურებლად ვიშნუ დედამიწაზე რამას სახით გამოჩნდა. რავანა ლანკას მისადგომებთან რამას მიერ იქნა მოკლული. რამას რავანასთან ბრძოლის ამბავი აღწერილია რამაიანაში და უფრო შემოკლებით მაჰაბჰარატაში.

რამა - „სასიხარულო“; ძველინდურ ეპოს რამაიანას გმირი; მზის დინასტიის მეფე, აიოდჰას მმართველი, დაშარათჰას და კაუშალის ვაჟი, რომელმაც ყოვლისშემძლე დემონი რავანა დაამარცხა. ვიშნუიტური ტრადიცია რამას ვიშნუს მეშვიდე *ავატარად* ცნობს, *დჰარმის* დამცველი.

რამდასი (1608-1681, ნამდვილი სახელია ნარაიან თჰოსარი) - „რამას მსახური“; შუა საუკუნეების პოეტი-მქადაგებელი, რამას ერთგული და წმინდანი, მუსლიმანური ბატონობის წინააღმდეგ მარათჰების რელიგიური ნაციონალისტური ბრძოლის იდეური სულისჩამდგმელი.

რამაკრიშნა პარამაჰამსა (1836-1886, ნამდვილი სახელია გადადჰარ ჩატერჯი) – სახელოვანი ბენგალელი რელიგიური მოაზროვნე, წმინდანი, რომელიც ინდუიზმის რეფორმირებას ცდილობდა, ვივეკანანდას სულიერი მასწავლებელი. იგი ინდოეთის სულიერი აღორძინების და „სრულიად საკაცობრიო რელიგიის“ ქადაგებით გამოვიდა და თვლიდა, რომ რელიგიური თაყვანისცემის ისტორიული ფორმები, ისეთები როგორიცაა ინდუიზმი, ისლამი, ქრისტიანობა, წარმოადგენს ერთი ღვთაებრივი საწყისისაკენ – სრულიად საკაცობრიო რელიგიისაკენ – საყოველთაო სწრაფვის ცალკეულ გამოვლინებებს.

რამანა მაჰარში (1879-1950) – ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი რელიგიური მოღვაწე; აღიარებულია როგორც წმინდანი, ვისი მსოფლმხედველობაც ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბოლო ეტაპზე ჩამოყალიბდა, რამაც ქვეყანაში რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია; ვედანტას მომხრე, რომელსაც უწოდებდნენ „ადვაიტა-ვედანტას განხორციელებას“ და „უპანიშადების ცოცხალ აზრს“.

რამაიანა - „თქმულება რამაზე“, ეპიკური პოემა შვიდ წიგნად, რომელიც რამას ცხოვრებაზე და მოქმედებებზე, დემონ რავანას (რომელმაც მისი ცოლი სიტა მოიტაცა) წინააღმდეგ მის ბრძოლაზე მოგვითხრობს. რამაიანას შექმნა ბრძენ ვალმიკის მიეწერება.

რამაჩანდრა - „რამა (მშვენიერი როგორც) მთვარე“.

რასა – გემო; განუყოფელი სიტკბოება; სქელი ტკბილი წვენი; ინდურ ფილოსოფიაში და ესთეტიკაში – უსუფთავესი ემოცია; სულიერი განცდა; რელიგიური გრძნობა; წყაროთა უმეტესობაში *რასას* ცხრა სახეობა ითვლება.

რაჯა-გუჰია - „მეფური“, უმაღლესი საიდუმლოება.

რაჯა-ვიდია - „მეფური“, უმაღლესი ცოდნა.

რაჯასი (*რაჯაგუნა*) – მოძრაობა; მისწრაფება; ვნებიანობა; მოძრავი, ვნებიანი საწყისი; ბუნების ძირითადი თვისებებიდან (*გუნებიდან*) მეორე; ქოლერიკული ტემპერამენტი.

რაჯასიური – *რაჯასის* ბუნებისათვის დამახასიათებელი; მოძრავი; მღელვარე; ვნებიანი.

რაჯასუიია (*-იაგა*) – დიადი მსხვერპლის შეწირვა, რომელიც მეფედ კურთხევის დროს მის და მოხარკე-უფლისწულების მიერ სრულდება.

რიში - „ჰიმნების შემთხზველი (*რიგ*)“; მასწავლებელი, ბრძენი, წმინდანი, რომელსაც გაწმენდილი ცნობიერება და განათებული ინტელექტი აქვს; მრ. რიცხვში – წმინდანი წინასწარმეტყველნი, რომლებმაც ზემოდან რიგვედას ჰიმნები აღიქვეს. პოსტვედური პერიოდის მითოლოგია დიადი *რიშების* (*მაჰარიშების*) ჯგუფს გამოყოფს, რომლებიც ბრაჰმას გონების მიერ წარმოიშვნენ და სამყაროს შექმნაში და სამყაროს წესრიგის დამყარებაში ეხმარებიან მას. სხვა ბრძენები *რიშის* სტატუსს ასკეტური საგმირო საქმეების გზით აღწევენ. მათ შორის გამოირჩევიან *ბრაჰმარიშები* (ბრძენი-*ბრაჰმანები*), *რაჯარიშები* (სამეფო ბრძენები) და *დევარიშები* (ღვთაებრივი ბრძენები).

როგა-ბჰუმი – ავადმყოფობათა მიწა.

რუდრა - „ღრიალა“; ვედური ღმერთი, შივას იპოსტასი, რომელიც რიგვედას ჰიმნებში მოიხსენიება, *მარუტების* (ქარის, ჭექა-ქუხილის ღმერთების) მეთაური, რომლებიც სუნთქვას და სასიცოცხლო ენერგიებს (*პრანებს*) ხელმძღვანელობენ.

რუპა(*მ*) – ფორმა.

რუპია – ძირითადი ფულადი ერთეული თანამედროვე ინდოეთში.

ს

საბალა – ძალით აღჭურვილი.

საგარა – ოკეანე.

საგუნა - „(კარგი) თვისებებით დაჯილდოებული“; განხორციელებული ღვთაება.

საგუნა-ბრაჰმანი – *ბრაჰმანი*, რომელსაც თვისებები აქვს; ფორმის მქონე ღმერთი.

სადგურუ - „კარგი (ან ჭეშმარიტი, წმინდა) *გურუ*“.

სადჰაკა - „რაიმეს შემსრულებელი“; დამხმარე; სულიერი მაძიებელი, რომელიც *სადჰანას* გზით მიდის.

სადჰანა - „მიზანთან მიმყვანი“; მეთოდი, სულიერი ვარჯიში; სულიერი პრაქტიკა; სულიერი რეალიზაციისათვის წარმოებული დისციპლინა.

სავიტრი - „მზიური“; ძველინდურ მითოლოგიაში – მზის ღვთაების, სურიას, ქალიშვილი, რომელიც მან ბრაჰმას ცოლად გააყოლა; მაჰაბჰარატაში - „თქმულება სავიტრიზე“ - ერთგული, მოსიყვარულე ცოლი, რომელმაც უდროოდ წასული მეუღლე, სატიავანა, სიკვდილის ღმერთს ხელიდან გამოსტაცა.

საიუჯია - „შეერთება“; ადამიანის სულის გათავისუფლება და უმაღლესი სულის (*ატმანის*) ღვთაებასთან საბოლოო ერთიანობა; ნეტარების გზაზე მეოთხე, საბოლოო საფეხური.

საკარა - „ფორმის მქონე“; კონკრეტული ფორმა ან სახე.

საკარა-ბრაჰმანი – გარკვეული ფორმის მქონე *ბრაჰმანი* (ღმერთი).

სალია – მაჰაბჰარატას გმირის, კარნას მეეტლე.

სალოკია - „თანა-წუთისოფლისა“; ნეტარების მიღწევის ოთხი სტადიიდან პირველი, რომელიც უხეშ სხეულთან ასოცირდება, მუდმივი აზრობრივი მიმართვა ღმერთს.

სამადჰი - „გონების მდუმარება“; გონების აბსოლუტური აღუშფოთველობის მდგომარეობა, როდესაც ცნობიერების აბსოლუტთან გაიგივება და მასთან შერწყმა ხდება, ზეცნობიერება. არჩევენ *სამადჰის* რიგ საფეხურებს, აღქმის ობიექტებისგან ცნობიერების სრულ მოწყვეტამდეც კი; *იოგას* მე-8 (ბოლო) საფეხური.

სამატვა - „თანასწორობა“; გონების გაწონასწორებული მდგომარეობა, ანუ ყველაფრის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება, მიუკერძოებლობა; გულგრილობა.

სამაჯი – კრება; შეკრება; საზოგადოება.

სამაჯ(იკ)ა-დჰარმა - „საზოგადოებრივი *დჰარმა*“; საზოგადოებრივი ვალდებულება, კანონი.

სამაჯიკა-სამატვა – გონების გაწონასწორებული მდგომარეობის ერთ-ერთი სახე: აღუშფოთებელი სიმშვიდე, რომელიც ადამიანს, როგორც საზოგადოების განუყოფელ ნაწილს უნდა ჰქონდეს სახვადასხვა სოციალური მოვლენების მიმართ.

სამიამა – აღუშფოთველი სიმშვიდე; გრძნობათა ორგანოების კონტროლი.

სამიპია – სიახლოვე; მეზობლობა; სამყაროს ფუძემდებლურ სულიერ სუბსტანციასთან სიახლოვის, ღვთაებასთან სიახლოვის მდგომარეობა; ნეტარების მიღწევის ოთხი სტადიიდან მეორე.

სამპადა – აყვავება.

სამსარა (*სანსარა*) – გამომდინარეობა, ხეტიალი, წრებრუნვა; ცხოვრების სამყაროებრივი ნაკადი; სხვადასხვა მდგომარეობაზე გადასვლა; აღნიშვნა ამქვეყნიური ყოფიერებისა, რომელიც დაკავშირებულია დაბადებათა მწკრივთან და ერთი არსებობიდან მეორეში გადასვლასთან, ასევე ცოცხალი არსებებით დასახლებული სამყაროებისა, სადაც ეს გადასვლა ხდება; ვიწრო გაგებით – ოჯახი; ნათესაობრივი მიბმულობები.

სამსარა-საგარა – წუთისოფლის ოკეანე; ცხოვრების ოკეანე.

სამსკარა – კულტურა, განწმენდა, სრულყოფა, გარდაქმნა; შინაგანი იმპულსი; მრ. რიცხვში – წეს-ჩვეულებები და მსხვერპლის შეწირვები, რიცხვით 10, რომლებიც განკუთვნილია ადამიანის განწმენდისათვის მისი ცხოვრების გარკვეულ მომენტებში. ფსიქიკური და სულიერი თვისებები, რომლებიც ადამიანმა გასულ ცხოვრებებში შეიძინა.

სან – კეთილი, კარგი.

სანატანა-დჰარმა - „არაწარმავალი *დჰარმა*“; უნივერსალური *დჰარმა*; მარადიული უნივერსალური რელიგია; სამყაროს კანონს მიყოლა.

სანატკუმარა - „მარად ახალგაზრდა“; ღვთაებრივ ბრძენებს (*დევარიშებს*) შორის ყველაზე უფრო ღირსეული, ბრაჰმას ოთხი ვაჟიდან ერთ-ერთი.

სანდჰია-ვანდანა – დილის, შუადღის და საღამოს ლოცვა.

სანიასა – განდგომა; ამქვეყნიური ზრახვებისგან განდგომა; განდგომის აღთქმა; ცხოვრების სახე განდგომაში; სულიერი სრულყოფის მე-4 საფეხური საზოგადოების ვედური დაყოფის სისტემაში (ოთხ წოდებად და სულიერი სრულყოფის ოთხ საფეხურად).

სანიასი(ნი) – ადამიანი, რომელმაც *სანიასი* მიიღო; მოხეტიალე ბერი, რომელიც წუთისოფელს განუდგა.

სანკალპა – მიზანი ან გეგმა; სურვილი, ნება; ნებისყოფა; ნების გამოვლინების აქტი; ღვთაების ნება.

სანქჰია – ანგარიში; აღრიცხვა; მსჯელობა; ჭეშმარიტების ანალიტიკური გაცნობიერება, უმაღლესი სულის და მატერიის ანალიტიკური გარჩევა. ძველი ინდოეთის ექვსი ფილოსოფიური ორთოდოქსალური სისტემიდან ყველაზე უფრო ძველი. მის შესახებ ბჰაგავად გიტაშია ნახსენები; საწყის ფორმაში იგი უპანიშადებში გვხვდება, მის დამაარსებლად ლეგენდარული ბრძენი კაპილა ითვლება. ხასიათდება რაციონალიზმით და დუალიზმით, რადგან ცდილობს მთელი სამყაროს ქმნილება ახსნას ორი თავდაპირველ რეალობის – ბუნების და უმაღლესი სულის, ცნობიერების, - ურთიერთქმედებით. *სანქჰიამ* სწავლება მატერიალური ბუნების შემადგენელ სამ თვისებაზე (*გუნაზე*) და ბუნების 26 *ტატვაზე* (ფუნდამენტურ პრინციპზე) დაამუშავა. სანქჰია *იოგას* საფუძველში დევს, ტანჯვის და მისგან გათავისუფლების შესახებ სწავლებით ახლოსაა ბუდიზმთან.

სანქჰია-იოგა – იმის თეორიული დასაბუთება, რასაც *იოგა* პრაქტიკულად ახორციელებს (*იოგას* სკოლა ძალიან ახლოსაა *სანქჰიას* სკოლასთან).

სანჯაია - „ძლევამოსილი“; მეფე დჰრიტარაშტრას მეეტლის სახელი, რომელსაც ვიასამ წინასწარჭვრეტის ნიჭი უბოძა.

სარასვატი - „წყალუხვი“; ძველი ინდოელების წმინდა მდინარე, რომელიც კურუქშეტრას მახლობლად მიედინებოდა. ვედების თანახმად სარასვატის სათავე ჰიმალაებში იყო. ძველ დროს მძლავრი მდინარე იყო, მაგრამ შემდეგ დაშრა და ამჟამად იგი პატარა მდინარეა, რომელიც უდაბნოს ქვიშებში იკარგება, მაგრამ განსაკუთრებული პატივითაა გარემოცული.

სარვატმანი – კოსმოსური სული, კოსმოსური უმაღლესი სული.

სარუპია(მ) - „მაგვარი“; საკუთარი თავის ღვთაების ფორმასთან მიმსგავსება, მცდელობა ისეთი გახდე, როგორიც უფალია; ნეტარების გზაზე ოთხი სტადიიდან მესამე, რომელიც მიზეზობრივ სხეულთან ასოცირდება.

სატ – ნამდვილი, არსებული, კარგი; მარადისობის, ღვთაებრივის, *ბრაჰმანის* ასპექტი, ილუზორულისაგან განსხვავებით რეალური ყოფიერება, ყოფიერება სუბიექტის და ობიექტის გარეთ, შემცნობის და შესაცნობის გარეთ.

სატკარმა - „კარგი *კარმა*“; ამჟამინდელი ცხოვრების კარგი ქცევები.

სატ-ჩიტ-ანანდა – ყოფიერება-ცნობიერება-ნეტარება ან ჭეშმარიტება-ცნობიერება-ნეტარება; ძველი წმინდა სანსკრიტული ფორმულა; ის, ვინც მარადისობით, ცოდნით და ნეტარებითაა აღვსილი; ღმერთი როგორც ამ თვისებების ცენტრი.

სატსანგი - „სიკეთესთან ურთიერთობა“; მეგობრული თანამშრომლობა; ღვთისმოსავ ადამიანთა საზოგადოება ან ურთიერთობა.

სატვა (*სატვაგუნა*) – ბუნების სამი ფუძემდებლური თვისებიდან (*გუნადან*) პირველი, რომელიც მშვიდობას, სისუფთავეს, სიწმინდეს განასახიერებს; ჰარმონიული კარგი საწყისი; სანგვინიკური ტემპერამენტი.

სატვიური – *სატვას*, ანუ მშვიდობის, ჰარმონიის, სისუფთავის, სიწმინდის მატარებელი.

სატიაბჰამა – მაჰაბჰარატას გმირი, კრიშნას მეუღლე, რომელიც მან საჩუქრად სატიაბჰამას მამის, რაჯასგან მიიღი სატრაჯიტას იადავების გვარიდან, რომელსაც კრიშნამ ჯადოსნური ქვა *შიამანტარუ* აჩუქა.

სატიავანი - „გულმართალი“; მაჰაბჰარატას გმირი, სავიტრის მეუღლე.

სატია(მ) – სიმართლე; ჭეშმარიტება, რეალობა; მარადიული, აბსოლუტური და უცვლელი ჭეშმარიტება.

საქშატკარა – თვითრეალიზაცია, აბსოლუტური, უმაღლესი და განუყოფელი რეალობის უშუალო, სიღრმული და მთლიანი აღქმა; სულიერი განცდის მდგომარეობა, რომელიც ადამიანის გონების, დროისა და სივრცის ზღვრებს მიღმა იმყოფება.

საჰადევა - „ღმერთთან ერთად“; მაჰაბჰარატას გმირი, ძმებ პანდავებს შორის უმცროსი, პანდუს და მადრის ვაჟი, რომელიც მის ტყუპისცალთან, ნაკულასთან, ერთად ტყუპი ღმერთების, აშვინების, მკურნალების და ჯადოქრების, ვაჟიშვილად ითვლება.

საჰანა – მოთმინება.

საჰასრარა-ჩაკრა – 1000-ფურცლიანი ლოტოსი, *ჩაკრა*, ცნობიერების უმაღლესი ცენტრი, *ატმანის* ადგილსამყოფელი; აქ, მასთან, როგორც თავის მეუღლესთან, კუნდალინის ენერგია ადის.

საშტანგა-ნამასკარ(ამ) – პოზა, როდესაც ადამიანი უფლის წინ მთლიანადაა განრთხმული; გათავისუფლების და ღვთაებასთან საბოლოო ერთიანობის მდგომარეობა.

სვაბჰავა - „საკუთარი ბუნება“; თანდაყოლილი ნატურა; განუყრელი არსი; თვითჩამოყალიბება.

სვადჰარმა – ინდივიდუალური *დჰარმა*; ადამიანის ვალდებულება, რომელიც მისი ბუნებიდან, სულიერი განვითარების დონიდან და საზოგადოებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს, რომლის მიზანია მისი უმაღლესი „მე“-ს რეალიზაცია; ყოფაქცევის კოდექსი, რომელიც საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობას შეესაბამება.

სვადჰისტანა – 6-ფურცლიანი ლოტოსი, *ჩაკრა*, ქვემოდან მეორე ენერგეტიკული ცენტრი; მისი გახსნა ადამიანს საშუალებას აძლევს თავისი ფიზიკური მდგომარეობა აკონტროლოს და ავადმყოფობებისგან განიკურნოს.

სვამი - „გრძნობების ბატონი“; ის, ვინც გონება და გრძნობები მოათვინიერა და *სანიასი* მიიღო; *სანიასინის* ტიტული; სულიერი მასწავლებლისადმი მიმართვის ფორმა.

სვამი ვივეკანანდა (1863-1902, ნამდვილი სახელია ნარენდრანათჰ დათა) – უდიდესი ფილოსოფოსი, ინდოეთის საზოგადოებრივი მოღვაწე, რომელმაც ცხოვრება რელიგიური რეფორმატორის და მოაზროვნის რამაკრიშნას იდეების განვითარებას მიუძღვნა.

სვაპნა – სიზმრების ფაზა.

სვაპნა-ვასთჰა – ცნობიერების მდგომარეობა, რომელიც სიზმრების ფაზას შეესაბამება.

სვართჰა – სიყვარული, რომელიც საკუთარი თავისკენაა მოკრებილი.

სევადალი - „მსახურების შემსრულებელი“; ვოლონტიორი.

სთჰირამ – ურყევი; მუდმივი.

სიდჰა – განხორციელება; სრულყოფილება; მრ. რიცხვში – თვითდისციპლინის მიზნები, რომლებიც *იოგას* საშუალებითაა მიღწეული; უჩვეულო, ანუ ოკულტური, ძალები.

სიტა - „ღარი“; რამაიანას გმირი ქალი, მიწის ქალღმერთის ქალიშვილი, რომელიც ველზე გუთნით გავლებული ღარიდან იქნა დაბადებული, განხორციელებული *შაქთი*, ვიდეჰას მეფე ჯანაკას შვილობილი, რამას მეუღლე. სახელი სიტა ღვთისმოსაობის და ცოლქმრული ერთგულების ერთ-ერთი ტრადიციული სიმბოლოა.

სნეჰამ – ღმერთთან, როგორც მეგობართან, მიმართვა: ღმერთის ერთგულების ცხრა ფორმიდან ერთ-ერთი, *ატმანივედანას* (თავის სრული ჩაბარების) წინამორბედი.

სოჰამ-ტატვა – *სოჰამის* პრინციპი; *სოჰამის* არსი – გაგებისა, რომელიც ადამიანის და ღმერთის იგივეობას აღნიშნავს.

სოჰამ (*სო-აჰამ*) - „**მე** ვარ **ის**“ ან „**ის** არის **მე**“ - სანსკრიტული სიტყვების *სო* (*ის*) და *აჰამ*ის (*მე*ს) შეერთება წმინდა ფრაზაში; გამოთქმის აზრია ადამიანის და ღმერთის იგივეობა; *მანტრა სოჰამ*ის ბგერა ჩასუნთქვას და ამოსუნთქვას შეესაბამება.

სპარშანა – შეგძნება, შეხება; მიკარება; ღვთაებასთან მიკარების შესაძლებლობა.

სტიტჰაპრაჯნია – ის, ვისაც შინაგანი წონასწორობა და გონების სიმშვიდე აქვს ბოძებული, ვინც გონება გაწმინდა და თავის ჭეშმარიტ ბუნებაში (*ატმანში*) მყარად დგას, ის, ვინც ღმერთთან ერთიანია.

სტრი – ქალი; ცოლი.

სუგრივა – რამაიანას გმირი, მაიმუნ-*ვანარების* მეფე, რუკმის, მაიმუნთა წინაპრის (რომელიც ბრაჰმამ შექმნა), ვაჟი, ვალის ძმა.

სულაბჰა – მოხეტიალე ქალი-ასკეტი, უბიწოების ნიმუში. *იოგას* ძალით მას შეეძლო თავისი სხეული შეეცვალა ან სხვა ვინმეს სხეულში შესულიყო. ასე, ერთხელ მან მთელი დღე მეფე ჯანაკას სხეულში გაატარა, რომ მისი „გათავისუფლების გაგების უნარი შეეცნო“.

სუშუმნა(*-ნადი*) – ენერგეტიკული არხი, რომელიც ხერხემლის გასწვრივ ყველა ენერგეტიკული ცენტრის (*ჩაკრას*) გავლით გადის მისი ფუძედან *მულადჰარა-ჩაკრაში საჰასრარა-ჩაკრამდე* თავის თხემზე. ამ არხით *იოგინები* სულიერი პრაქტიკის პროცესში სასიცოცხლო ძალას (*პრანას*) მაღლა წევენ.

სუშუპტი – ძილის ფაზა: ღრმა, უშფოთველი ძილი, რომელიც სიზმრებისგან თავისუფალია, როცა ადამიანის გონება და გრძნობათა ორგანოები არ ფუნქციონირებს, ღრმა ბურანის შეუგნებელი მდგომარეობა.

ტ

ტაიჯასა - „მანათობელი“; სიცხადე; სხივმოსილობა; სიზმრების ფაზა.

ტალუკ(ა) – მიჩენილი მიწა, რომელიც გადასახადების ასაკრებადაა და ფაქტიურად მემკვიდრეობითი მამული ხდება.

ტამასი (*ტამასგუნა*) – სიბნელე, წყვდიადი; სიბლაგვე; პასიურობა; ბუნების ფუძემდებლური თვისებებიდან (*გუნებიდან*) მესამე; ჩამორჩენილი, ინერტული საწყისი; მელანქოლიური ან ფლეგმატური ტემპერამენტი.

ტამასიური – *ტამასის* ბუნებისათვის დამახასიათებელი: ბლაგვი, მოთენთილი, ინერტული.

ტაპასი – სითბო, სიცხე; ასკეზას სიცხე, რომელიც ცოდვას წვავს და ყოველგვარ *კარმას* ნაცარტუტად აქცევს; ასკეტური პრაქტიკები, ანუ სისტემატური ასკეტიზმი ცხოვრების უმაღლესი მიზნის მიღწევისათვის; სხეულის დაუძლურება; მონანიება.

ტატვა – ქსოვილის საფუძველი; არსული ბუნება; არსი; პრინციპი. *სანქჰიას* ფილოსოფია ბუნების (*პრაკრიტის*) 26 საფუძველს, ანუ პრინციპს, ასწავლის.

ტელუგუ – ძველინდური ენებიდან (იმ ტომებისა, რომლებიც დეკანის ნახევარკუნძულზე იყვნენ დასახლებულნი და მრავალ საუკუნეს ითვლიდნენ) ერთ-ერთი ენა, სანსკრიტიდან გადმოღებული. ტელუგუს ენაზე ლაპარაკობს მოსახლეობა მადრასის ჩრდილოეთიდან ორისის საზღვრებამდე და ტელუგუს ხალხები სამხრეთ ინდოეთის შტატ ანდჰრა პრადეშში. ტელუგუ ბჰაგავან შრი სატია საი ბაბას მშობლიური ენაა.

ტიაგა – უარის თქმა, განდგომა; განდგომა არა მარტო სურვილის ობიექტისგან, არამედ თვით სურვილისგანაც; მსხვერპლი; თავგანწირვა.

ტიაგა-ბჰუმი - „განდგომის მიწა“; უმაღლესი თვითგანწირვის მიწა.

ტიაგარაჯა (1757-1846) - „განდგომის მეფე“; სამხრეთ ინდოეთის პოეტი და გამოჩენილი *იოგინი*. მან რამდენიმე ასეული ჰიმნი შექმნა, რომლებიც რამას და კრიშნას ადიდებენ ტელუგუს, კანადას და სანსკრიტულ ენებზე. დიდი მუსიკოსი, რომელმაც შთამაგონებელი სიმღერები (*კირტანები*) შექმნა. ცხოვრების ბოლო წლებში *სანიასინი* გახდა. თანამედროვე ინდოეთში წმინდანად ითვლება.

ტრეტა-იუგა – ინდურ კოსმოგონიაში მესამე სამყაროებრივი პერიოდი; ევროპული ტრადიციის თანახმად იგი „ვერცხლის ხანაა“.

ტრიკალა-ჯნიანი - „სამი დროის გამცნობიერებელი“; ის, ვინც წარსულს, აწმყოს და მომავალს აცნობიერებს.

ტრიპუტი – ინტეგრალური რეალობა, რომელიც ადამიანურ არსებას (*ჯივას*), ღმერთს (იშვარას) და სამყაროს (*პრაკრიტის*) აერთიანებს.

ტურიია - „მეოთხე“; ცნობიერების მე-4 პლანი, რომელიც მღვიძარობის, სიზმრების და ღრმა ძილის მომდევნოა – ზეცნობიერება, სუფთა ცნობიერება, რომელიც გონების (*მანასის*) და სულიერი გონიერების (*ბუდჰის*) ზღვრებს მიღმა იმყოფება.

ტურიია-ვასთჰა – *ტურიიას* მდგომარეობაში მყოფი ცნობიერება.

უ

უგრასენა – მადჰურას მეფე, კამსას მამა, კრიშნას პაპის ძმა; ტახტიდან საკუთარი ვაჟის, კამსას, მიერ იქნა ჩამოგდებული და კამსას დაღუპვის შემდეგ კრიშნას მიერ იქნა აღდგენილი.

უდჰავა – იადავების ტომის უხუცესი, კრიშნას ბიძა (სხვა წყაროების მიხედვით – ბიძაშვილი), მისი მეგობარი და მრჩეველი.

უპადჰი – საცავი, ჭურჭელი; გარე ფორმა, სახე, გარსი; სხეული როგორც სულის საფუთავი; ინსტრუმენტი, გამტარი.

უპანიშადა – იდუმალი ცოდნა (*უპა-ნი-სად* - „ჯდომა (მოძღვრის) გვერდით“) – ვედური ტექსტების ჯგუფის სახელწოდება, რომლებიც რიგვედას (იხ. ვედები) ჰიმნების შინაარსს და მათზე დაარსებული რიტუალის ფილოსოფიურ დასაბუთებასაა მიძღვნილი. დასახელება უპანიშადა იმით აიხსნება, რომ ამ ტექსტებში არსებული ინფორმაცია სუფთა ეზოტერიკულ ხასიათს ატარებდა და მასწალებლის მიერ მოწაფეს ზეპირად გადაეცემოდა. ინდური ტრადიცია 108 უპანიშადას ითვლის, რომლებიდანაც 10 ითვლება როგორც მთავარი. უპანიშადებში მუშავდება სწავლება სამყაროს უმაღლეს სულზე, სამყაროს ცნობიერებაზე, აბსოლუტური ჭეშმარიტების ასპექტთან ახლოს მყოფზე (*ბრაჰმანზე*) და მათს კავშირზე ინდივიდუალურ ადამიანურ ცნობიერებასთან.

უპასანა – თაყვანისცემა; პატივისცემა, რომელიც რიტუალურ მოქმედებებთან ასოცირდება; ღვთაებრივის შეძენისათვის გამოყენებული საშუალებები; ღმერთის თაყვანისცემა.

ქ

ქშატრი(ია) – მებრძოლი; მეომარი; საზოგადოების დაყოფის ვედურ სისტემაში - „ორჯერდაბადებულთა“ (ანუ ვინც განსაკუთრებული განდობა მიიღო) მე-2 *ვარნას* – მეომართა, მმართველთა, დიდებულთა - წევრი.

ქშემა – ადამიანის მიერ იმის განცდა (ან შეძენა), რაც წესით მას ეკუთვნის.

ქშეტრა – ველი; ხნული; ბრძოლის ველი; (მომლოცველობის) ადგილი; სავანე; ადამიანის სხეული როგორც სულის ადგილსამყოფელი; *იოგაში* – სხეული როგორც ცნობიერების ველი.

ქშეტრაჯნია - „ველის ბატონი“ ან „ველის მცოდნე“; ის, ვინც ველი შეიცნო, ანუ უკვდავი სული, რომელიც სხეულში ბინადრობს (*ატმანი*).

შ

შაბდა – ხმა; სიტყვა.

შაბდა-ბრაჰმა-მაიი – რაც ხმას შეეხება (რვა ღვთაებრივი საგანძურიდან, *აიშვარიადან*, ერთ-ერთი.

შამა – გონების მოქმედების კონტროლი; თავდაჭერილობა, თვითკონტროლი; შემწყნარებლობა; წყნარი დარწმუნების მეთოდი.

შამბჰუ - „კეთილისმყოფელური“; შივას ეპითეტი.

შანკარა - „დამამშვიდებელი“; შივას ეპითეტი.

შანკარაჩარია (ადი შანკარა) (788-820) – სახელი სამხრეთ ინდოელი *ბრაჰმანისა*, ფილოსოფოსის, პოეტის და სარწმუნოებრივი მოძღვრისა, რომელმაც ადვაიტა-

ვედანტას („არაორობითობის“ ფილოსოფიური მოძღვრების) ძირითადი დებულებები დაამუშავა. შანკარას მთავარი ნაწარმოებებია „ბრაჰმა-სუტრას“ და 10 მთავარი უპანიშადას კომენტარები.

შანტი – სიმშვიდე; მშვიდობა; აღუშფოთველობა, დამშვიდებულობა; მენტალური გაწონასწორებულობა, ანუ გონების სიმშვიდე; გრძნობების მოქმედებაზე უარის თქმა.

შარანაგატა – ის, ვინც თავისი თავი ღმერთს მთლიანად დუქვემდებარა, თავი ღმერთს ჩააბარა, წუთისოფლის მისწრაფებებზე უარი თქვა და გონება დააწყნარა.

შარანაგატი - „გზა დაცვისკენ“; სრული თვითგანდგომა, რომელიც წუთისოფლის მისწრაფებებზე უარის თქმასა და გონების დაწყნარებაში გამოიხატება, თავისი თავის ღვთაებას მთლიანად ჩაბარება.

შარანაგატი-ტატვა – სრული თვითგანდგომის არსი.

შარირა – სხეული.

შარირი – ის, რაც ადამიანის სხეულში ბინადრობს – უკვდავი უმაღლესი სული (*ატმანი*), მისი უმაღლესი „მე“.

შასტრა – მითითება, წესი, წმინდა კანონი; სამეცნიერო ტრაქტატების ძველინდური დასახელება, რომლებიც მიძღვნილია რელიგიურ-ფილოსოფიურ პრობლემებს და სოციალური ყოფა-ქცევის (დჰარმაშასტრას) პრობლემებს, აგრეთვე პოლიტოლოგიას (ართჰაშასტრას) და ცოდნის სხვა დარგებს (მაგ., მათემატიკას, ასტრონომიას, არქიტექტურას და ა.შ.).

შატრუგნა - „მტრების მომსპობი“; რამას ნახევარძმა.

შაქთი – უნარი; ძალა; ღმერთის აქტიური შემოქმედებითი ენერგია; ხშირად პერსონიფიცირდება როგორც ღვთაების ქალური იპოსტასი, მისი მეუღლე (მაგალითად, შივას *შაქთი*ა პარვატი); ქალური ენერგიის არსი.

შვასა – სუნთქვა; სასიცოცხლო სუნთქვა.

შივა - „კარგი, კეთილი“, „მოწყალე“; ინდუისტური ტრიადას სამი ღმერთიდან ერთ-ერთი მთავარი ღმერთი, მოშლის კოსმოსური ძალის განხორციელება.

შივაიტები – შივას თაყვანისმცემლები.

შივამ – წყალობა; გულმოწყალება; სიკეთე; აყვავება.

შიშია – მოსწავლე; მიმდევარი.

შლეშმა – ლორწო.

შლოკა – განსაკუთრებული მეტრული ზომა, რომელიც სანსკრიტულ ეპიკურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება, ლექსური ფორმა ოთხ ნაწილად, ანუ *პად*-ად (ყოველ *პადას* რვა მარცვალი აქვს).

შოკა – სევდა.

შრავანამ – მოსმენა; *გურუს* მოსმენა; საღმრთო წერილების, უფალზე მოთხრობების მოსმენა; სულიერი მოსმენის პროცესი – ღმერთის თაყვანისცემის ცხრა სახიდან ერთ-ერთი.

შრადჰა – რწმენა; ღვთისმოსავი რწმენა, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ჭეშმარიტ ავტორიტეტს თვინიერად ვუსმინოთ; საღმრთო წერილების და ღმერთის ურყევი რწმენა; უნართან ერთად ძალისხმევის დაჟინებულობა.

შრი - ბედნიერება; აყვავება; ძველინდურ ეპოსში ნაყოფიერების და სიუხვის (ბედნიერების და სილამაზის) ქალღმერთი, ვიშნუს მეუღლე. ნაწილაკი, რომელიც

იხმარება წმინდანების ან წმინდა ადგილების სახელების წინ მნიშვნელობით „პატივცემული“, ნეტარი“, „წმინდანი“ (რთულ სიტყვებში – *შრიმატი-*, *შრიმად-*).

შრი-მაიი - „ის, რაც აყვავებას შეეხება“; აყვავება

შრი საილამ – მომლოცველობის ცნობილი ადგილი სამხრეთ ინდოეთის შტატ ანდჰრა პრადეშში, სადაც ერთ-ერთი ინდუისტური ტაძარია განლაგებული.

შრუტი - „მოსმენილი“; მოსმენის პროცესში შეძენილი ცოდნა; საღმრთო წერილები, რომლებსაც ავტორები არ ჰყავს და როგორც ღვთაებრივ გამოცხადებებს უდავო ავტორიტეტი გააჩნია. ასე აღინიშნება ვედები და მათი დამატებები – ბრაჰმანები, არანიაკები (რელიგიური და ფილოსოფიური წერილების ნაირსახეობები, რომლებიც ბრაჰმანებთანაა მჭიდროდ დაკავშირებული) და უპანიშადები.

შუდრა – ინდური საზოგადოების ოთხი *ვარნიდან* უკანასკნელის, უდაბლესის წევრი, ადამიანის ყველაზე უფრო განუვითარებელი ტიპი, თუმცა არაკვალიფიციური სამუშაოებისთვის და მომსახურებისთვის ვარგისი.

შუნიათჰვა – სიცარიელე.

ჩ

ჩაიტანია – ცნობიერება; სუფთა ცნობიერება; ზეცნობიერება.

ჩაკრა – ბორბალი; წრე; დისკო; ვიშნუს და კრიშნას იარაღი; ცენრტი ნერვულ სისტემაში; ცენტრი ფაქიზ სხეულში, ენერგეტიკული ცენტრი. ადამიანში შვიდ მთავარ *ჩაკრას* არჩევენ.

ჩანდრამატი – მეფე ჰარისჩანდრას მეუღლე, რომელიც მამაცობით იყო ცნობილი.

ჩარა – ცოცხალი; გარეგნულად მოძრავი; აქტიური; არამდგრადი, არასტაბილური.

ჩარა(ა)ჩარა-მაიი - „რაც მოძრავს და არამოძრავს განეკუთვნება“; რვა ღვთაებრივი საგანძურიდან (*აიშვარია*) ერთ-ერთი.

ჩინმუდრა – ხელების პოზიცია, როდესაც ყოველი ხელის საჩვენებელი და ბერა თითების წვერები ერთდება, ამასთან ბერა თითი სიმბოლიზირებს ღმერთს (*ბრაჰმანს*), საჩვენებელი თითი კი – ცოცხალ არსებას (*ჯივას*).

ჩინტა – მღელვარება, შფოთვა, მენტალური მღელვარება.

ჩიტ – ცნობიერების უმაღლესი ფორმა, რომელიც სუფთა, ჭეშმარიტ ყოფიერებას შეესაბამება; სრული ცოდნა.

ჩიტა – გონების სუბსტანცია, ანუ გონებრივი ნივთიერება; ცნობიერება; ცნობიერების საფუძველი; პასიური მეხსიერება; ადამიანის წინა განხორციელებების ემოციური გამოცდილების საცავი (ქვეცნობიერების ფორმაში).

ჩიტა-შუდჰი – ცნობიერების გაწმენდა; გულის სისუფთავე.

ჯ

ჯაგან-მატა – ქმნილების დედა, სამყაროს მეუფე.

ჯაგანათჰ(ა) – ქმნილების ბატონი, სამყაროს მეუფე.

ჯაგრატ(ა) - „გამოღვიძება“; „მღვიძარობა“.

ჯაგრატა-ვასთჰა – მღვიძარობის მდგომარეობა.

ჯაია – გამარჯვება; გამარჯვების მოპოვება.

ჯაიაკრიშნა - „ძლევამოსილი კრიშნა“; არჯუნას ცხრა სახელიდან ერთ-ერთი, რომელიც მას კრიშნას უტოლებს.

ჯანაკა - „მშობელი“; ვიდეჰას სამეფოს მმართველი, სიტას მამა, განდეგილთა და მოხეტიალე ფილოსოფოსთა მფარველი, რომელიც სიბრძნით და ღვთისმოსაობით არის ცნობილი.

ჯაპა - „ბუტბუტი“; ღმერთის სახელის ან *მანტრის* ჩუმად ან ხმამაღლა გამეორება, რომელსაც ჩვეულებრივ კრიალოსნის დამარცვლა ახლავს თან – ღმერთის თაყვანისცემის ცხრა ფორმიდან ერთ-ერთი.

ჯარასანდჰა - „ის, ვინც ჯარამ შეაერთა“ - მაჰაბჰარატას და კრიშნაზე თქმულებების გმირი, მაგადჰას (ინდოეთის თანამედროვე ჩრდილო პროვინციის ბიჰარის) მეფე. დაბადებული როგორც ორი ცალკეული ნახევარი და ჯარას - დემონი ქალის – მიერ შეერთებული; ჯარასანდჰა დაბადებიდან დემონურ თვისებებს ფლობდა და დაუმარცხებელ მეომრად, ტირანად და მეფეთა მტანჯველად ითვლებოდა; კრიშნას დედის ძმის, კამსას, ნათესავი; კამსას სიკვდილის შემდეგ კრიშნას დაუძინებელი მტერი; დაიღუპა ბჰიმას ხელით.

ჯივა - „ცოცხალი“, განსხეულებული სული; ცოცხალი არსება; ინდივიდუუმი.

ჯივანმუკთა - „გათავისუფლებული სული“; ადამიანი, ვინც სიცოცხლეშივე მოიპოვა გათავისუფლება.

ჯივატვა (*ჯივა-ტატვა*) – ადამიანური ასპექტი: ის საერთო, რაც სხეულებრივი გარსით შემოსილ ინდივიდუალურ სულებს აქვთ.

ჯივატმანი - „ცოცხალი უმაღლესი სული“; სხეულში განხორციელებული უმაღლესი სული, ინდივიდუალური სული.

ჯიოტი – ცეცხლი; ბრწყინვალება; სინათლე; განხორციელებული სინათლე, რომელსაც გარკვეული ბუნებრივი მახასიათებლები აქვს; უმაღლესი სინათლე; კურთხევის პრინციპი, ფენომენი თავის ყველა ასპექტში.

ჯიოტირ-მაიი - „სრული სინათლე“, „სინათლისათვის დამახასიათებელი“; ბრწყინვალე, გაბრწყინებული; ბრწყინვალე ღვთაებრივი სინათლე.

ჯიჯნიასუ (*ჯიჯნიასი*) - „ცოდნას მოწყურებული“; მკვლევარი; ღვთაებრივი ცოდნის მაძიებელი.

ჯნიანა – ცოდნა, უპირველეს ყოვლისა სულიერი; გამოღვიძებული ცნობიერება; უმაღლესი უნივერსალური სიბრძნე.

ჯნიანა-იაჯნა - „ცოდნის (დაუფლების გზით) მსხვერპლად შეწირვა“; წმინდა მოძღვრებების შესწავლა და მათზე ფიქრი.

ჯნიანა-იოგა – შეცნობის *იოგა*, სულიერი სიბრძნის *იოგა*; *იოგაში* ოთხი ძირითადი მიმართულებიდან ერთ-ერთი – თვითრეალიზაცია და სამყაროს ჭეშმარიტი ბუნების და საკუთარი თავის შეცნობა.

ჯნიანა-მარგა – სიბრძნის გზა.

ჯნიანარატნა – სიბრძნის ძვირფასი თვალი.

ჯნიანა-სამატვა – გონების გაწონასწორებული მდგომარეობის ერთ-ერთი სახე – გონების აღუშფოთებელი სიმშვიდე, რომელიც იმ პრინციპის გაცნობიერებას გულისხმობს, რომელიც მთელ ქმნილებას აერთიანებს.

ჯნიანენდრიები (*ჯნიანა-ინდრიები*) – გრძნობითი აღქმის ხუთი ორგანო ან ძალა – სმენა, მხედველობა, გემო, ყნოსვა და შეხება.

ჯნიანი - „მცოდნე“; ბრძენი; უმაღლესი ცოდნის მფლობელი, რეალიზებული პიროვნება.

ჰ

ჰანუმანი - „დიდი ყბა“; რამაიანას გმირი, ღვთაებრივი მაიმუნი, ქარის ღმერთ ვაიუს და მაიმუნ აჯანის ვაჟი, მაიმუნთა მეფე სუგრივას მრჩეველი, რამას ერთგული მეგობარი და თაყვანისმცემელი.

ჰარიშჩანდრა – მზიური დინასტიის მეფე, აიოდჰის ძველი მმართველი, რომელიც ცნობილი იყო სათნოებით, სიბრძნით და ჭეშმარიტებისკენ მიდრეკილებით. დაპირების თანახმად ბრძენ ვიშვამიტრას თავისი სამეფო მისცა, საკუთარი ცოლი, ვაჟი და თავისი თავი მონებად გაყიდა. ღმერთებისგან ჯილდოდ ზეცაში ადგილი მიიღო („მარკანდეია-პურანა“).

ჰიმალაი – მსოფლიოში უდიდესი ქედი, რომელიც ინდოეთს დანარჩენი აზიისგან და მთელი მსოფლიოსგან ყოფს (ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან); ინდუიზმში ჰიმალაები წმინდად ითვლება, რადგან მათში მერუს (მსოფლიოს ცენტრს, რომლის გარშემოც მთებზე ღმერთები ბინადრობენ) ხედავდნენ.

ჰირანიაგარბჰა - „ოქროსფერი კოსმოსური ჩანასახი“; მისგან სამყარო მუდავნდება; გაიგივებულია ღმერთ-შემქმნელ პრაჯაპატისთან, მოგვიანებით კი – ბრაჰმასთან; კოსმოსური გონი.

ჰრიდაია-დჰარმა – გულის ვალდებულება, მართლქმედება, რომელიც ყველა არსებაზე ზრუნავს.

ჰრიდაია-ქშეტრა – ადამიანში სულიერი გულის, მისი უმაღლესი „მე“-ს, *ატმანის* ადგილ-სამყოფელი.

ჰრიშიკეშა - „გრძნობების მეუფე“; კრიშნას ეპითეტი.

მაცოცხლებელი წვიმები ბრინდავანში

ეს წიგნი მოიცავს იმ საკითხთა უფართოეს არეს, რომლებიც დაკავშირებულია სულიერებასთან და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში გარდატეხასთან, მასში უბრალო და მშვენიერი ენითაა გადმოცემული და განმარტებული ბჰაგავად გიტას და ვედანტას ჭეშმარიტებები თანამედროვე მსოფლიოს აქტუალური პრობლემების შუქზე. მის სარჩულს შეადგენს კრიშნას და არჯუნას უკვდავი დიალოგი, იგი სავსეა წარმტაცი მაგალითებითა და პატარა ამბებით. „მაცოცხლებელი წვიმები" სიბრძნის, სინათლის და სიყვარულის ნაკადია. იგი უხვად გადმოდინდება ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებზე, რომლებიც სულიერი გამოღვიძებისაკენ იღწვიან.

1979

9 789941 057205

მაცოცხლებელი წვიმები ბრინდავანში 1979

ბჰაგავან შრი საჭია საი ბაბა